ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნონა ჭანტურია

ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2006

უაკ (UDC) 947.922
ჯ 236

ნაშრომში საარქივო დოკუმენტების, სამეცნიერო ლიტერატურის და პრესის მასალებზე დაყრდნობით, მონოგრაფიულადაა შესწავლილი ეროვნული საბჭოს როლი და მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეში. მასში ახლებურადაა გაშუქებული ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის ასპექტები, ამასთანავე ეს საკითხი განხილულია, იმ დროისათვის შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების ფონზე.

წიგნი გათვალისწინებულია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვახტანგ ჯანჯღავა

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქეთევან პაველიაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ელვერ კუპატაძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
მამია დღვილავა

© ნ. ჭანტურია, 2006

გამომცემლობა „უნივერსალი", 2006

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-61-72-0

შესავალი

XX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, მისი სახელმწიფოებრიობის განახლება-განმტკიცებისათვის ბრძოლაში უდიდესი როლი შეასრულა ეროვნულმა საბჭომ.

1991 წლიდან დამოუკიდებლობის მეორედ აღდგენის დროიდან მოყოლებული საქართველოს რესპუბლიკამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია დემოკრატიული აღმშენებლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაციის თვალსაზრისით. უკანასკნელ ხანებში, ამ მიმართულებით რესპუბლიკის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველო არის გაეროსა და ეუთოს წევრი, ევროსაბჭოს წევრი. ამასთან დიდი ძალისხმევით განაგრძობს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, რათა უმოკლეს ვადაში გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი.

ევროპული ორიენტაცია – საერთო ევროპული ოჯახისაკენ სწრაფვა, საქართველოსათვის ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იყო დამახასიათებელი. ამ პროცესმა განსაკუთრებით მიზანმიმართული და შეუქცევადი ხასიათი მიიღო 1918 წლის 26 მაისიდან, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

საქართველოს ეროვნული საბჭო თავის სხდომებზე სისტემატურად იხილავდა ქვეყნისათვის ყველაზე აქტუალურ და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებს. მართალია, შედარებით ხანმოკლე, მაგრამ ეროვნული საბჭოს ნაყოფიერი მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის განუყოფელი ნაწილია, თუმცა საბჭოთა ისტორიოგრაფია ან საერთოდ გვერდს უვლიდა, ან აყალბებდა საკითხის მეცნიერულ შესწავლას. ამის გამო ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის პროცესი ისტორიულ და ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში არა თუ სრულყოფილად, ცალმხრივადაც კი სათანადოდ ვერ წარმოჩინდა.

ამ ბოლო წლების მანძილზე, საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენის შემდეგ, 1918-1921 წლების პერიოდის საქართველოს ისტორიის შესწავლას მრავალი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა, რომლებშიც სხვადასხვა ასპექტით სათანადო ასახვა ჰპოვა ეროვნული საბჭოს მოღვაწეობამაც, მაგრამ ამ პრობლემის მეცნიერული თვალსაზრისით სპეციალურად ცალკე გაშუქება დღემდე არ მომხდარა. ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მისი შემეცნებითი ღირებულების, არამედ პრაქტიკულ-გამოყენებითი დანიშნულების გამოც. დღევანდელი ქართული სახელმწიფოს წინაშე ძალზე აქტუალურია მთელი რიგი ისეთი პრობლემები (დამოუკიდებლობის განმტკიცება, ქართველი ერის კონსოლიდაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სრულყოფა და სხვა), რომელთა გადასაწყვეტად ეროვნულმა საბჭომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

წინამდებარე ნაშრომში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის სრული ისტორია შექმნის დღიდან (1917 წლის ნოემბრიდან) დამფუძნებელი კრების (1919 წლის 12 მარტი) მოწვევამდე. ამასთან, საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, ინტერპარტიული საბჭოს შექმნა და საქმიანობაც გავაშუქეთ, რაც წინ უსწრებდა ეროვნული საბჭოს შექმნას.

ნაშრომში გაანალიზებული მასალები ეროვნული საბჭოს საკანონმდებლო მოღვაწეობის შესახებ, როგორც უმდიდრესი გამოცდილება, უაღრესად ფასეული იქნება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისათვის, რომელსაც, სამწუხაროდ, საპარლამენტო მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და მით უმეტეს, ამის ტრადიციები არ გააჩნია.

თავი I

წყაროებისა და ისტორიოგრაფიის მიმოხილვა

საკვლევი პრობლემა წყაროების ფართო მონაცემებს ეყრდნობა. ეროვნული საბჭოს ისტორიის შესასწავლად ნაშრომში ძირითად წყაროებად გამოყენებულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფონდები: საარქივო მასალებიდან განსაკუთრებით ფასეულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ფონდი №1836, სადაც ინახება ეროვნული საბჭოს მიერ გამართული ყველა სხდომის ოქმების დედნები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. აგრეთვე აღსანიშნავია ამავე არქივში არსებული ჩვენ მიერ შესწავლილი შემდეგი ფონდები: საქართველოს მთავრობის საქმეთა მმართველობის ფონდი №1861, საგარეო სამინისტროს ფონდი №1864, განათლების სამინისტროს ფონდი №1935, ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის თურქეთთან მოლაპარაკების შესახებ არსებული ფონდი №1875 და სხვა ფონდები, რომლებშიც დაცულია დიდძალი მონაცემები ეროვნული საბჭოს საქმიანობის შესახებ.

ნაშრომში გამოყენებულია დოკუმენტებისა და მასალების კრებულები: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტები (1918-1921)“ [53], „Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии“ [54] და სხვა.

აღნიშნული პერიოდის შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმდროინდელი სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების პრესის მასალები. ჩვენ მიერ შესწავლილი და გამოყენებულია 1917-1918 წლების პრესის მასალები გაზეთებში: „ერთობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო“, „მიწა“, „სახალხო საქმე“ და სხვა.

საკვლევი პერიოდის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ცნობილ ქართველ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა მემუარული ლიტერატურა, რომელთაც როგორც წყაროს დიდი სიფრთხილით ვუდგებით, რადგანაც ნებისმიერი მემუარული ლიტე-

რატურიდან ტენდენციურობის გამორიცხვა შეუძლებელია. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. ჟორდანიას [88], გრ. ურატაძის [99], ზ. ავალიშვილის [55], გ. ქიქოძის [103], ვ. ნოზაძის [85], გრ. ლორთქიფანიძის [81], გ. კვინიტაძის [76], გ. მაზნიაშვილის [82] და სხვათა მოგონებები.

ნაშრომის შესაქმნელად გავეცანით აგრეთვე სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას, ისეთ ცნობილ მეცნიერთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომებს, როგორებიც იყვნენ: ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე, მ. ჯავახიშვილი, ს. კედია, ს. ფირცხალავა, ზ. ავალიშვილი, გ. გვაზავა, ვ. ნოზაძე, პ. სურგულაძე, ა. ცაგარელი, გრ. ურუტაძე. ამ ნაშრომების პირველწყაროს მნიშვნელობა უდავოა და ეჭვს არ იწვევს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში 1918-1921 წლების პერიოდის საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, რომლებშიც სხვადასხვა ასპექტით ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხია გაშუქებული.

საკვლევი პრობლემის ისტორიოგრაფია პირობითად ასე შეიძლება დავყოთ და წარმოვიდგინოთ: 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მესვეურთა გამოქვეყნებული მემუარული ნაშრომები, ცალკეული პუბლიკაციები, საბჭოურ ხანაში შექმნილი წიგნები და სტატიები. და ბოლოს, 90-იანი წლებიდან დღემდე არსებული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაბეჭდილი სტატიები და სამეცნიერო ისტორიული ლიტერატურა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებით საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ამ ეპოქალური მოვლენის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი სოციალ-დემოკრატებმა შეასრულეს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა დამსახურების არდანახვა, მიზანდასახული დისკრედიტაცია და ლაფში ამოსვრის ტენდენცია ათეული წლების განმავლობაში იმ დონეზე მიმდინარეობდა, რომ ლამის ერის მოღალატეებად გამოაცხადეს. უსაფუძვლოდ წაყენებულმა ბრალდებებმა და არაობიექტურმა შეფასებამ თაობებში ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ საზოგადოების გარკვეულ წრეებში ამ პოლიტიკური პარტიისადმი დამოკიდებულება დღესაც (ნაწილობრივ) ნეგატიურია. მართალია,

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის, მისი ფორმირების პროცესს და ქვეყანაში გატარებულ რეფორმებს დადებით შეფასებას აძლევენ, მაგრამ იგნორირებას უკეთებენ იმ პოლიტიკურ პარტიის ლიდერთა სახელებს, რომლებსაც ეროვნული სახელმწიფოს ფუნდამენტის მომზადებაში ლომის წვლილი მიუძღვით [69, 5]. 1917-1918 წლების პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისი განვითარება-განმტკიცების გაყალბება ძირითადად დაკავშირებულია საბჭოთა ისტორიოგრაფიასთან. მთელი რიგი ნაშრომები, რომელიც ამ პერიოდის ისტორიას განაზოგადებენ, ან ცალკეული საკითხების განხილვით შემოიფარგლებიან, მთლიანად უგულებელყოფენ, ან მაქსიმალურად აყალბებენ ნამდვილ ობიექტურ ისტორიას. 1917-1921 წლების ისტორიის საბჭოური პოზიციიდან შეფასებას სათავე დაუდო ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, ა. ურუშაძის, თ. ჟღენტის, ე. დრაბკინას, კ. ორაგველიძის, გ. ხაჭაპურიძის ნაშრომებმა.

საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსების ა. სურგულაძის [97], ა. კიკვიძის [77], გ. ჟვანიას [87], ვ. ესაიაშვილის [66], ლ. გორგილაძის [61], ა. ირემაძის [75], ავ. მენთეშაშვილის [122], ვ. ჯანჯღავას [119; 120], გამოკვლევებში, 1917-1921 წლების ისტორიის არაობიექტური კრიტიკა და უარყოფითი ტენდენცია აშკარად თვალშისაცემია, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მათ ნაშრომებში წარმოდგენილია მდიდარი ფაქტობრივი და საარქივო მასალა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით.

საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური იდეოლოგიის პოზიციებიდან 1917-1921 წლების მოვლენების შეფასების შედეგები შეჯამებულია სამ გამოცემაში: „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები“ [56], „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ [94], და საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-6 ტომში“. ამ ნაშრომებში მოცემულ მოვლენათა შეფასებები შემუშავებულ იდეოლოგიურ ნორმებს ემორჩილებოდა. საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-6 ტომში ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი, ხოლო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მნიშვნელობა ძალზე გაუბრალოებული და გაუფასურებულია. ავტორის (აწ განსვენებულ პროფესორ პ. სურგულაძის) აზრით, „დამოუკი-

დებლობის სიტკბოება ქართველი ხალხისათვის იმ ვითარებაში მოჩვენებითი იყო“ [93, 588].

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოური შეფასებების შემცველი ნაშრომების ფონზე, განსაკუთრებული მოვლენა იყო უ. სიდამონიძის და ა. ბენდიანიშვილის შრომების გამოჩენა. 1970 წელს გამოქვეყნდა უ. სიდამონიძის მონოგრაფიული გამოკვლევა „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია“ [95], რომელშიც ოფიციალური იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ, სრულიად ახლებურად არის გაანალიზებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ბიოგრაფიები და თეორიული ნააზრევი. ნაშრომი, მასში არსებული გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, საქართველოს ისტორიის ობიექტური მეცნიერული შეფასების პირველ მცდელობას წარმოადგენდა, რის გამოც ავტორი ხელისუფლების მიერ მკაცრად დაისაჯა. 90-იან წლებში გამოქვეყნდა უ. სიდამონიძის საგაზეთო პუბლიკაციები. „ოქტომბრის პირმშო — გარდაქმნით დაბრუნებული“ [164], და „ეროვნული საბჭო — საქართველოს პარლამენტი“ [163]. მეორე სტატია ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც მასში ეროვნული საბჭოს საქმიანობის ცალკეული ასპექტებია განხილული.

საბჭოური ისტორიოგრაფიის ფონზე მეტად საინტერესოდ გამოიკვეთა ალ. ბენდიანიშვილის მონოგრაფია „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.“ [57]. ნაშრომის მე-5 თავი საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პირველწყაროს შეიცავს. მისი ნაშრომებიდან ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მონოგრაფია - „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)“ [58], რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის პირველ წარმატებულ მცდელობას წარმოადგენს.

90-იან წლებიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ობიექტურმა შესწავლამ მკვლევართა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ მრავალი საგაზეთო პუბლიკაცია დაიწერა, მათში ჩვენთვის საინტერესო ისტორიის ახლებურად და ობიექტურად გაანალიზებული ზოგიერთი საკითხია განხილული: ალ. ბენდიანიშვი-

ლის - „ქართველი ერის სუვერენულ უფლებათა აღდგენისა და განმტკიცების პრობლემები“ [125], ალექსანდრე მუჯირის „ასჩვიდმეტი წლის შემდეგ“ [160], პ. სურგულაძე - „დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკა“ [166], მ. სვანიძე - „როგორ გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წ. 26 მაისს“ [162], ლ. თოიძის საჟურნალო სტატია „ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა“ [159], უ. ბახტაძის „აკაკი ჩხენკელის უცნობი წერილები“ [124], რომელსაც ისტორიოგრაფიულთან ერთად უპირველესად წყაროთმცოდნეობითი ღირებულება გააჩნია.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტებია წარმოდგენილი ა. სილაგაძისა და ვ. გურულის ნაშრომში „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა“ [96], რომელსაც ერთვის საფუძვლიანი გამოკვლევა. ასევე აღსანიშნავია ვ. გურულის ამ პერიოდისადმი მიძღვნილი სხვა საინტერესო ნაშრომები „ნოე ჟორდანია, პოლიტიკური პორტრეტი“ [63], „ქართული სოციალ-დემოკრატიის სათავეებთან“ [64], „ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან“ [62].

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის შ. ვადაჭკორიას ნაშრომები - „პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა“ [67], „საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე, წიგნი I) [68], „ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში“ [69]. ამ ნაშრომებში მდიდარი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე განხილულია საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის, მისი ორგანიზაციის, საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკური რეფორმების გატარების და სხვა საკითხები, რაც ამ პერიოდისადმი მიძღვნილ სხვა გამოკვლევებთან შედარებით ყველაზე სრულყოფილად უნდა მივიჩნიოთ.

ეროვნული საბჭოს შექმნიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საინტერესო მასალები განხილულია პროფ. მ. ვაჩნაძის სადოქტორო დისერტაციაში „ქართული სოციალ-დემოკრატია 1905-1918 წლებში“ [71].

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს პროფ. ო. ჯანელიძის სადოქტორო დისერტაცია

„საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1917-1923 წლებში“ [116], რომლის მეოთხე თავში საფუძვლიანადაა განხილული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობა ეროვნულ საბჭოში. აგრეთვე აღსანიშნავია მისი ნაშრომები „26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ“ [118], „სპირიდონ კედია“ [117].

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. დ. ჭუმბურიძის სადოქტორო დისერტაციაში (აგრეთვე მის სხვა გამოკვლევებში), მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგიისა და პოლიტიკის შემუშავებას [112].

ნაშრომში შესწავლილი პრობლემების ცალკეული ასპექტები ასევე განხილულია დ. გოგოლაძის [157], გ. და გ. შარაძეების [105], გ. ჟვანიას [161], ი. ტაბაღუას [168], ლ. სანიკიძის [91], დ. შველიძის [106], გ. საითიძის [90], ა. და პ. სურგულაძეების [98], ფ. ლომაშვილის [80], ნ. ზოსიძის [72], შ. ჯაფარიძის [121], ლ. ურუშაძის [100], მ. დღვილავას [65], ფ. სიხარულიძის [165], ქ. პავლიაშვილის [86], ე. მესხიას [83], ს. ვარდოსანიძის [70], შ. და ო. თეთვაძეების [73], ზ. გერგედავა-ჭელიძის [60] და სხვათა ნაშრომებში.

როგორც ჩვენ მიერ განხილული ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა სახელწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე სპეციალური კვლევის საგნად არავის გაუხდია. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ ამ ხარვეზის შევსება. ძირითადად საარქივო დოკუმენტების, ნაწილობრივ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის და პრესის მასალების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, საკვლევი საკითხის ობიექტურად შესწავლა-გაანალიზებით დავადგინეთ ეროვნული საბჭოს თანმიმდევრული საქმიანობის ძირითადი ასპექტები:

1. პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენ ნაშრომში სრულიად ახლებურად, მონოგრაფიული სისრულითაა შესწავლილი ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა.
2. ეროვნული საბჭოს, როგორც აღმასრულებელი, ასევე განსაკუთრებით, საკანონმდებლო საქმიანობის ამსახველი მასალების ნაწილი პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო ბრუნვაში.

3. ქართულ ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანად შეისწავლეთ და გაანალიზეთ ეროვნული საბჭოს თანმიმდევრული საკანონმდებლო საქმიანობა. დასაბუთებულია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის და მისთვის საკანონმდებლო უფლებების მინიჭების აუცილებლობა.
4. ნაშრომში დაზუსტებულია ეროვნული საბჭოს წევრთა სრული რაოდენობა, პარტიული ფრაქციების, ეროვნულ უმცირესობათა და უპარტიო წარმომადგენლების შესახებ, როგორც მის რეორგანიზაციამდე, ასევე რეორგანიზაციის შემდეგაც.
5. დეტალურად გვაქვს შესწავლილი ეროვნული საბჭოს ყველა სხდომა, ამასთანავე განზოგადებული და გაანალიზებულია განხილული საკითხების მთელი სპექტრი.
6. მდიდარ საარქივო მასალებზე დაყრდნობით წარმოვაჩინეთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების საკითხი. დასაბუთებული გვაქვს ეროვნული საბჭოს მიერ ეროვნულ უმცირესობებისადმი გარკვეულ დათმობებზე წასვლა, რაც ქართველი ერის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით ხდებოდა.
7. დეტალურადაა განხილული ეროვნული საბჭოს საქმიანობა აგრარული რეფორმის გატარებისათვის და დასაბუთებულია საკუთრების სხვადასხვა ფორმის შემოღების მიზანშეწონილობა ქართული სინამდვილის შესაბამისად.
8. დაწვრილებით გავაშუქეთ ეროვნული საბჭოს საქმიანობა საზღვრების დადგენის, საქართველოს მოქალაქეობის საკითხის განსაზღვრის და ქართული საჯარისო ერთეულების შექმნის თვალსაზრისით.
9. სრულიად ახლებურად და ობიექტურად გვაქვს გაშუქებული ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის ასპექტები, რომლებიც საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ იგნორირებული, ან უარყოფითად შეფასებული იყო.

თავი II

ეროვნული საბჭო და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა

§1. საქართველოს ანექსიიდან 1917 წლამდე (მოკლე ისტორია)

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა უაღრესად რთული იყო. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით შეწყდა ქართული ფეოდალური სამეფოების არსებობა. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, რასაც მოჰყვა იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროების დაპყრობა. მოისპო ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ყველა ნიშანი. გაუქმდა ქართული მმართველობის წესები. ცარიზმი საქართველოს თავისი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების საშუალებით მართავდა. ყოველმხრივ ავიწროებდა ქართულ ენას, რუსი მოხელეები დაუღალავად მუშაობდნენ სკოლებიდან ქართული სულის განდევნისათვის.

ქართველმა ხალხმა რუსული მმართველობის დამყარებისთანავე აღიმაღლა ხმა დამპყრობლების კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა უძველესი სახელმწიფოებრიობისა და კულტურის მატარებელი ქართველი ხალხის ეროვნულ გადაგვარებასა და მოსპობას. XIX ს. პირველი მესამედი ანტიცარისტული აჯანყებებით აღინიშნა: 1802 წლის აჯანყება კახეთში, 1804 წ. მთიანეთში, 1812 წ. კვლავ კახეთში, 1819-1820 წწ. იმერეთში იმის მაჩვენებელი იყო, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვას და სამეფოს გაუქმებას ქართველი ერი არ შეურიგდებოდა.

XIX ს. პირველი ათეული წლების აჯანყებათა დამარცხება, ქართველი პატრიოტებისაგან ბრძოლის მეთოდებისა და გზების შეცვლას მოითხოვდა. რის დადასტურებასაც წარმოადგენდა 1832 წლის შეთქმულება. ეს იყო პირველი გარკვეული პროგრამის მქონე მოძრაობა, რომლის მონაწილენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ერთად იყვნენ, მაგრამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოწყობის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი გააჩნდათ.

შეთქმულთა ნაწილი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენაზე ოცნებობდა, მეორე ნაწილი კონსტიტუციური მონარქიის ან რესპუბლიკის შექმნაზე [79, 24]. 1832 წ. შეთქმულებამ, მიუხედავად დამარცხებისა, ღრმა კვალი დატოვა XIX ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, რადგანაც მის მთავარ მიზანს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა წარმოადგენდა.

რა თქმა უნდა, რუსეთის საიმპერატორო კარიც არ იყო ხელდაკრეფილი. იგი ყველა გზებითა და მეთოდებით ცდილობდა ქართული ეროვნული ძალების შესუსტებას. დაიწყო ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელთა და ქართული ინტელექტუალური ძალების მასიური გასახლება საქართველოდან. საქართველოს რუსეთთან შეერთებას შედეგად მოჰყვა მისი არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ ეკლესიური დამოუკიდებლობის დაკარგვაც. 1811 წ. საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია გაუქმებულად გამოცხადდა და რუსულ სინოდს დაექვემდებარა. კათალიკოსი ანტონ II გადააყენეს და რუსეთს გადაასახლეს. საქართველოს ეკლესიის გამგებლობა ვარლამ ერისთავს მიანდეს, რომელიც სულ მალე თეოფილაქტე რუსანოვმა შეცვალა [89].

1832 წ. შეთქმულების დამარცხების შემდეგ ერთგვარი წარმატება მოიპოვა რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ. ცარიზმი მხარის ინტენსიურ კოლონიზაციას შეუდგა. საქართველოს სამხრეთ რაიონებში ასახლებდა სომხურ მოსახლეობას. შავი ზღვისპირა რაიონებში ე. წ. „სამხედრო დასახლებები“ შექმნა, სადაც სამსახურიდან გადამდგარი რუსი მოხელეები ჩაასახლა. მასობრივად ხორციელდებოდა რუსეთიდან სექტანტების (დუხობორები, მალაკნები) და აგრეთვე, გერმანელთა და სხვა უცხოელთა გადმოსახლება საქართველოში [98, 22-24]. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამ მიზანმიმართული ღონისძიებით ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ცარიზმი ერთგულ დასაყრდენ ძალას იქმნიდა ეკატერინე მეორის ცნობილი ფორმულის - „სხეული ქართული, სული რუსულის“ განსახორციელებლად.

რუსეთ-ირანის 1804-1813, 1826-1828 და რუსეთ-თურქეთის 1806-1812, 1828-1829 წლების ომების დამთავრების შემდეგ რუსეთმა კიდევ უფრო გააძლიერა კოლონიზატორული პოლიტიკა საქართველოში. ამ ომების შედეგი ის იყო, რომ თურქეთის მიერ მი-

ტაცებული საქართველოს ტერიტორიები, გარდა აჭარისა, რუსეთის საზღვრებში აღმოჩნდა, ხოლო 1877-1878 წლების ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთმა აჭარაც შემოიერთა.

1840 წ. მთელ ამიერკავკასიაში გატარდა რეფორმა, რომლის მიხედვით ამიერკავკასია საქართველო-იმერეთის გუბერნიად და კასპიის ოლქად გაყვეს. 1844 წელს განხორციელდა მთელი კავკასიის მმართველობის გარდაქმნაც. დაწესდა მეფისნაცვლობა. პირველი მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, ქვეყნის კოლონიზაციის პოლიტიკას მეტად მოქნილად და ელასტიურად ატარებდა. მისი ნებართვით აღდგა ქართული თეატრი, სადაც 1850 წ. 2(14) იანვარს წარმოადგინეს გ. ერისთავის „გაყრა“. ეს დღე ქართული თეატრის აღდგენა-აღორძინების დღედ იქცა. დაარსდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, სასწავლებლები, ბიბლიოთეკები [92, 132-135], მაგრამ მის მიერ გატარებული მოჩვენებითი ზომები საქართველოს შემდგომ რუსიფიკაციას ემსახურებოდა, რასაც შედეგად საქართველოს ხსენების აკრძალვა მოჰყვა. მის პოლიტიკას აგრძელებდნენ მომდევნო მეფისნაცვალი ბარიატინსკი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი და სხვები.

XIX საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთმა დაამთავრა საქართველოს პოლიტიკური დაპყრობა. 1857 წ. ფაქტიურად გაუქმებული სამეგრელოს სამთავრო, 1867 წ. ფორმალურადაც გაუქმდა. 1859 წ. რუსული მართველობა დამყარდა სვანეთის სამთავროში, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთმა 1864 წელს კავკასიის ომები წარმატებით დაასრულა, აფხაზეთის სამთავროც გააუქმა [98, 61-62].

ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს, კერძოდ, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი ეტაპი დაიწყო, რასაც საფუძველი მოუმზადა ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ ურთიერთობაში მომხდარმა ცვლილებებმა. XIX საუკუნის შუა ხანისათვის, საქართველოში ბატონყმური მეურნეობის კრიზისმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია. საქართველოს ყველა კუთხეში ანტიბატონყმური გამოსვლები ეწყობოდა. რუსეთში 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტით ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველო-

ში კიდევ უფრო გაძლიერდა. მიწისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ გლეხობას მხარში ამოუდგნენ: რაფიელ ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგი მესხი და სხვები.

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს სამოციანელებმა. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა მთელი საქმიანობა მიმართული იყო არა მხოლოდ ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობისაკენ, არამედ, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას. დღესაც, ისტორიის გადასახედიდანაც კი, არ არის ადვილი პასუხი გასცე კითხვას — ილია ჭავჭავაძე იყო გარკვეული ეპოქის, გარკვეული სინამდვილის ლოგიკური კანონზომიერი ნაყოფი, თუ XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან დაწყებული უდიდესი ეპოქა იყო ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შედეგი ილიათი განსაზღვრული [96, 7].

ქართველი სამოციანელები ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით მრავალმხრივი მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ. 1875 წ. თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკის, 1879 წ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, მკაცრი ცენზურის პირობებში ქართული მწერლობის, პრესის განვითარება, 1863 წ. ჟურნალ „საქართველოს“ დაარსება, 70-იანი წლებიდან „დროების“, „კრებულის“, „ტიფლისკი ვესტნიკის“, 1877 წლიდან გაზეთ „ივერიის“ დაარსება და სხვა მრავალი ღონისძიება, სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მიმავალ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს [92, 478].

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამოციანელთა მოღვაწეობა ქართული ენისა და კულტურის დასაცავად და ამ მიზნით ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში. 1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვით ქართული ენის სწავლება ცხადდებოდა არასავალდებულოდ და მას მხოლოდ დაწყებით კლასებში ეთმობოდა საათების მცირე რაოდენობა. სულ მალე ქართული ენა განიდევნა საქართველოს სკოლებიდან. იმავდროულად მეფის მთავრობა ცდილობდა საქართველოსაგან სამეგრე-

ლოს მოწყვეტას. მეგრელებს ცალკე ერად აცხადებდა. დაიწყო მეგრული ანბანის შედგენა. მსგავს ზომებს მიმართავდა თვითმპყრობელობა აფხაზეთისა და სვანეთის მიმართაც. გარკვეული ნაბიჯები მუსლიმანი ქართველების დედა-სამშობლოდან მოწყვეტის მიზნითაც გადაიდგა. მკაცრი ცენზურის პირობებში იმყოფებოდა ქართული პრესა. 1885 წ. გაზეთი „დროება“ დაიხურა იმის გამო, რომ ხმას იმაღლებდა იანოვსკის წინააღმდეგ. ამ ფაქტმა ქართველი ერის საერთო აღშფოთება გამოიწვია [78, 330-334].

მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებებისა, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველი ერის ინტელექტუალური ძალები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას. უფრო მეტიც, ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა მიზნად ისახავდა არა მარტო ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციას, ერთიანი ქართული ცნობიერების აღდგენას, სოციალური და ეროვნული პროგრესისათვის ბრძოლას, არამედ იმ ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენას, რომელიც X-XI საუკუნეების მიჯნაზე გაფორმდა, ხოლო XV საუკუნის II ნახევარში არსებობა შეწყვიტა.

XIX ს. ბოლოს თერგდალეულებში თავი იჩინა განხეთქილებამ. სოციალურ საკითხში ილია ჭავჭავაძესთან ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სერგეი მესხის დაპირისპირების შედეგად თერგდალეულთა „პირველ დასს“ გამოეყო ერთი ნაწილი, რომელსაც „მეორე დასი“ ეწოდა.

პირველი დასი კვლავ ქართველი ერის ერთიანობის ლოზუნგით გამოდიოდა. მათ სწამდათ, რომ პირველ ეტაპზე ეროვნული საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, ხოლო შემდეგ — სოციალური. მეორე დასის წარმომადგენლები კი უფრო რადიკალური მოთხოვნებით გამოდიოდნენ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რაც მიუღებელი იყო ილია ჭავჭავაძისათვის.

სერგეი მესხის გარდაცვალების შემდეგ, მეორე დასი ფაქტობრივად დაიშალა, რადგანაც თავი იჩინა წინააღმდეგობამ ნ. ნიკოლაძესა და გ. წერეთელს შორის, რაც 1893-1894 წლებში „კვალისა“ და „მოამბის“ ბანაკების ჩამოყალიბებით დამთავრდა.

ნიკო ნიკოლაძეს, ილია ჭავჭავაძისაგან განსხვავებით, სოციალისტური მოძღვრების მიმართ უარყოფითი პოზიცია არ დაუკავებია. რაც შეეხება გიორგი წერეთელს, იგი აშკარა თანაგრძნობით შეხვდა სამოღვაწეო ასპარეზზე ქართველი სოციალ-დემოკრატების გამოსვლას. საბოლოოდ მათი ურთიერთობა იმით დამთავრდა, რომ 1897 წელს გიორგი წერეთელმა გაზეთი „კვალი“ სოციალ-დემოკრატებს გადასცა, რითაც დიდად შეუწყო ხელი სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების დამკვიდრებას საქართველოში [64, 9].

ასეთ ვითარებაში, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებად და მიმდინარეობებად დაიშალა, რომელთა შორის გავლენიან ძალად სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები ჩამოყალიბდნენ. ამ პოლიტიკური პარტიების ეროვნულმა პროგრამებმა შექმნიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე, გარკვეული ცვლილებები განიცადეს.

სოციალ-დემოკრატები თავდაპირველად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის საკითხსაც არ აყენებდნენ, მაგრამ თანდათანობით მათ შეიცვალეს პოზიცია და საქართველოს კულტურული ავტონომიის მოთხოვნიდან პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნაზე გადავიდნენ.

სოციალისტ-ფედერალისტებს კი იმთავითვე მიაჩნდათ, რომ ხელსაყრელ ვითარებაში საქართველოს უნდა ებრძოლა რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის მოპოვებისათვის. ხოლო შემდგომში მათ პროგრამაში ავტონომიის საკითხმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა და 1917 წლამდე საქართველოს ავტონომიის მომხრენი იყვნენ.

ეროვნულ-დემოკრატები მოღვაწეობის დასაწყისშივე თვლიდნენ, რომ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში უნდა მოეპოვებინა ფართო ეროვნული ავტონომია, ხოლო შემდგომში ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვიდნენ.

ავტონომიის იდეის ჩასახვა ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1907 წელს, ეროვნული ძალები შეეცადნენ საქართველოს ავტონომიის საკითხი ევროპის პო-

ლიტიკური წრეების წინაშე დაესვათ. მათ შეიმუშავეს პეტიცია ჰააგის საერთაშორისო კონფერენციისადმი. პეტიციით ისინი მოითხოვდნენ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებზე დაყრდნობით, საქართველოს ეროვნული ავტონომიის უფლებას რუსეთის შემადგენლობაში [101, 545]. მიუხედავად იმისა, რომ ამ პეტიციას ევროპის მხრიდან არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყოლია, მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა, რადგანაც ქართველმა პატრიოტებმა ამ ნაბიჯით ეროვნული ავტონომიის მოთხოვნის საკითხი საერთაშორისო დონეზე დააყენეს.

ამ მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა აგრეთვე 1912 წელს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში სოციალისტ-ფედერალისტის, ვარლამ გელოვანის გამოსვლა, რომელმაც ავტონომიის საკითხი IV სახელმწიფო სათათბიროში ოფიციალურად დააყენა [101, 545].

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ქვეყანაში მიმდინარე ეროვნული აღმავლობა დროებით შეაფერხა. რუსეთმა მობილიზაცია იმპერიის თითქმის ყველა განაპირა ქვეყანაში გამოაცხადა. საქართველოც ომში აღმოჩნდა ჩათრეული. შექმნილ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში, საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა ცდილობდა ვითარების შესაბამისი სამოქმედო გეგმის დასახვას.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბევრი მონაწილე იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა. მათ მოღვაწეობა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გააგრძელეს. 1913 წელს ჟენევაში პეტრე სურგულაძემ, ლეო და გიორგი კერესელიძეებმა და მათმა მეგობრებმა ქართველ „სეპარატისტთა ჯგუფი“ დააარსეს, იმავდროულად გამოსცეს ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, რომელიც 1913 წლიდან 1914 წლამდე ამ ჯგუფის ორგანო იყო [104, 61].

1914 წ. ომის გამოცხადებისთანავე ამ ორგანიზაციის საფუძველზე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ დაარსდა. კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე იყო. პირველი წევრები იყვნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი. ძალიან მალე ეს ჯგუფი ჟენევიდან ბერლინში გადავიდა და კავშირი დაიჭირა გერმანიის პოლიტიკურ წარმომადგენ-

ლობასთან. მათ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ომში გაიმარჯვებდა და საქართველოს მიეცემოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაძლებლობა, გერმანიის მთავრობა საქართველოს სუვერენობის ცნობის პირობას იძლეოდა და აგრეთვე დამოუკიდებლობის კომიტეტს აღუთქვამდა ამ მიმართულებით მუშაობაში დახმარებას [104, 61].

ამ შეთანხმების დადების შემდეგ, გერმანიის ინიციატივით, დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები მიხაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი გაემართნენ თურქეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. კონსტანტინეპოლში ისინი შეხვდნენ პეტრე სურგულაძეს, ლეო და გიორგი კერესელიძეებს და სხვა ქართველ პატრიოტებს [160, 126-138].

თურქეთში გერმანიის ელჩის საქმეში ჩარევის შემდეგ, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტსა და თურქეთის მთავრობას შორის მოლაპარაკებამ დადებითი შედეგი გამოიღო. გადაწყდა საქართველოსა და თურქეთს შორის საზღვრად რუსეთ-თურქეთის 1914 წლის საზღვარი დარჩენილიყო [160, 126-138].

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა 1914 წ. საერთო პლატფორმის გამომუშავების მიზნით, საქართველოში გიორგი მაჩაბელი მოავლინა. კონფერენცია გაიმართა ქუთაისში. მონაწილეობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე, რევაზ გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი. გიორგი მაჩაბელმა კონფერენციის წევრებს გააცნო გერმანიასა და მის მოკავშირეებთან კომიტეტის მიერ დადებული ხელშეკრულებები, რის შემდეგაც თავიანთი აზრი გამოთქვეს სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებმა. საქართველოში ყველაზე გავლენიანმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მხარი არ დაუჭირა გერმანიასთან კავშირის დამყარებას, სოციალისტ-ფედერალისტები ყოყმანობდნენ, ხოლო ეროვნულ-დემოკრატებმა სრულიად დაუჭირეს მხარი მაჩაბელს. მათი ინიციატივით შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თბილისის ფილიალი, რომელსაც სპირიდონ კედია, დავით ვაჩნაძე და რეზო გაბაშვილი ჩაუდგნენ სათავეში [160, 126-138].

ეროვნული მოძრაობის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1916 წ. 17 ივნისს ქ. ლოზანა-

ში (შვეიცარია) გამართულ ერების წარმომადგენელთა კონფერენციაზე მიხაკო წერეთლის მოხსენება. მ. წერეთელი თავის გამოსვლაში კაცობრიობას მოუწოდებდა, დახმარებოდა ქართველ ერს რუსეთის მიერ დარღვეული გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენაში [101, 548].

პირველი მსოფლიო ომის მიმიდინარეობის განმავლობაში ძალზე პოპულარული გახდა ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევის შესახებ. იმავდროულად რუსეთის იმპერიის რღვევის პროცესმა კიდევ უფრო გააცოცხლა ეს სულისკვეთება. საქართველოში იმ დროისათვის არსებულ სამ გავლენიან პოლიტიკურ პარტიას შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში რაიმე პრინციპული ხასიათის უთანხმოება არ ყოფილა. მხოლოდ სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები ამ აქტის განხორციელებისათვის შესაფერისი დროის დადგომას ელოდებოდნენ, ხოლო ეროვნულ-დემოკრატები დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ მოქმედების დაწყებას.

ამრიგად, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის წინა პერიოდში ქართველი ერის სახელმწიფოებრივი აზროვნება დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნისაკენ მიიმართა. საქართველოში არსებულმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა — სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა, სწრაფად აუღეს ალღო შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და თავიანთი საქმიანობა ამ მიმართულებით ინტენსიურად წარმართეს.

§2. „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“, „საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა“, „საქართველოს ეროვნული საბჭო“

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხანგრძლივი ისტორიული ტრადიციებისადმი თვალის გადევნება ადასტურებს იმას, რომ ქართველი ერი თავისი არსებობის მანძილზე თავს დატეხილი ათასგვარი დაბრკოლების მიუხედავად, ყოველთვის ცდილობდა ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას. მაგრამ XVIII ს-ის ბოლოს რუსე-

თის „მფარველობითი“ ნაბიჯი, XIX ს-ის დასაწყისში საქართველოს ანექსიით დამთავრდა, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დროებით შეწყვეტა მოჰყვა. ქართველი ხალხი დიდი განსაცდელის ჟამსაც განაგრძობდა ბრძოლას შელახული ეროვნული ღირსებისა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო იყო ქართველი ერის ფიქრისა და განსჯის საგანი მთელი 117 წლის განმავლობაში.

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში თვითმპყრობელური რეჟიმი დაემხო. ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. რევოლუციის გამარჯვებას მთელი რუსეთი აღფრთოვანებით შეხვდა, ხოლო რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხს თავისუფლების მოპოვების იმედი ჩაესახა. იმპერიის განაპირა ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა. მასობრივი გამოსვლები მიმდინარეობდა ფინეთში, უკრაინაში, პოლონეთში, ბალტიისპირეთსა და ამიერკავკასიაში.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის შექმნა სამხარეო ხელისუფლების ორგანო — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი). მასში შედიოდნენ კადეტები ვ. ხარლამოვი და მ. პაპაჯანოვი, მუსავატი მ. ჯაფაროვი, სოციალ-ფედერალისტი კ. აბაშიძე და სოციალ-დემოკრატი აკ. ჩხენკელი. ოზაკომის თავმჯდომარედ დაინიშნა ვ. ხარლამოვი, ოზაკომი საქართველოში საქმიანობას 1917 წ. 18 მარტიდან შეუდგა.

რევოლუციის პირველი დღეებიდანვე თბილისში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო (თავმჯდომარე ნოე ჟორდანია). იმავდროულად საქმიანობას შეუდგა ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი (თავმჯდომარე ნოე ჟორდანია) და რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭო (თავმჯდომარე დიმიტრი დონსკოი).

თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. არსებული მდგომარეობა დაუყოვნებლივ მოითხოვდა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდა-

ცია. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები ეროვნულ-დემოკრატებმა გადადგეს. მათ წამოაყენეს იდეა, შექმნილიყო ზეპარტიული, ერთიანი ქართული ორგანო. „დაუყოვნებლივ საჭიროა, ეხლავე დავაარსოთ ქართული ეროვნული ბიურო. აქ ამ ბიუროში უნდა მოიყარონ თავი იმ ქართველებმა რომელთაც სურთ, რომ საქართველოსათვისაც ჩამოირეკოს ზარი. აქ, ამ ბიუროში უნდა შემუშავდეს მოქმედების პროგრამა და უნდა მოხდეს მისი ცხოვრებაში გატარება. მთელმა ქართველობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს დედაქალაქში არსებობს ქართველთა ეროვნული საბჭო და ყველას, ვისაც კი სურს თავისი ცოდნა, შრომა და წვლილი შეიტანოს ერის განთავისუფლების საკურთხეველზე, უნდა მიეცეს საშუალება მიმართოს ამ ბიუროს და მიიღოს მისგან დირექტივები ცხოვრებაში გასატარებლად [144].

იმავე დღეებში საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა საქართველოს ავტონომიის საკითხში შეძლეს საერთო ენის გამონახვა, რის შემდეგაც თავდაპირველად ეროვნულ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების პარტია გაერთიანდა. მალე მათ შეუერთდნენ სოციალ-დემოკრატები და ესერები. აი რას წერდა გაზეთი „სახალხო ფურცელი“ 1917 წლის 16 მარტს: „ყველას შეგვიძლია და საჭიროდ მიგვაჩნია შეერთებული მუშაობა. დასელიც ამას ამბობდა, ესერიც, ფედერალისტიც და ნაციონალისტიც“ [156].

ქართული პოლიტიკური ძალების გაერთიანებას და მათ მიერ „ეროვნული კომიტეტის“ დაარსებას მთელი ქართველი ერი აღტაცებით შეხვდა. კომიტეტის წევრებს მომავალ საქმიანობაში დახმარება აღუთქვეს შეძლებულმა ქართველებმა, რათა საერთო ძალ-ღონით შედგომოდნენ ეროვნული იდეის განხორციელებას. მიუხედავად საერთო მხარდაჭერისა, ეროვნულმა კომიტეტმა მხოლოდ 4 სხდომის გამართვა შეძლო. პარტიათა წარმომადგენლები ვერ შეთანხმდნენ მრავალ საკითხში, რაც გახდა ძირითადი მიზეზი კომიტეტის დახურვისა [156].

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიიდან მოყოლებული, ქართველი ერის იმ საუკეთესო ძალებს შორის, რომლებიც დაუღალავად იბრძოდნენ და იღვწოდნენ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენისათვის, განსაკუთრებით

აღსანიშნავია ქართული ეკლესიის უდიდესი როლი. ქართველი ერის სულიერ ძალთა შეკავშირების შესანიშნავ გამოვლინებას 1917 წლის 12 მარტი წარმოადგენდა. ამ დღეს ქართული ეკლესიის მესვეურებმა, ეკლესიის დამოუკიდებლობა აღადგინეს.

როგორც გაზეთი „საქართველო“ იტყობინებოდა, 12 მარტს, კვირა დღეს, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში საეკლესიო ცხოვრების უდიდესი აქტი განხორციელდა. ქართულმა ეკლესიამ, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობა განაგებდა, ავტოკეფალია მოიპოვა. იმავე დღეს გაუქმდა ეგზარქოსის თანამდებობა. შეიქმნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა — აღმასრულებელი კომიტეტი. მასში შედიოდნენ, როგორც სამღვდელოების, ასევე მრევლის წარმომადგენლები. ქართული ეკლესიის დროებით მმართველად გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე აირჩიეს. იმავე დღეს შეადგინეს ოქმი, რომლითაც რუსეთის დროებით მთავრობას ეცნობა აღნიშნული ფაქტი [145].

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში დროებითი მთავრობის მეთაურები რუსეთის საწინააღმდეგო ქმედებას ხედავდნენ. რის გამოც, ისინი მოითხოვდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ძალაში შესულიყო არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული მნიშვნელობით. ე. ი. მართლმადიდებლური რუსებისა და სხვა არაქართველთა ეკლესიები ისევ რუსეთის გამგებლობის ქვეშ რჩებოდა. რაც შეეხებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოო აღიარებას, რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე უნდა მომხდარიყო. დროებითი მთავრობის ამ დადგენილებამ, თავის მხრივ, ეკლესიის მესვეურთა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია, რასაც 1917 წლის სექტემბერში პირველი საეკლესიო კრების მოწვევა მოჰყვა. კრება სიონის ტაძარში გაიხსნა. კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ეპისკოპოსი კირიონი [89, 224-226]. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით სახელმწიფოებრიობისაკენ მიმავალ გზაზე პირველი ნაბიჯი გადაიდგა, რამაც კიდევ უფრო შეაკავშირა ქართველი ერი და მიზანმიმართული გახადა მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანების დადასტურებას 1917 წლის აპრილის დასწყისში პირველი ინტერპარტიული კრების მოწვევა წარმოადგენდა.

საქართველოს პირველი ინტერპარტიული კრების მოწვევის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, რადგანაც ამ კრებას ოქმი არ უწარმოებია, მეორე კრების ოქმიდან ვგებულობთ, რომ პირველი კრება გაიმართა 1917 წლის აპრილის დამდეგს, თავმჯდომარეობდა აკაკი ჩხენკელი. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატთა, ეროვნულ-დემოკრატთა და სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენლები. კრების მთავარი მიზანი ეროვნულ საკითხში პარტიათა შეთანხმება იყო. ეროვნული საკითხი ორად გაიყო: საქართველოს ტერიტორია და ეროვნული სეიმის კომპეტენცია [8, 1-2].

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების საფუძველზე ზოგადად მოიხაზა საქართველოს ტერიტორიის საზღვრები. იმავდროულად ტერიტორიული საკითხის ორი მხარე აღინიშნა: უდაო და სადაო ტერიტორია. უდაო ტერიტორიად მიიჩნიეს ის ტერიტორია, „სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენს და ქართველთა რეალური მოსახლეობაა". სადაო ტერიტორია — პერიფერიები, განაპირა რაიონებია, სადაც უმრავლესობას ქართველობა არ შეადგენს, ან ხალხის სურვილი არ ვიცით, საით მოისურვებს წასვლას. საბოლოოდ დადგინდა, რომ სადაო ტერიტორიის საზღვრებში საქმე უნდა გადაწყვეტილიყო ადგილობრივი მოსახლეობის შეკითხვით და რეფერენდუმით. ქალაქ თბილისის შესახებ პოლიტიკურ პარტიათა გადაწყვეტილება ერთსულოვანი გამოდგა: „ქალაქი თბილისი უდავო ტერიტორიის საზღვრებშია შეტანილი" [8, 6].

პირველ ინტერპარტიულ კრებაზე საქართველოს ტერიტორიის საკითხში პარტიათა შორის ერთგვარი შეთანხმება მოხდა. მაგრამ იმავე სხდომაზე დაადგინეს, რომ საქართველოს ტერიტორიის საკითხის განხილვას კვლავ დაუბრუნდებოდნენ „საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად" [8, 6].

პირველი ინტერპარტიული კრების მიერ საქართველოს ტერიტორიის საკითხის განსაზღვრის აუცილებლობა სავსებით მართებული იყო, მაგრამ არასწორად უნდა ჩაითვალოს საკითხისადმი მიდგომა. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით საზღვრების დადგენა სახელმწიფოს მართვის პრაქტიკაში ყოვლად დაუშვებელი იყო. აღნიშნულ გადაწყვეტილებას ასევე უარყოფით

შეფასებას აძლევს ამ საკითხის მკვლევარი შ. ვადაჭკორია. მისი მოსაზრებით: „დასმული პრობლემისადმი ასეთი პრინციპით მიდგომა, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილის ქართველი ერისადმი კუთვნილებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. აქედან გამომდინარე, ამ ფორმის პრაქტიკაში დანერგვა და მასზე დაყრდნობით ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტა, ნებისმიერ პარტიას და პოლიტიკურ მოღვაწეს ეროვნული დანაშაულის ქმედებამდე მიიყვანდა“ [67, 42].

საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრება 1917 წ. 16 აპრილს გაიმართა. კრებას კვლავ სამი პარტიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ: ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალ-დემოკრატები. კრებას თავმჯდომარეობდა აკ. ჩხენკელი, მდივნობდა პ. საყვარელიძე [8, 1].

კრებაზე ქართული ეკლესიის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით წარსდგა მიხეილ მაჩაბელი. მისი მოხსენება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შედეგად რუსეთის სამღვდელოებაში გამოწვეულ უკმაყოფილებას და ამასთან დაკავშირებით, დროებითი მთავრობის კომისრის, პროფესორ ბენეშევიჩის ჩამოსვლას ეხებოდა. დროებითი მთავრობის მოთხოვნით, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია უნდა ყოფილიყო ნაციონალური და არა ტერიტორიალური. მიხეილ მაჩაბელმა კრებას აგრეთვე გააცნო სამღვდელოების გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან დამოუკიდებელი ეკლესია ინტერპარტიულ საბჭოსთან შეთანხმების გარეშე არ გადადგამდა არავითარ ნაბიჯს. სამღვდელოების ეს ცნობა დიდი სიამოვნებით მიიღეს კრების წევრებმა, რაც მათი აზრით, ინტერპარტიული კრების რეალური გავლენის გამოხატულებას წარმოადგენდა [8, 1-2]. შემდეგ კრებამ იმსჯელა ეროვნულ საკითხში პარტიათა შეთანხმების შესაძლებლობაზე. აგრეთვე, განიხილა საკითხი ეროვნული სეიმის კომპეტენცია. აკაკი ჩხენკელმა ეროვნული სეიმის კომპეტენციის საკითხი კამათის ნაყოფიერების თვალსაზრისით 3 ნაწილად დაჰყო: 1. საქართველოს ტერიტორიული ერთეულის კომპეტენცია; 2. საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ტერიტორიულ ერთეულებთან; 3. საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიული ერთეულის დამოკიდებულება სრულიად რუსეთის ცენტრთან [8, 3-4].

ეროვნული სეიმის კომპეტენციასთან დაკავშირებით, ეროვნულ-დემოკრატთა სახელით, მოხსენებით გამოვიდა გ. გვაზავა. მან განაცხადა: „თუ რუსეთი ფედერაციული რესპუბლიკა იქნება, ცენტრის ხელში დარჩება საყოველთაო საქმეები. ასეთია ჯარი, ფლოტი, საერთაშორისო პოლიტიკა, საბაჟო გადასახადი, სახელმწიფო ბიუჯეტი, ზოგიერთი რკინიგზა, ტელეგრაფი, ფოსტა, ზოგი ტელეფონი, სავაჭრო პოლიტიკა, სამოქალაქო და სისხლის სამართლიდან ზოგიერთი საზოგადო კანონი... დანარჩენი საქმეები და მათ შორის კანონმდებლობა ავტონომიურ ერთეულებში წყდება. ხოლო თუ რუსეთი უნიტარული რესპუბლიკა გახდება, მაშინ საქართველო 1783 წლის ხელშეკრულების ნიადაგზე უნდა დადგეს. ბრძოლა წმინდა უფლებრივ ხასიათს იღებს. ავტონომია ამ შემთხვევაში უფრო ვრცელი და ფართო შინაარსის უნდა იყოს. მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ კითხვას, ადგილობრივ ავტონომიას შეიძლება საკუთარი პრეზიდენტი ეყოლოს, ხოლო რაც შეეხება კანონმდებლობას, საერთოა და ადგილობრივი“ [8, 5]. როგორც ვხედავთ, ეროვნულ-დემოკრატთა აზრით, თუ რუსეთი ფედერაციული სახელმწიფო იქნებოდა, საქართველოს უნდა მიეღო ავტონომია ფართო უფლებებით, ხოლო უნიტარული რესპუბლიკის პირობებში გეორგიევსკის ტრაქტატის აღდგენისათვის უნდა ებრძოლა, მოეთხოვა ფართო ეროვნული ავტონომია საკუთარი პრეზიდენტით.

სრულიად საწინააღმდეგო იყო ამ საკითხთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატთა თვალსაზრისი. ნოე რამიშვილი თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ რუსეთი ფედერაციამდე არ მივიდოდა, რადგანაც ეს ნაბიჯი იქნებოდა „ეკონომიურად უკან დამხევი და პოლიტიკურად შეუძლებელი“. ჩვენს კითხვას სამი რამ ახასიათებს: სასამართლო, მართვა-გამგეობა და კანონმდებლობა. სასამართლო ადგილობრივია, მოსამართლენი არჩეული და არა დანიშნული. საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნება, რაღა თქმა უნდა, როგორც პრინციპი უნდა იყოს ბრალდებულის ენის ხმარება, როგორც ეს განვითარებულ დემოკრატიებშია, მართვა-გამგეობა ადგილობრივი პირების ხელშია“ [8, 6-7]. სოციალ-დემორატებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს უნდა ჰქონოდა ფართო ეროვნული თვითმმართველობა, უნდა განსაზღვრულიყო მეზობელ სახელმწი-

ფოებთან დამოკიდებულება და მოითხოვდნენ ამიერკავკასიის სეიმის დაარსებას.

1917 წ. 3 აგვისტოს მესამე ინტერპარტიული კრება გაიმართა. ამ კრების მუშაობა იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ კრების მონაწილეებმა კონკრეტულად დააყენეს საკითხი, საერთო ეროვნული ცენტრის დაარსების შესახებ. იმავდროულად მიიღეს შემდეგი სახის დადგენილება: „დაერქვას საერთო ეროვნულ ცენტრს სახელად ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო. ამ საეროვნო ინტერპარტიულ ბიუროს დანიშნულება დაწვრილებით განხილულ იქნეს შემდეგ კრებაზე. საერთოდ კი ინტერპარტიული ბიურო შეთანხმებით გამოდის ქართველი ერის საზოგადო საკითხებში“ [8, 15].

3 აგვისტოს კრების დადგენილებით, ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ შემდეგ პოლიტიკურ პარტიებს: სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებს, და ბოლშევიკებს. დასახელებული პარტიები ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროში თანაბარი რაოდენობით იქნებოდნენ წარმოდგენილი [8, 15].

ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს დამფუძნებელი კრება 1917 წლის 12 აგვისტოს გაიმართა. ახლად შექმნილ პოლიტიკურ ორგანოს, რამდენადაც ქართველი ერის სამომავლო ინტერესების გადაწყვეტა დაეკისრა, მისი ორგანიზაციული სრულყოფისა და ფუნქციების გაფართოების საკითხი, პოლიტიკურ პარტიათა წინაშე მთელი პრინციპულობით დაისვა. ამ მიზნით შეიქმნა: საინფორმაციო სამხედრო, საშინაო, საგარეო საქმეთა და სხვა სექციები. 1917 წლის 21 აგვისტოს კრებამ, ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროს სახელი შეუცვალა და მას საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უწოდა, ხოლო ბიუროს პრეზიდიუმს აღმასრულებელი კომიტეტი, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნის კონკრეტულ დროდ შ. ვადაჭკორია 1917 წ. 21 აგვისტოს ასახელებს [67, 12-16].

მანვე საარქივო მასალებზე დაყრდნობით განსაზღვრა ინტერპარტიული საბჭოს მიერ ჩატარებული კრებების თანმიმდევრობა, რომლის მიხედვით 1917 წლის 16 აპრილის და 3 აგვისტოს კრე-

ბის ოქმები ქართული ინტერპარტიული კრების სახელწოდებითაა გაფორმებული. 12, 20 და 25 აგვისტოს — ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს, ხოლო 28 აგვისტოდან 16 ნოემბრის ჩათვლით — საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სახელით [69, 85]. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ბ-ნ შ. ვადაჭკორიას ამ მოსაზრებას.

ინტერპარტიული საბჭო თავის საქმიანობას მრავალი მიმართულებით წარმართავდა. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნა-ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა.

ქართული ეროვნული პოლკების შექმნას მნიშვნელოვნად აჩქარებდა თვით ქართველ ჯარისკაცთა და ოფიცერთა განწყობილება და მათი კატეგორიული მოთხოვნები ეროვნული პოლკების შედგენის თაობაზე. ასე მაგალითად, 1917 წლის 30 აგვისტოს ქართველთა სამხედრო კავშირის კომიტეტი საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს ატყობინებდა, რომ ყარსში, სარაყამიშსა და გუმბრში 9000 ქართველი ჯარისკაცი და ზუგდიდ-სენაკის მახლობლად მყოფი რამდენიმე ათასი დეზერტირი დაჟინებით ითხოვდნენ ქართული პოლკების დაარსებას [67, 54].

ინტერპარტიული საბჭო, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ამ განწყობას და თავის მუშაობას ამ მიმართულებით უფრო მიზანმიმართულ და კონკრეტულ ხასიათს აძლევდა.

ეროვნული ყრილობის მოწვევამდე ინტერპარტიულმა საბჭომ ქართული საჯარისო შენაერთების შესაქმნელად შემდეგი ნაბიჯები გადადგა: 1. საკითხი დასვა კავკასიის ჯარის საბჭოში, რისთვისაც მოსალაპარაკებლად გაგზავნა მთელი პრეზიდიუმი და სამხედრო კავშირის წარმომადგენლები; 2. ამ მოლაპარაკების შედეგები აცნობეს ა. ჩხენკელს პეტროგრადში და თხოვნით მიმართეს, რათა არ დაეყოვნებინა და ყველა ზომა მიეღო ქართული პოლკების შესაქმნელად და ქართული ჯარის ნაციონალიზაციის საქმის მოსაგვარებლად; 3. ინტერპარტიულმა საბჭომ 1917 წლის ოქტომბერში მთავრობისაგან ნებართვა მიიღო ქართული ჯარის ნაციონალიზაციისა და ქართველ მხედართა კავშირის კანონიერების თაობაზე; 4. რუსეთის ჯარების სარდლობის ბრძანების საფუძველზე აქ მყო-

ფი სათადარიგო პოლკებიდან ქართველი ჯარისკაცები ქართულ პოლკებში უნდა გადაეყვანათ, რის შედეგადაც რვა ქართული პოლკის შედგენა იყო ნავარაუდევი; 5. ამასთანავე ჩრდილოეთ კავკასიიდან ერთი ქართული პოლკისათვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობა უნდა ჩამოეტანათ [67, 54-58]. როგორც ვხედავთ, ინტერპარტიულმა საბჭომ მეტად მრავალმხრივი და ქმედითი ღონისძიებები განახორციელა ქართული ჯარის შესაქმნელად. ამიტომ ვერ დავეთანხმებით პროფ. ა. ბენდიანიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ინტერპარტიულმა საბჭომ ქართული ეროვნული კორპუსის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვაში ბევრს ვერაფერს მიაღწია“ [58, 79]. მართალია, პრაქტიკული შედეგები არც ისე შთამბეჭდავი იყო, როგორც საქმე მოითხოვდა, მაგრამ ზემოთ დასახელებული საკითხების დღის წესრიგში დაყენება, ხოლო ზოგიერთი მათგანის, კერძოდ, მთავრობისაგან ოფიციალური ნებართვის მიღება ქართული ჯარის ნაციონალიზაციისა და ქართველ მხედართა კავშირის კანონიერების შესახებ, პრაქტიკულად გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საჯარისო ნაწილების შესაქმნელად [108, 135].

ინტერპარტიული საბჭო თავისი მოღვაწეობის მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ მისი მთავარი დამსახურება საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა იყო.

როგორც ვიცით, 1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევიკებმა განახორციელეს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება და დაამხეს კანონიერი დროებითი მთავრობა. ასეთ ვითარებაში საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა მიიღეს გადაწყვეტილება დაეჩქარებინათ ეროვნული ყრილობის მოწვევა და შეექმნათ იურიდიული ორგანო, რომელიც ქართველი ერის სახელით იმოქმედებდა.

ამ მიზნით, 1917 წლის 3 ნოემბერს, გაიმართა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს სხდომა, რომელზეც მიიღეს დადგენილება, რომლის მეორე პუნქტის მიხედვით, 19 ნოემბერს თავადაზნაურთა ქონების ჩასაბარებლად უნდა მოეწვიათ ეროვნული ყრილობა. კრების გადაწყვეტილებით, ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა დაევალა ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს [2, 31].

ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 8 ნოემბრის კრებამ ეროვნული ყრილობის რეგლამენტი დაამტკიცა. ხოლო 1917 წლის 16 ნოემბრის კრების დადგენილებით, ინტერპარტიული საბჭო საერთო მოხსენებით უნდა წარმდგარიყო ეროვნული ყრილობის წინაშე. იმავე სხდომაზე მიიღეს შემდეგი სახის დადგენილება: „ეროვნულმა ყრილობამ, უნდა შეადგინოს დროებითი ეროვნული საბჭო, რომელიც მანამდე იმოქმედებს, სანამ დამფუძნებელი კრებისათვის ქართველი დეპუტატები იქნებიან არჩეული. ხოლო ეს დროებითი საბჭო თავის უფლებებს გადასცემს იმ ახლად არჩეულ ორგანოს, რომელიც შესდგება საქართველოს ტერიტორიაზე არჩეული ქართველი დეპუტატების რიცხვთან შეფარდებით, იმ პროპორციით, რომელიც გადაწყვეტილი იქნება დროებითი ეროვნული საბჭოსა და დეპუტატების მიერ“. იგივე დადგენილება, ნოე ჟორდანიას ეროვნულ ყრილობაზე მოხსენების წაკითხვას ავალებდა თემაზე - „თანამედროვე მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“. რაც შეეხებოდა ეროვნული ყრილობის დღის წესრიგს, იგი ინტერპარტიული საბჭოს 17 ნოემბრის სხდომამ დაამტკიცა, რითაც ამ ეროვნულ ფორუმთან დაკავშირებით წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები ამოიწურა [67, 24-26].

საქართველოს მოსახლეობამ ცხოველი ინტერესი გამოიჩინა მომავალი ყრილობისადმი. ყოველი კუთხიდან ინტერპარტიული საბჭოს სახელზე მოდიოდა მრავალი განცხადება, რომლებშიც გამოთქმული იყო მხურვალე სურვილი ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობისა. საბჭოს აღმასკომს ეგზავნებოდა სიები მომავალი დელეგატებისა, რომლებიც დასახელებული იყვნენ თავიანთი ორგანიზაცია-დაწესებულების სხდომებსა თუ კრებებზე. დელეგატთა მანდატი მოამზადა და გასცა ინტერპარტიულმა საბჭომ [116, 217].

1917 წ. 19 ნოემბერს თბილისში, სახაზინო თეატრის შენობაში, დიდ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ყრილობას ესწრებოდნენ უცხო სახელმწიფოთა და მეზობელ ერთა წარმომადგენლები, კავკასიის ჯარის სარდალი პრჟევალსკი, ქართული კორპუსის უფროსი ს. ახმეტელაშვილი, ამიერკავკასიის კომისიის წევრები, საქართველოს კათალიკოსი კირიონი და სხვები. ყრილობა ინტერპარტიული საბჭოს სახელით, აკაკი ჩხენკელმა გახსნა. თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე

ჟორდანია, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგებად: გ. ლასხიშვილი, გრ. ვეშაპელი, ვლ. გობეჩია, აკ. ჩხენკელი; მდივნებად — გრ. ურატაძე, ს. დადიანი, რ. გაბაშვილი, ივ. გომართელი [126].

ყრილობის მოწვევის მიზეზად ქართველ თავად-აზნაურთა მიერ, მათი კუთვნილი ქონების ქართული საზოგადოებრიობისათვის გადაცემის გადაწყვეტილება დასახელდა, მაგრამ ყრილობის მოწვევის ფაქტობრივი დანიშნულება სულ სხვა იყო, რისი გახმაურებაც, არსებული რთული ვითარებიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე შეუძლებლად ჩათვალეს.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი. წაიკითხეს კათალიკოს კირიონ მეორის გუჯარი. დაამტკიცეს ყრილობის დღის წესრიგი: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი. 2) მოხსენება თავადაზნაურთა ქონების შესახებ; 3) მიმდინარე კითხვები (ერობა, ჯარის ნაციონალიზაცია, სკოლების ნაციონალიზაცია, სასურსათო საკითხი, საბჭოს არჩევა). აირჩიეს სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ. ფალავა, ვ. მგელაძე, შ. მიქელაძე, მ. საყვარელიძე, ივ. ჩერქეზიშვილი, ალ. ყანჩელი, პ. ბარათაშვილი, რ. გაბაშვილი, ლ. შენგელაია, შ. შარაშიძე[126].

სამანდატო კომისიის სახელით 22 ნოემბრის სხდომაზე მოხსენება გააკეთა შ. მიქელაძემ. მისი განცხადებით, კომისიას კანონიერად უცვნია 329 მანდატი, 19 დელეგატისათვის კი მიუცია სათათბირო ხმა. ორგანიზაციების მიხედვით დელეგატები შემდეგი სახით იყვნენ წარმოდგენილი: ინტერპარტიული საბჭო და პოლიტიკური პარტიები — 67; კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრი — 15; ქალაქის თვათმმართველობები — 33; საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები — 39, ქართული ჯარი — 20; კოოპერატივები — 20; პროფესიონალური კავშირები — 8; მასწავლებელთა კავშირები — 9; ქართული პრესა — 9; კულტურულ საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებები — 35; ვაჭარ-მრეწველები და ბანკირები — 26; ამერ-იმიერის თავადაზნაურობა — 20; ქართული კოლონიები — 6; საკათალიკოსო საბჭო — 1; სხვადასხვა დაწესებულებანი — 8; ქართველი მაჰმადიანები და კათოლიკები — 7; საქართველოში მცხოვრები ებრაელები — 3; აფხაზები — 2; სამანდატო კომისიის მოხსენება ერთხმად დაამტკიცეს [129].

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოხსენების შემუშავება ინტერპარტიული საბჭოს სახელით ნოე ჟორდანიას დაევალა. ინტერპარტიულ საბჭოში, როგორც ვიცით, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები შედიოდნენ. მათ მიერ მოხსენების მომზადების ერთი პირისათვის მინდობა, ნათლად წარმოაჩენდა პარტიათა შორის ურთიერთდამოკიდებულებას და ამავე დროს აქტიურად იკვეთებოდა ნოე ჟორდანიას — როგორც ლიდერის სახე. მოვალეობა მეტად საპასუხისმგებლო იყო. მის მიერ წარმოდგენილ პოლიტიკურ კურსს საქართველოს მომავალი უნდა დაფუძნებოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით იმ ეტაპზე ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა. დასავლეთ-ევროპული და პრორუსული. რუსეთში, 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, მდგომარეობა მეტისმეტად კრიტიკული იყო. ბოლო არ უჩანდა მსოფლიო ომს. შექმნილ ვითარებაში სწორი პოლიტიკური კურსის განსაზღვრა უდიდეს პოლიტიკურ ალღოს მოითხოვდა. თითოეული ნაბიჯი ღრმა ფიქრისა და განსჯის შედეგად უნდა გადადგმულიყო.

„ეს კითხვა ეპოქამ დასვა, მაგრამ მასზე პასუხის გაცემა, თუ ბოლომდე შევიგრძნობთ ქართველი ერის იმჟამინდელ ცხოვრებაში ამ პასუხის მნიშვნელობას, აღემატებოდა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს. სხვა ასპექტებთან ერთად აქ გაბედულების, სიმამაცის და გმირობის მომენტიც იყო, ნოე ჟორდანიამ უპასუხა დასმულ შეკითხვას. პოლიტიკური სტრატეგია და ტაქტიკური ხაზი, რომელიც მან ეროვნულ ყრილობას წარუდგინა, მრავალმხრივ იყო ორიგინალური. მის მთავარ შედეგს კი 1918 წლის 26 მაისი წარმოადგენდა“ [63, 6].

20 ნოემბერს, ყრილობაზე ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ მისი გამოსვლა საერთო ნიადაგს ეფუძნებოდა. მოხსენების დასაწყისშივე, საქართველო-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებას საერთო ინტერესთა თვალსაზრისით განიხილავდა. ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება 1783 წელს, არა შემთხვევითი, არამედ ისტორიული აუცილებლობის შედეგი იყო და იქვე დასძენდა: „ორიენტაცია კვლავ ძველი რჩება, ჩვენ ისევ რუსეთთან შეკავშირების ნიადაგზე ვდგავართ“ [128]. რო-

გორც ვხედავთ, ნოე ჟორდანია შექმნილი ვითარების ანალიზის საფუძველზე, ქართველ ხალხს პრორუსულ ორიენტაციას სთავაზობდა.

პრორუსული ორიენტაციის საფუძვლად იგი მიიჩნევდა დროებითი მთავრობის აღდგენას და შესაძლებლად მიაჩნდა მასთან შეთანხმებით მოქმედება. მისი აზრით, რუსეთის სიძლიერის ბერკეტები პერიფერიების სიძლიერეზე იყო დამოკიდებული. ამის გათვალისწინებით საქართველო თვითონ უნდა ყოფილიყო ძლიერი, რათა ერთგვარი წვლილი შეეტანა რუსეთის მთლიანობის აღდგენის საქმეში. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ამიერკავკასიის კომისარიატის დაარსება, რომელიც მთავრობის ძალაუფლებით სარგებლობდა. თვით პერიფერიების სიძლიერის საფუძველს იგი ამიერკავკასიის სეიმის დაარსებაში ხედავდა. ამიერკავკასიის სეიმის შევსება რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეულ დეპუტატთა რაოდენობის ორჯერ ან სამჯერ გაზრდით უნდა მომხდარიყო, რაც შესაძლებლობას შექმნიდა, გვქონოდა ერთგვარი პოლიტიკური ცენტრი [128].

ნოე ჟორდანია, მოხსენებაში მთავარ იმედს რუსეთში დამფუძნებელი კრების მოწვევაზე ამყარებდა, რომელზედაც საქართველო თავისი პროგრამით უნდა წარმდგარიყო. ყველა პოლიტიკურ პარტიას თავისი პროგრამა ჰქონდა, მაგრამ მოთხოვნათა მინიმუმი, რომელზედაც ინტერპარტიულ საბჭოში შეთანხმდნენ, ასეთი იყო. საქართველოს სრული შინაური თვითმმართველობა მინიჭებოდა, დამოუკიდებლად გამოეცა კანონები და მოეწყო ნაციონალური ადმინისტრაცია. თუ რუსეთში ჯარის სისტემას შემოიღებდნენ, ჩვენ საკუთარი ჯარი უნდა გვყოლოდა, თუ მილიციის სისტემას — საკუთარი მილიცია. ამავე დროს მომხდარიყო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია და უნდა შეექმნათ ეროვნული საბჭო, მისი შემადგენლობა კი განსაზღვრულიყო, რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული დეპუტატების რიცხვის გამრავლებით, პარტიათა რიცხვზე სიძლიერის მიხედვით. მსგავსი ეროვნული საბჭოები უკვე ჰქონდათ სომხებს და აზერბაიჯანელებს [128]. ნოე ჟორდანიას აზრით, თუ რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომი შეუძლებელს გახდიდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, იმ შემთხვევაში უნდა მოეწვიათ დამფუძნებელი კრება და მიეღოთ კონსტიტუცია.

ნოე ჟორდანიას მოხსენებამ „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებში ერთსულოვანი კმაყოფილება გამოიწვია. ეროვნულ-დემოკრატთა სახელით ასეთი შეფასება მისცა მოხსენებას გ. გვაზავამ. „თუ დღევანდელი ამბით ვინმე გრძნობს ბედნიერად თავს უპირველეს ყოვლისა ჩვენი პარტიაა. ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით მთლიანობისათვის, ნოე ჟორდანიას სიტყვა გვაერთებს ყველას“. სოციალ-რევოლუციონერთა სახელით გ. ნათაძემ შემდეგი განაცხადა: „არის წუთები, როდესაც გრძნობ, რომ სიტყვა მეტია, აღფრთოვანება ისე დიდი და ძლიერია, რომ გინდა ხმა ჯაკმინდო, რადგანაც იცი რომ ვერაფერს მიუმატებ არსებულ აღფრთოვანებას“. მათი განცხადებიდან ნათლად ჩანდა, რომ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები მხარს უჭერდნენ რუსეთის შემადგენლობაში ტერიტორიული ავტონომიის უფლებას. მხოლოდ ბოლშევიკები — ფილიპე მახარაძის სახით დაუპირისპირდნენ ნოე ჟორდანიას მოხსენებას. „დღევანდელი ყრილობიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რაღაც დიდი ისტორიული ამბავი მომხდარიყოს, თითქოს 19 ნოემბერს აღსდგა საქართველო და საკუთარ ფეხებზე შედგა... ჩვენ გვეუბნებიან, რუსეთში ანარქიაა და ჩვენს თავს უნდა ვუშველოთო. განა ასეთი პოლიტიკით შეიძლება წვრილი ერების ხსნა?. ჩვენ ვდგავართ ერთა თვითგამორკვევის თვალსაზრისზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეეფერება დროსა და პირობებს თუ არა, მაინც უნდა გადაიდგეს ნაბიჯი ამ თვითგამორკვევისაკენ. ეს უნდა მოხდეს დროის მიხედვით“ [127, 128].

ნოე ჟორდანიამ ფილიპე მახარაძის გამოსვლას შემდეგი პასუხი გასცა: „მახარაძე აცხადებს, რომ ისინი მომხრენი არიან ერთა თვითგამორკვევის, მაგრამ ეს სიტყვით და როცა ჯერი საქმეზე მიდგება ისინი არასოდეს არ უჭერენ მხარს ერთა თვითგამორკვევის უფლებას“ [128].

ნ. ჟორდანიას მოხსენების შემდეგ - „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“, ყრილობას რეზოლუცია უნდა მიეღო. რეზოლუციის პროექტის შემუშავების მიზნით, ეროვნულ-პოლიტიკური სექცია შეიქმნა. სექციაში ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი იყო გაერთიანებული.

ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომაზე ნოე ჟორდანიამ

წარადგინა მის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი. რეზოლუცია 10 მუხლისაგან შედგებოდა. პირველი და მეორე მუხლი აშკარა პრორუსული ორიენტაციის გამოხატულებას წარმოადგენდა:

1. ქართველი ერი დღესაც, ისევე როგორც ასი წლის მანძილზე დგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

2. ქართულმა დემოკრატიამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვე-ბედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს [12, 20].

შექმნილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს გადარჩენის რეალურ გზად ნოე ჟორდანიას რუსული ორიენტაცია მიაჩნდა. იმავდროულად ეროვნულ-პოლიტიკური სექციის წევრებს მიმართავდა: „დღეს, ობიექტური პირობები გარდა პრინციპიალური მოსაზრებისა, ისეთია, რომ ჩვენ ცხადად უნდა ვაღიაროთ რუსული ორიენტაცია. უმთავრესად ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ჩვენს ფრონტზე დგას ამდენი ჯარი, რომელიც თუ ჩვენ სხვა გზას დავადგებით, უკეთეს შემთხვევაში ხელს აიღებს ფრონტის დაცვაზე [12, 21].

ნოე ჟორდანიას დასაბუთებული არგუმენტების მიუხედავად, ეროვნულ-დემოკრატები მკვეთრად დაუპირისპირდნენ ასეთი გამოკვეთილი ფორმით რუსული ორიენტაციის დაყენებას. „რეზოლუციებში, - ამბობდა გრ. ვეშაპელი, ვილაპარაკოთ ისეთ რამეებზე, რაც ყველას გვაერთიანებს, ფრონტისათვის ჩვენს რეზოლუციას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, წმინდა რუსული ორიენტაცია შეგვზღუდავს, რადგანაც ჩვენი ყრილობის რეზოლუცია მარტო შინ და ფრონტზე არ გაიტანება; ამას გარეშენიც გაიგებენ და თუ ჩვენ იძულებული შევიქნებით ორიენტაცია შევცვალოთ მომავალში, მაშინ ასეთი რეზოლუცია გვავნებს“ [12, 21].

ხანგრძლივი კამათის მიუხედავად, ოპონენტებმა ნოე ჟორდანიას არგუმენტებს ხელჩასაჭიდი ვერაფერი დაუპირისპირეს. ამიტომ მის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის პირველი მუხლი მიიღეს. იმავდროულად გადაწყდა პირველი და მეორე მუხლის გაერთიანება [12, 23].

ამ გადაწყვეტილებით, ეროვნულმა ყრილობამ, შექმნილი სა-

ერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, პოლიტიკური ორიენტაცია რუსეთზე აიღო. საკმაოდ სწორია შ. ვადაჭკორია, ეროვნული ყრილობის მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას, პოლიტიკურ მანევრად და მომენტისათვის შესაფერის სწორ ნაბიჯად რომ მიიჩნევს [67, 41].

1917 წლის 22 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ საქართველოს ეროვნული საბჭო აირჩია. ეროვნულ საბჭოში სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები შევიდნენ. მათ შორის იყვნენ სოციალ-დემოკრატებიდან: ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ს. ჯიბლაძე, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, ვლ. ჯუღელი, დ. ონიაშვილი, ჰ. აბაშიძე, კ. გვარჯალაძე, ს. მაისურაძე, ა. ჭიაბრიშვილი, პ. გელეიშვილი, რ. არსენიძე, შ. ჩხიკვიშვილი, ნ. ელიავა, მ. ტოროშელიძე, ს. ჯაფარიძე, გრ. ურატაძე, ა. ფარნიაშვილი, გ. გიორგაძე, ე. როგავა, გ. კლიმიაშვილი, ვ. თევზაია, ე. სირბილაძე, ნ. ხომერიკი (25 კაცი); სოციალისტ-ფედერალისტები: გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. მესხიშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. ფირცხალავა, დ. უზნაძე, ი. ბარათაშვილი, ი. ბაქრაძე, ი. მდივანი, ა. წერეთელი (10 კაცი); ეროვნულ-დემოკრატები: ნ. ნიკოლაძე, გ. ქიქოძე, ი. დადიანი, გ. ჟურული, გ. გვაზავა, შ. ამირეჯიბი, მ. მაჩაბელი, ს. კედია, გრ. ვეშაპელი (9 კაცი); სოციალ-რევოლუციონერები: კ. მესხი, ვ. გობეჩია, გ. ნათაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, იოს. გობეჩია, ივ. გობეჩია (6 კაცი); ალიონის ჯგუფი: პ. ქავთარაძე, ი. გომართელი, ნ. ქარცივაძე, პ. საყვარელიძე (4 კაცი); რადიკალ-დემოკრატები: დ. ჩიქოვანი (1 კაცი); უპარტიო: კ. აფხაზი, კ. მაყაშვილი (2 კაცი); აჭარიდან ჯიბელ-ბეგ ხიმშიაშვილი, მეჰმედ-ბეგ აბაშიძე, რეჟებ ნიჟარაძე (3 კაცი). ამ რაოდენობას დაემატა სოხუმის ოლქისათვის — 2, ზაქათალის ოლქისათვის - 1, ქართველი ოსებისათვის - 1 ადგილი. მათ უახლოეს მომავალში ეროვნული საბჭოსათვის თავიანთი კანდიდატები უნდა წარედგინათ. გრ. გიორგაძის წინადადებით ეროვნულ საბჭოში ერთხმად აირჩიეს აგრეთვე კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი [129].

აღნიშნული მონაცემებით, ეროვნული საბჭოს წევრთა რაოდენობა 66 კაცს შეადგენს, მაგრამ საარქივო მონაცემებში და საერთოდ იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში 67 კაცი სახელდება. მაგრამ დღემდე

შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვის ეკავა ეს ადგილი ეროვნულ საბჭოში.

ეროვნული საბჭოს შექმნით დასრულდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ინდივიდუალური, ცალკე ჯგუფებისა თუ პარტიების ბრძოლის ხანა და დაიწყო ახალი, უფრო მაღალი ეტაპი, როცა ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ერთიანი ეროვნული შტაბი, არსებითად ქართული ხელისუფლება — საქართველოს მთავრობა. ამიერიდან ქართული პოლიტიკური პარტიების მთელ ძალისხმევას სამშობლოს თავისუფლებისათვის ეროვნული საბჭო წარმართავდა [116, 220].

ეროვნული ყრილობის მიერ საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევა სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მიმავალ გზაზე უდიდეს ნაბიჯს წარმოადგენდა.

§3. ეროვნული საბჭოს საქმიანობა 1917 წლის 22 ნოემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე

ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო ქართველი ხალხის ხელმძღვანელ ეროვნულ დაწესებულებად უმძიმეს ვითარებაში მოგვევლინა. მიუხედავად ამისა, ეროვნული საბჭოს წევრებს კარგად ჰქონდათ გათავისებული ამ ორგანოს როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე და ამ მისიის შესრულებას ისინი ქართველ ხალხთან ერთად აპირებდნენ. დღიდან დაარსებისა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე — 1918 წ. 26 მაისი, ეროვნულმა საბჭომ 19 სხდომა ჩაატარა. ეროვნული საბჭოს სხდომების ოქმების საფუძვლიანმა გაცნობამ საშუალება მოგვცა დაგვენახა ის აქტიური და მიზანმიმართული საქმიანობა ეროვნული საბჭოს წევრებისა, რომელმაც ყოველგვარი საფუძველი მოამზადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა 1917 წლის 26 ნოემბერს გაიმართა. სხდომას ეროვნული საბჭოს 45 წევრი ესწრებოდა. იგი ინტერპარტიული საბჭოს სახელით აკაკი ჩხენკელმა გახსნა. მანვე საბჭოს წინაშე ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი პოლიტიკური ორგანოს არჩევის საკითხი დააყენა.

კამათი გამოიწვია საკითხმა, ცალკე არჩეულიყო აღმასრულებელი კომიტეტი და პრეზიდიუმი, თუ საკმარისი იქნებოდა, მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოს არჩევა, რომელსაც პრეზიდიუმის ფუნქციები მიენიჭებოდა. ეროვნული საბჭოს პირველ კრებაზე აღმასრულებელი კომიტეტი აირჩიეს. მისი შემადგენლობა 15 წევრით განისაზღვრა. სოციალ-დემოკრატებიდან — ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი, ს. ჯიბლაძე, ა. ლომთათიძე, ა. ფარნიაშვილი, ჰ. ბ. აბაშიძე, პ. საყვარელიძე („ალიონი"); სოციალისტ-ფედერალისტებიდან — გრ. რცხილაძე, ი. გედევანიშვილი; სოციალ-რევოლუციონერებიდან — კ. მესხი, ვ. გობეჩია; ეროვნულ-დემოკრატებიდან — გ. გვაზავა, გ. ვეშაპელი; სამაჰმადიანო საქართველოდან — მ. ბ. აბაშიძე (დროებით) [5, 2].

1917 წ. 28 ნოემბერს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პირველმა სხდომამ დღის წესრიგში ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის ორგანიზაციულად მოწყობის საკითხი დააყენა. სხდომაზე კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აირჩიეს, რომელიც იმავდროულად ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმადაც ითვლებოდა. პრეზიდიუმის შემადგენლობა 6 კაცით განისაზღვრა: თავმჯდომარე, მისი სამი ამხანაგი (მოადგილე), მდივანი და ხაზინადარი. თავმჯდომარედ დაამტკიცეს ნ. ჟორდანია, მის ამხანაგად ა. ჩხენკელი, გრ. რცხილაძე, გ. ვეშაპელი, მდივნად — პ. საყვარელიძე, ხაზინადარად — კ. მესხი [5, 2].

იმავე სხდომაზე სხვადასხვა საქმეთა გასაძღოლად დაარსდა კომისიები: ქონების, სამხედრო, საფინანსო, სასამართლო და ადმინისტრაციის, სასკოლო და ხელოვნების, სახალხო მეურნეობის და სურსათის, სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის და საერობო. ამ კომისიებს გარდა საერობოსი, აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან გამგეები უნდა დანიშნოდათ [13, 1]. ამ კომისიებს შემდეგში საბჭოს სექციები ეწოდათ. მათი რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა.

ახლადარჩეულ პრეზიდიუმს დაევალა ეროვნული საბჭოს სახელით, ქართველი ერისადმი მოწოდება შეემუშავებინა [13, 1].

1917 წ. 3 დეკემბერს, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, დასახელებულ კომისიებს, აღმასრულებელი

კომიტეტის შემადგენლობიდან გამგეები დაენიშნათ. მათ დაევალათ განსაკუთრებული კომიტეტების შედგენა, რომლებშიც ყველა ფრაქციიდან თითო წარმომადგენელი უნდა შესულიყო. გამგეებს ნება ეძლეოდათ კონსულტაციებისათვის უცხო სპეციალისტები მოეწვიათ:

ა) ქონების კომისიის გამგედ დაინიშნა გ. გვაზავა.

ბ) სამხედრო — ნ. რამიშვილი.

გ) საფინანსო — კ. მესხი.

დ) სასამართლოს და ადმინისტრაციის — გრ. რცხილაძე.

ე) სასკოლო და ხელოვნების — ა. ლომთათიძე.

ვ) სახალხო მეურნეობის და სურსათის — გ. ლასხიშვილი.

ზ) საერობო და გამიჯვნის — ა. ჩხენკელი.

თ) სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა — ა. ჩხენკელი.

ი) ჯანსაღობის — პ. საყვარელიძე [10, 2].

ზემოთ დასახელებულ 8 კომისიას, როგორც ვხედავთ, 3 დეკემბრის სხდომაზე კიდევ ერთი ჯანსაღობის კომისია დაემატა.

1917 წ. 6 დეკემბერს ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული მიმართვა ქართველი ერისადმი:

„ომის საშინელი შედეგები საბედისწერო გახდა რუსეთისა და რევოლუციისათვის. სახელმწიფოს პოლიტიკური მთლიანობა დაირღვა. ეკონომიკური ცხოვრება მოიშალა. რუსეთი გახვეულია ომისა და ანარქიის ცეცხლში.

სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია. სახელმწიფოს ცენტრი მოიშალა. ერთი ყველასაგან მიჩნეული მთავრობა აღარ არსებობს... საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს თაოსნობით მოწვეულმა პირველმა ეროვნულმა ყრილობამ დააარსა ხელმძღვანელი პოლიტიკური ორგანო. ეს არის საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც მოწოდებულია გამოარკვიოს, გაუძღვეს და განახორციელოს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული მოთხოვნილებანი, დაიცვას და განამტკიცოს ქართველი ხალხის რევოლუციურ-დემოკრატიული აღთქმა და მისწრაფებანი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, გრძნობს რა პასუხისმგებლობის სიდიადეს ქართველი ერის წინაშე, თამამად ღებულობს თავისთავზე ეროვნული ყრილობის დავალებათა გაძღოლა-განხორციელებას, იმ ღრმა რწმენით, რომ

ამ საქმეებით მასთან ერთად იქნება თავმოყრილი და მჭიდროდ დაკავშირებული მთელი ქართველი ხალხი“ [25, 3-4].

როგორც ვიცით, 1917 წლის 25 ოქტომბერს, რუსეთში ბოლშევიკების მიერ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება ამიერკავკასიის დემოკრატიულმა ძალებმა არ ცნეს. რუსეთში გამეფებული სამოქალაქო ომისა და ანარქიის ვითარებაში, ეროვნული საბჭოს წინაშე პოლიტიკური მოკავშირის პოვნის საკითხი დაისვა. მართალია, იმ ეტაპზე, ქართველ პოლიტიკოსებს პრორუსული ორიენტაციის უარყოფის საკითხი ოფიციალურად არ დაუყენებიათ, მაგრამ გარკვეული ნაბიჯები სხვა მიმართულებითაც გადადგეს. სწორედ ამ მიზნით, 1917 წლის 8 დეკემბერს, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოში ჩამოსული ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის (გენერალი შორი) ელჩები. სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. მსჯელობის ძირითადი საკითხი პოლიტიკურ და სტრატეგიულ მდგომარეობას შეეხებოდა. უცხოელ ელჩთა შეფასებით საქართველოში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო: ჯარის შედგენის დაჩქარება და დისციპლინის აღდგენა ჯარში. თავის მხრივ, პირობას იძლეოდნენ ამ საქმეში დახმარება გაეწიათ ფულით, მასალით, ხალხით. რაც შეეხებოდა იარაღის მოწოდებას, ამ საკითხში დახმარებაზე უარს აცხადებდნენ. იმავდროულად ანტანტის დიპლომატები ქართველებისა და სომხებისაგან მობილიზაციის გამოცხადებას მოითხოვდნენ [4, 14].

ანტანტის დიპლომატებმა საქართველოსადმი თავიანთი დამოკიდებულება ასეთი სახით გამოხატეს: „ჩვენ ვცნობთ ერთ, მთლიან რუსეთს და მის დროებით მთავრობას, ცალკე ერებს კი — როგორც რუსეთის ნაწილებს, მით უმეტეს, რომ არც ქართველებს და არც სომხებს არა ჰყავთ თავიანთი საკუთარი მთავრობანი, ჩვენ ამიერკავკასიის კომისარიატი ვიცანით მთავრობად და ურთიერთობაც გვქონდა მასთან. ამიერკავკასია უნდა შეუერთდეს სამხრეთ-დასავლეთის კავშირს, სადაც შევლენ უკრაინა და ციმბირიც, რუსეთი აღსდგება როგორც ფედერაციული ერთეული [4, 14].

მათი წინადადებების მოსმენის შემდეგ ეროვნული საბჭოს წევრებმა თავიანთი მოთხოვნები ასე ჩამოაყალიბეს: ქართველები თავიანთ ტერიტორიას თვითონ დაიცავდნენ, შეებრძოლებოდნენ

თურქეთს, თუ ანტანტა იარაღით დაეხმარებოდა. იმავდროულად დაისვა კითხვა: თურქეთთან ომის შემთხვევაში, თუ დაიცავდა ანტანტა საქართველოს და სცნობდა თუ არა მას როგორც პოლიტიკურ ერთეულს [4, 15]. მართალია, საქართველოსა და ანტანტის სახელმწიფოთა დიპლომატების შეხვედრას არსებითი შედეგები არ მოჰყოლია, მაგრამ ამ შეხვედრით ნათლად გამოიკვეთა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების, მთლიანად ქართველი ერის ლტოლვა განვითარებული ევროპისაკენ, ამ მიმართულებით კი მართლაც პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, სანდო პოლიტიკური მოკავშირის პოვნასთან ერთად, ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველს შეიარაღებული ძალების სიძლიერეში ხედავდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის მცირე დროის განმავლობაში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა წარმატებითი საბრძოლო ოპერაციები ჩაატარეს თურქი დამპყრობლების, სომეხი შოვინისტი აგრესორების, დენიკინის მოხალისეთა არმიის და საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ, რამაც აღნიშნულ პერიოდში საიმედოდ უზრუნველყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. დღეს XXI საუკუნის გადასახედიდან, გაკვირვებას იწვევს, თუ როგორ შეძლო ახლადშობილმა რესპუბლიკამ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში გამკლავებოდა ურიცხვ მტერს, დაემარცხებინა ისინი და შეენარჩუნებინა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ საქმის სასურველი შედეგებით დამთავრებისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, რომელთა შექმნა-ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდა.

ქართული საჯარისო ნაწილების შექმნისათვის ახალი ეტაპი ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი საქმიანობის დაწყებიდან დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ეროვნული საბჭო თავის სხდომებზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული ჯარის ჩამოყალიბებას. შეიქმნა სამხედრო საქმეების კომისია, რომლის გამგედ დაინიშნა ნ. რამიშვილი, ხოლო კომისიაში შედიოდნენ: ვ. გობეჩია, არჩ. საყვარელიძე, დ. ვაჩნაძე, ნ. ქარცივაძე [9, 2].

1917 წლის 10 დეკემბერს სამხედრო კომისიის დახურულ

კრებაზე დ. ვაჩნაძის მიერ სამხედრო სექციაზე მოწვეული კორპუსის მეთაურებისაგან გამოირკვა, რომ ორი პოლკის გარდა ჯარი შედგენილი არ იყო. იმჟამად ქართული კორპუსის შესადგენად დღის წესრიგში იდგა 5 პოლკის ჩამოყალიბება. სხდომაზე აღინიშნა, რომ ქართული ჯარის შევსებას აფერხებდა ფრონტიდან ჯარისკაცების ნელა და დაგვიანებით ჩამოსვლა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მათ არ იცოდნენ თუ რა ვითარება იყო საქართველოში. ტრაპიზონის მხრიდან საქართველოს დასაცავად უნდა დაეყენებინათ ქართული ჯარის ცალკე ერთეულები, რადგან ფრონტზე მყოფი ჯარების დემობილიზაცია ჩვენთვის მავნებელი იყო. დასავლეთის ფრონტზე მყოფი ჯარისკაცები სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. მათი ორგანიზებულად დაბრუნება კი იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ მოსკოვში საბჭოების ყრილობა ამის შესახებ სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებდა [14, 3].

ამავე კრებაზე სიტყვით გამოსულმა ი. გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ სარდლობა და უფროს მეთაურთა შემადგენლობა ყველა ჩვენს მოთხოვნილებას ასრულებს, მაგრამ ქვემდგომ რგოლებში წვრილი, უფროსი ოფიცრობა არა თუ ეხმარებოდა ჯარისკაცებს ფრონტიდან სამშობლოში დაბრუნებაში, არამედ ტერორის ქვეშ ჰყავდათ ისინი. ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც იარაღი მიღებული ჰქონდათ, ოფიციალური მთავრობა კი წინააღმდეგობას არ უწევდა, პირიქით, მთავარსარდალს ბრძანება ჰქონდა გაცემული ქართველი ჯარისკაცების საქართველოში გადმოყვანის შესახებ, რომელთა შესაკრებად ახალციხეში გაიგზავნა გენერალი ი. ოდიშელიძე. კავკასიის ფრონტის ჯარების ქონება ეროვნულ ჯარებს უნდა გადასცემოდა, თუმცა არ ჰქონდათ სატრანსპორტო საშუალებები, არც ავტომობილები და არც ველოსიპედები. შესაძლებელი იყო ხსენებული სატრანსპორტო საშუალებების ძალით მიღება, მაგრამ მოსალოდნელი შედეგები არასასურველი იქნებოდა [14, 3-4]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე დღეს იგივე საკითხი ეროვნული საბჭოს მე-2 კრების მსჯელობის ძირითად საგნად იქცა.

1917 წ. 26 დეკემბერს ეროვნული საბჭოს IV კრებაზე სექციის თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა კვლავ დააყენა საკითხი ქართული ჯარის შექმნის საჭიროების შესახებ, როგორც რევოლუციის მონაპოვართა დაცვის აუცილებელი პირობა და ქართველთა ფი-

ზიკური არსებობის შენარჩუნების საშუალება. ამასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა ძლიერი ჯარის არსებობის და მობილიზაციის ჩატარების აუცილებლობას. შემდეგ მან წარმოადგინა პროექტები ამიერკავკასიის კომისარიატში წარსადგენად [5, 16].

პირველი პროექტის თანახმად, ჯარში უნდა გაეწვიათ 19 წლის ასაკის პირები, მათთვის არავითარი შეღავათები არ იქნებოდა, გარდა ავადმყოფობისა, ყველა წინანდელი შეღავათი უქმდებოდა. მანამდე არსებული სახლის ბეგარა უმთავრესად მშრომელ ხალხს აწვებოდა, რადგანაც ინტელიგენციისა და შეძლებული კლასების წარმომადგენლები ამა თუ იმ სახით ახერხებდნენ განთავისუფლებას, რაც თავისთავად ხალხის უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იწვევდა [5, 16].

19 წლის ასაკის მქონენი, პროექტის მიხედვით, სავსებით მისაღებად და მეტად საჭირო ელემენტებად იყვნენ მიჩნეულნი, რადგანაც ისინი უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობისაგან შედგებოდნენ, ამიტომ მათ ჯარში მხოლოდ კარგი ატმოსფერო უნდა დაემკვიდრებინათ. პირველი პროექტით სამხედრო ბეგარით გათვალისწინებული ვალდებულებანი საქართველოში მყოფ ყველა ეთნოსს ეხებოდა, გარდა მუსულმანებისა. განზრახული იყო მუსულმანი მოსახლეობის აზრის გაგება. თანხმობის შემთხვევაში სამხედრო ბეგარა მათზეც გავრცელდებოდა [5, 16].

მეორე პროექტით გათვალისწინებული იყო 32 წლის ასაკისა და მათზე უფრო ახალგაზრდების ჯარში გაწვევა. ამ კატეგორიის ერთი ნაწილი უკვე იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში, მათ შორის რუსები, რომლებიც სახლში გაემგზავრნენ, ასევე მოიქცნენ ქართველებიც, რის გამოც ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ასეულებში, სადაც 200-300 კაცი ირიცხებოდა, მხოლოდ 80 კაცამდე ღა იყო დარჩენილი, ზოგან უფრო ნაკლებიც. ვინც იყო დარჩენილი, ისიც კი დასასვენებლად უნდა დაეთხოვათ. ამრიგად, შექმნილი მდგომარეობით არამც თუ ქართული კორპუსის შედგენა ვერ ხერხდებოდა, არამედ შეიძლებოდა სამხედრო რაზმებში არავინ დარჩენილიყო. ასეთ შემთხვევაში კი ქართული ჯარი აღარავისათვის სერიოზული ძალა არ იქნებოდა. ამიტომ კორპუსის შედგენა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ 18 წლის ახალგაზრდებს ჯარში გაიწვევდნენ, ყველა დეზერტირს უკანვე უკლებლივ დააბ-

რუნებდნენ და იმ წვევამდელებს სამხედრო სამსახურში გაიწვევდნენ, რომლებიც სახელმწიფო თავდაცვის სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობდნენ [5, 16].

ქვეყნის შიგნით განვითარებულმა ისეთმა მოვლენებმა, როგორიც იყო განჯის ამბები და ბოლშევიკების აგრესიული მოქმედება, აუცილებელი გახადა ეროვნული ჯარის გაძლიერება. მითუმეტეს, თუ მტერი (თურქები) ბათუმისა და ქუთაისისაკენ გამოილაშქრებდა, ასეთი რეალური საფრთხის პირობებში საჭირო გახდებოდა მობილიზაცია. მაგრამ ახალი ტვირთი, ჯარში გაწვევის სიმძიმე, ხალხისათვის უნდა შეემსუბუქებინათ. ამიტომ გადაწყდა — ჯარი ადგილობრივ მაზრებში: თელავში, რაჭაში, გურიაში და სხვაგან შეექმნათ. შემდეგ კი მოხდებოდა მათი დისლოკაციის შეცვლა. მობილიზაციის განხორციელება შესაძლებელი იყო ადგილობრივი საბჭოების დახმარებით, რომლებიც აუხსნიდნენ ხალხს მოსალოდნელი საფრთხის მნიშვნელობას. საფრთხე კი რეალური იყო, რადგან გარშემორტყმულები ვიყავით არასანდო, მტრული ელემენტებით. თუ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები აგიტაციას გაწევდნენ და განუმარტავდნენ ხალხს შექმნილ მდგომარეობას, მაშინ მობილიზაცია სასურველად ჩაივლიდა და შესაძლებელი იქნებოდა კორპუსის შედგენა. ეს კი აუცილებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ ზავის დადება არ ხერხდებოდა. გერმანიასთან ბოლშევიკების მოლაპარაკება ჩაიფუშა და ახლო მომავალში ომის განახლება იყო მოსალოდნელი. ასეთ პირობებში კი არავის იმედი არ უნდა გვქონოდა, გარდა საკუთარი თავისა. ადგილობრივი მოსახლეობისაგან, სომხების, ბერძნებისა და მუსულმანებისაგან, თუნდაც 4 კორპუსი შემდგარიყო (წინანდელი 7-8 კორპუსის ნაცვლად), მდგომარეობა მაინც რთული რჩებოდა, რადგან ფრონტიდან მომავალ ჯარს თან მიჰქონდა იარაღი და ადგილზე არ ტოვებდა. ასეთ პირობებში კი შეუძლებელი იყო თავის დაცვა და რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება. მითუმეტეს, როცა სულ ცოტა ხნის წინათ თბილისში ბოლშევიკების გამოსვლისა და წითელი რაზმის მოქმედებებისას, რეგულარულ ჯარში მყოფმა ქართველებმა და რუსებმა სრული უმოქმედობა გამოიჩინეს [5, 17].

გარედან მოსალოდნელი საფრთხის გარდა, რევოლუციას განსაცდელი მოელოდა შინაური ანარქიის გამეფებითაც, ამიტომ

მუდმივი ჯარის გარდა ისეთი სამხედრო ძალა უნდა შექმნილიყო, რომელიც შინ წესრიგსა და რევოლუციის მონაპოვარს დაიცავდა. ასეთი ძალა კი სახალხო მილიცია, ე. ი. მთელი ხალხის შეიარაღება უნდა გამხდარიყო, როგორც სხვა ქვეყნებში იყო მიღებული. ამ მიზნით სამხედრო სექციამ შეიმუშავა სახალხო მილიციის დებულების პროექტი. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი ეროვნული საბჭოს კრებამ მიიღო (რა თქმა უნდა, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ) [5, 19].

ქართული ჯარის შექმნის მესვეურები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ სახალხო მილიციის შედგენა არავითარ ხარჯს არ გამოიწვევდა, რადგანაც მილიციის რაზმები ადგილზე იქნებოდნენ დაბანაკებული და მეცადინეობის შემდეგ სახლში დაბრუნდებოდნენ. მილიციელთა მოქმედება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებთან უნდა შეეთანხმებინათ. მხოლოდ ინსტრუქტორების შესანახი ხარჯი იყო საჭირო, რომელსაც (ადგილობრივი) საბჭო გაიღებდა [5, 19].

სხდომის დასასრულს, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წინადადება დააყენა — პირველი ორი პროექტი დროებით მოხსნილიყო, მესამე კი განხილულიყო. საბჭომ ეს წინადადება ერთხმად მიიღო [5, 20-24].

სამობილიზაციო პროექტის განხილვა 1917 წ. 30 დეკემბერს ეროვნული საბჭოს მე-5 კრებაზე გაგრძელდა.

ამ დროის განმავლობაში მოიწვიეს სხვადასხვა ორგანიზაციები, როგორც ადგილობრივი, ისე პროვინციებიდან, ხოლო სატელეფონო კავშირი ჰქონდათ ქუთაისის ადმინისტრაციასთან, გურიისა და სხვა კუთხეების აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებთან, რომლებსაც დადგენილი ჰქონდათ მობილიზაციის პრაქტიკული განხორციელება. მობილიზაცია ხდებოდა მოკლევადიანი — იმ მოსაზრებით, რომ ხალხს საშუალება მისცემოდა მუდმივი ჯარის ყოლისაგან სახალხო მილიციის წესზე გადასულიყო. სახალხო მილიციაში კი ჩარიცხვა მოხდებოდა 18 წლიდან 40-50 წლამდე, მათ გარდა, ვინც რეგულარულ ჯარში არ მსახურობდა. მაგრამ სანამ სახალხო მილიციას შეადგენდნენ, ჯარის არსებობა აუცილებელი ხდებოდა. ეროვნულმა საბჭომ რამდენჯერმე გამოთქვა აზრი, რომ ჩვენ ომის გაგრძელება არ შეგვეძლო. უკიდურეს

შემთხვევაში იძულებული ვიქნებოდით დაგვეცვა ჩვენი ქვეყნის საზღვრები. საჭირო იყო, რაც შეიძლება მალე გაფორმებულიყო ზავი [5, 31-32].

ამიტომ ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით, 19 წლიანები, აგრეთვე 20-32 წლამდე, ე. ი. ვინც შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა (მაგრამ რაიმე მიზეზით გაიქცნენ ჯარიდან, ანდა არ გამოცხადდნენ) 6 თვის ვადით უნდა ყოფილიყვნენ გაწვეულნი. ამით საკმაო ძალა შეგროვდებოდა, რომელიც ქვეყნის მოსალოდნელი საფრთხისაგან დაცვას შეძლებდა. ხანგრძლივი ომის წარმოება ჩვენ არ შეგვეძლო, ამიტომაც სამხედრო სექცია და ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამ საკითხს თავის წინაშე არ აყენებდნენ [5, 31].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1917 წ. ქართული საჯარისო ნაწილების ჩამოსაყალიბებლად გადაიდგა მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ქართული შეიარაღებული ძალების მშენებლობის რთული გზის პირველ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ.

1918 წ. 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთში, თავრიდის სასახლეში, დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეული დამფუძნებელი კრება გარეკეს. ქართველი ხალხი პოლიტიკური ავტონომიის მოპოვების იმედს, სწორედ ამ კრებაზე ამყარებდა. რუსეთში ანარქია გამეფდა, რაც განაპირა მხარეებს წალეკვით ემუქრებოდა. დამფუძნებელი კრების გარეკვამ დემოკრატიული საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია.

საყოველთაო პროტესტის ამ ტალღას საქართველოს პოლიტიკური პარტიებიც შეუერთდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული „საქართველოს“ რედაქცია წერდა, რომ ბოლშევიკები რუსეთს ღუპავენ, ეს ვეებერთელა ქვეყანა ანარქიის ალში გაახვიეს. ქართველი ხალხი თავის ბედს ასეთ სახელმწიფოს ვერ დაუკავშირებს. იგი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს „თავის ბედის გამოყოფას ამ ცეცხლწაკიდებული ბედისაგან“. რედაქციის აზრით, საქართველოს უკეთესი მომავალი მოითხოვდა რუსეთის დამფუძნებელი კრების ფერფლზე საქართველოს დამფუძნებელი კრების აღმოცენებას [58, 84].

ასეთ რთულ ვითარებაში 1918 წ. 21 იანვარს ეროვნული საბჭოს მე-6 სხდომა გაიმართა. იმსჯელეს, ახალი, უფრო წარმომადგენლობითი ორგანოს — ამიერკავკასიის სეიმის შექმნაზე.

სიტყვით გამოსულმა ნ. ჟორდანიამ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ეროვნული საბჭოს წევრებს მოუწოდა, დაუყოვნებლივ შეექმნათ ისეთი პოლიტიკური ორგანო, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობებს შექმნიდა: „იმის ცდა, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიკრიბება და რაიმეს მოგვცემს უნაყოფოა, რადგანაც რუსეთში ანარქია დიდხანს გაგრძელდება. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა კი ისეთია, რომ ერთი დღის მოლოდინიც შეუძლებელია. მრავალი საჭირბოროტო საკითხია გადასაწყვეტი – აქ ჩვენშიაც შინაური ანარქია თანდათან ვრცელდება. თუ რაიმე წყობილება არ ჩამოვაყალიბეთ და ზომები არ მივიღეთ ამ ანარქიასთან შესაბრძოლებლად, - იგი ჩვენ გაგვანადგურებს“ [5, 46].

რაც შეეხებოდა დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეის დაწუნებას, რასაც ეროვნულ-დემოკრატები ბრალად უყენებდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (სხვათაშორის ეს აზრი დომინირებს ქართულ ისტორიოგრაფიაში), აღნიშნულ კრებაზე ნ. ჟორდანია შემდეგი გარემოებით ხსნიდა: თავისთავად ცხადი იყო, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული დეპუტატები, ჩვენი დამფუძნებელი კრებისათვის არ იყვნენ არჩეულნი. ახალი არჩევნების ჩატარებას კი დიდი დრო სჭირდებოდა, დაახლოებით 2 თვე. ამ ხნის განმავლობაში კი ქვეყნის ღვთის ანაბარად დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო [5, 46]. ამ ეტაპზე არსებული რთული ვითარების გათვალისწინებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის გადაწყვეტილება სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ.

იმავე სხდომაზე, გადაწყდა ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს, სეიმის შექმნა. რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის არჩეულ დეპუტატთა რიცხვი 40 კაცს შეადგენდა, მაგრამ ეს რიცხვი ამიერკავკასიის სეიმის შესადგენად საკმარისი არ იყო. გადაწყდა ამ რიცხვის გამრავლება, საარჩევნო მეტრის შემცირებით. თუ უკვე ჩატარებული არჩევნებით 60 ათას კაცზე ერთი დეპუტატი მოდიოდა, ამ გადაწყვეტილებით 20 ათას კაცზე ერთი დეპუტატი უნდა აერჩიათ. აქედან გამომდინარე, სეიმის შემადგენლობა 120 კაცით განისაზღვრა [5, 47].

ქართველი სოციალ-დემოკრატების პროგრამის ძირითადი დებულება, რომელსაც ისინი სეიმში დაიცავდნენ, შემდეგი შინაარ-

სის იყო: „ამიერკავკასიაში უნდა შექმნილიყო ყველა ერისათვის მისაღები რესპუბლიკანური და კონსტიტუციონური წყობილება, ცენტრალური ავტორიტეტმოსილი მთავრობით, ანუ ისეთი ცენტრი სეიმის სახით, რომელიც სხვადასხვა ერთა დეცენტრალისტურ მიდრეკილებებს შეაერთებდა. ხოლო შემდეგ მოხდებოდა ამ ერების გაყოფა ისე, რომ თითოეულ ერს თავის ტერიტორიაზე საკუთარი თვითმმართველობა ექნებოდა“ [5, 47].

ამიერკავკასიის ერთა შორის აღნიშნული საკითხების შეთანხმებით გადაწყვეტა ახალი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას შექმნიდა, რომელიც ამ ერების დამფუძნებელი კრებები იქნებოდა. რაც შეეხებოდა რუსეთთან დამოკიდებულებას შემდეგნაირად განისაზღვრა: „იმავე დროს თუ რუსეთში წესრიგი აღდგა და დამფუძნებელი კრება შედგა – დამფუძნებელი კრება ჩვენში დამყარებულ წყობილებას დაადასტურებს. თუ არ დაადასტურა – ეს იქნება რეაქცია, რომელსაც უნდა შევებრძოლოთ. მაშინ უფრო გვინდა ძალა და ძლიერი ჯარი, რათა დავიცვათ ჩვენი ქვეყანა“ [5, 50]. ნ. ჟორდანიას ამ განცხადებამ დარბაზში დიდი ოვაციები გამოიწვია.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამ თვალსაზრისს მთლიანად იზიარებდნენ ესერები, მცირეოდენი შენიშვნით იგი მიიღეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, ხოლო წინააღმდეგი გამოვიდნენ ეროვნულ-დემოკრატები.

ეროვნულ-დემოკრატთა სახელით სიტყვა წარმოთქვა გ. ქიქოძემ. მან განაცხადა: „ჩვენ ვეთანხმებით მომხსენებელს, რომ ამიერკავკასიის სეიმში დეცენტრალისტური მიდრეკილება ისეთია, რომ მისი შეჩერება შეუძლებელია და უეჭველია იგი ეროვნულ მთავრობათა შექმნით დამთავრდება. ჩვენ მოხარული ვართ, რომ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი, ამ დებულებას აღიარებს, განსხვავებას მხოლოდ ამ პროცესის ტემპში ვხედავთ. ჩვენი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით ისეთია, რომ ერები დაჩქარებით გადავლენ ეროვნული მთავრობების დაარსებაზე, რადგანაც სეიმი ვერ მოსპობს გამეფებულ ანარქიას, ვერ შექმნის ისეთ ფინანსურ და მილიტარულ ძალას, რომელზედაც დაამყარებდა თავის მოქმედებას და რეზოლუციების შედგენას ვერ გასცდება. მიუხედავად ამისა მომხსენებლის დებულებებს მხარს დავუჭერთ... რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი პარტიული ტაქტიკა ეროვნულ ტაქტიკად გამო-

ვაცხადოთ, ამიტომ სეიმის შედგენას მხარს დავუჭერთ, მხოლოდ უფლებას ვიტოვებთ თვით სეიმში ოპოზიცია ვაწარმოოთ“ [5, 50].

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ალიონის“ ჯგუფის წარმომადგენლის, პავლე საყვარელიძის გამოსვლა. მისი აზრით, სეიმის უპირველესი ამოცანა ძალაუფლებით მოსილი ცენტრალური მთავრობის შექმნა უნდა გამხდარიყო, მეორე ნაბიჯი — ზავის შეკვრა. ამიერკავკასიას ერთად უნდა შეეკრა ზავი, ამ ნიადაგზე მათ შორის კონფედერაციული კავშირი უნდა დამყარებულიყო. სახელმწიფოს ფედერაციულ მოწყობას იგი არ ეთანხმებოდა, რადგანაც ფედერაციაში ერთი ეროვნული უმცირესობა ყოველთვის დაჩაგრულია. აქედან გამომდინარე იგი მხარს უჭერდა სახელმწიფოს მოწყობის კონფედერაციულ ფორმას, როგორც მეზობლად მოსახლე ერების შედარებით სუსტ კავშირს [5, 53].

1918 წ. 21 იანვარს ეროვნულმა საბჭომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთხმად მიიღო ნ. ჟორდანიას რეზოლუცია.

ეროვნული საბჭო დღიდან შექმნისა, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებამდე, (1917 წ. 22 ნოემბერი — 1918 წ. 26 მაისი) ფაქტობრივად, საქართველოს მთავრობას — აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა, მაგრამ ჩანასახშივე ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები დიდი პასუხიმგებლობით ეკიდებოდნენ ქართული სახელმწიფოს მოწყობის საქმეს და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ეროვნულ საბჭოს ნამდვილი პარლამენტური დაწესებულების სახე მიეღო. ამისათვის საჭირო იყო საბჭოს შინაგანი რეორგანიზაცია, მისი გაფართოება.

სწორედ ეს საკითხი, გახდა მსჯელობის მთავარი საგანი ეროვნული საბჭოს მე-8 კრებაზე, რომელიც 1918 წ. 11 თებერვალს გაიმართა. ამ საკითხთან დაკავშირებით აღმასრულებელმა კომიტეტმა, სხდომაზე შემდეგი დადგენილება წარმოადგინა. ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია უნდა მომხდარიყო შემდეგი სახით: მის არსებულ შემადგენლობას უნდა დამატებოდა რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული ქართველი დეპუტატები — ერთი სამად გამრავლებული პროპორციული სისტემით. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამ დებულებამ ეროვნულ-დემოკრატთა მხრიდან წინააღმდეგობა გამოიწვია [5, 73].

საკითხისათვის მეტი სიცხადის თვალსაზრისით, აქვე გვინდა

მოვიყვანოთ პირველ ეროვნულ ყრილობაზე საქართველოს თვითმმართველობის შესახებ მიღებული რეზოლუციის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვით „ყრილობა საჭიროდ სცნობს შედგეს, როგორც დროებითი დაწესებულება, საქართველოს ეროვნული საბჭო ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევად, გასაძლოლად და ცხოვრებაში გასატარებლად. საბჭოს შესადგენად ყრილობა ირჩევს 60 წევრს. საბჭოს წევრები თავის ადგილს უთმობენ ამიერკავკასიის სეიმის ქართველ დეპუტატებს, როდესაც არჩევნების დასრულებით ამიერკავკასიის საარჩევნო ოლქში მათი ვინაობა გამოირკვევა, რიცხვი დეპუტატებისა გამრავლებულ იქნება საარჩევნო პროპორციის მიხედვით“ [129].

ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, ეროვნული საბჭოს მე-8 კრებაზე სოციალ-დემოკრატმა კონსტანტინე გვარჯალაძემ განაცხადა: „ვინაიდან დამფუძნებელ კრებაში ქართველებიდან მარტო სოციალ-დემოკრატები არიან არჩეულნი - ჩვენ არ გვინდა პედანტები ვიყოთ და საბჭოს შემადგენლობა მარტო სოციალ-დემოკრატებით განვსაზღვროთ. აქედან გამომდინარე სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში შესულიყვნენ ამიერკავკასიის სეიმის ყველა ქართველი დეპუტატები, როგორც სოციალ-დემოკრატები, აგრეთვე სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვა პარტიათა წარმომადგენლები [5, 73].

სოციალ-დემოკრატების ამ განცხადებას მხარი დაუჭირა „ალიონის“ ჯგუფის წარმომადგენელმა პავლე საყვარელიძემ. მისი აზრით, ეს იყო სამართლიანი პარტიული განაწილება და პრაქტიკული მოთხოვნილება. რაც შეეხებოდა ეროვნული საბჭოს ახალი შემადგენლობის მოწვევას, რასაც დაჟინებით მოითხოვდნენ ეროვნულ-დემოკრატები, მისი აზრით, ეს გამოიწვევდა სექციათა მუშაობის და საერთოდ, ეროვნული საბჭოს მუშაობის შეფერხებას. მიუხედავად ეროვნულ-დემოკრატთა წინააღმდეგობისა, ეროვნულმა საბჭომ დიდი უმრავლესობით ორის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია მიიღო [5, 73]. ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული ეს დადგენილება ნათლად წარმოაჩენდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულებას სხვა პარტიებისადმი (მიუხედავად მათ მიმართ არაერთხელ წაყენე-

ბული ვიწრო პარტიული ინტერესების ბრალდებისა). იმავდროულად დადგენილების წარმოდგენილი ფორმით მიღება პრაქტიკული მოთხოვნილების სამართლიან გადაწყვეტად უნდა მივიჩნიოთ.

1918 წ. 3 მარტს, საბჭოთა რუსეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და მის მოკავშირეებთან — ბულგარეთის, ავსტრია-უნგრეთის და ოსმალეთის სახელმწიფოებთან დადებული ზავით საქართველოს პოლიტიკური ვითარება გართულდა. ამ ზავით ამიერკავკასიის ტერიტორიების დიდი ნაწილი, კერძოდ არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები ოსმალეთს გადაეცა. აღნიშნული ხელშეკრულება უმძიმესი იყო საქართველოსთვის, რადგანაც ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვით ემუქრებოდა.

პირველი კონსულტაციები ჯერ კიდევ 1917 წ. დეკემბერში მას შემდეგ დაიწყო, როცა რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე ცხადი შეიქმნა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელების შეუძლებლობა. ოსმალეთი ამიერკავკასიის სიღრმეში მოიწევდა, ხოლო ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარები მათი შემოტევის შეჩერებას ვეღარ ახერხებდნენ. დღის წესრიგში დადგა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების აუცილებლობა. მოხდა ისე, რომ სამშიდობო ინიციატივით თვით თურქეთი გამოვიდა [112, 115].

როგორც აღვნიშნეთ, 1918 წ. 21 იანვარს ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის შექმნის შესახებ. სეიმის პირველი სხდომა 1918 წ. 10 თებერვალს გაიმართა. მის თავმჯდომარედ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე აირჩიეს. ამიერკავკასიის სეიმმა შექმნისთანავე მიიღო გადაწყვეტილება თურქეთთან მოლაპარკება დამოუკიდებლად ეწარმოებინა.

1918 წ. 19 თებერვალს ეროვნული საბჭოს IX სხდომაზე დღის წესრიგის მთავარ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც საზავო მოლაპარაკებას შეეხებოდა, მოხსენებით წარსდგა აკაკი ჩხენკელი. მან ეროვნული საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ამიერკავკასიის სეიმმა გარკვეული სამზადისი გასწია მოლაპარაკებებისათვის და მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. სახელდობრ, თურქეთის მთავრობას აცნობა, რომ მზად იყო მოლაპარაკების დასაწყებად: მოლაპარაკების ადგილად შეირჩა ტრაპიზონი, ხოლო შეხვედრის თარიღად 17 თებერვალი განისაზღვრა. მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დადებოდა სეიმის სამშვიდობო კომისიის მიერ

შემუშავებული შემდეგი პირობები. ორივე მხარეს უნდა შეენარჩუნებინა ის სახელმწიფო საზღვრები, რომელიც 1914 წლამდე არსებობდა და ამასთანავე, ოსმალეთის სომხეთს მინიჭებოდა ეროვნული პოლიტიკური თვითმმართველობა ოსმალეთის საზღვრებში [5, 80].

ამიერკავკასიის სეიმმა ოსმალეთთან მოლაპარაკების მიზნით დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნა ცნობილი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე აკაკი ჩხენკელი. დელეგაციის გამგზავრება დროებით შეფერხდა, რადგანაც თბილისში მიიღეს რუსეთის დელეგაციის მდივნის ლ. კარახანის დეპეშა, რომელშიც იყო შეტყობინება იმის შესახებ, რომ უკვე ხელი მოაწერეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავს და ამ აქტით ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქები უნდა დაეთმოთ ოსმალეთისათვის [6, 54].

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობებმა წინა პლანზე წამოსწია საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. ამ საკითხის განხილვას დაეთმო ეროვნული საბჭოს 19 თებერვლის სხდომა. სხდომის მსვლელობიდან ირკვევა, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არც ერთი ფრაქცია არ იყო, გარდა დაშნაკცაკანებისა. მათი განცხადებით დამოუკიდებლობის გამოცხადება საჩქარო არ იყო. ეს საკითხი ოსმალეთთან მოლაპარაკების პროცესში უნდა გადაწყვეტილიყო, საწინააღმდეგოდ მუსლიმანთა აზრისა, რომლებიც დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, მიუხედავად მათი არგუმენტებისა, არ ჩქარობდა ნაბიჯის გადადგმას, ვიდრე რეალურ მოკავშირეს არ დაინახავდა, რომელიც მართლაც გულწრფელად დაიცავდა ამ დამოუკიდებლობას [5, 82-89].

ეროვნული საბჭოს 26 მარტის სხდომაზე განსაკურებით მწვავე დავა გამოიწვია საკითხმა ბათუმის შესახებ. ხანგრძლივი კამათისა და აზრთა ურთიერთგაცვლის შემდეგ ეროვნულმა საბჭომ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „საქართველოს ეროვნული საბჭო საჭიროდ თვლის, მილიტარულ და ფინანსურ ძალების მობილიზაციას ბათუმის დასაცავად. საქართველოს ეროვნული საბჭო საჭიროდ თვლის პირდაპირი კონტაქტის დამყარებას ამიერკავკასიის სხვა ერთა საბჭოებთან და ამიერკავკასიის სეიმის მიერ დამოუკი-

დებლობის აქტის გამოცხადებას. ამასთანავე იმავე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, აკაკი ჩხენკელს დაევალა მოლაპარაკება ამიერკავკასიის კომისარიატთან, რათა გამონახულიყო საშუალება სამხედრო საჭიროებისათვის [5, 82].

ოსმალეთი არ დაელოდა ბრესტის ხელშეკრულების მე-4 მუხლში ჩადებულ პუნქტს რეფერენდუმის ჩატარების შესახებ და სასწრაფოდ შეუდგა თავისი იმპერიული ზრახვების განხორციელებას. დაუყოვნებლივ მოითხოვა მისთვის გადასაცემი ტერიტორიების დაცლა. იმავდროულად ოსმალთა ჯარებმა დაიკავეს ქართული და სომხური მიწა-წყლის ნაწილი. 12 თებერვალს აიღეს ერზინჯანი, 17 თებერვალს — მამახათუნი და მიუახლოვდნენ არზრუმსა და ბათუმს [162].

ასეთი არასახარბიელო სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ფონზე შეუდგა მუშაობას ტრაპიზონის საზავო დელეგაცია. ტრაპიზონის საზავო კონფერენცია გაიხსნა 1918 წ. 1(14) მარტს, სულ გაიმართა 6 პლენარული სხდომა და 2 კერძო თათბირი. ოსმალეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა რაუფ-ბეი [51, 54].

საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობამ ნათელი გახადა დათმობაზე წასვლის აუცილებლობა. გადაწყდა შეემუშავებინათ დათმობის არა მარტო მინიმუმი, არამედ მაქსიმუმიც. ამავე დროს დელეგაციას ჰქონდა მცდელობა მოლაპარაკება ეწარმოებინა მოკავშირეთა წარმომადგენლებთანაც, განსაკუთრებით გერმანელებთან, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა [7, 77].

დათმობის მინიმუმი ითვალისწინებდა ოსმალებისათვის დაგვეთმო ოლთისის ოლქი, არტაანის სამხრეთი ნაწილი, სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ყარსის ოლქისა და ყაგიზმანის ოლქის დასავლეთი ნაწილი. თურქებმა მხოლოდ გზა შეინარჩუნეს ოლთისიდან ყარსამდე [7, 79]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს გადაწყვეტილება დელეგაციის წევრებმა მიიღეს სპეციალისტებთან გარკვეული რჩევისა და შეჯერების შედეგად.

ოსმალეთის დელეგაციამ ეს წინადადება თავის მთავრობას გადასცა.

24 მარტს (6) აპრილს ოსმალეთის მთავრობამ ამიერკავკასიის დელეგაციას წარუდგინა ულტიმატუმი — ეცნოთ ბრეს-ლიტოვსკის ზავის პირობები. ამ მოთხოვნაზე ოსმალეთს პასუხი უნდა მიეღო 48 საათის განმავლობაში [7, 79].

მეტად კრიტიკული მდგომარეობა იყო, - აღნიშნავდა აკ. ჩხენკელი — ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ იმავე დღეს თბილისიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშა მივიღეთ, რომელიც შეიცავდა ოფიციალურად შემოწმებულ ბრესტის ზავის მე-4 მუხლს, რომელიც ამიერკავკასიას შეეხებოდა [7, 80].

ბრესტის ზავის აღნიშნული მუხლი მწვავე კომენტარებით გაზეთმა „სახალხო საქმემ“ 1918 წ. 15 მარტს თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა. „როგორც ვიცით, - წერდა გაზეთი, ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაცია მოითხოვს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესრულებას და ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქების დაცლას, მაგრამ თვით ეს ხელშეკრულება ასეთი კატეგორიული ხასიათის არ არის. ხელშეკრულების მე-4 მუხლში ვკითხულობთ შემდეგს: „რუსეთი ყოველნაირ ზომებს მიიღებს, რათა უზრუნველყოს განთავისუფლება აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციებისა და კანონიერი აღორძინება ოსმალეთისა. არდაგანიდან, ყარსიდან და ბათუმიდან დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს რუსის ჯარი. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების სახელმწიფოებრივ-საერთაშორისო, უფლებრივ ურთიერთობაში და მცხოვრებლებს საშუალებას მისცემს ახალი წეს-წყობილება დაამყაროს მეზობელ სახელმწიფოთა და სხვათა შორის ოსმალეთთან შეთანხმებით [150]. როგორც ვხედავთ ზემოდასახელებული ოლქებიდან გამოყვანილი უნდა ყოფილიყო რუსეთის ჯარები, მაგრამ არ არის ნათქვამი, რომ ეს ოლქები უნდა გადასულიყო ოსმალეთის მფლობელობაში. ხელშეკრულებით ამ სამი ოლქის მომავალი ბედი უნდა გადაეწყვიტა ადგილობრივ მოსახლეობას მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ოსმალებთან შეთანხმებისა და მათი დახმარების მეშვეობით. ოსმალეთმა კი ეს უფლება ერთპიროვნულად მიითვისა და აღნიშნული ტერიტორიების ოკუპაციას შეუდგა.

ასეთი ვითარების ფონზე, 25 მარტს (7 აპრილს), ჩვენმა დელეგაციამ გადაწყვიტა ოსმალეთისათვის შეეთავაზებინა დათმობის მაქსიმუმი, რომელიც აკ. ჩხენკელმა აცნობა თავის მთავრობას [7, 59].

აკ. ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი დათმობის მაქსიმუმის პირობები თბილისში 26 მარტს (8 აპრილს) მიიღეს. იმავე დღეს ეროვნული საბჭოს XI საგანგებო სხდომა შედგა. სხდომას თავმჯ-

დომარეობდა ნოე ჟორდანია. მან ეროვნული საბჭოს წევრებს გააცნო დეპეშის შინაარსი. მასში საუბარი იყო ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ შემუშავებული დათმობის მაქსიმუმზე, რომელიც გულისხმობდა ყარსისა და არდაგანის ოლქების დათმობას, მხოლოდ ყარსის ოლქიდან, იმ ერთი ნაწილის გამოკლებით, რომლის მოსახლეობას სომხები შეადგენდნენ და არდაგანის ოლქის ნაწილის გამოკლებით. რაც შეეხებოდა ბათუმის ოლქს, აქედან ოსმალეთს რჩებოდა მხოლოდ ართვინის უბანი, ბათუმი და ბათუმის მხარე ჩვენ გვრჩებოდა [7, 59].

ეროვნული საბჭოს 26 მარტის (8 აპრილის) სხდომაზე იმსჯელეს იმის შესახებ, რომ თუ ოსმალეთის დელეგაცია არ მიიღებდა დათმობის მაქსიმუმს, რა იქნებოდა შემდეგი ნაბიჯი, მზად იყვნენ თუ არა დაეცვათ ბათუმი, იყო თუ არა ამის რეალური შესაძლებლობა ქვეყანაში [7, 59].

ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი აზრი გამოთქვეს გრ. რცხილაძემ, ექ. თაყაიშვილმა, კ. აფხაზმა, ი. ბარათაშვილმა, შ. ამირეჯიბმა, ი. ჩერქეზიშვილმა და სხვებმა [7, 60-68].

სოციალ-ფედერალისტები, რომელთა სახელითაც ეროვნული საბჭოს XI სხდომაზე მოხსენებით წარსდგა გრიგოლ რცხილაძე, მოითხოვდნენ დაწვრილებით ცნობებს სამხედრო მდგომარეობის შესახებ. ასეთი ცნობების ეროვნული საბჭოს სხდომებზე გამოტანის კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ სოციალ-დემოკრატები. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკური იყო, რადგანაც სამხედრო საიდუმლოება არ შეიძლებოდა გამხდარიყო ღია მსჯელობის საგანი. განსაკუთრებით საყურადღებოა ექ. თაყაიშვილის გამოსვლა: "ჩვენ კისრამდის უფსკრულში ვართ ჩაფლული, ერთმანეთთან კინკლაობას თავი დავანებოთ და ვეცადოთ გამოვარკვიოთ რა გვიშველის და რა გვიხსნის... ამისთანა დიდ კრებაზე ყველაფრის გათვალისწინება და გამჟღავნება შეუძლებელია. საქმის დადებითად გადასაწყვეტად უმჯობესია ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გავაძლიეროთ დამატებით არჩეული პირებით და მათ მივანდოთ ჩვენი ქვეყნის ბედის გადაწყვეტა [7, 60-61].

ოსმალეთის წინააღმდეგ ომის წარმოების კატეგორიული წინააღმდეგი იყო კონსტანტინე აფხაზი. მისი განცხადებით, თუ საქართველო ომს დაიწყებდა, მტერი იმ ტერიტორიებსაც დაიპყრობ-

და, რომელიც ბრესტის ზავით არ იყო განსაზღვრული. ეს კი საქართველოს პოლიტიკური რუკიდან გაქრობას გამოიწვევდა [7, 63].

ეროვნული საბჭოს იმავე სხდომაზე ნ. ჟორდანიამ სხდომის წევრებს ბათუმის დაცვასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სეიმის ფრაქციათა აზრი გააცნო - „რაც შეეხება პარტიების აზრს ბათუმის შესახებ, ისინი წინააღმდეგი არიან ბათუმის დათმობისა. დაშნაკცაკანები, აგრეთვე მუსლიმანთა პარტია „მუსავატი“ დღეს ტრაპიზონში გზავნის დელეგაციას, რათა გავლენა მოახდინონ ოსმალებზე და მორიგეობით გაათავონ საქმე. ასევე დელაგაციას გზავნიან ჩეჩნები და ინგუშები. ეს დელეგაციები ტფილისიდან დღეს საღამოს 9 საათზე გავლენ. თათრები ამბობენ, თუ ჩვენთვის ბაქოა საჭირო, თქვენთვის ბათუმის შენარჩუნება არის მთავარი, ამრიგად ყველა პარტია თანახმაა ბათუმის დაცვისა [7, 73].

ტრაპიზონის კონფერენციაზე მიღებული ულტიმატუმის ვადა 1918 წ. 26 მარტს (8 აპრილს) იწურებოდა. პასუხი თბილისიდან იგვიანებდა, აკ. ჩხენკელმა მიიღო ზომები, რომლის მიხედვითაც ულტიმატუმის ვადის გასაგრძელებლად კვლავ 48 საათი დაინიშნა. ულტიმატუმის დრო 28 მარტს (10 აპრილს) 7 საათზე თავდებოდა. პასუხი თბილისიდან არ მიუღიათ „ასეთ კრიტიკულ ვითარებაში — აღნიშნავდა აკაკი ჩხენკელი, მთავრობისაგან თანხმობის გარეშე გადავწყვიტეთ მიგვეღო ბრესტის ზავის პირობები“ [7, 81].

ამიერკავკასიის დელეგაციის ეს გადაწყვეტილება ოსმალეთის დელეგაციას გადაეცა. პასუხი ოსმალეთის მთავრობისგან 31 მარტს (13 აპრილს) მიიღო, საიდანაც ირკვეოდა, რომ ოსმალეთის მთავრობა მოლაპარაკების საფუძვლად იღებდა ბრესტის ზავს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ თვლიდა მოლაპარაკებაში ჩაერთო მოკავშირეები, ხოლო ამიერკავკასიის მთავრობისაგან მოითხოვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას [7, 81].

ასეთ რთულ ვითარებაში, 1(14) აპრილს თბილისიდან ამიერკავკასიის დელაგაციამ მიიღო მთავრობის დეპეშა, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო - „დღეს ამიერკავკასიის სეიმმა ერთხმად მიიღო დადგენილება: ვინაიდან სამშვიდობო მოლაპარაკებამ ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის საზღვრების საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწია, ამიერკავკასიის დელაგაციას წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ დაბრუნდეს თბილისში [7, 82].

როგორც ვხედავთ, სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა, ბრძანებას საზავო მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ, შეიძლებოდა უმძიმესი შედეგები მოჰყოლოდა, რაც მომავალში საზავო მოლაპარაკებას შეუძლებელს გახდიდა. „ასეთ ვითარებაში – აღნიშნავდა აკ. ჩხენკელი – ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებმა გადავწყვიტეთ, მთავრობის დასტურის გარეშე გადაგვედგა ნაბიჯები. როგორც მოგახსენეთ, პირველი და უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბრესტის ზავის მიღების შესახებ მთავრობისაგან ნებართვის გარეშე გადავდგით, დელეგაციამ ეს ნაკლები დანაშაულიც თავის თავზე აიღო, რათა შემდეგში ზავის შეკერა შესაძლებელი გამხდარიყო. ამ მოსაზრებით ოსმალეთის დელეგაციას, დეპეშის მხოლოდ მეორე ნაწილი ვაცნობეთ. რაც შეეხებოდა მოტივებს, ამის თქმა საჭიროდ არ მივიჩნიეთ, აღვნიშნეთ, რომ მოლაპარაკება დროებით არის შეჩერებული და არა შეწყვეტილი [7, 82].

ამ გადაწყვეტილებით ტრაპიზონის კონფერენციამ 1918 წ. 1(14) აპრილს მუშაობა დაასრულა. როგორც ვხედავთ, ეროვნულმა საბჭომ თავის სხდომებზე დიდი ყურადღება დაუთმო ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობის განხილვას. ეროვნული საბჭოს წევრებს ღრმად ჰქონდათ გააზრებული ისტორიული ტერიტორიების დაცვის აუცილებლობა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეში, მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებებისა, ტრაპიზონის კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა. ოსმალეთის დელეგაციას წინასწარ ჰქონდა შემუშავებული და ჩამოყალიბებული თავისი მოთხოვნილებები, რომელიც თავს მოახვია ამიერკავკასიის დელეგაციას [110, 129-130].

1918 წ. 22 აპრილს, უაღრესად რთულ ვითარებაში, შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სხდომა ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარემ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ გახსნა. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება. იმ კომისიის სახელით, რომელსაც დავალებული ჰქონდა აღნიშნული საკითხის შესწავლა, მოხსენებით წარდგა დ. ონიაშვილი. მან ხაზი გაუსვა, იმ გარემოებას, რომ რუსეთში 1917 წ. ოქტომბერში, ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა. დაირღვა მთლიანი ფრონტი, გაბატონდა რეაქციონური მოძრაობა. ასეთ ვი-

თარებაში ამიერკავკასიას საფრთხე ემუქრებოდა ორი მხრიდან: რუსეთიდან — ბოლშევიკების სახით და ოსმალეთისაგან, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა. საფრთხე ემუქრებოდა არა მარტო რევოლუციას და თავისუფლებას, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის ხალხთა ფიზიკურ არსებობას. ასეთი რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება კი დაუყოვნებლივ მოითხოვდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რაც პოლიტიკური აუცილებლობით იყო ნაკარნახევი [152].

სხდომის დასასრულს ამიერკავკასიის სეიმმა შემდეგი სახის რეზოლუცია მიიღო.

1. გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად. ამ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს სხვა სახელმწიფოებს.

2. დაევალოს მთავრობას ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შედგენა.

იმავე სხდომაზე ამიერკავკასიის სეიმმა მოისმინა საზავო დელეგაციის თავმჯდომარის აკ. ჩხენკელის მოხსენება და მიიღო დადგენილება. „სეიმი წინადადებას აძლევს მთავრობას განაგრძოს ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება. — ამავე დროს მიიღოს ზომები ქვეყნის დასაცავად“. სხდომის ბოლოს მთავრობის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ, ხოლო ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა აკ. ჩხენკელს [152].

1918 წლის 26 აპრილს აკ. ჩხენკელმა ამიერკავკასიის სეიმს დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა, მის მიერ წარმოდგენილი პროექტი სეიმმა უცვლელად დაამტკიცა. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა შემდეგი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას. აკ. ჩხენკელი — მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი. ნ. რამიშვილი — შინაგან საქმეთა მინისტრი, ა. ხატისოვი — ფინანსთა მინისტრი, ხ-ბ მელიქ-ასლანოვი გზათა მინისტრი; ფ. ხ. ხოისკი — იუსტიციის მინისტრი; გრ. გიორგაძე — სამხედრო მინისტრი; ნ. ხომერიკი — მიწათმოქმედების მინისტრი; ნ-ბ უსუბეკოვი — სახალხო განათლების მინისტრი; მ. გაჯინსკი — ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი; ა. საკიანი; სასურსათო საქმეთა მინისტრი; რ. კაჩაზნუნი — სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი;

ა. ერზინკიანი — შრომის მინისტრი; ი. ბ. ჰაიდაროვი — სახელმწიფო კონტროლიორი [54, 229].

ამიერკავკასიის დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკას შექმნის დღიდან გადაუჭრელ პრობლემად ექცა საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. გერმანოფილური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რაც ცხადი გახდა იმთავითვე. გარდა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისა, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს სიმტკიცეს დიდად ვნებდა ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი — ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანლებს მწვავე სასაზღვრო დავა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ქართველი სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა ერთადერთ სწორ ნაბიჯს წარმოადგენდა [96, 37-38].

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავდაცვის კომიტეტი, 1918 წ. 30 აპრილით დათარიღებულ წერილში, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას საიდუმლოდ ატყობინებდა, იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის გამოცხადებამ საქართველოს ბევრი მალული და ცხადი მტრები მოუვლინა. ამ ძალების მიზანი სეიმის მოსპობა და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გაუქმება იყო. საფრთხე საქართველოს ეროვნულ საბჭოსაც ემუქრებოდა. ამ საფრთხის ასაცილებლად თავდაცვის კომიტეტმა, მიიღო ზომები ეროვნულ საბჭოსთან სადარაჯო რაზმის დაარსების შესახებ. თავდაცვის კომიტეტის გადაწყვეტილებით, „სადარაჯო რაზმი 50 კაცისაგან შედგებოდა, მათ დაურიგდებოდათ იარაღი, ხოლო რაც შეეხებოდა ბინას, ეროვნულ საბჭოსთან — ქართველთა დარბაზში ეჭნებოდათ“ [32, 5].

ამიერკავკასიასა და საქართველოში შექმნილი რთული შინა-პოლიტიკური ვითარება დაუყოვნებლივ მოითხოვდა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა კონსტიტუციის შემუშავებას და მასში შემავალი სამი ძირითადი ერთეულის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას. ამ საკითხებთან დაკავშირებით დიდი პოლემიკა მიმდინარეობდა ქართული პრესის ფურცლებზე, გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნე-

ბულ წერილში — ფედერაცია თუ კონფედერაცია, ვკითხულობთ: „შესაძლებელია პოლიტიკური და საერთაშორისო პირობები ისე მოეწყოს, რომ ჩვენ ამიერკავკასიის დანაწილებაც მოგვიხდეს და საქართველოს ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადებას დავუჭიროთ მხარი... დღევანდელ პირობებში კი ჩვენ სასარგებლოდ არ ვთვლით ამიერკავკასიის სრულ დანაწილებას. სტატიაში კარგად არის წარმოჩენილი სოციალ-დემოკრატთა შეხედულება ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხთან დაკავშირებით — განხილულია კონფედერაციული და ფედერაციული სახელმწიფოს ფორმები. „ფედერაცია, — სოციალ-დემოკრატთა აზრით, გულისხმობს ისეთ წყობილებას, როცა ცალკე ნაწილები დამოუკიდებლად განაგებენ შინაურ საქმეებს, მაგრამ საერთო მიზანში მჭიდროდ არიან ერთმანეთზე დაკავშირებული. ფედერაციის არც ერთ წევრს ნება არა აქვს საერთო დადგენილებას არ დაემორჩილოს, კანონმდებლობის ერთგვარი მინიმუმი ყველასათვის სავალდებულოა. თუ როგორი იქნება ეს მინიმუმი ეს საერთო შეთანხმებაზეა დამოკიდებული. კონფედერაცია — ეს ნებაყოფლობითი კავშირია და როცა მოესურვება ცალკე წევრს, მაშინვე ტოვებს მთელს და ცალკე გადის. კონფედერაციიდან ერთი ნაბიჯია სრულ გამოცალკევებამდის“ [133]. აქედან გამომდინარე სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერდნენ ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფედერაციულ ფორმას, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ამიერკავკასიის სახელმწიფოს კონსტიტუციის პროექტის შესადგენად შეიქმნა კომისია. სულ კომისიაში 24 კაცი უნდა შეეყვანათ. აქედან ხუთ-ხუთ წევრს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოები აირჩევდნენ. ხოლო დანარჩენ ცხრას, ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა დანიშნავდა [7, 113].

1918 წლის 2 მაისს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიის ქართველ წევრებად აირჩიეს: გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, შ. მესხიშვილი, რ. არსენიძე, ი. გობეჩია [4, 59].

აღნიშნული საკითხების განხილვას ეროვნულმა საბჭომ დიდი ყურადღება დაუთმო. 1918 წ. 9 მაისს ეროვნული საბჭოს მე-

14 სხდომაზე ამიერკავკასიის სახელმწიფოს კონსტიტუციის შედგენის პარალელურად გადაწყდა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენა. პარტიათა წარმომადგენლები ბევრ პრინციპულ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საკითხმა ამიერკავკასიის რესპუბლიკის პოლიტიკური ფორმის განსაზღვრის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, სხდომაზე თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ, რომელთა შორის ერთნი უპირატესობას ანიჭებდნენ ფედერაციას, ხოლო მეორენი კონფედერაციას [7, 113-118].

1918 წლის 12 მაისს, ეროვნული საბჭოს მე-15 კრებაზე, საქართველოს კონსტიტუციის შესახებ მოხსენებით წარსდგა სერგო ჯაფარიძე (სოციალ-დემოკრატი). ვინაიდან დროის სიმცირის გამო, კომისიამ ვერ მოახერხა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენა, სხდომაზე პროექტის ძირითადი დებულებები წარმოადგინა. განიხილებოდა სახელმწიფოს მოწყობის 2 ფორმა. ფედერაცია და კონფედერაცია. სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს მოწყობის ფედერაციულ ფორმას. ეროვნულ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოდიოდნენ. ეროვნულ-დემოკრატთა სახელით მოხსენებით გამოსულმა გ. გვაზავამ სხდომაზე წარმოადგინა პარტიის დადგენილება: ა) საქართველო უნდა გამოცხადდეს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ, ბ) კავკასიის სახელმწიფოთა საერთო საქმეების მოსაწესრიგებლად, კავკასიის სახელმწიფოთა წარმოადგენლებისაგან დაარსდეს მუდმივი ორგანო“ [7, 103-110].

ამიერკავკასიისა და საქართველოს კონსტიტუციების საკითხთან დაკავშირებით შეთანხმება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ვერც 1918 წ. 16 მაისს გამართულ სხდომაზე შეძლეს. ვიდრე ეროვნული საბჭო ამ საკითხებზე მსჯელობდა რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში, 1918 წ. 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელაგაციას აკ. ჩხენკელი მეთაურობდა. კონფერენციას ესწრებოდნენ გერმანიის წარმომადგენლებიც გენერალ ფონ ლოსოვის მეთაურობით. პირველსავე შეხვედრაზე თურქეთმა, სამხედრო მიღწევებით გათამამებულმა, წამოაყენა უფრო მძიმე პირობები, ვიდრე ითვალისწინებდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება.

მან დამატებით წარმოადგინა განსაკუთრებული პროექტი, რომელიც უნდა დადებოდა საფუძვლად ბათუმის მოლაპარაკებას.

1918 წ. 12 მაისს აკ. ჩხენკელი ნ. რამიშვილის სახელზე საიდუმლოდ გამოგზავნილ წერილში საუბრობდა ოსმალეთის პროექტის შესახებ, რომლის მიხედვით: 1. თურქები მოითხოვდნენ – ყარსის, არდაგანისა და ბათუმის გარდა გადასცემოდათ ახალქალაქი, ახალციხე და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრა, სადაც სომხების კომპაქტური მოსახლეობა ცხოვრობდა. 2. თურქები თავის თავზე იღებდნენ წესრიგის დამყარებას ამიერკავკასიაში. 3. მოითხოვდნენ რკინიგზის მთლიანად მათთვის გადაცემას [11, 3].

აკ. ჩხენკელი იმავე წერილში იმედს გამოთქვამდა, რომ გერმანია მხარს დაუჭერდა ამიერკავკასიის დელეგაციას იმ შემთხვევაში, თუ ეს პროექტი არ გახდებოდა პოლიტიკური დებატების საგანი, რადგანაც გახმაურებით და მოულოდნელი გადაწყვეტილებებით ჩვენ თვითონ გავუძნელებდით გერმანიის დელეგაციას საქმეს. იმ შემთხვევაში, თუ გერმანელები არ დაგვიჭერდნენ მხარს, რა გზას უნდა დადგომოდა ქართველი ერი? - „ერთადერთი გზაა, - წერდა აკ. ჩხენკელი, - ომში არ გაერიო. ომი ყელს გამოსჭრის ერს, მოსპობას უქადის... ოსმალეთს სურს, სომხები არ იყოს წევრი ამიერკავკასიის ფედერაციისა. თუ თავისი პროექტი სისრულეში მოიყვანა, ეს ნიშნავს იმას, რომ გერმანია მას დაეთანხმება, როგორც ოსმალეთის საზღვრებში წინეთ. ამ შემთხვევაში ჩვენ უძლურნი ვართ და უფრო იმიტომ რომ თათრები ჩვენთან არ არიან“ [11, 3].

ბათუმში დაწყებულმა მოლაპარაკებებმა აშკარა გახადა სეიმის წამყვან პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული უთანხმოების სიღრმე. მუსავატელები აშკარად მიიწევდნენ თურქეთისაკენ. არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის რეალურ საშუალებად საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა, დახმარება და მფარველობა ეთხოვა გერმანიისათვის. ბათუმიდან გამოგზავნილი ორი წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს ერთადერთ შესაძლო მოკავშირედ გერმანია მიაჩნდა აკ. ჩხენკელსაც.

1918 წ. 14 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, სხდომა გ. ლასხიშვილის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. მდივნობდა დავით ნახუც-

რიშვილი. ესწრებოდნენ: გიორგი გვაზავა, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე ხომერიკი, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ რცხილაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე. გარდა ალმასკომის წევრებისა სხდომას ესწრებოდნენ: შალვა მესხიშვილი, გერონტი ქიქოძე და აკაკი პაპავა. ალმასრულებელი კომიტეტის წინაშე მოხსენებით წარსდგა გ. გვაზავა. მისი მოხსენების შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭოს ალმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, ბათუმში აკ. ჩხენკელისათვის სახელმძღვანელოდ გაეგზავნა შემდეგი დადგენილება:

1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს გენერალ ფონ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა, ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანიამ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხების, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს მიიღოს სათანადო ღონისძიება, რომ გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდილო-კავკასიაში, რათა იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილი იქნას გარედან მოსალოდნელი რაიმე საფრთხისაგან.

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს, რაც შეიძლება მალე, სამშობლოში სამხედრო წესით დარაზმულად დაბრუნებას.

4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დატოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთ მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შეეძლოს საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ეს ჯარი შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად [4, 67].

1918 წ. 15 მაისს აკ. ჩხენკელმა მესამე საიდუმლო წერილი გამოაგზავნა ეროვნული საბჭოსა და ნოე რამიშვილის სახელზე. საიდანაც ირკვეოდა, რომ ოსმალეთის დელეგაციის წევრები ხალილ-ბეი და ვეჰიბ ფაშა დაჟინებით მოითხოვდნენ მათი ჯარების შეუფერხებლად გატარებას რკინიგზით ჯულფის მიმართულებით. აკაკი ჩხენკელმა კატეგორიული პროტესტი განუცხადა ოსმალეთი-

სა და გერმანიის დელეგაციებს. საქართველო მხოლოდ იმ პირობით გაატარებდა ჯარებს, თუ საზღვრების საკითხი ბრესტის ზავის ნიადაგზე გადაიჭრებოდა. აკაკი ჩხენკელის ეს განცხადება მიზნად ისახავდა დაენახათ ოსმალებსა და გერმანელებს, რომ დელეგაციის წევრები თავიანთ გადაწყვეტილებებზე მტკიცედ იდგნენ [11, 5].

მიუხედავად აკაკი ჩხენკელის ამ განცხადებისა, როდესაც თურქეთი დარწმუნდა, რომ მისი მოკავშირე გერმანია მხარს არ დაუჭერდა აშკარა მოქმედებაზე გადავიდა. თურქეთის ჯარები ალექსანდროპოლისაკენ დაიძრნენ.

ამჯერად გერმანიის სამხედრო წრეებიც დარწმუნდნენ, რომ ოსმალეთის მთავრობა უფრო კავკასიაში თავის პანისლამისტურ მიზნებზე ფიქრობდა, ვიდრე ინგლისთან ომზე. აღშფოთებულმა გერმანიის გენშტაბის უფროსმა გენერალმა ლუდენდორფმა დაავალა ოსმალეთის გენშტაბის უფროსის მოადგილეს, გენერალ ფონ სექტს, რომ ენვერ ფაშას ტერიტორიული პრეტენზიები მოექცია ბრესტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში, შეეჩერებინა ოსმალთა შემდგომი წინსვლა ამიერკავკასიაში და აქ გამოთავისუფლებული მათი ჯარები ირანსა და მესოპოტამიაში გადაეყვანა [60, 96].

ოსმალეთის მხრიდან საომარი მოქმედებების მიუხედავად, 15 მაისის წერილში, აკაკი ჩხენკელი ყოვლად მიუღებლად მიიჩნევდა ბრძოლის განახლებას. არ უნდა განმეორებულიყო ის ფაქტი, რაც 31 მარტს მოხდა. იმავდროულად შექმნილი ვითარებიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას სახავდა: „საქართველოს დამოუკიდებლობა — აი, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას, როცა აქაური მოლაპარაკება შეწყდება. შეწყდება იმიტომ, რომ ოსმალეთის პროექტი მიუღებელია. ეს მათ მშვენივრად იციან, მაგრამ მიზნად ხომ ჩვენი მთლიანობის დამხობა აქვთ“ [11, 5].

იმავე წერილში აკაკი ჩხენკელი ცდილობს დაასაბუთოს ამ მოთხოვნილებების აუცილებლობა. ომის შემთხვევაში ცხადი იყო, რომ თათრები ოსმალეთის მხარეს დაიკავებდნენ. სომხები კი არ შეურიგდებოდნენ თათრების გეგმას. სომხების წარმომადგენლების, ხატისოვისა და კაჩაზნესის განცხადებით, ისინი ომს გამართავდნენ

თუგინდ „მთელ მსოფლიოსთან“, რაშიც სომხებს ინგლისის მხარდაჭერის დიდი იმედი ჰქონდათ. ქართველები კი ამ გზას ვერ გაჰყვებოდნენ. სანამ ინგლისელები საქართველოში მოვიდოდნენ, ჩვენ ყველაფერს დავკარგავდით [11, 7].

ასეთ რთულ ვითარებაში, ხელისუფლების მართვის სადავეები სოციალ-დემოკრატებს უნდა აეღოთ. აკაკი ჩხენკელი მათ ასე მიმართავდა: „თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ, თუ არ შეგიძლიათ უკეთესია გადადგომა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერი დაიღუპება... საჭიროა გამბედაობა. ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია „ეროვნული გრძნობით გამსჭვალული შესძლებს ერის ხსნას“ [11, 8].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, - წერდა აკ. ჩხენკელი, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ამის თქმა ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა. დელეგაციის ნაწილს ჰქონდა იმედი, რომ ოსმალეთი დადებითად შეხვდებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ბათუმშივე შესაძლებელი გახდებოდა ზავის დადება. წინააღმდეგ შემთხვევაში აკაკი ჩხენკელი აპირებდა გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელ ფონ ლოსოვს გერმანიაში გაჰყოლოდა. ფონ ლოსოვს გადაწყვეტილი ჰქონდა ვილჰელმ II-თან და კანცლერთან საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით მოლაპარაკება გაემართა“ [32, 13]. როგორც ვხედავთ, სულ უფრო და უფრო მკვეთრად იკვეთებოდა გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკური კურსი.

საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. საქართველოს გერმანია სჭირდებოდა თურქეთის აგრესიისაგან თავდაცვისათვის, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ - დამოუკიდებლობის გარანტად. გერმანიას საქართველო სჭირდებოდა თავისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად. საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისათვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და თურქეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. გერმანიას სუსტი პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში და ამ რეგიონში წარმატების მოპოვება გარკვეულწილად გაუადვილდებოდა საქართველოში მტკიცე პოზიციების შექმნით [96, 44-45].

ბათუმის საზავო დელეგაციის მუშაობის პარალელურად, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ინტენსიურად მიმდინარეობდა მსჯელობა და მუშაობა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. 1918 წ. 16 მაისს, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რიგით 59-ე სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა ნ. ჟორდანია, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი. ესწრებოდნენ: გ. ლასხიშვილი, ნ. ხომერიკი, გ. გვაზავა, გ. ვეშაპელი, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, პ. საყვარელიძე, ვ. გობეჩია, კ. მესხი. მოწვეულები იყვნენ: ი. ლორთქიფანიძე და შ. მესხიშვილი [4, 68].

სხდომაზე პ. საყვარელიძემ შემოიტანა წინადადება - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას მოემზადებინა ნიადაგი [4, 68].

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ ხსენებული კომისიის პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრა მიანდო ნ. ჟორდანიას, გ. ლასხიშვილსა და გრ. ვეშაპელს. მათ მიერ, აზრთა გაზიარების შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისიის წევრებად დასახელდნენ: ნ. რამიშვილი, დ. ვაჩნაძე და შ. მესხიშვილი [4, 68].

აღმასრულებელმა კომიტეტმა იმავე სხდომაზე აირჩია მეორე კომისია, რომელშიც შედიოდნენ: ვლ. გობეჩია, შ. მესხიშვილი და გრ. ვეშაპელი. ამ კომისიას დაევალა შემდეგი მითითებების განხორციელება: 1. მთავრობასთან მოლაპარაკება და შეთანხმება საქართველოში ლტოლვილთა შემოსვლის შესაჩერებლად, შეიარაღებული ლტოლვილებისათვის იარაღის აყრა, 2. ქართულ ჯართან და სამხედრო სექციასთან კონტაქტის დამყარება, 3. აცნობოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს, თუ რა სირთულეებს ქმნის სომეხი ლტოლვილების შემოსვლა საქართველოში და გაარკვიოს რა ზომების მიღებას აპირებს მსგავსი გართულებების თავიდან ასაცილებლად [4, 68-69].

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია შექმნისთანავე მიზანმიმართულად შეუდგა მუშაობას. დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა კარგად ჰქონდათ გათავისებული ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს. ამ აქტის განხორციელებისათვის მოსამზადებელი იყო მრავალი საკითხი.

1918 წ. 17 მაისს გაიმართა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: გ. ვეშაპელი, კ. მესხი, პ. საყვარელიძე, გ. გვაზავა, ასევე მოწვეულები: დ. ვაჩნაძე, შ. მესხიშვილი, გენ. გაბაშვილი, პოლკ. კარგარეთელი, პოდპ. ზაქარიაძე. დღის წესრიგში იდგა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით სამთა კომისიის მოქმედების შესახებ საკითხის განხილვა. სამთა კომისიამ სხდომას გადასაწყვეტად წარუდგინა საკითხი: 1. ქალაქ თბილისის დაცვა ვის ჩაბარდეს, 2. რომელი ორგანო უხელმძღვანელებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამ საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა შემდეგი სახის დადგენილება მიიღო:

ა) უნდა გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები.

ბ) თბილისის კომენდატად და გარნიზონის უფროსად დაინიშნოს გენერალი ახმეტელი, მის თანაშემწედ პოლკოვნიკი ნაქერალიძე, რომელთაც უნდა იმუშაონ ქართული კორპუსის უფროსის გენერალ გაბაშვილის ხელმძღვანელობით [4, 71].

მეორე საკითხთან დაკავშირებით შემდეგი სახის დადგენილება მიიღეს:

საქართველოს დამოუკიდებლობის ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება იგივე კომისია და მოქმედებს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით [4, 71].

ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის მრავალმხრივი და ინტენსიური მუშაობის მიუხედავად, მდგომარეობა მეტად რთული იყო. გრძელდებოდა თურქთა ჯარების წინსვლა ამიერკავკასიის სიღრმეში. ამას დაემატა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინის განცხადება, რომელმაც მხარი დაუჭირა თურქეთის მთავრობას და იმავდროულად პროტესტით მიმართა გერმანიის მთავრობას, ამიერკავკასიის მთავრობასთან ურთიერთობის დამყარების გამო. 17 მაისს გერმანიის წარმომადგენელი ფონ-ლოსოვი ატყობინებდა აკაკი ჩხენკელს, რომ მან მიიღო ზომები თურქთა ჯარის შესაჩერებლად. მიუხედავად ამისა, 18 მაისს თურქთა ჯარებმა განახორციელეს შეტევა ალექსანდრეპოლზე და მოითხოვეს გზა ჯულფისაკენ [159, 24].

1918 წ. 18 მაისს ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა ხა-

ლილ-ბეიმ აკ. ჩხენკელს გადასცა მემორანდუმი, რომლის მიხედვით:

1. თურქეთი არავითარ შემთხვევაში არ სცნობს ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.
2. თურქეთმა კიდეც რომ სცნოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ეს სულაც არ ნიშნავს რომ თურქეთი უარს ამბობს ტერიტორიულ პრეტენზიებზე.
3. ამიერკავკასია არ წარმოადგენს ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელის მომწერ მხარეს, უფრო მეტიც, ამ ზავის დადებისას, ის არც წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამიტომ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ ფედერაციულ სახელმწიფოს უფლება არა აქვს გამოთქვას შენიშვნები ზავის პირობებზე, ან ამ პირობის სისრულეში მოყვანის წესზე [54,289-290].

აღნიშნული მემორანდუმი, ოსმალეთსა და ამიერკავკასიის საზავო დელეგაციებს შორის, მოლაპარაკების გაგრძელებას შეუძლებელს ხდიდა. ამასთანავე, მდგომარეობას უმწვავესად ართულებდა ამიერკავკასიის საქმეებში რუსეთის ჩარევა. ასეთ ვითარებაში, 19 მაისს, აკაკი ჩხენკელმა აცნობა გერმანიის დელეგაციის მეთაურს გენერალ ფონ-ლოსოვს, რომ რუსეთის ჩარევა ამიერკავკასიის საქმეებში მიუღებელია. იმავე დღესვე ამიერკავკასიის დელეგაციამ ფონ-ლოსოვის პასუხი მიიღო, რომელშიც იყო შეტყობინება იმის შესახებ, რომ იგი დახმარებასა და შუამდგომლობას გვპირდებოდა თურქეთთან საზავო მოლაპარაკებაში. მიუხედავად ამისა, თურქებს შეტევა არ შეუჩერებიათ. მათი ჯარები ლორესა და თბილისის დასაკავებლად მოიწევდნენ. ვითარება ძალზე გართულდა [159, 25].

აკაკი ჩხენკელი 15 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ წერილში ნოე ჟორდანიას ბათუმში ჩასვლას ითხოვდა. ამასთან დაკავშირებით ნოე ჟორდანია თავის მოგონებების წიგნში „ჩემი წარსული“ იხსენებს: „ბათუმიდან მივიღე დეპეშა ჩამოდიო. ჩავედი, დამხვდა შემაძრწუნებელი სურათი... მივედით იმ დასკვნამდე, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალი სეიმის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო“ [88, 68]. ამ გადაწყვეტილებით ნოე ჟორდანია 21 მაისს თბილისში დაბრუნდა.

1918 წ. 22 მაისს თბილისში ეროვნული საბჭოსა და აღმას-

რულებელი კომიტეტის სახელზე, აკაკი ჩხენკელისაგან გამოგზავნილი კიდევ ერთი საიდუმლო წერილი მიიღეს. ამ წერილში იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ პრესაში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა დისკუსია დამოუკიდებლობის საკითხზე. „როცა სამშობლო უფსკრულის პირას დგას, საჭიროა არა კინკლაობა, არამედ ყველა სასიცოცხლო ძალების კონცენტრაცია, რომ ერს არ მოაკლდეს თუ გინდ ერთი მუჭა ხალხის წვლილიც. როცა კითხულობ გაზეთებს ვერ გრძნობ თვით ერის მაჯისცემას, პრესა არ გამოხატავს მის სულისკვეთებას [32, 13].

აკ. ჩხენკელი ბათუმში უკანასკნელ წუთამდე ცდილობდა ზავის შეკვრას ამიერკავკასიის სახელით, მაგრამ აზერბაიჯანლებმა თავიანთი სეპარატიული საქმიანობით ძირი გამოუთხარეს დელეგაციის მუშაობას. ასეთ პირობებში საქართველოსათვის, მისი აზრით, რჩებოდა სამი შესაძლებლობა: ა) საქართველო აზერბაიჯანთან ერთად ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს, ეს ნიშნავს თურქების სრულ ბატონობას, რაც მიუღებელია. როცა აზერბაიჯანში თურქები სხედან და ამავე დროს არსებობს ამიერკავკასიის საერთო მთავრობა, ეს მოასწავებს ოსმალეთის ბატონობის იურიდიულ ცნობას, რასაც ფაქტიურად დაპყრობა მოჰყვება. ბ) საქართველო სომხეთთან ერთად ადგენს ერთ სახელმწიფოს, არ არსებობს ფაქტიურად სომხების ტერიტორია ამიერკავკასიაში, ვინაიდან ის თურქების ხელშია. შეუძლებელია, მაშასადამე, მათთან ერთად სახელმწიფოს შექმნა. კიდეც რომ არსებობდეს ეს ტერიტორია, მაშინაც არ შეიძლება სომხებთან სახელმწიფოებრივი კავშირი, ვინაიდან ეს მიუღებელია როგორც თურქებისათვის, ისე თათრებისათვის. დაპყრობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა. გ) საქართველოს დამოუკიდებლობა, აი ერთადერთი გამოსავალი. ამ შემთხვევაშიც არა ვართ დაზღვეულნი თურქების შემოსევისაგან, მაგრამ სწორედ ამ უბედურებას წინ უნდა უსწრებდეს დამოუკიდებლობის გამოცხადება [32, 13].

აკაკი ჩხენკელი იმავე წერილში ცდილობს დაასაბუთოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა. თავისი არგუმენტების განმტკიცებისათვის კი, ფონ-ლოსოვის ავტორიტეტსაც იშველიებდა. ფონ-ლოსოვს მასთან საუბარში განუცხადებია, რომ „დარჩენილია ერთადერთი გზა — საქართველოს დამო-

უკიდებლობის გამოცხადება“. მან აგრეთვე წერილით აცნობა თავის მთავრობას, რომ მთლიანი ამიერკავკასია აღარ არსებობს, იგი თურქეთის წინადადებამ მოსპო. დარჩა მხოლოდ საქართველო, რომელიც ხვალვე გამოაცხადებს დამოუკიდებლობას და ცნობას და მფარველობას ითხოვსო [32, 13].

საქართველოს თხოვნას მფარველობის შესახებ გერმანიის მთავრობა სიამოვნებით გამოეხმაურა, რადგანაც როგორც იგონებს ფელდმარშალი ლუდენდორფი, ამან თურქეთისაგან დამოუკიდებლად შესაძლებელი გახადა კავკასიური ნედლეულისა და რკინიგზების გამოყენება. „ამიტომ მე ვშუამდგომლობდი იმპერიის კანცლერის წინაშე საქართველოს თხოვნის დაკმაყოფილებისათვის [123, 182].

23 მაისს ბათუმიდან საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი ბოლო საიდუმლო წერილი მიიღო. წერილში იგი გამოთქვამდა იმედს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე გამოცხადებული იყო. ამასთანავე იძლეოდა რჩევას საქართველოს მთავრობის მიერ გასატარებელი პირველი ღონისძიებების შესახებ: „საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი შემდეგი უნდა იყოს: სთხოვოს გერმანიას მფარველობა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად. დადგენილება ამის შესახებ უნდა გადაეცეს გრაფ შულენბურგს. ყველაფერი ეს ხდება საიდუმლოდ. შულენბურგს მიეცემა აქედან ინსტრუქცია, რომლის ძალით, ის ამ თქვენს შუამდგომლობას გადასცემს თავის მთავრობას. შეიძლება პასუხის მოსვლამდე იკისროს გერმანიის იმპერიის წარმომადგენლის როლი. ამ შემთხვევაში ის გამოიყვანს თავის პატარა რაზმს — ტყვეებისაგან შემდგარს, შეეგებება მომხდომ თურქებს და გაუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფება. აქედან თურქებს არა აქვთ უფლება მისი ტერიტორია გადმოლახონ, მთავრობა მიღებს მეორე დადგენილებასაც, რომ ის ანდობს თავის წარმომადგენელს ბათუმში გაუკეთოს გერმანიის წარმომადგენელს საიდუმლო ხელშეკრულება როგორც მფარველობაზე, ისე ამ მფარველობის იურიდიულ ფორმაზე, აგრეთვე სხვა ხელშეკრულებანი დროებითი ხასიათისაა“ [32, 15]. იმავდროულად აკაკი ჩხენკელი არ გამორიცხავდა თურქების მხრიდან საომარი ოპერაციების გაგრძელებას. მან დეპეშა გამოუგზავნა გენერალ კვი-

ნიტაძეს, რომელშიც იყო შეტყობინება, თუ რა ზომები უნდა მიეღოთ სამხედრო თადარიგის მხრივ. მაგრამ იქვე ამატებდა: „ომი ამიერკავკასიის სახელით მომაკვდინებელია ჩვენთვის. მტერს წინააღმდეგობა შეიძლება გაეწიოს მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით“ [32, 15].

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მოღვაწე ჭეშმარიტად დიდი პატრიოტი და სახელმწიფო მოღვაწე წერილის ბოლოს ეროვნული საბჭოს წევრებს ასე მოუწოდებდა: „კიდევ ვიმეორებ ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია, ჩვენ გვიხსნის მხოლოდ გამბედაობა, სისწრაფე, მტკიცე ნაბიჯები. ბოლშევიზმი სამშობლოს ღალატია — ესაა ერთადერთი თქვენი ლოზუნგი. პანიკა შეუწყნარებელია. გამოიჩინეთ ნამდვილი სახელმწიფოებრივი სულის სიმშვიდე. ჩვენი ერი გამჭრიახია. შეიგნებს და დაემორჩილება სამშობლოს მხსნელ მთავრობას“ [32, 15].

1918 წ. 24 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი. თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხს, ნათლად ჩანდა სხდომის შემადგენლობიდან. სხდომას ყველა ფრაქციათა წარმომადგენელი ესწრებოდა. დაახლოებით 40 კაცი. მოხსენებით გამოვიდა ნ. ჟორდანია. მან ისაუბრა იმ უნუგეშო მდგომარეობაზე, რომელშიც ამიერკავკასიის დელეგაცია იმყოფებოდა. აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს აცნობა, რომ ოსმალეთში ამიერკავკასიის საკითხთან დაკავშირებით სამი მიმდინარეობა არსებობდა: პირველი — ვეჰიბ ფაშას მეთაურობით ადგას იმ აზრს, რომ საზავო მოლაპარაკების დროს ბრესტის ხელშეკრულების ნიადაგზე უნდა იდგნენ; მეორე - ტალათ ბეის მეთაურობით ცდილობს ამიერკავკასიას სხვა ნაწილებიც ჩამოერთვას; მესამე — ენვერ ფაშას მეთაურობით მოითხოვს, ოსმალეთს მთელი ამიერკავკასია შეუერთდეს. ოსმალეთის უკანასკნელი მოთხოვნილებანი ამ ორი ბოლო აზრის შეერთების ნაყოფია [20, 1].

იმავე სხდომაზე ნოე ჟორდანია საუბრობდა, რომ ოსმალეთი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ახალციხის მაზრის მისაერთებლად. თურქებს ჰყავდათ აგენტები, რომლებიც ეწეოდნენ პროპაგანდას

მუსლიმურ მოსახლეობაში. მათ შორის ცნობილი იყო ომა არეფენდი. იმავდროულად ახალციხის მუსლიმანურმა კომიტეტმა თურქეთის დელეგაციას გადასცა თხოვნა მაზრის დაუყოვნებლივ თურქეთთან მიერთების შესახებ. „ამის საპასუხოდ — ამბობდა ნოე ჟორდანია, - ჩვენ წარვუდგინეთ სტატისტიკური ცნობები, რომლის თანახმადაც 100 ათასიანი მოსახლეობიდან მუსლიმები მხოლოდ 26 ათასს შეადგენენ [20, 1].

24 მაისს სხდომაზე ნ. ჟორდანია გარკვეულ ყურადღებას ამახვილებდა იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, რომელიც არსებობდა გერმანიასა და საქართველოს დელეგაციას შორის. მისი გადმოცემით, განსაკუთრებით პატივისცემით ეპყრობოდნენ აკ. ჩხენკელს, აღიარებდნენ რა მის დიპლომატიურ ნიჭს და უნარს [20, 1].

ვითარება დღითიდღე იძაბებოდა. 25 მაისს ამირეკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარემ მიიღო გენერალ ფონ-ლოსოვისაგან შეტყობინება, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიის რესპუბლიკის მოსალოდნელ დაშლასთან დაკავშირებით ფონ-ლოსოვი აუცილებლად მიიჩნევდა პირდაპირი კავშირი ჰქონდა საკუთარ მთავრობასთან. ამ მიზნით იგი ტოვებდა ბათუმს და იმავე საღამოს გემ „მინნა ჰორნით“ მიემგზავრებოდა გერმანიაში [55, 75].

მოვლენები ეროვნულ საბჭოში შემდეგნაირად განვითარდა. 25 მაისს, 11 საათზე, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეიკრიბა. სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. მანვე სხდომის წევრებს გააცნო ბათუმიდან აკ. ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი 23 მაისით დათარიღებული საიდუმლო წერილი. აკაკი ჩხენკელი დაუყოვნებლივ მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ნოე ჟორდანიას განცხადებით, სეიმი იმავე დღეს 10 საათზე უნდა შეკრებილიყო, რომელიც ამიერკავკასიის დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკას დაშლილად სცნობდა. შემდეგი ნაბიჯი კი, ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იქნებოდა. სეიმის სხდომა 25 მაისს არ შედგა, რადგანაც მუსავატელთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ ჯერ არ განუხილავთ ეს საკითხი და არ შეუმუშავებიათ საერთო აზრი. რაც შეეხებოდა სომხებს, მათ სეიმის სხდომის გადადება მეორე დღისათვის მოითხოვეს [21, 1].

ამ მიზეზთა გამო, სეიმის სხდომა 1918 წ. 26 მაისს 12 საათ-

ზე გაიმართებოდა. სეიმის სხდომის დასრულების შემდეგ ეროვნული საბჭო გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას [21, 2].

ამ გადაწყვეტილების შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, გაიმართა მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის უნდა გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, ნაწილი წევრებისა იმ აზრზე იყვნენ, რომ დამოუკიდებლობა იმავე დღეს გამოეცხადებინათ. მათ დაუპირისპირდა ნოე ჟორდანია. მისი განმარტებით, იმავე დღეს დამოუკიდებლობის გამოცხადებით საქმე გართულდებოდა, რადგანაც ქვეყანაში ერთდროულად 2 მთავრობა იარსებებდა – ამიერკავკასიის და საქართველოს, რაც შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას იგი 26 მაისს ითხოვდა, რაც სავსებით ლოგიკური გადაწყვეტილება იყო [21, 2].

სხდომის წევრებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე კენჭი ეყარა საკითხს: „საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ“. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას 25 მაისს მხარი 6 კაცმა დაუჭირა, ხოლო 26 მაისს 4 კაცმა. გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობა 25 მაისს გამოცხადებულიყო. იმავდროულად ნოე ჟორდანიამ გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც იგი პასუხისმგებლობას მოსალოდნელი შედეგებისაგან იხსნიდა. კენჭისყრიდან მცირე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ დამოუკიდებლობის აქტი ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული, რის გამოც აქტის გამოცხადება მეორე დღისათვის გადაიდო [21, 2].

სხდომაზე ნ. ჟორდანიას წინადადებით გადაწყდა გარკვეულიყო ის საკითხები, რომელსაც 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაამტკიცებდნენ.

1. რა კანონები იმოქმედებდა საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.

გადაწყდა: დამოუკიდებელ საქართველოში დროებით იმოქმედებდა ყველა ის ძველი კანონი და სეიმის დადგენილება, რომელიც ამიერკავკასიაში იმ დრომდე მოქმედებდა.

2. ფინანსები.

ა) ფულის ბეჭდვის წესი დროებით, საკუთარი საფინანსო სისტემის შემუშავებამდე ძველი რჩებოდა.

ბ) სანამ ფულის სისტემა იქნებოდა ძველი ჩვენ საფინანსო დაწესებულებებში სომხებსა და აზერბაიჯანლებს საკუთარი წარმომადგენლები ეყოლებოდათ.

3. რკინიგზა.

რკინიგზის სამმართველო საქართველოს ხელში რჩებოდა, მხოლოდ სადაო საკითხები მეზობლებთან შეთანხმებით უნდა გარკვეულიყო.

4. ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია.

ა) აღმასრულებელი კომიტეტი უქმდებოდა.

ბ) ეროვნული საბჭო ახალ პრეზიდიუმს მეორე კრებაზე აირჩევდა.

გ) ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის საკითხის განხილვის წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვისათვის უნდა არჩეულიყო სამანდატო კომისია.

4. მთავრობის რეორგანიზაცია.

საქართველოს მთავრობაში 8 სამინისტრო უნდა დაარსებულიყო, ხოლო საკონტროლო ორგანო ცალკე შეიქმნებოდა.

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შემდეგი პირები უნდა შესულიყვნენ:

1. თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი.
2. საგარეო საქმეთა მინისტრი — აკაკი ჩხენკელი.
3. სამხედრო მინისტრი — გრიგოლ გიორგაძე.
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი — გიორგი ჟურული.
5. განათლების მინისტრი — გიორგი ლასხიშვილი.
6. მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი — ნოე ხომერიკი.
7. იუსტიციის მინისტრი — შალვა მესხიშვილი.
8. გზათა მინისტრი — ივანე ლორთქიფანიძე [21, 2].

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა მცირე კამათის შემდეგ სხდომაზე წარმოდგენილი ყველა წინადადება მიიღეს. სხდომის ბოლოს წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. გამოითქვა გარკვეული შენიშვნები, რის გამოც აქტის ტექსტის შესწორება ნოე ჟორდანიას დაევალა [21, 4].

აქვე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, თუ

როგორ პირობებში მომზადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შედგენის პროცესს ნოე ჟორდანია მოგონებებში ასე აღწერს: „გამოვყავით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოდ ამ საკითხში. მე ვთხოვე კომისიის წევრს გ. გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე, გავოცდი. სწორ, ნაციონალურ დებულებათა გვერდით წამოყენებული იყო სოციალური რეფორმების დებულებანი. რვა საათიანი სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვა. ასეთი მუხლები მე უადგილოდ მივიჩნიე, რადგანაც საჭირო იყო ისეთი ეროვნული პლატფორმის შემუშავება, რომელიც ყველა ქართველისათვის მისაღები იქნებოდა. მე გავასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასობრივი ხასიათის გამთიშველი ელემენტები. ეს პროექტი წარვადგინე კომისიაში. გ. გვაზავამ არაფერი მითხრა, მაგრამ სახეზე განცვიფრება და კმაყოფილება ამოვიკითხე. ალბათ მან გაიფიქრა — ეს საციმბირო რევოლუციონერი უფრო ზომიერი აღმოჩნდა ვიდრე მე. ამისათვის მისი გამტყუნება არ შეიძლებოდა, რადგანაც იგი ჩვენ არ გვიცნობდა“ [88, 89-90].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის ყველა პირობა იყო შემზადებული, მაგრამ რჩებოდა ფორმალური მხარე. კერძოდ, ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის აუცილებლობა. ამ ნაბიჯით საქართველოს დამოუკიდებლობას სამართლებრივი სახე მიეცემოდა.

1918 წ. 26 მაისს ამირკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე. დღის წესრიგში იდგა საკითხი საზავო მოლაპარაკების შესახებ, ვინაიდან ამიერკავკასიის სახელმწიფომ ბათუმში ვერ შეეძლო ოსმალეთისა და გერმანიის წინაშე ერთობის გამოჩენა, რეალური ხდებოდა ამიერკავკასიის სამ ეროვნულ სახელმწიფოდ გაყოფის აუცილებლობა [137].

სხდომაზე სეიმის წევრებს შორის აზრთა გაცვლის შემდეგ მიიღეს ი. წერეთლის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომელსაც მხარი სეიმის წევრთა უმრავლესობამ დაუჭირა. „ვინაიდან ომისა და ზავის საკითხებში ამიერკავკასიის ერთა შორის გამოაშ-

კარავდა ძირითადი წინააღმდეგობანი და შეუძლებელია ავტორიტეტული მთავრობის არსებობა, რომელიც მთელი რესპუბლიკის მცხოვრებთა სახელით ისაუბრებდა, სეიმი ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ამიერკავკასიის მთლიანობა ფაქტიურად დაირღვა და სეიმს დაშლილად აცხადებს. 26 მაისს, 3 საათზე ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაშლილად გამოცხადდა. სხდომის დამთავრებისთანავე სეიმის თავმჯდომარემ — კარლო ჩხეიძემ მსოფლიო ქვეყნებს მომხდარი ფაქტი აცნო [137].

ვინაიდან ამიერკავკასიის სამი ძირითადი ერის ფედერაციული კავშირის განმტკიცება არ მოხერხდა, ამიერკავკასიის სახელმწიფო 26 მაისს დაიშალა. ამ ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა ამ ერთა ნორმალური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება, რაც მომავალში მათ შორის მჭიდრო კავშირის საფუძველი უნდა გამხდარიყო.

§4. ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის გამოცხადება

1918 წლის 26 მაისს, კვირა დღეს, 4 საათსა და 50 წუთზე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გოლოვინის (დღეს რუსთაველის) გამზირზე, იმავე დარბაზში, სადაც თავისი უკანასკნელი სხდომა გამართა ამიერკავკასიის სეიმმა, ეროვნული საბჭოს XIX ისტორიული სხდომა გაიხსნა.

დარბაზში იმყოფებოდნენ ქართული საზოგადოების წარმოადგენლები, აგრეთვე უცხოელი სტუმრები. მათ შორის იყვნენ თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე სამღვდელოებასთან ერთად, გერმანიის მისიის ხელმძღვანელი გრაფი შულენბურგი, ქართველი მზედრობა [5, 127].

სხდომას ესწრებოდა ეროვნული საბჭოს 42 წევრი და 36 კანდიდატი, თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. პრეზიდიუმში იყვნენ: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე. სხდომას მდივნობდა ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი [5. 127].

ეროვნული საბჭოს სხდომა გახსნა ნოე ჟორდანიამ. მის გა-

მოჩენას დარბაზი მქუხარე აპოლოდისმენტებით შეეგება. მან სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომლის შინაარსი ყოველი ქართველისათვის დაუვიწყარი და საამაყო გახდა.

„მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის იშვიათის და ამავე დროს ტრაღიკულ აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგანაც ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა.

და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა“ [5, 127].

სიტყვის დასრულების შემდეგ 5 საათსა და 10 წუთზე ნოე ჟორდანიამ დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხა. დარბაზში დიდი სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა. ეროვნული საბჭოს წევრები და დამსწრე საზოგადოება ფეხზე ამდგარი დიდი ყურადღებით უსმენდა დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი პრეამბულისა და 7 მუხლისაგან შედგებოდა.

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებულ იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე [5, 127].

ნოე ჟორდანიას გამოსვლის დამთავრების შემდეგ დარბაზში ოვაციები არ ცხრებოდა, როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, თავმჯდომარის წინადადებით, ილია ზურაბიშვილი აივანზე გავიდა და იქ თავმოყრილი ხალხის წინაშე დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხა, გრიგორ ვეშაპელმა კი დარბაზში იმავე დროს დამოუკიდებლობის აქტი ეროვნული საბჭოს წევრებს რუსულ ენაზე გააცნო [5, 129].

დამოუკიდებლობის აქტის გაცნობის შემდეგ თავმჯდომარემ დასვა საკითხი — თანახმაა თუ არა კრება მიიღოს დამოუკიდებლობის აქტი?

ეროვნულმა საბჭომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ ყოველგვარი ცვლილებების გარეშე ერთხმად დაამტკიცა.

თავმჯდომარემ კრების წევრებს და კანდიდატებს თხოვნით მიმართა, სხდომის დასასრულს აქტზე ხელი მოეწერათ [5, 129].

1918 წ. 26 მაისის აქტით საქართველო დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო გახდა. ამ ისტორიული დოკუმენტის დედანი 2000 წლის სექტემბრამდე ცნობილი არ იყო. უფრო ზუსტად, დოკუმენტი, რომელიც 1918 წლის 26 მაისის აქტის დედნად იყო მიჩნეული, სინამდვილეში 1919 წლის 12 მარტს, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ხელახლა მიღებული დამოუკიდებლობის აქტის ორიგინალი აღმოჩნდა.

შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშემ გიორგი შარაძემ, 2000 წლის სექტემბერში, ქალაქ ციურიხში, ქართველოლოგ ლეა ფლურის კერძო კოლექციაში აღმოაჩინა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს მიღებული — საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და სხვა დოკუმენტები. ეს ისტორიული დოკუმენტები მან საქართველოში 2001 წლის მარტში ჩამოიტანა [105, 35].

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი დღეს საქართველოს

პარლამენტის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაშია წარმოდგენილი. აქტზე ხელისმომწერთა რიცხვი 88 კაცს შეადგენს.

დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ, ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს მთავრობის შემადგენლობა გააცნო:

1. ნოე რამიშვილი — მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი;

2. აკაკი ჩხენკელი — საგარეო საქმეთა მინისტრი;

3. გრიგოლ გიორგაძე — სამხედრო მინისტრი;

4. გიორგი ჟურული — ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი;

5. გიორგი ლასხიშვილი- სახალხო განათლების მინისტრი;

6. ნოე ხომერიკი — მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი;

7. შალვა მესხიშვილი — იუსტიციის მინისტრი;

8. ივანე ლორთქიფანიძე — გზათა მინისტრი [5, 129].

ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის შემადგენლობა ერთხმად დაამტკიცა. მთავრობაში წამყვანი ადგილი სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს. 8 მინისტრიდან 4 სოციალ-დემოკრატი იყო. საქართველოს პირველი მთავრობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობასა და განმტკიცებას ასეთი შემადგენლობით შეუდგა.

სხდომის დასასრულს, იმის გამო, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უქმდებოდა, რომლის ნაცვლად საბჭო პრეზიდიუმს აირჩევდა, გადაწყდა სამანდატო კომისიის შექმნა. კომისიას ევალებოდა ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვა. კომისიის წევრებად იმავე სხდომაზე აირჩიეს თევდორე კიკვიძე, რაჟდენ არსენიძე, შალვა მიქელაძე, იასონ ლორთქიფანიძე, გიზო ანჯაფარიძე, კალენიკე ქავთარაძე, გიორგი ქავთარაძე, გიორგი გვაზავა, ივანე ჩერქეზიშვილი [5, 130].

საქართველოს ეროვნული საბჭოს 26 მაისის ისტორიული სხდომა 5 საათსა და 55 წუთზე დასრულდა.

1918 წლის 26 მაისი ოქროს ასოებით შევიდა საქართველოს ისტორიაში. 117 წლის პოლიტიკური მონობის შემდეგ ქართველი ხალხის მარადიული იდეალი რეალობად იქცა. ქართველი

ერის გმირული ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის წარმატებით დაგვირგვინდა. გაერთიანებული ქართველი ხალხი აღსდგა და საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. დამოუკიდებლობის აღდგენას სრულიად საქართველო ზეიმობდა. ამ დიდ და მეტად მნიშვნელოვან საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღოდა ეროვნულ საბჭოს, რომელიც შექმნის დღიდან მოყოლებული განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საჭირო, სასიცოცხლო ღონისძიებებს.

თავი III

ეროვნული საბჭო – საქართველოს პარლამენტი

§1. ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ-საკანონმდებლო ორგანოდან საკანონმდებლო-მაკონტროლებელ ორგანოდ გადაქცნა

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დღის წესრიგში ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის და მისთვის საკანონმდებლო უფლებების მინიჭების საკითხი დაისვა. ამ საკითხთან დაკავშირებით, 1918 წლის 29 მაისს, ეროვნული საბჭოს II სხდომამ იმსჯელა. სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებით გამოვიდა რაჟდენ არსენიძე. სხდომამ ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილი სამი წინადადება განიხილა და შესაბამისი რეზოლუციებიც მიიღო [17, 5].

პირველი წინადადებით ეროვნული საბჭოს წევრებად დამტკიცდა წევრთა ის რაოდენობა, რომელიც ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია, აგრეთვე ამიერკავკასიის სეიმის ქართველი დეპუტატები, რომლებიც ეროვნული საბჭოს 1918 წლის 11 თებერვლის დადგენილების თანახმად აირჩიეს. სულ 88 წევრი.

მეორე წინადადებით ეროვნული საბჭოს წევრთა რიცხვი გაიზარდა ასოცამდე და ეს გაზრდა ფრაქციების მიხედვით სათანადო პროპორციით განხორციელდა. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას – 17; სოციალისტ-ფედერალისტებს – 5; ეროვნულ-დემოკრატებს – 5; სოციალისტ-რევოლუციონერებს – 3; ალიონელთა ჯგუფს – 1; ხოლო რადიკალ-დემოკრატებს 1 წევრი დაემატა. იქვე რ. არსენიძემ განაცხადა, რომ მას ეროვნულ საბჭოს წევრთა სიაში რაფიელ ივანიცკის შეყვანა დაავიწყდა. აქედან გამომდინარე ეროვნულ საბჭოს წევრთა რიცხვი საბოლოოდ 121 კაცით განისაზღვრა.

მესამე წინადადებით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრე-

ბი სხვადასხვა ეროვნებათა უმცირესობის წარმომადგენელნი საქართველოს ეროვნულ საბჭოში მოსახლეობის რაოდენობის პროპორციის მიხედვით უნდა მიეღოთ. ხოლო თვით წარმომადგენლების მოწვევა ამ ერების ნაციონალურ საბჭოებთან შეთანხმებით განხორციელდებოდა [17, 5-8].

1918 წლის 29 მაისს მიღებული დადგენილებით ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გაუქმდა. იმავე სხდომაზე განიხილეს პრეზიდიუმის არჩევის საკითხი, რომლის შემადგენლობა 5 კაცით განისაზღვრა: თავმჯდომარე, მისი ორი ამხანაგი (მოადგილე), მდივანი და მდივნის ამხანაგი. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ნიკოლოზ ჩხეიძე [17, 10].

ეროვნული საბჭო, რომელიც 1917 წლის 22 ნოემბრიდან 1918 წლის მაისამდე ფაქტობრივად საქართველოს მთავრობას – აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საკანონმდებლო ორგანო გახდა.

ეროვნული საბჭო, როგორც საკანონმდებლო ორგანო, შემდეგი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია: ჟორდანია ნოე, წერეთელი აკაკი, ჩხეიძე ნიკოლოზ, გეგეჭკორი ევგენი, რამიშვილი ნოე, ჩხენკელი აკაკი, ჯიბლაძე ვლადიმერ, რამიშვილი ისიდორე, გიორგაძე გრიგოლ, ლომთათიძე ალექსანდრე, მახარაძე გერასიმე, არსენიძე რაჟდენ, თევზაია ვიქტორ, ჯიბლაძე სილიბისტრო, ხომერიკი ნოე, ერაძე გიორგი, ანდრონიკაშვილი კონსტანტინე, ონიაშვილი დავითი, ანჯაფარიძე გიორგი, ჩიხლაძე რაფიელ, აბაშიძე ჰაიდარ, გაგლოევი გიორგი, ჯუღელი ვლადიმერ, ახმეტელაშვილი ვლადიმერ, გვარჯალაძე კონსტანტინე, მაისურაძე ალექსანდრე, ჭიაბერაშვილი ანდრია, გელეიშვილი პეტრე, კანდელაკი კონსტანტინე, ელიავა ნიკოლოზ, ტროიშელიძე მინადორა, ცინცაძე გიორგი, ჯაფარიძე სერგი, სალუქვაძე ანანია, სალაყაია იოსები, კლიმიაშვილი მიხეილი, ნინიძე კირილე, ფარნიევი ალექსანდრე, თოფურიძე დიომიდე, დგებუაძე ალექსანდრე, ნათაძე ლეო, მამულაიშვილი არსენ, ცინცაძე ნოე, მგელაძე ვლასა, წულაძე ვასილ, რუსია მელიტონ, მაჭარაძე ნიკოლოზ, ლორია ფილიპე, ჟღენტი ბიქტორ, ბადრიძე ილია, შარაშიძე დავით, ნინიძე ბიქტორ, ცაბაძე ვასილ, იობაშვილი ნიკოლოზ, გოგელია ილია, კიკვაძე თედორე, საბახტარიშვილი

კონსტანტინე, ურატაძე გრიგოლ, წულუკიძე იუნუს, თევზაძე სარდიონ, მარუაშვილი იოსებ, დოლიძე სოლომონ, სადაგაშვილი გიორგი, ელიაძე სტეფანე, მიკირტუმოვი ბაგრატი, ვარდოიანც მიკირტიჩ, სოლოღაშვილი ოლღა.

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია: რცხილაძე გრიგოლ, ბარათაშვილი იესე, ფირცხალავა სამსონი, მდივანი სვიმონ, ბაქრაძე იასონ, წერეთელი ალექსანდრე, უზნაძე დიმიტრი, დადიანი სამსონი, გედევანიშვილი იოსები, ღლონტი თევდორე, მიქელაძე შალვა, ნუცუბიძე შალვა, ჯაჯანაშვილი არჩილ, ტოროტაძე ერასტი, ფაღავა აკაკი, ყაუხჩიშვილი მიხეილი.

ეროვნულ-დემოკრატთა ფრაქცია: ნიკოლაძე ნიკოლოზ, ჭიქოძე გერონტი, გვაზავა გიორგი, ამირეჯიბი შალვა, ვაჩნაძე დავით, კედია სპირიდონ, ვეშაპელი გრიგოლ, თაყაიშვილი ექვთიმე, ქარუმიძე შალვა, ლორთქიფანიძე იასონ, წერეთელი ვასილ, ჯავახიშვილი დიმიტრი, გაბაშვილი რევაზ, მაჩაბელი მიხეილ, მაჭავარიანი იოსებ.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია: მესხი კონსტანტინე, ნათაძე გრიგოლ, გობეჩია ვლადიმერ, ჩერქეზიშვილი ივანე, გობეჩია იოსებ, გობეჩია ივანე, აბაკელია იოსები, ჯავრიშვილი კონსტანტინე, შეგნელაია ლეო, ფაჩუაშვილი მიხეილი, ვარაზაშვილი ივანე, კაკაბაძე ილია.

ალიონელთა ჯგუფი: საყვარელიძე პავლე, ქავთარაძე პეტრე, გომართელი ივანე, ქავთარაძე კალენიკე, შარაშიძე შალვა.

უპარტიოთა ჯგუფი: აფხაზი კონსტანტინე, მაყაშვილი კონსტანტინე.

რადიკალ-დემოკრატთა ფრაქცია: ჩიქოვანი დავით.

ამრიგად, რეორგანიზაციის შემდეგ ეროვნული საბჭოს შემადგენლობა 121 კაცით განისაზღვრა: სოციალ-დემოკრატებმა საბჭოში 68 ადგილი დაიკავეს, სოციალისტ-ფედერალისტებმა – 16, ეროვნულ-დემოკრატებმა – 15, სოციალისტ-რევოლუციონერებმა – 12, ალიონელთა ჯგუფმა – 5; უპარტიოთა ჯგუფი – 2; რადიკალ-დემოკრატი – 1 [17, 5-7].

ეროვნულმა საბჭომ ხანმოკლე, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი მოღვაწეობის მანძილზე (1918 წლის 26 მაისიდან 1918 წლის 1 იანვრამდე) სულ 128 კანონი მიიღო. იმავდროულად 1918 წლის

26 მაისს, ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით, დროებით ძალაში დარჩა ყველა ის ძველი კანონი და სეიმის დადგენილება, რომელიც ამიერკავკასიაში იმ დრომდე მოქმედებდა.

1918 წ. 1 ივნისს ეროვნული საბჭოს III სხდომამ პრეზიდიუმის შემადგენლობა დაამტკიცა. თავმჯდომარის მოადგილეებად დასახელდნენ იესე ბარათაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი. მდივნად დავით ონიაშვილი, მდივნის ამხანაგად (თანაშემწე) იოსებ აბაკელია. იმავე სხდომაზე სხვადასხვა საქმეთა გასაძღოლად საბიუჯეტო და საფინანსო, სამხედრო, აგრარული, მუშათა, იურიდიული კომისიები დაარსდა [17, 10-11]. კომისიათა რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა.

ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონების პრაქტიკული განხორციელების აუცილებლობა ქვეყანაში ძლიერი ხელისუფლების არსებობას მოითხოვდა. 1918 წ. 15 ივნისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა, ეროვნული საბჭოს წევრებს გაწეული მოღვაწეობის შედეგები და სამომავლო პროგრამა გააცნო. მთავრობის მიერ წარმოდგენილი დეკლარაციის გამო გაიმართა კამათი. რამაც ეროვნულ საბჭოში შემავალი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები 2 ნაწილად გაყო. დაპირისპირება მათ შორის შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკის განსაზღვრის საკითხმა გამოიწვია [17, 19].

მთავრობის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციას განსაკუთრებით დაუპირისპირდნენ ეროვნულ-დემოკრატები. მათ დაგმეს მთავრობის სამხედრო, აგრარული და ფინანსური პოლიტიკა. მათი სახელით სიტყვით გამოსული გ. ვეშაპელი არსებულ მთავრობის გარდამავალ მთავრობად მიიჩნევდა, ხოლო ეროვნულ-დემოკრატთა მომავალ პოლიტიკურ დამოკიდებულებას მთავრობასთან შემდეგი სახით აფიქსირებდა. „ჩვენ კრიტიკას გავუწევთ მთავრობას მანამდის, სანამ ძალთა განწყობილება ჩვენდა სასარგებლოდ არ შეიცვლება“ [136].

დავა მთავრობის დეკლარაციის გამო ეროვნული საბჭოს 16 ივნისის სხდომაზეც გაგრძელდა. ხანგრძლივი კამათისა და აზრთა დაპირისპირების შემდეგ, ეროვნულმა საბჭომ მთავრობის დეკლარაციის შესახებ სოციალ-დემოკრატთა მიერ წარმოდგენილი შემდეგი სახის რეზოლუცია მიიღო. „მოისმინა რა მთავრობის მოხსენება მისი სამოქმედო გეგმის შესახებ, საქართველოს ეროვნული

საბჭო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ მთავრობას სრულ ნდობას უცხადებს“ [7, 21].

ეროვნული საბჭოს მიერ მთავრობისადმი აღნიშნული მხარდაჭერის მიუხედავად, რთული პოლიტიკური ვითარების პირობებში, პოლიტიკურ პარტიათა შორის არსებულმა დაპირისპირებამ მთავრობის ნაადრევი კრიზისი გამოიწვია. ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას და ხელისუფლების სათავეში ისეთი პიროვნების მოსვლას მოითხოვდა, რომელიც საყოველთაო მხარდაჭერით ისარგებლებდა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 24 ივნისს ნოე რამიშვილი მთავრობის მეთაურის პოსტიდან გადადგა.

1918 წ. 24 ივნისს საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მთავრობის თავმჯდომარის წერილი (№7034), რომელშიც იყო შეტყობინება მთავრობის გადადგომის შესახებ. იმავდროულად სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება 24 ივნისს, 1 საათზე, ეროვნული საბჭოს საგანგებო სხდომა მოეწვიათ [16, 16].

1918 წლის 24 ივნისს ეროვნული საბჭოს მე-12 საგანგებო სხდომა გაიმართა. თავმჯდომარეობდა — თავმჯდომარის მოადგილე იესე ბარათაშვილი. მან ეროვნული საბჭოს წევრებს გააცნო მთავრობის განცხადება გადადგომის შესახებ. ამ საკითხის გამო სხდომაზე გაიმართა მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ალექსანდრე წერეთელი, კალენიკე ქავთარაძე, ივანე ჩერქეზიშვილი და ალექსანდრე ახმეტელი [17, 29].

მთავრობის გადადგომის აუცილებლობის მიზანშეწონილობა, როგორც სამართლიანად მიუთითებს შ. ვადაჭკორია, სოციალ-დემოკრატიამ ორი გარემოების გამო მიიჩნია: 1. ეროვნულ საბჭოს, რომელიც საქართველოს მოსახლეობის სრულ ნებას არ გამოხატავდა, პარლამენტის ოფიციალური არჩევნების ჩატარებამდე, რესპუბლიკის ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ძალების მხარდაჭერით, საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცების პასუხისმგებლობა უნდა ეტვირთა. 2) შინაური და გარეშე ძალების გააქტიურებამ ძლიერი მთავრობის შექმნის აუცილებლობა მოითხოვა. დასახული მიზნის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი თუკი პოლიტიკური პარტიებისაგან ნდობით აღჭურვილი პიროვნება ჩაუდგებოდა ხელისუფლებას სათავეში [69, 161].

1918 წ. 24 ივნისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე, პარტიათა წარმომადგენლებს შორის აზრთა გაზიარების შემდეგ ერთსულოვნად დასახელდა ნოე ჟორდანიას კანდიდატურა, რის შემდეგაც სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შემდეგი შინაარსის რეზოლუცია წარუდგინა სხდომას: „მოისმინა რა მთავრობის განცხადება მისი გადადგომის შესახებ, ეროვნული საბჭო საჭიროდ თვლის მიანდოს საბჭოს წევრს — ნოე ჟორდანიას ახალი მთავრობის შედგენა და ანიჭებს მას საგანგებო უფლებებს მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად და გასაერთიანებლად“. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ეროვნულ-დემოკრატებს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ხოლო ეროვნული საბჭოს სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა ერთხმად მიიღეს აღნიშნული რეზოლუცია. ამ გადაწყვეტილებით სხდომა დროებით შეწყდა და საღამოს 8 საათზე დაინიშნა [17, 29].

სხდომის განახლებისთანავე, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ეროვნული საბჭოს წინაშე, მთავრობის მომავალი მოქმედების გეგმის შესახებ სიტყვიერი განცხადებით გამოვიდა. რაც შეეხებოდა მთავრობის შემადგენლობას, მისი განცხადებით, ძველი რჩებოდა. ცვლილებები მხოლოდ მოადგილეებს ეხებოდა. მათი არჩევის საკითხი ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით მომავალი სხდომისათვის გადაიდო [17, 30].

ნოე ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ ეროვნულმა საბჭომ (გარდა ეროვნულ-დემოკრატებისა), მიიღო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება, რომლის მიხედვით ეროვნული საბჭო საქართველოს მთავრობას სრულ ნდობას უცხადებდა და იმავდროულად წამოყენებული მიზნების განხორციელებაში ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდა [17, 30].

ქვეყნის დემოკრატიული ძალები დაირაზმნენ ეროვნული მთავრობის გარშემო და შეუდგნენ საქართველოს აღორძინებისათვის ზრუნვას.

1918 წ. 21 ივნისს ეროვნული საბჭოს სხდომამ იმსჯელა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. სხდომაზე სიტყვით გამოსულმა რაჟდენ არსენიძემ ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის და კომისიების თავმჯდომარეთა შეერთებული კრების გადაწყვეტილება წარმოადგინა. საკანონმდებლო ორგანოს

მუშაობის მიმდინარეობის შესახებ სხდომამ საკითხი მცირე შესწორებით შემდეგი სახით მიიღო: „ეროვნული საბჭოს სხდომები გაიმართება კვირაში ორჯერ სამშაბათს და პარასკევს, დილის თერთმეტი საათიდან — ნაშუადღევის 3 საათამდე [17, 23]. 1918 წლის 2 ივლისს ეროვნული საბჭოს სხდომამ, ეროვნულ საბჭოს წევრთა საქმიანობის ანაზღაურების შესახებ იმსჯელა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით საბჭოს წევრს დღიურად 30 მანეთი ენიშნებოდა [17, 37]. ეროვნულ საბჭოს წევრთა გასამრჯელოს კანონის საბოლოო რედაქცია ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 5 ივლისს დაამტკიცა [17, 46].

1918 წლის 26 მაისის დადგენილებით, ქვეყანაში მთავრობის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანო ცალკე უნდა შექმნილიყო. აღნიშნული დადგენილება სისრულეში მოვიდა ეროვნული საბჭოს 1918 წლის 28 ივნისის დადგენილებით. კანონში სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შესახებ ვკითხულობთ.

მუხლი I. დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობა სახელმწიფო კონტროლიორისა.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს ეროვნული საბჭო, იგი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე.

მუხლი 2. უთანხმოებას რესპუბლიკის კონტროლიორსა და მთავრობას შორის არჩევს და სწყვეტს ეროვნული საბჭო.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ კანონების მუხლები, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება ამიერიდან გაუქმებულია.

იმავე სხდომაზე სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობაზე ერთხმად აირჩიეს სოციალისტ-ფედერალისტი ფილიპე გოგიჩაიშვილი [17, 34].

1918 წლის 28 ივნისის სხდომაზე აგრეთვე იმსჯელეს ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ. სხდომამ განიხილა და მიიღო რეგლამენტის 172 მუხლი და საბოლოო რედაქციისათვის გადასცა სარედაქციო კომისიას [17, 35]. კანონი რეგლამენტის შესახებ ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 5 ივლისს დაამტკიცა [17, 46].

ეროვნული საბჭოს რეგლამენტით განისაზღვრა: საბჭოს გახსნა და საბჭოს წევრთა რწმუნებულების შემოწმება, თანამდე-

ბობის პირთა არჩევა, საბჭოს კომისიები, საქმეთა განხილვის წესი, საზოგადო კრების სხდომის წესი (სხდომის დანიშვნა, გახსნა, შეწყვეტა და დახურვა), საქმეთა განხილვის წესი, მსჯელობის წესი, მსჯელობის შემოკლება და შეწყვეტა, საკითხის დასმა, კენჭის ყრის წესი, საბჭოს წევრთა პირადი მდგომარეობა, საბჭოს პრეზიდიუმი, რეგლამენტის გადასინჯვის წესი.

რეგლამენტის მიხედვით ეროვნული საბჭოს გახსნა და საბჭოს წევრთა რწმუნებულების შემოწმება შემდეგი წესით უნდა განხორციელებულიყო:

„მუხლი I. საბჭოს პირველ სხდომას გახსნის მისი უხუცესი წევრი, რომელიც მუდმივი თავმჯდომარისა და მდივნის არჩევამდე თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს. მდივნის თანამდებობას იმავდროულად შეასრულებს საბჭოს უხუცესი წევრი. მუხლი II. არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტი რიცხვის რწმუნებულებათა შემოწმებამდე და თავმჯდომარის და მდივნის არჩევამდე, საბჭო სხვა საკითხებს არ შეეხება. მუხლი III. საბჭოს წევრთა რწმუნებულების შესამოწმებლად საბჭო აირჩევს სამანდატო კომისიას“ [147].

თანამდებობის პირთა დანიშვნა რეგლამენტით შემდეგნაირად იყო განსაზღვრული. ეროვნული საბჭო, წევრთა ნახევარზე მეტი რიცხვის რწმუნებულებათა დამტკიცების შემდეგ, აირჩევდა თავმჯდომარეს, თავმჯდომარის 2 ამხანაგს (მოადგილეს), მდივანს და მდივნის ამხანაგს. დასახელებულ თანამდებობათა კანდიდატების არჩევა ფარული კენჭისყრის საფუძველზე განხორციელდებოდა. კანდიდატი ამორჩეულად ჩაითვლებოდა თუ ამომრჩეველთა ნახევარზე მეტ ხმას დააგროვებდა. იმ შემთხვევაში თუ კანდიდატები თანაბარ ხმას დააგროვებდნენ, მათი დანიშვნის საკითხს წყვეტდა თავმჯდომარე. თანამდებობის პირს ერთი წლის ვადით ირჩევდნენ [147].

ეროვნულ საბჭოსთან სხვადასხვა საქმეთა გასაძღოლად იქმნებოდა კომისიები, მათ ევალებოდათ საქმეების განხილვა ეროვნულ საბჭოში წარმოდგენამდე. კომისიები ფარული კენჭისყრის საფუძველზე იქმნებოდა. ეროვნული საბჭო ირჩევდა მუდმივ და დროებით კომისიებს.

საკანონმდებლო საქმეთა განხილვა შემდეგი წესით უნდა განხორციელებულიყო. კანონპროექტის შესახებ სათანადო კომისი-

ის მოხსენების შემდეგ, საქმეს ეროვნული საბჭოს სხდომა განიხილავდა. კანონპროექტი ორჯერ უნდა განეხილათ. პირველი განხილვით ძირითადი დებულებები ზოგადად განიხილებოდა, მეორე განხილვით თითოეული მუხლი ცალ-ცალკე. კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის შემდეგ თუ ეროვნული საბჭოს წევრები მიიღებდნენ კანონპროექტს, საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად სარედაქციო კომისიას გადაეცემოდა, ხოლო შემდეგ დასამტკიცებლად ეროვნული საბჭოს სხდომას მოხსენდებოდა [147].

რეგლამენტით აგრეთვე განისაზღვრა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა, მისი უფლება-მოვალეობანი:

„მუხლი 164. საბჭოს პრეზიდიუმს შეადგენს საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგები, საბჭოს მდივანი და მდივნის ამხანაგი.

მუხლი 165. პრეზიდიუმის მოვალეობაა ეროვნული საბჭოს მუშაობაზე მეთვალყურეობა სახელდობრ: ა) მოახსენოს ეროვნულ საბჭოს თავისი მოსაზრება მუშაობის შესახებ და თანახმად ამ მოსაზრებისა წარუდგინოს დასამტკიცებლად კრებას დღის წესრიგი. ბ) მისცეს დასკვნა რეგლამენტში აღნიშნულ საკითხებს. გ) განსაზღვროს თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს საბჭოს სახელზე შემოსულ ქაღალდებს. დ) განაგოს ეროვნულ საბჭოს წევრთა განთავისუფლების და იმ წევრთა საქმეები, რომელნიც სხდომებს არ ესწრებოდნენ. ე) გადაწყვიტოს საბჭოს კანცელარიის მოსამსახურეთა მიღების, დათხოვნისა და სხვა საკითხები.

მუხლი 166. პრეზიდიუმი შეიმუშავებს შინაგან წესრიგს იმ შემთხვევისათვის, რომელიც განსაზღვრული არ იყო რეგლამენტით, ან საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 167. პრეზიდიუმს თავისი უფლებებით, ან დაინტერესებული მხარის განცხადებით, შეუძლია გააუქმოს ეროვნული საბჭოს ყოველი ორგანოს ისეთი დადგენილება, რომელიც კანონს, რეგლამენტს, ან ეროვნული საბჭოს დადგენილებას ეწინააღმდეგება.

შემდეგი მუხლების მიხედვით, პრეზიდიუმის მოწვევის უფლება თავმჯდომარეს ენიჭებოდა. თავმჯდომარე ვალდებული იყო პრეზიდიუმი იმ შემთხვევაშიც მოეწვია, თუ მხოლოდ 2 წევრი მოითხოვდა, ხოლო პრეზიდიუმის სხდომა მხოლოდ იმ შემთხვევა-

ში ჩაითვლებოდა კანონიერად, თუ არანაკლებ სამი წევრი დაესწრებოდა. მათ შორის საბჭოს მდივანი ან მისი ამხანაგი [147].

ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონების გამოქვეყნების წესი 1918 წლის 11 ოქტომბრის კანონით განისაზღვრა, რომლის მიხედვით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გამოქვეყნება ევალებოდა მთავრობას „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა“ კრებულში. დასახელებული კრებულის გამოცემამდე კანონები მთავრობის ოფიციალურ ორგანო - „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდებოდა [29, 133].

ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონები ძალაში შედიოდა გამოქვეყნების დღიდან 7 დღის შემდეგ. ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდებოდა იმ შემთხვევაზე, თუ თვით კანონში მისი სწრაფად ასრულების მიზნით მითითებული იქნებოდა სხვა ვადა. დროებით, ვიდრე აღნიშნული კრებული დაარსდებოდა, კანონების გამოცემის საქმეს იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებული საკოდიფიკაციო განყოფილება უხელმძღვანელებდა [148].

1918 წ. 4 ოქტომბერს ეროვნული საბჭოს სხდომაზე საკანონმდებლო დაწესებულების სახელწოდების შეცვლის საკითხი დაისვა. საკონსტიტუციო კომისიამ, რომლის სახელითაც მოხსენებით წარდგა პ. საყვარელიძე საკანონმდებლო დაწესებულების სახელწოდებად „რესპუბლიკის დარბაზი“ წარმოადგინა. საკითხის განხილვას სხდომაზე ცხარე კამათი მოჰყვა. კამათში მონაწილეობდნენ: ალ. ლომთაძე, ი. ჩერქეზიშვილი, შ. მიქელაძე, რ. გაბაშვილი და ექ. თაყაიშვილი. თითოეულმა მათგანმა თავიანთი მოსაზრებები, დასაბუთებული არგუმენტაციით წარმოადგინეს. სხდომაზე ეროვნული საბჭოს სახელწოდებასთან დაკავშირებით სამი წინადადება განიხილეს. 1) სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ სახელწოდება „რესპუბლიკის დარბაზი“ შეცვლილიყო „საქართველოს პარლამენტით“. 2) სოციალისტ-რევოლუციონერები - „საქართველოს ეროვნულ საბჭოს“ ეწოდოს „საქართველოს სახალხო საბჭო“. 3. სოციალისტ-ფედერალისტები — „საქართველოს ეროვნულ საბჭოს“ ეწოდოს „საქართველოს რესპუბლიკის საბჭო“. ეს წინადადება მიაღებად მიაჩნდათ ეროვნულ-დემოკრატებსაც [23, 5-8].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა სხდომაზე წინადადება შემოიტანეს ეროვნული საბჭოსათვის

- „რესპუბლიკის დარბაზი“ ეწოდებინათ, რაც შეეხებოდა სახელწოდება „პარლამენტს“ — მათი განმარტებით, ზოგადი სახელი იყო და თავისთავად ევროპის ყველა ასეთ დაწესებულებას ნიშნავდა, იმავდროულად ყოველ მათგანს საკუთარი ეროვნული სახელი ჰქონდა: სიტყვა „დარბაზი“, - აცხადებდა პ. საყვარელიძე, ტრადიციულად გვაახლოებს საკანონმდებლო დაწესებულებასთან... ჩვენ პარლამენტში ჩვენი სახე უნდა ჩანდეს, ხოლო ევროპულ პარლამენტში ჩვენი შინაარსი უნდა შევიტანოთ. ამიტომ მე მომხრე ვარ სიტყვა „დარბაზისა“. სხდომაზე სოციალისტ-რევოლუციონერთა სახელით გამოსული გ. ჩერქეზიშვილი აცხადებდა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ უნდა დასმულიყო, რადგანაც ეროვნული საბჭოს სახელწოდების ცვლილება დამფუძნებელი კრების საქმე იყო. სახელწოდება პარლამენტის წინააღმდეგ გამოვიდა ექ. თაყაიშვილიც. „თუ საქართველოს სახელმწიფო გსურთ აღადგინოთ და განამტკიცოთ, თავი უნდა ანებოთ უცხო სიტყვების სესხებას და ის სახელი მიიღოთ, რომელიც ქართულიც არის და ამავე ბუნებას გამოხატავს“. დიდი დაპირისპირების მიუხედავად, ეროვნულმა საბჭომ 40 ხმით (30 წინააღმდეგი) მიიღო გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანოსათვის ახალი სახელწოდების - „პარლამენტის“ წოდების შესახებ და სათანადო შესწორებისათვის სარედაქციო კომისიას გადასცა [155].

1918 წ. 8 ოქტომბერს, ეროვნული საბჭოს 45-ე სხდომამ, განიხილა საბოლოო ტექსტი ეროვნული საბჭოს სახელწოდების შეცვლის კანონისა და უცვლელად დაამტკიცა. ამ კანონით ეროვნულ საბჭოს — საქართველოს პარლამენტი ეწოდა [30, 44].

ამრიგად, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოხდა ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია. გაუქმდა აღმასრულებელი კომიტეტი, აირჩიეს პრეზიდიუმი, გაფართოვდა საბჭოს შემადგენლობა. ეროვნული საბჭო რეორგანიზაციის შემდეგ აქტიურ საქმიანობას შეუდგა მის მიერ მიღებული კანონების განხორციელებისათვის. ეს კანონები ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განეკუთვნებოდა და ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას ისახავდა მიზნად.

§2. ეროვნული საბჭო 1918 წლის 26 მაისიდან დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, 1919 წლის 12 მარტამდე

დამოუკიდებლობის გამოცხადებით საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ამ ეპოქალური მოვლენის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი სოციალ-დემოკრატებმა შეასრულეს, ხოლო ცნობილი ეროვნულ-დემოკრატის გ. ქიქოძის სიტყვებით, „მისი მთავარი ხუროთმოძღვარი ნოე ჟორდანია იყო“ [169, 3-63]. ქართველი მენშევიკები ევროპაში ერთ-ერთი პირველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ, რომლებიც სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდნენ. ცნობილი ბელგიელი სოციალისტი ემილ ვანდერვალდე წერდა: ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი მეგობრებში, თუ სად, ევროპის რომელ ქვეყანაში შესდგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, ზოგი პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქზე — თბილისზე. მაშინ სწორედ ამ ქალაქში... დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილების მშენებლობა... და ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლისღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლებების აღიარებით, მისი სურვილითა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით [159, 20-33].

აქვე, ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ ქართული სოციალ-დემოკრატიის განვითარების ისტორიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

სოციალისტური დოქტრინის ცალკეული მიმდინარეობები საქართველოში XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან ვრცელდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოციალისტური თეორია XIX საუკუნის 90-იან წლებამდე ქართულ სინამდვილეში არ დამკვიდრებულა.

სოციალ-დემოკრატიის ჩასახვისა და განმტკიცების ისტორია (1892-1904 წწ.) შეისწავლა მკვლევარმა ვ. გურულმა. მისი დასკვნით XIX საუკუნის დამდეგიდან სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება ვრცელდება 2 ნაკადის სახით: დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიის (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ე. ბერნშტაინი, კ. კაუცკი და სხვები) იდეებისა და რუსული სოციალ-დემოკრატიის

(გ. პლეხანოვი, ვ. ლენინი) იდეების სახით. ამავე პერიოდიდან ქართული სოციალ-დემოკრატიის ნაწილი (ნ. ჟორდანია, ვლ. დარჩიაშვილი, ი. კაკაბაძე და სხვები) დადგა ევროპული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე, ხოლო მეორე ნაწილი (ფ. მახარაძე, ს. ჯიბლაძე, მ. ცხაკაია და სხვა), რუსულ სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე [64, 4].

1905 წლიდან ქართული სოციალ-დემოკრატია გვევლინება როგორც ძლიერი, კარგად ორგანიზებული და გავლენიანი პოლიტიკური ძალა, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ყველა პოლიტიკური ძალის გაერთიანების შედეგი იყო. ამ პროცესის წარმატებით დაგვირგვინებაში გადამწყვეტი როლი ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეასრულეს [71, 195].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გერმანიის დახმარებით განხორციელდა. ქვეყანამ საბოლოოდ უარყო რუსული ორიენტაცია და კურსი ევროპისაკენ აიღო. ეს ნაბიჯი დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგანაც პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და შეუძლებელი იყო იმის პროგნოზირება, რა შედეგებით დამთავრდებოდა. გერმანია ძალიან ცოტა ხანს იყო საქართველოს მოკავშირე, მაგრამ მიუხედავად ამისა ერთგული მოკავშირეობა გაუწია საქართველოს და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა-განმტკიცების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მთავრობის უპირველესი საზრუნავი ზავისა და მშვიდობის უზრუნველყოფა იყო. მართალია, 26 მაისს გამოცხადდა დამოუკიდებლობა, მაგრამ იარაღმოღერებული ოსმალეთი გაშიშვლებული ხმლით თავს დაადგა ახლადშობილ რესპუბლიკას და 27 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო იგივე ულტიმატუმი, რაც ამიერკავკასიის მთავრობას 26 მაისს წარედგინა [85, 32].

ასეთ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში, გერმანიის დახმარებით თურქეთთან საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით ნოე რამიშვილი და აკაკი ჩხენკელი დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ ფოთში, სადაც იმ დროისათვის გერმანიის დელეგაცია იმყოფებოდა.

1918 წლის 28 მაისს ფოთში გერმანიის იმპერიისა და სა-

ქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებათა პაკეტს. გერმანიის მიერ საქართველოსთან ხელშეკრულების დადება ნიშნავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტოდ აღიარებას, რაც გერმანიის იმპერიამ ოფიციალურად 1918 წ. 10 ივნისს დაადასტურა [101, 577].

ფოთში საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, გერმანიის დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა. აკაკი ჩხენკელი გერმანიის დელეგაციას ბერლინში გაჰყვა, რათა გაეგრძელებინა მოლაპარაკებები გერმანიის მთავრობასთან [101, 577].

29 მაისს, ეროვნული საბჭოს II სხდომაზე, გერმანიასთან და ოსმალეთთან მოლაპარაკებების შესახებ მოხსენება გააკეთა მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა. მისი გამოსვლის შემდეგ ეროვნულმა საბჭომ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება: მოისმინა რა მთავრობის ცნობა გერმანიასთან მოლაპარაკების შესახებ, საქართველოს ეროვნული საბჭო ადასტურებს მთავრობის ნაბიჯებს, სრულიად დარწმუნებული, რომ მთავრობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ყველ ღონეს იხმარს [17, 8].

ამ დადგენილების საფუძველზე, თურქეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ნოე რამიშვილმა ითავა. ქართული დელეგაციის მიერ ბათუმში გაწეული საქმიანობის შესახებ ცნობები დაცულია ნოე რამიშვილის მიერ საქართველოს მთავრობის სახელზე 31 მაისსა და 2 ივნისს გამოგზავნილ წერილებში.

31 მაისით დათარიღებულ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ შეხვდა თურქების დელეგაციის წარმომადგენლებს, ხალილ-ბეის და ვეჰიბ ფაშას. გარეგნულად თურქები ჩვენთან შეთანხმებაზე თანხმობას აცხადებდნენ, სინამდვილეში კი ძლიერ გაბრაზებულნი იყვნენ გერმანელების ჩვენს გზებზე ჩაყენებით და აკაკი ჩხენკელის გერმანიაში გამგზავრებით. ამ გარემოებების გათვალისწინებით ნოე რამიშვილი საქართველოს მთავრობას მზადყოფნისაკენ მოუწოდებდა: „ხვალ დანიშნულია მოლაპარაკება საზღვრების შესწორებაზე. ჩვენ გადავწყვიტეთ ზეკარი, აბასთუმანი, აწყური და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები არავითარ შემთხვევაში არ დავუთმოთ, საქმე ვაჭიანუროთ, შეიძლება ამ დროს რაიმე ბერლინიდან მოვიდეს.

მართალი ვთქვა მე არ მინდოდა არც ამის დათმობა, მაგრამ ამ შემთხვევაში განმარტოებული დავრჩი. იმედი შეთანხმების მაინც არ არის. ემზადეთ, ემზადეთ და ემზადეთ. მე ასეთი ბრძანება უკვე მივეცი მაზნიაშვილს [48, 1-4].

მიუხედავად რთული ვითარებისა, 2 ივნისით დათარიღებულ წერილში იყო შეტყობინება იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება თურქეთთან დაიწყო [48, 5].

ბათუმში საზავო მოლაპარაკება 4 ივნისს დასრულდა. „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება თურქეთს ბათუმის გარდა აკუთვნებდა მთელ მესხეთს, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით. აგრეთვე ომის დამთავრებამდე ოსმალეთს შეეძლო ჯარის გასაყვანად ჩვენი რკინიგზებით ესარგებლა და ბოლოს, ოსმალეთი აღიარებდა საქართველოს სუვერენიტეტს და პირობას იძლეოდა არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში [153].

ოსმალებისათვის აღნიშნული ტერიტორიების დათმობა საქართველოს მთავრობამ დროებით აქტად მიიჩნია. აქედან გამომდინარე, მთავრობა მოუწოდებდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მცხოვრებლებს გაგებით მოკიდებოდნენ მომხდარ ფაქტს, არ დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი, დარწმუნებული ყოფილიყვნენ იმაში, რომ მთავრობა იზრუნებდა მათ ბედზე [154].

ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულების შესახებ, ეროვნული საბჭოს 6 ივნისის სხდომაზე ვრცელი მოხსენებით სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე წარსდგა. მისი გამოსვლის შემდეგ ნოე ჟორდანიამ დასვა საკითხი შექმნილიყო კომისია, რომელიც განიხილავდა ხელშეკრულებას და მოხსენებას წარმოუდგენდა ეროვნულ საბჭოს. მხოლოდ ამ მოხსენების შემდეგ იმსჯელებდა ეროვნული საბჭო ზავის შესახებ. ნოე ჟორდანიას წინადადება ერთხმად მიიღეს, რის შემდეგაც 11 კაცისაგან შემდგარი კომისია აირჩიეს. კომისიაში შედიოდნენ: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, მელიტონ რუსია, ვლადიმერ გობეჩია, იესე ბარათაშვილი, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ ვეშაპელი, გერონტი ქიქოძე, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე აფხაზი, დავით ჩიქოვანი [17, 15].

გერმანიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო აღიარებას უარყოფითად შეხვდნენ ანტანტის ქვეყნები, განსაკუთრებით კი აშშ და ინგლისი. საქართველო-გერმანიის

დაახლოებას უარყოფითად შეხვდა საბჭოთა რუსეთიც, რადგანაც გერმანიის პოზიციების განმტკიცება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს ამიერკავკასიაში.

გერმანია-საქართველოს პარტნიორობის დადებით შეფასებაში ერთსულოვანნი იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ოპოზიციური პარტიის წევრებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ეროვნულ-დემოკრატები.

ამ განწყობილებაში დისონანსი მხოლოდ ბოლშევიკებს შეჰქონდათ. მათ, შეიძლება ითქვას, ლენინზე ადრე ჩამოაყალიბეს ფორმულა: საქართველოს დამოუკიდებლობა არის ამ ქვეყნის გაბატონებული კლასებისა და მმართველი წრეების კავშირი გერმანულ ხიშტებთან, რომლის მახვილი მიმართულია საქართველოს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. ქართველი მუშების შედარებით მცირე ნაწილი იზიარებდა ფაქტის ასეთ შეფასებას, ეჭვის თვალით უყურებდა საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ჯარის ყოფნას [58, 103].

ქართველი ხალხის მცირე ნაწილის ეს შიში შეუმჩნეველი არ დარჩენია გერმანიის წარმომადგენელ — ფონ კრესს, რომელსაც ნოე ჟორდანიასთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს განუცხადებია: „აქ ჩვენ მოვედით საქართველოს მთავრობის სურვილითა და თანხმობით. თუ ხალხი უარყოფითად შეხვდება გერმანელებს შეგვიძლია უკან გავბრუნდეთო“. ნოე ჟორდანიამ დაარწმუნა სტუმარი იმაში, რომ ყველაფერი გაუგებრობის ნაყოფი იყო. „გერმანელებს ჩვენ მეგობრებად ვთვლით, რომლებიც დახმარებას გვიწევენ საქართველოს დაცვაში გარეშე მტრებისგან“ [117, 94].

დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების გზაზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საერთაშორისო აღიარების მოპოვება წარმოადგენდა. საქართველოს მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა გერმანიისაგან საქართველოს დე-იურედ აღიარება მოეპოვებინა. ამ მიზნით საქართველოს დელეგაცია 1918 წ. ივნის-ნოემბერში ბერლინში იმყოფებოდა. გერმანიის მთავრობა ამ საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელ პირობად რუსეთის თანხმობას მიიჩნევდა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გერმანიის იმპერიასთან საქართველოს გამო ურთიერთობა არ გაამწვავა და დათმობა ამჯობინა.

1918 წ. 27 აგვისტოს საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის ხელმოწერილი დამატებითი ხელშეკრულების მე-13 მუხლში საქართველოს შესახებ აღნიშნული იყო: „რუსეთი თანახმაა, რომ გერმანიამ ცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმად“ [102, 378]. ამ მუხლით რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტიურად აღიარა. ამ აქტით გაიკაფა გზა ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისათვის.

ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა გერმანიაში მყოფი აკ. ჩხენკელი. მისი ხელმოწერით სხვადასხვა სახელმწიფოთა მეთაურებს გაეგზავნათ ნოტა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. 1918 წ. 15 ოქტომბერს შვეიცის მთავრობის წარმომადგენლის — ბრატინგის სახელზე გაგზავნილ ნოტაში, აკაკი ჩხენკელი, საქართველოს მთავრობის სახელით, იმედს გამოთქვამდა, რომ შვეიცის მთავრობა გვერდში დაუდგებოდა საქართველოს და ცნობდა მის დამოუკიდებლობას [50, 16].

17 ოქტომბერს ანალოგიური შინაარსის ნოტა გაეგზავნათ ინგლისისა და ამერიკის მთავრობათა ელჩებს შვეიცარიაში, რათა მათ გადაეცათ ისინი თავიანთი მთავრობისათვის. ნოტაში ამერიკის ელჩისადმი მიმართვას აკაკი ჩხენკელი შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „ჩემი მთავრობა დაიმედებულია, რომ დიდი რესპუბლიკის მთავრობა თანაგრძნობით შეხვდება და ცნობს კიდეც საქართველოს რესპუბლიკას, - ეს მით უფრო, რომ ის მაღალი პრინციპები თავისუფლებისა და სამართლიანობისა, რომლის მედგარ ქომაგად პრეზიდენტი ვილსონი გამოდის, სავსებით უდგება საქართველოსაც [9, 14-15].

საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილ ნოტებს თანაგრძნობით შეხვდნენ სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. პარლამენტის 1918 წ. 29 ოქტომბრის სხდომაზე ნოე რამიშვილმა პარლამენტის წევრებს ფრიად სასიხარულო ამბავი აცნობა. შვეიცარიის, შვეიცის და დანიის მთავრობებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს [17, 154]. იმავდროულად საქართველოს მთავრობის 1918 წ. 22 ნოემბრის დადგენილებით, აკაკი ჩხენკელი დაინიშნა საქართველოს საგანგებო სრულუფლებიან ელჩად ევროპის ყველა სახელმწიფოში საქართველოს ინტერესების დასაცავად [26, 1].

რაც შეეხება საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების პრო-

ექტს, 1918 წ. 3 ოქტომბრისათვის მზად იყო, მაგრამ გერმანიაში არსებული პოლიტიკური კრიზისი, მოგვიანებით ქვეყანაში დაწყებული რევოლუცია გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველო-გერმანიის ხელშეკრულება არ დადებულა. 1918 წ. 11 ნოემბერს პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. გერმანიის სამხედრო ძალებმა საქართველო დატოვეს. მათ ნაცვლად კი ინგლისელები მოვიდნენ.

პოლიტიკურ ძალთა ასეთი ცვლილებით, ყველაზე მეტად გაზარებული იყო სომხეთის ხელისუფლება, რადგანაც იმედოვნებდა ინგლისის მხარდაჭერით ამიერკავკასიაში გაბატონებულ მდგომარეობას დაიკავებდა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ სომხეთი გათამამდა და გადაწყვიტა ომი დაეწყო საქართველოს წინააღმდეგ, რათა სომხებით დასახლებულ ქართულ მიწებს ლორე-ბორჩალოს, ახალციხესა და ახალქალაქს დაუფლებოდა. სომხური მხარე საქართველოს ამ ისტორიულ ტერიტორიაზე თავისი პრეტენზიების გამართლებას მოსახლეობის რაოდენობით ცდილობდა.

1918 წ. 4 ივნისს საქართველო-თურქეთის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ოსმალეთმა დაიწყო ჯარის გაყვანა საქართველოდან, დაიცალა თბილისის გუბერნიის ნაწილი — ლორე-ბორჩალოს სამხრეთი, ახალქალაქის მაზრები. თურქეთის მიერ დატოვებული ეს რაიონები საქართველოს საკუთრებად გამოცხადდა, მან ჯარი შეიყვანა ამ ტერიტორიაზე. ლორეში ჯარი შეიყვანა სომხეთმაც. ლორეს იგი უცილობელ კუთვნილებად მიიჩნევდა, რადგან მოსახლეობის უმრავლესობას აქ სომხები შეადგენდნენ [113, 13].

1918 წ. 18 ოქტომბერს სომხეთის ჯარმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაარღვია საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი და თავს დაესხა ლორეს ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებულ ქართულ ჯარს.

ლორეში მომხდარი კონფლიქტის გამო, 1918 წ. 26 ოქტომბერს, საღამოს 8 საათსა და 35 წთ-ზე პარლამენტის საგანგებო სხდომა გაიმართა. სხდომას ექვთიმე თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა. საქართველოსა და სომხეთს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო ვრცელი მოხსენებით გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი

ნოე რამიშვილი. მისი განცხადებით, სომხეთის ჯარის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაკავება ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებით მოხდა, რის დასადასტურებლადაც მას მოჰქონდა შემდეგი სიტყვები: „ასეთი იყო განცხადება, ყოველ შემთხვევაში, სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლის ჯამალიანისა ჩვენ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგთან“ [24, 8].

ნოე რამიშვილი თავის გამოსვლაში საუბრობდა იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ სადაო საკითხების გადასაწყვეტად გადაიდგა. სომხეთის მთავრობას შემდეგი შინაარსის ნოტა გაეგზავნა: „საქართველოს მთავრობას, რომელიც მუდამ მზად არის მშვიდობიანად, ურთიერთშორის შეთანხმებით გადაჭრას საკითხი საზღვრების შესახებ მეგობრულ სომხეთის რესპუბლიკასთან, საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ სანამ ასეთ შეთანხმებას ადგილი არა აქვს, სომხეთის ჯარების შემოსვლა ტფილისის გუბერნიის საზღვრებში ჩაითვლება გადაჭრილ მტრულ ნაბიჯად სომხეთისა, საქართველოს მიმართ“ [24, 8]. ნოტაზე პასუხი იგვიანებდა, სომხეთის ჯარი კი განაგრძობდა წინსვლას საქართველოს ფარგლებში. ასეთ ვითარებაში, - აღნიშნავდა ნოე რამიშვილი, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს ტერიტორიების დასაცავად სამხედრო ძალები გაეგზავნა. კობერში ჩასვლის შემდეგ ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა გოგუაძემ წინადადებით მიმართა სომხებს, დაეცალათ ეს სადგური. ეს ულტიმატუმი სომხის ჯარმა შეასრულა. იმავდროულად ქართულმა მხარემ მიიღო მთავრობის თავმჯდომარის კაჩაზნუნის დეპეშა, რომლითაც სომხეთის მთავრობა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაზე თანხმობას აცხადებდა. ამავე დროს, აყენებდა საკითხს საქართველოს ჯარებს პირვანდელი პოზიციები დაეკავებინათ და არ მოგვეთხოვა ოსმალების წასვლის შემდეგ, სომხეთის ჯარის მიერ დაკავებული ტერიტორიების დაცლა [24, 9]. მოვლენების ასეთი განვითარება საქართველოს მთავრობას აძლევდა იმედს, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად დამთავრდებოდა. საქართველოს მთავრობა შეუდგა პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, სამხედრო მინისტრმა გრ. გიორგაძემ ერევნის მთავრობის თავმჯდომარეს აცნობა; „მან უკვე უბრძანა სანაინის რაზმის უფროსს სამხედრო მოქმედება არ გააჩაღოს, მხოლოდ იმ შემთხვევა-

ში მიიღოს შესაფერისი ზომები, თუ სომხეთის ჯარი შეეცდება წინ წამოწევას“ [24, 9].

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ზომების მიუხედავად, სომხეთის ხელისუფლებამ 23 ოქტომბერს ახალი მოთხოვნები წამოაყენა. მათ მოითხოვეს კორინჯი — ცატერნის ხაზის დაუყოვნებლივ დაცლა. რამიშვილის განცხადებით, მთავრობას აგრეთვე ჰქონდა ცნობა სანაინის რაიონის და სანაინ-შულავერის რაიონში დაწყებული მღელვარების შესახებ. შექმნილი რთული ვითარების გამო, მთავრობამ ნოტით მიმართა ერევნის მთავრობას, რომლითაც კატეგორულად მოითხოვდა: „თუ სომხეთის ჯარი, დაუყოვნებლივ არ დაცლის კორინჯ-ცატერნის ხაზს, ანდა შემდეგში დაიკავებს რაიმე ტერიტორიას ტფილისის გუბერნიის საზღვრებში, საქართველოს მთავრობა ამას ჩათვლის სამხედრო მოქმედების დაწყისად სომხეთის რესპუბლიკის მხრივ და დამღუპველი შედეგები დაატყდება იმ მთავრობას, რომელმაც ამ შემთხვევაში მთელი ეს კონფლიქტი გამოიწვია [24, 9].

საქართველოს მთავრობა კონფლიქტის პირველ ეტაპზე ტერიტორიული დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზას ეძებდა. მაგრამ მოვლენების განვითარება მთავრობისაგან გადამჭრელი ზომების გატარებას მოითხოვდა: „ამ მიზნით, - აღნიშნავდა ნოე რამიშვილი, მთავრობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება. 1. დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ბორჩალოს მაზრაში სამხედრო წესები, იგივე ღონისძიებები გატარდეს რკინიგზის სამხრეთ ნაწილზე ნავთლუღიდან ვიდრე საზღვრამდე; 2. შეწყდეს მატარებლების მიმოსვლა ამ გზაზე, გარდა სამხედრო მატარებლებისა, რომელნიც დანიშნული იქნებიან მხოლოდ სამხედრო მინისტრის განკარგულების თანახმად; 3. შეუწყდეს ბონების მიცემა სომხეთის მთავრობას, რომელიც უნდა მიეღო განსაკუთრებული შეთანხმების ძალით [24, 9].

ასეთი იყო საქართველოს მთავრობის მიერ სომხეთის მიმართ გატარებული ზომები 1918 წლის 26 ოქტომბრისათვის. იმავე დღეს პარლამენტის მთავრობის სხდომაზე თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა სომხეთის მიმართ პოზიცია შემდეგი სახით დააფიქსირა: „საქართველოს დემოკრატიული მთავრობა, თავის მოვალეობად თვლის გადაჭრით განაცხადოს, რომ ჩვენ ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ საკითხი საზღვრების შესახებ იარაღის საშუალე-

ბით გადაიჭრას. ყოველივე ასეთი ზომა დანამდვილებით მოიტანს მხოლოდ ერთ შედეგს. ის გაახარებს იმ მესამე ძალას, რომელიც უთუოდ გულდასმით შესცქერის ერთა შორის ბრძოლის გაჩაღებას, რომ საჭირო დროს მათი დასუსტება იმპერიალისტური მიზნებისათვის გამოიყენოს“ [24, 10]. საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში მესამე ძალა - რუსეთი ერეოდა. ამ გარემოების გათვალისწინებით საქართველოს ხელისუფლება ყოველგვარ კომპრომისზე მიდიოდა და სომხურ მხარეს წინადადებას აძლევდა ყოველი სადაო საკითხი არბიტრაჟის საშუალებით გადაეჭრათ.

ამავე თემაზე 1918 წ. 26 ოქტომბერს პარლამენტის სხდომაზე მოხსენებით გაბოვიდა სამხედრო მინისტრი. გაიმართა მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ფრაქციების წარმომადგენლებმა. მსჯელობის შემდეგ პარლამენტმა ერთხმად მიიღო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: „მოისმინა რა მთავრობის მოხსენება საქართველოს და სომხეთის რესპულიკათა შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ, საქართველოს პარლამენტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული ზომები სრულიად აშკარად ჰყოფს, რომ საქართველოს მთავრობას კეთილსინდისიერად სურდა და სურს ამ კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულება და სრულ იმედს გამოთქვამს, რომ მთავრობა მიაღებს ყოველ საშუალებას, რათა თავიდან ააცდინოს საქართველოსა და სომხეთის ერებს საშინელი ხიფათი სისხლის ღვრისა. ამასთანავე საქართველოს პარალამენტი აცხადებს, რომ იგი მომხრეა ყოველი სადაო საკითხის მშვიდობიანი საშუალებით გადაწყვეტის, მაგრამ იგი არავის ნებას არ მისცემს რესპუბლიკის საზღვრებში იარაღით შემოიჭრას და ჩვენ თავისუფლებას საფრთხე მოუმზადოს“ [17, 154].

ქართველ-სომეხთა შორის კონფლიქტის დაწყებისთანავე სომხურ პრესაში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ინფორმაციული ომი დაიწყო. სომხურ პრესაში გაჩაღებული ბინძური აგიტაციის შესახებ სპეციალურად იმსჯელა საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 8 ნოემბრის სხდომამ და განიხილა მთავრობისადმი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა. ფრაქციის სახელით სიტყვით გამოსული ა. ლომთათიძე მიუთითებდა იმ მძიმე

მდგომარეობის შესახებ, რომელშიც საქართველო იმყოფებოდა. მისი განცხადებით, ბნელი ძალები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ორი მოძმე ერი, ქართველი და სომეხი, ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ, ქვეყანაში ანარქია გამოეწვიათ, ძირი გამოეთხარათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. იქვე მოჰყავდა ერთ-ერთი სომხური გაზეთიდან სტატია, რომელიც საშინელ ცილისწამებას შეიცავდა საქართველოს მთავრობის მიმართ და ბოლოს სვამდა კითხვას — იცოდა თუ არა ყოველივე ამის შესახებ საქართველოს მთავრობამ“ [17, 167-170].

ხანგრძლივი კამათისა და აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ სომეხი დეპუტატები: ნ. ტარხანოვი, ა. ფარნიევი, შ. მიკირტუმოვი, სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „მოისმინა რა შეკითხვა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა, შესახებ თბილისის ზოგიერთ სომხურ გაზეთში გაჩაღებულ აგიტაციისა და მთავრობის განმარტება ამ შეკითხვაზე, პარლამენტი აღნიშნავს, რომ ასეთი, სრულიად ყალბ ცნობებზე დაყრდნობილი აგიტაცია მიზნად ისახავს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის დემოკრატიულ წყობილებას. სრულ იმედს გამოთქვამს, რომ მთავრობა ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდება ამ საფრთხეს და მთელი თავისი ძალ-ღონით შეებრძოლება იმათ, ვინც ორ მოძმე ერთა შორის სისხლის ღვრის გამომწვევ პოლიტიკას აწარმოებს. სრულ ნდობას უცხადებს მთავრობას და აღუთქვამს მას თავის დახმარებას“ [17, 171-172]. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარმოთქმული დასაბუთებული განმარტებები ქართულ, სომხურ, რუსულ და თათრულ ენებზე დაებეჭდათ და საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაევრცელებიათ. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობდა იმ საშინელი ცილისწამების გაფანტვას, რასაც სომხური პრესა საქართველოს მთავრობის მიმართ ახორციელებდა [17, 171-172].

6 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი გეგეჭკორმა, მიიღო ერევანში საქართველოს წარმომადგენლის ს. მდივნის რადიო-დეპეშა, რომელშიც იყო შეტყობინება, რომ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიგრანიანმა მას გადასცა ნოტა,

რომლითაც სომხეთის მთავრობა წინადადებას აძლევდა საქართველოს მთავრობას, ახალქალაქის მაზრაში ჯარების შეყვანაზე თავი შეეკავებინა მანამ, სანამ ამ ნაწილის კუთვნილების საკითხი მშვიდობიანი გზით არ გადაწყდებოდა [149].

7 დეკემბერს ევგენი გეგეჭკორმა ს. მდივანს გაუგზავნა საპასუხო ნოტა, რომლის მიხედვით მთავრობის ეს ნაბიჯი გამოწვეული იყო ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების გათვალისწინებით და „საქართველოს მთავრობის მიერ ახალქალაქის მაზრის დაჭერა, არც ისტორიულ, არც პოლიტიკურ და არც ზნეობრივ დამოუკიდებლობის მხრივ, გავლენას არ მოახდენდა ჩვენს მოლაპარაკებებზე“ [149].

9 დეკემბერს ქართულ და სომხურ ნაწილებს შორის სანაინთან შეტაკება მოხდა. მიუხედავად ამისა, ქართული მხარე საპასუხო მოქმედებებისაგან 13 დეკემბრამდე თავს იკავებდა. 1918 წ. 13 დეკემბრის პარლამენტის სხდომაზე სამხედრო მინისტრმა გრ. გიორგაძემ სანაინში და ვორონცოვკაში მომხდარი ამბების გამო ვრცელი მოხსენება გააკეთა. სხდომის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც სრულ იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებდა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად [17, 203-204].

შექმნილმა ვითარებამ მტრის შესაჩერებლად დაუყოვნებლივი ღონისძიებების გატარების საკითხი დააყენა. საქართველოს მთავრობის მიერ ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლებისადმი 15 დეკემბერს გაგზავნილ მიმართვაში გარკვევით იყო მითითებული სომხეთთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ. „ორივე რესპუბლიკას შორის — ვკითხულობთ დოკუმენტში — ყოველგვარი ზომები ჩვენის მხრით მიღებულ იქნა. საქართველოს მთავრობა... მთელი ქვეყნის წინაშე... აცხადებს რა ენერგიულ პროტესტს სომხეთის მთავრობის გამო, ის თავიდან იშორებს ორ მოძმე ხალხს შორის სისხლისღვრის დამღუპველ შედეგთა პასუხისმგებლობას. ამ უკანასკნელი გამოსვლის პასუხისმგებლობა მთელი თავისი სიმძიმით ეკისრება სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას“. ეს მიმართვა და საქართველოს მთავრობის მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადება იმის და-

დასტურებაა, რომ იგი ეროვნული სახელმწიფოს ღირსების ხელშეუხებლობისა და ისტორიული ტერიტორიების შესანარჩუნებლად ყველა სახის საშუალებას მიმართავდა. სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორი განსაზღვრავდა სომხეთისადმი თავშეკავებულ დამოკიდებულებას [69, 360].

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, საქართველო-სომხეთს შორის დაწყებული კონფლიქტის გადაწყვეტა იარაღის გარეშე შეუძლებელი გახდა. საომარი მოქმედების დაწყების გამო 1918 წ. 17 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე მოხსენებით წარდგა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე. მათი გამოსვლის შემდეგ გაიმართა მსჯელობა. სხდომის ბოლოს მიიღეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია: პარლამენტი აღიარებს: 1) საქართველოს მთავრობას არავითარი საბაბი მტრული განწყობილებისა არ მიუცია სომხეთის მთავრობისათვის, რომ მან მიიღო ყოველი ზომა ორ მოძმე სახელმწიფოთა შორის საქმის მშვიდობიანად მოგვარებისათვის და ყველა სადაო საკითხების შეთანხმების გზით გადაწყვეტისათვის; 2) სომხეთის მთავრობის ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში, მოულოდნელად დაესხა თავს საქართველოს ჯარის სადარაჯოებს, მრავალი ჯარისკაცი დახოცა, მრავალი ტყვედ წაიყვანა. პარლამენტი იწონებს მთავრობის ყველა მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს მტერთა ასალაგმად, აღუთქვამს მთავრობას დახმარებას და აცხადებს, რომ რესპუბლიკის ძალები მიმართულია არა სომეხი ხალხის წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ სომხეთის მთავრობისა და იმ წრეებისა, რომელთა პოლიტიკას მიზნად აქვს ხიდი ჩატეხოს საუკუნეობით მეგობრულ ერთა შორის, და როგორც ქართველ, ისე სომეხ ხალხს განადგურებას უქადის“ [17, 207-208].

განსაცდელის ჟამს საქართველოს ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ძალთა მობილიზაციისა და მისი გონიერული ორგანიზაციის შედეგად ქართული ჯარის ნაწილებმა მოწინააღმდეგეს სერიოზული დარტყმები მიაყენეს, რის გამოც სომხებმა უკანდახევა და საქართველოს ტერიტორიების დატოვება დაიწყეს. გარეგნულად მაყურებლის როლში მყოფი ინგლისის მისიის წარ-

მომადგენლები გადამწყვეტ მომენტში საქმეში ჩაერივნენ და საქართველოს ხელისუფლებისაგან სათმარი მოქმედებების შეჩერება კატეგორიულად მოითხოვეს. ეს მხოლოდ მას შემდეგ იქნა აღსრულებული, როცა საქართველოს ჯარის ნაწილებმა ომამდელი სასაზღვრო ხაზი დაიჭირეს [69, 362].

1919 წ. 3 იანვარს პარლამენტის სხდომა მდივანმა გენერალ მაზნიაშვილის მილოცვის დეპეშით გახსნა. მან აგრეთვე სხდომას გააცნო პარლამენტის თავმჯდომარის ნიკოლოზ ჩხეიძის საპასუხო დეპეშა, რომლითაც პარლამენტი გულწრფელ მადლობას უხდიდა საქართველოს ჯარს და გენერალ მაზნიაშვილს სახელოვანი გამარჯვებისათვის [18, 227].

დაძაბულობით გამოირჩეოდა 1919 წ. 4 იანვრის პარლამენტის სხდომა. მთავრობის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდა სპ. კედია. მისი აზრით, სომხეთთან ომისას მთავრობამ ვერ გამოიჩინა დროული, გადამწყვეტი მოქმედების უნარი და დიდი შეცდომები დაუშვა საზავო მოლაპარაკებების დროსაც. ფაქტობრივად ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ შეთანხმების პირობებით დამარცხებული გამოვედითო. გაფორმებული საზავო ხელშეკრულება გვართმევს სუვერენულ უფლებას ტერიტორიის ერთ ნაწილზე და ამიტომ იგი მიუღებელია. პარლამენტმა არ უნდა მოახდინოს ზავის რატიფიკაცია [58, 134]. ამ შემთხვევაში ეროვნულ-დემოკრატთა ბრალდება უსაფუძვლო იყო, რადგანაც საქართველოს ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ ომი ინსპირირებული იყო მესამე ძალის - რუსეთის მიერ. აქედან გამომდინარე სოციალ-დემოკრატიული პარტია ყველაფერს აკეთებდა საკითხის დადებითად გადასაწყვეტად.

საომარი მოქმედებების შეწყვეტის გამო დიდ გულისტკივილს გამოთქვამდნენ აგრეთვე თავიანთ მოგონებებში ქართველი გენერლები: „საინტერესოა ამ ომის შედეგი — ამბობდა გიორგი კვინიტაძე, - მთავრობამ ჩვენი წარმატების მიუხედავად ჩვენი ბორჩალოს ოლქი სადავო ზოლად აღიარა [76, 10].

სომეხ-ქართველთა შეთანხმებების თანახმად, სომხეთის ჯარმა ოკუპირებული ტერიტორიები დატოვა. ლორე-ბორჩალოს რაიონი გამოცხადდა ნეიტრალურ ზონად. ეს საკითხი საბოლოოდ პარიზის კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა.

1918 წ. 1 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში დამოუკი-

დებლობის გამოცხადების დღიდან ექვსი თვის შესრულების გამო საზეიმო სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები. სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ 26 მაისის აქტი არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა, მოგონილი რომელიმე პირის, ჯგუფის ან პარტიის მიერ, არამედ ეს იყო აქტი ისტორიულად აუცილებელი, ჩვენი ხალხის გულიდან ამოხეთქილი. ამ აქტმა ჩვენ მოგვცა ის, რომ საქართველო გადაურჩა განადგურებას. ნოე ჟორდანიამ თავისი გამოსვლა ასე დაასრულა: „გისურვებთ თქვენ და ჩვენს შთამომავლობას, რომ 26 მაისის აქტი მუდმივ დღესასწაულად გადაიქცეს“ [143].

ასრულდა დიდი მამულიშვილის სიტყვები, 26 მაისი — ქართული სახელმწიფოს აღდგენის დღე, ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა.

დამოუკიდებლობის აქტით ეროვნული საბჭო მიჩნეული იყო იმ საკანონმდებლო ორგანოდ, რომელსაც მთელი ძალაუფლება ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრებისათვის უნდა გადაეცა. მართალია, ეროვნული საბჭო და პარლამენტი ყველა პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას წარმოადგენდა, მაგრამ ეს ორგანოები არ იყო საყოველთაო და თანასწორი არჩევნების საფუძველზე შექმნილი. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ დაუჭირა მხარი ხალხის ნების გამომხატველი საკანონმდებლო ორგანოს შექმნას და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა.

1918 წ. 25 ოქტომბრის სხდომაზე საქართველოს პარლამენტმა განიხილა დებულება დამფუძნებელი კრების არჩევის შესახებ. სიტყვით გამოვიდა დამფუძნებელი კრების მოწვევის კომისიის წევრი ალ. ლომთათიძე. მან პარლამენტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი მოხსენება წარუდგინა [17, 152-153]. საარჩევნო დებულების განხილვას პარლამენტის რამდენიმე სხდომა დაეთმო.

1918 წ. 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“, რომელიც ათი თავისა და ასცხრამეტი მუხლისაგან შედგებოდა. იგი ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და

ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას. პროპორციულ-წარმომადგენლობითი წესით არჩევნების ჩატარება ევალებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მისდამი დაქვემდებარებულ საქალაქო, სამაზრო და სასოფლო საზოგადოებათა კომისიებს. დებულების თანახმად საარჩევნო კომისიაში უნდა შესულიყვნენ იმ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრები, რომელნიც წარმოადგენდნენ დეპუტატობის კანდიდატთა სიებს [58, 136].

საქართველოს პარლამენტის 22 ნოემბრის სხდომამ დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია აირჩია. მასში შედიოდნენ:

1. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისაგან: ა. ლომთათიძე, ს. ჯიბლაძე, მ. რუსია, გ. ცინცაბაძე, ო. სოლოღაშვილი, ვ. ჟღენტი, და ი. ფირცხალაიშვილი;

2. სოციალისტ-ფედერალისტებიდან: არ. ჯაჯანაშვილი, თ. ღლონტი;

3. ეროვნულ-დემოკრატებიდან: გ. გვაზავა და იას. ლორთქიფანიძე;

4. სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან: ივ. გობეჩია და ი. თევზაძე;

5. დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატებისაგან: გრ. ვეშაპელი;

6. რადიკალ-დემოკრატებისაგან: ა. ახმეტელი;

7. დამოუკიდებელი კავშირისაგან: კ. მაყაშვილი;

8. „ალიონის ჯგუფისაგან: კ. ქავთარაძე;

9. თათართა ბლოკისაგან: აბდულ რახილ ახვერდოვი;

10. დაშნაკცუტიუნის ფრაქციიდან: დ. დავითხანიანი [17, 184-185].

დამფუძნებელი კრების არჩევნების დღის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით, სპეციალურად იმსჯელა საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 3 იანვრის სხდომამ და შემდეგი დადგენილება მიიღო: „საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების პირველ დღედ დაინიშნოს 14 თებერვალი [18, 227]. სარედაქციო კომისიის მიერ შესწორებული ეს დადგენილება პარლამენტის სხდომამ 10 იანვარს უცვლელად მიიღო [45, 6-7].

არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პოლიტიკური პარტიები შეუდგნენ სამზადისს. გამოაქვეყნეს წინასაარჩევნო პროგრამები, კანდიდატთა სიები. არჩევნებში მონაწილეობის სურვილის მქონე პოლიტიკურ პარტიებს განცხადება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 1919 წლის 24 იანვრამდე უნდა შეეტანათ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაუშვა 15 პოლიტიკური ორგანიზაცია, კავშირი თუ ჯგუფი საკანდიდატო სიათა შემდეგი თანამიმდევრობით: №1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, №2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, №3. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, №4. დაშნაკცუტტუნი, №5. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, №6. მუსულმანთა ეროვნული საბჭო, №7. საქართველოს რადიკალ-დემოკრატების პარტია, №8. საქართველოს ეროვნული პარტია, №9. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია, №9. შოთა რუსთაველის ჯგუფი, №11. დამოუკიდებელი (უპარტიო) კავშირი, №12. ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსლიმანთა ჯგუფი, №13. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, №14. ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა, №15. საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი [116, 245].

როგორც ვხედავთ, დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეთა საკმაოდ ფართო ეროვნული და პოლიტიკური სპექტრი იყო წარმოდგენილი. ბოლშევიკებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ისინიც მიიწვია. ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, მათ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს.

დამფუძნებელი კრების არჩევნების წინა დღეებში ნ. ჟორდანიამ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა: „დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო უკვე მიადგა იმ ნაპირს, საიდანაც იწყება ხალხის ნორმალური განვითარება. დღეს უკვე გვაქვს გარკვეული სოციალური და პოლიტიკური წყობა, მხოლოდ საჭიროა მივცეთ მას იურიდიული და კონსტიტუციური ფორმა, რასაც შეასრულებს უახლოეს ხანს მოწვეული დამფუძნებელი კრება [58, 151].

დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის თებერვალში გაიმართა. არჩევნებში დიდ წარმატებას მიაღწია სოციალ-დემოკრა-

ტიულმა პარტიამ. მათ საკანონმდებლო ორგანოში 130 ადგილიდან 109 დეპუტატი გაიყვანეს, დანარჩენი ადგილები სამმა პოლიტიკურმა პარტიამ გაინაწილა. ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა რვა-რვა დეპუტატი გაიყვანეს, სოციალისტ-რევოლუციონერებს ხუთი ადგილი ერგოთ [98, 205-206].

აქვე უნდა შევეხოთ დამფუძნებელი კრების მოწვევასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას, რომლის მიხედვით: 1. შეჩერდეს პარლამენტის მოქმედება ამა წლის 31 იანვრიდან; 2. პარლამენტი დათხოვნილად ითვლება დამფუძნებელი კრების შეკრების დღიდან; 3. დამფუძნებელ კრებას მოიწვევს პარლამენტის პრეზიდიუმი და პარლამენტის ცენტრალური დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია.

დადგენილება დათარიღებულია 1919 წლის 31 იანვრით. ხელს აწერენ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექ. თაყაიშვილი და კანცელარიის გამგის ამხანაგი ი. ზურაბიშვილი [47, 5].

დამფუძნებელი კრების მოწვევის დღის დასანიშნავად 1919 წლის 4 მარტს, პარლამენტის პრეზიდიუმისა და დამფუძნებელი კრების კომისიის შერეული სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. დამფუძნებელი კრების მოწვევის დღის დანიშვნა; 2. დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის დღის წესრიგი. პირველ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის წევრები ეთანხმებიან ს. ჯიბლაძის წინადადებას და კრების გახსნის დროდ ასახელებენ 12 მარტს. სხდომამ აგრეთვე მიიღო შემდეგი დადგენილებები: დამფუძნებელი კრების მოწვევის დღე გამოცხადდეს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ცალკე განცხადებად, სხვა გაზეთებში ხრონიკად. კრება გახსნას დამფუძნებელი კრების უხუცესმა წევრმა, მდივნობა გასწიოს წლოვანებით უმცროსმა წევრმა [46, 3].

1919 წ. 7 მარტის საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეერთებულმა სხდომამ დამფუძნებელი კრების მოწვევასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოები დაამთავრა, ბოლო დეტალები გაარკვია. საქართველოს დამფუძნებელი კრება უნდა მოეწვიათ სასახლეში, პარლამენტის დარბაზში. დაამტკიცა დამფუძნებელი კრების დღის წესრიგი:

1. კრება ირჩევს თავმჯდომარეს, 2. თავმჯდომარე ამბობს მოკლე სიტყვას და კითხულობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელზედაც ყველა დეპუტატები ხელს აწერენ, 3. თავმჯდომარე კითხულობს მილოცვის დეპეშებს და წერილებს [46, 3]. ამ გადაწყვეტილებით საქართველოს პარლამენტმა, დამფუძნებელი კრების მოწვევასთან დაკავშირებით, წინასწარი სამუშაოები დაამთავრა.

თავი IV

ეროვნული საბჭო – საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში

§1. ეროვნული საბჭო ეროვნული სახელმწიფოს მოწყობისათვის ბრძოლაში

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული საბჭოს წინაშე ეროვნული სახელმწიფოს მოწყობისა და განმტკიცების საკითხი დაისვა. ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სახელმწიფოებრივი მართვის პრაქტიკას მოკლებულ ერს სინამდვილის შესაფერისი მართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები ესაჭიროებოდა. თუ რა სერიოზულობით ეკიდებოდნენ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას ქართველი პოლიტიკოსები კარგად ჩანს ეროვნული საბჭოს სხდომების ოქმებიდან.

ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს საზღვრების აღდგენას, მოქალაქეობის საკითხის განსაზღვრას მოითხოვდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება განსაკუთრებულ პირობებში მოუხდა, რის გამოც დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში არ იყო დადგენილი საქართველოს ტერიტორიის საზღვრები.

საქართველოს სხვა სახელმწიფოებისაგან ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი, პირველად 1917 წ. 10 დეკემბერს ეროვნული საბჭოს მეორე კრებაზე დაისვა. შემდგომში ეროვნულმა საბჭომ ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გასწია, მაგრამ საზღვრების საკითხის გადაჭრა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ვერ მოხერხდა. 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია ირაკლი წერეთლის თავმჯდომარეობით, მასში შედიოდნენ პავლე ინგოროყვა, გენერალი ოდიშელიძე, დავით ონიაშვილი. ამ კომისიამ ისტორიულ-გეოგრაფიულ პრინციპზე დაყრდნობით, მეზობელ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის საზღვარი დაადგინა [163].

1918 წ. 4 ივნისს საკონსტიტუციო კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ დებულება განიხილა. ომისა და რუსეთის რევოლუციის გამო იმ ტერიტორიებზე, რომლებიც საქართველოს საზღვრებში შედიოდა, აუარებელ უცხოელს მოეყარა თავი. ასეთ პირობებში ლოგიკურად იბადებოდა კითხვა, შეიძლებოდა თუ არა ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პიროვნების საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ გამოცხადება. ამ კითხვამ კომისიაში მრავალი მოსაზრება წარმოშვა. საკითხის გადაჭრას კომისიის წევრები დიდი სიფრთხილით უდგებოდნენ. საქმის სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი მხრივ მოქალაქეობა არ წაერთმიათ იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ეს უფლება სამართლიანად ეკუთვნოდათ, ხოლო მეორე მხრივ ეს უფლება არ მოეხვიათ ძალაუნებურად ვინმესთვის. ერთი რამ ყველასათვის აშკარა იყო, ადგილობრივი მკვიდრნი, ე. ი. ისინი ვინც ძველთაგანვე საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, საქართველოს მოქალაქეებად ითვლებოდნენ. ცხადია, მხოლოდ მათი გამოცხადება საქართველოს მოქალაქეებად და ყველა ჩამოსახლებული ელემენტისათვის ამ უფლების წართმევა უკმაყოფილებას გამოიწვევდა მათში და თან დიდ დაბრკოლებას შექმნიდა ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარებისათვის. საბოლოოდ კომისიამ საქართველოს მოქალაქეობის დასადგენად აირჩია ადმინისტრაციული საზომი, ანუ მიწერა ადმინისტრაციულ ერთეულზე [27, 1-3].

1918 წ. 16 ივლისს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დებულება „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა“, რომელიც 4 მუხლისგან შედგებოდა:

1. ყოველი მკვიდრი, მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკისა, არის საქართველოს მოქალაქე.

შენიშვნა: მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-დან (ძვ. სტ.);

2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს მოქალაქე სხვა სახელმწიფოსი;

3. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი პოლიტიკური უფლებით (აქტიური და პასიური უფლება პარლამენტისა და ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებისათვის და სხვა).

შენიშვნა: მთავრობას უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში დროებით, სანამ დაწესებულებათა გარდაქმნა დამთავრდებოდეს მოიწვიოს თანამდებობაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე.

4. პირობა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომობის მიღებისა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ და აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა განსაზღვრული იქნება ცალკე კანონით [31, 13].

ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის მთავარ მიზანს საქართველოს უზენაესობის დაცვა და დამოუკიდებლობის განმტკიცება შეადგენდა. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ქვეყნის სიმტკიცის საფუძველს ძლიერი ჯარის შექმნაში ხედავდნენ. ამ მიმართულებით ეროვნული საბჭოს მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე უკვე ვისაუბრეთ. როგორც აღვნიშნეთ, 1917 წ. ქართული საჯარისო ნაწილების შესაქმნელად მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

აქვე ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქართული რეგულარული ჯარის შექმნასთან დაკავშირებით, 1918 წ. 27 თებერვალს, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა ვასილ გაბაშვილისა და გიორგი კვინიტაძის მიერ შემუშავებული „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი“.პროექტი მოიწონეს, გამოითქვა შენიშვნებიც. აღნიშნული პროექტი უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო, რადგანაც ახალი სამხედრო დოქტრინის ჩამოყალიბების პირველ მცდელობას წარმოადგენდა [62, 16].

ამ მიმართულებით გადადგმულ შემდეგ ნაბიჯს, 1918 წ. 17 ივნისს, ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომაზე, სახალხო გვარდიის შესახებ კანონპროექტის განხილვა წარმოადგენდა. სხდომას ესწრებოდნენ სამხედრო კომისიის წევრები: ნ. ჟორდანია, კ. აფხაზი, დ. ვაჩნაძე, ბ. თევზაია, ს. მდივანი, ი. გედევანიშვილი. მოწვეულები იყვნენ: გ. კვინიტაძე, ვ. ახმეტელაშვილი, ზაქარიაძე. საკითხის განხილვამდე დაისვა კითხვა, თუ რამ გამოიწვია ამ კანონპროექტის განხილვა. დასმულ კითხვას პასუხი ნოე ჟორდანიამ გასცა. მისი განცხადებით, საქართველოს იმ ეტაპზე რეგულარული ჯარის შექმნა, როგორც ამას მოითხოვდნენ ოპონენტები, ფინანსური მიზეზების გამო არ შეეძლო. ხოლო ქვეყანაში შექმნილი ანარქია და წესიერების დაცვა დაუყოვნებლივ მო-

ითხოვდა ამ მიმართულებით გადამჭრელი ზომების გატარებას. ამასთანავე სახალხო გვარდია, ვიდრე რეგულარული ჯარის მობილიზაცია განხორციელდებოდა ქვეყნის ტერიტორიასაც დაიცავდა, ხოლო შემდეგში გვარდია როგორც კადრი, მილიციის მოწყობას დიდ სარგებლობას მოუტანდა. ამის დასადასტურებლად იგი ბელგიისა და შვეიცარიის მაგალითებს იშველიებდა. ნოე ჟორდანიას გამოსვლას მკვეთრად დაუპირისპირდა ეროვნულ-დემოკრატთა სახელით დავით ვაჩნაძე: „ჩვენი ხალხი კულტურულად ისე მაღლა არ დგას, როგორც შვეიცარიის ხალხი და ისეთი მილიციის ყოლა, როგორც არსებობს იქ ჩვენთვის შეუძლებელია და ეს სახალხო გვარდია კადრობასაც ვერ გაუწევს მილიციას". მისი აზრით, ქვეყანაში ერთდროულად რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის შექმნა ყოვლად მიუღებელი იყო [37, 1].

ამ დაპირისპირების მიუხედავად, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ. 2 ივლისს მიიღო კანონი სახალხო გვარდიის შესახებ. კანონი 12 მუხლისაგან შედგებოდა, რომლითაც განსაზღვრული იყო სახალხო გვარდიის მიზანი, მისი მოქმედების და შეკრების წესი:

1. გვარდიის მიზანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვაა;

2. სახალხო გვარდიაში შესვლა შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც არ ირიცხება ნამდვილ სამხედრო სამსახურში, არის უმწიკვლო და ერთგული დემოკრატიული რესპუბლიკისა. სახალხო გვარდიაში ჩარიცხვა სამხედრო ბეგარისაგან არავის არ ანთავისუფლებს;

3. სახალხო გვარდიაში მსურველების მიღება ევალებათ რაიონულ შტაბებს, თანახმად იმ ინსტრუქციისა, რომელსაც შეიმუშავებს გვარდიის მთავარი შტაბი და დაამტკიცებს რესპუბლიკის მთავრობა;

4. სახალხო გვარდიელი სათანადო შტაბის მოწოდებისთანავე ვალდებულია თავი დაანებოს ჩვეულებრივ შრომას და გამოცხადდეს დანიშნულ ადგილას ყველა იარაღით და მოწყობილობით, რომელიც შტაბისაგან აქვს მიღებული;

5. სახალხო გვარდიელი ვალდებულია კარგად შეინახოს მიღებული იარაღი და მოწყობილობა. სამსახურის გარეშე არ აქვს უფლება გამოცხადდეს საჯარო ადგილებში იარაღით, ან იხმაროს მიღებული მოწყობილობა;

6. სამხედრო სამსახურის დროს სახალხო გვარდიელი ემორჩილება სამხედრო დისციპლინის ყოველ მოთხოვნილებას და საქართველოს რესპუბლიკის ჯარში მოქმედ ყველა კანონს. მე-4 და მე-5 მუხლის დარღვევისათვის სახალხო გვარდიელი ისევე აგებს პასუხს, როგორც ჯარისკაცი მსგავსი დანაშაულისათვის;

7. სახალხო გვარდიაში სამსახური უსასყიდლოა, მაგრამ სახალხო გვარდიელის ოჯახს, გვარდიელის მიერ სამსახურის შესრულების დროს, ეძლევა მთავრობისაგან შესაფერისი დახმარება. დახმარების რაოდენობა განისაზღვრება ცალკე კანონით;

8. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრებს დანიშნავს მთავრობის თავმჯდომარე იმ კანდიდატებისაგან, რომლებსაც წარმოადგენს მთავარი შტაბი. იგივე შტაბი დანიშნავს სახალხო გვარდიის ცალკე ნაწილების უფროსებს, რომლებიც იმავე წესით დამტკიცდებიან თანამდებობებზე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ჯარის სათანადო ნაწილების უფროსები.

9. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს მთავრობა აძლევს საჭირო თანხას, რომელიც სამხედრო მინისტრის უწყების ხარჯთაღრიცხვაში უნდა შეიტანონ.

10. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს სამხედრო სამინისტროს ნებართვით, შეუძლია სამხედრო გვარდიელებისაგან შეადგინოს ყოველგვარი შეიარაღებული ნაწილები, რომელთა შეიარაღებისა და გაწვრთნისათვის თვითონ ზრუნავს.

სამხედრო უწყება აძლევს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ყოველგვარ მოწყობილობას გვარდიის საჭიროებისათვის მოთხოვნილების თანახმად.

11. სახალხო გვარდიის ვერც ერთ ნაწილს ვერ გამოიწვევენ მთავარი შტაბის თანხმობის გარეშე. სახალხო გვარდიის გამოწვევის უფლება ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს, თუ თავმჯდომარისათვის შეუძლებელია ამ უფლებით სარგებლობა სახალხო გვარდია შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ. საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში სახალხო გვარდიის გამოწვევის უფლება გადადის პირდაპირ მის მთავარ შტაბზე და რაიონულ შტაბებზე, მხოლოდ რაიონული შტაბი ამ შემთხვევას მთავარ შტაბს აცნობებს.

12. სახალხო გვარდიის ყველა ნაწილი, გამოწვეული, თა-

ნახმად მე-11 მუხლისა, ემორჩილება იმ პირს და უწყებას რომლის განკარგულებაში იგზავნება გამომწვეველთა მიერ [34, 24].

ეროვნულმა საბჭომ, აგრეთვე, გარკვეული ღონისძიებები გაატარა სამხედრო მმართველობის მოწესრიგების მიზნით. 1918 წ. 1 ივნისს შეიქმნა სამხედრო კომისია 9 წევრის შემადგენლობით: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, ვლადიმერ ჯუღელი, ბიქტორ თევზაია, ვლადიმერ გობეჩია, იოსებ გედევანიშვილი, შალვა მიქელაძე, დავით ვაჩნაძე და კონსტანტინე აფხაზი [17, 11]. 1918 წ. 20 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა“, რომლის მიხედვით საქართველოს შეიარაღებული ძალების უზენაეს ორგანოდ ეროვნული საბჭო დასახელდა:

მუხლი 1. ეროვნული საბჭო უზენაესი ორგანოა საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და თავის უფლებას რესპუბლიკის მთავრობის საშუალებით განახორციელებს.

მუხლი 2. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი ორგანო არის მთავრობა. მთავრობა თავის უფლებას შეიარაღებულ ძალების მიმართ განახორციელებს სამხედრო სამინისტროს მეშვეობით, რომლის სათავეში სამხედრო მინისტრი იმყოფება.

მუხლი 3. სამხედრო მინისტრი არის ხელმძღვანელი თავისი უწყების ყოველი დარგისა და თავისი მოქმედებით პირდაპირ რესპუბლიკის მთავრობას ექვემდებარება. იგი არის მომხსენებელი მთავრობის წინაშე სამხედრო საქმეების შესახებ [31, 21].

შემდეგი მუხლების თანახმად, ომიანობის დროს, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელად, მთავრობის მიერ ინიშნებოდა მთავარსარდალი, რომელიც პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს ემორჩილებოდა. მთავარსარდალს კრიტიკულ ვითარებაში მოქმედების სრული თავისუფლება ენიჭებოდა, მხოლოდ ამის შესახებ მოხსენება უნდა წარედგინა მთავრობის თავმჯდომარისათვის. სამხედრო მინისტრს ენიშნებოდა მოადგილე, რომელიც იყო მისი უახლოესი მრჩეველი. აღნიშნული დადგენილებით სამხედრო სამინისტროში ექვსი განყოფილება — საერთო, პირადი შემადგენლობის, გენერალური შტაბის საადმინისტრაციო, სამხედრო—სასანიტრო და სამხედრო—საბეითლო ფუნქციონირებდა. გენერალურ შტაბს ჰქონდა ექვსი სექცია — საოპერაციო, საორგანიზაციო, საარტილე-

რიო, საინჟინრო-სატექნიკო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საისტორიო [31, 21].

მოგვიანებით 1918 წ. 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სამხედრო დროშის შესახებ [36, 9].

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, ქვეყანაში შექმნილმა რთულმა ვითარებამ, დღის წესრიგში რეგულარული ჯარის შექმნის აუცილებლობის საკითხი დააყენა. შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირეს სოციალ-დემოკრატებმაც. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა“ წერდა: „რადგან ჩვენ მრავალი მტერი გვახვევია გარს და შეიარაღებული ძალა კიდევ დიდხანს იქნება საჭირო, ამიტომ რეგულარული ჯარის შექმნა დღევანდელ პირობებში აუცილებელია. მაგრამ მომავალში ჩვენ არ ვივიწყებთ მუდმივი ჯარის გაუქმების საჭიროებას, ამიტომ, როგორც კი გარემოება ნებას მოგვცემს, სახალხო მილიციის, ხალხის საყოველთაო შეიარაღების საქმეს შევუდგებით და რეგულარული ჯარიდან სახალხო მილიციაზე გადავალთ. ...მაგრამ სანამ ეს რთული და მძიმე საქმე მოეწყობა, საჭიროა რეგულარული ჯარის შექმნა და სამხედრო ბეგარის შემოღება [138].

ეროვნულმა საბჭომ დასმული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, 1918 წ. 20 აგვისტოს მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარის და მუდმივი ჯარის შევსების“ შესახებ, რომელიც 12 მუხლისაგან შედგებოდა [33, 16-17]. აგრეთვე იმავე დღეს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის არმიის ორგანიზაციის“ შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა მუდმივი ჯარის სტრუქტურას, ცალკეულ სახეობათა შემადგენლობას [35, 21-22].

როგორც ვხედავთ, ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობით ქართული საჯარისო ნაწილების შესაქმნელად მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობდა. შესაბამისი საარქივო მასალის გაცნობამ და ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მესვეურებმა ძირითადად სწორად გადაჭრეს ქართული ჯარის შექმნის თეორიული და პრაქტიკული მხარეები. მართალია, არსებობდა გარკვეული ხარვეზები, მაგრამ უფრო მეტის გაკეთება, თუ გავით-

ვალისწინებთ იმ დროის რთულ საშინაო და საგარეო მდგომარეობას, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობამ ეროვნული საბჭოს წინაშე სასამართლოს რეფორმის გატარების საკითხი დააყენა. არსებული სასამართლოს რეორგანიზაცია ძველი დაწესებულებების გაუქმებით დაიწყო. 1918 წ. 5 ივლისს ეროვნული საბჭოს დადგენილებით გაუქმდა საობლო სასამართლო, საგანგებო საგამომძიებლო კომისია, აგრეთვე მიიღეს კანონი სასამართლო პალატის შტატების შემცირების შესახებ [17, 46].

1918 წ. 6 სექტემბერს ეროვნული საბჭოს სხდომამ განიხილა დებულება რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს შესახებ. სხდომის წინაშე მოხსენებით წარსდგა იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ი. ბარათაშვილი. წარმოდგენილი კანონპროექტი 33 მუხლისაგან შედგებოდა. 32-33 მუხლების თანახმად: 32. კანონი ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანოებში; 33. კანონი გაუქმებულად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი იქნება შემოღებული [17, 109-110]. საბოლოო ტექსტი ამ კანონისა ეროვნული საბჭოს სხდომამ 1918 წ. 20 სექტემბერს მიიღო [17, 122].

20 სექტემბერს ეროვნული საბჭოს სხდომამ განიხილა კანონპროექტი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ. აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით ვრცელი მოხსენებით გამოვიდა რაფიელ ივანიცკი. მისი განცხადებით, სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ავტორიტეტული, თუ ის დაცული იქნებოდა გარეშე გავლენისაგან და მისი გადაწყვეტილება ცხოვრებაში გატარდებოდა. კანონპროექტთან დაკავშირებით განმარტება იუსტიციის მინისტრმა შ. მესხიშვილმა გააკეთა. ისაუბრა რა სამინისტროს მიერ სასამართლოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებებზე, ხაზი გაუსვა იმ რთულ პირობებს და დროს, რომელშიც სამინისტროს მოუხდა სასამართლოს რეორგანიზაცია. „ეს კანონპროექტი კი, - აღნიშნავდა შ. მესხიშვილი, შექმნილია ისეთი სახით, რომ სასამართლო გახდეს ხელმისაწვდომი ყველასათვის და უაღრესად დემოკრატიული“. კანონპროექტით მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე ცენზი ისპობოდა, მას აირჩევდა ერობა, ხოლო თბილისში და ქუთაისში

ქალაქის საბჭო, მომრიგებელ მოსამართლეებად დაინიშნებოდნენ ქართული ენის მცოდნე პირები, საქმის წარმოება შესაბამისად ქართულ ენაზე იქნებოდა [140]. წარმოდგენილი კანონპროექტი მართალია გადმოღებული იყო რუსული სინამდვილიდან, მაგრამ არსებულ სინამდვილეს და დემოკრატიულ პრინციპებს მაქსიმალურად ითვალისწინებდა.

1918 წ. 24 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი, „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა“ [17, 125].

ადგილობრივი მმართველობის მოწესრიგების მიზნით, 26 ივნისს ეროვნული საბჭოს სხდომამ განიხილა კანონპროექტი „საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატებისა“.

სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატმა ვასილ წერეთელმა შემოიტანა წინადადება, კანონპროექტი დაბრუნებოდა ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის კომისიას, საგუბერნიო ადმინისტრაციული დაყოფის გაუქმების მიზნით. სხდომამ მისი წინადადება არ გაიზიარა [17, 70].

1918 წ. 2 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად დაინიშნენ თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო კომისრები და მათი თანაშემწეები. სოხუმის ოლქის კომისარი, 14 სამაზრო და 56 სარაიონო კომისარი. თითქმის ყველა სასოფლო საზოგადოებაში შეიქმნა 5 კაციანი მილიცია [31, 38].

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ თავიდანვე გაარიტიკა 2 აგვისტოს კანონი, დაიწუნა მის საფუძველზე შექმნილი ბიუროკრატიული აპარატი. შემდგომში ეროვნულმა საბჭომ და მთავრობამ გაიზიარა სამართლიანი კრიტიკა. მყისვე გაუქმდა ქვეყნის დაყოფა გუბერნიებად. მოისპო სამაზრო კომისართა ავტორიტარული ხასიათის თანამდებობა. გატარდა საერობო რეფორმა და თითქმის ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა საერობო თვითმმართველობის ორგანოები [58, 111].

ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის სიმბოლიკა.

1918 წ. 10 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ განიხილა სარედაქციო კომისიის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ტექსტი სა-

ქართველოს რესპუბლიკის დროშის შესახებ. სარედაქციო კომისიის სახელით მოხსენება ნიკ. ჩიგოგიძემ გააკეთა. ეროვნულმა საბჭომ წარმოდგენილი ტექსტი უცვლელად მიიღო [17, 113-114].

კანონი „საქართველოს რესპუბლიკის დროშისა“ ორი მუხლისაგან შედგებოდა:

1. საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელი (შინდისფერი), შავი და თეთრი ფერის;

2. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი (შინდის ელფერის) შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან. შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს [39, 8].

1918 წ. 14 სექტემბერს, ეროვნული საბჭოს სხდომამ სახელმწიფო გერბთან დაკავშირებით იმსჯელა. სხდომაზე მოხსენებით ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი გამოვიდა. მოხსენების შემდეგ გაიმართა მსჯელობა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უმრავლესობის სახელით, ირაკლი წერეთელმა შემოიტანა წინადადება გერბზე მიჯაჭვული ამირანი გამოსახულიყო. მეორე ნაწილი მოითხოვდა გერბზე წმინდა გიორგის გამოსახულება ყოფილიყო. საბოლოოდ უპირატესობა თეთრი გიორგის მომხრეებმა მოიპოვეს 33 ხმით 17-ის წინააღმდეგ, რის საფუძველზეც 1918 წ. 20 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის გერბისა“:

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას თავისი სახელმწიფოებრივი გერბი აქვს;

2. გერბად არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით [40, 5-8].

საქართველოს გერბის შესაქმნელად ხელოვნების კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსი გამოცხადდა. 30 სექტემბერს კომისიამ შეიმუშავა საკონკურსო პირობები. კონკურსის ხანგრძლივობა 3 კვირით განისაზღვრა. კონკურსში გამარჯვებულს 3000 მანეთი გადაეცემოდა. კონკურსს აცხადებდა მთავრობა [40, 14].

1918 წ. 27 დეკემბერს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა „აღწერილობა საქართველოს რესპუბლიკის გერბისა“.

1. შინდისფერ ადგილას მრგვალ ფარზედ თეთრი გიორგი ოქროს ჩლიქებიან თეთრ ცხენზედ;

2. მარჯვენა ხელში შესატევად მომარჯვებული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრიანი;

3. ცისფერი ჯავშანი, რომელსაც აქვს ვერცხლის უჯრედები, ჯავშნის ქვეშ მიხაკის ფერი ტყავის პერანგი. სახელო და ბოლო მოსასხამისა თეთრი.

მარცხენა მხარზედ თეთრი ფარი სახიანი, შარვალი ალისფერი, ოქროს წაღები.

უნაგირის ქვეშ ვეფხვის ტყავის ყაჯარი, უნაგირი ოქროსი და უზანგი ვერცხლის.

გერბის თავში რვაკუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი, მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ოქროს მზე. მთვარისა და მზის აქეთ-იქით ორ-ორი რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი.

ცხენის ქვევით შავი მთის მწვერვალი. ფარის გარშემო შავი არშია თეთრ წინწკლებიანი ოქროს ზოლებში ჩასმული [38, 19].

სერიოზული სამუშაოები ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჰიმნის შესაქმნელად. 1918 წ. 1 ივნისს მხედართა კავშირის 200 წევრიანი გუნდის შესრულებითა და ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით გაიმართა ჰიმნების კონკურსი (მასზე სამი ჰიმნი თვით ნ. ქართველიშვილის იყო), მაგრამ მოწონება ვერცერთმა ვერ დაიმსახურა, დროებითი ალიარება მოიპოვა კ. ფოცხვერაშვილის ჰიმნმა „დიდებამ", რომელიც პრესაში გამოქვეყნდა [84, 191].

§2. ეროვნული საბჭო და აგრარული საკითხი

ეროვნულმა საბჭომ თავისი მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აგრარული საკითხის მოწესრიგებას. საქართველოს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, კარგად ესმოდათ, რომ ამ რთული და დიდმნიშვნელოვანი საკითხის სწორად გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელი იყო ჩვენი ქვეყნის ნორმალური ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება. 60-იანი წლების რეფორმამ, როგორც ვიცით, ვერ გაამართლა მოლოდინი, რასაც თავისთავად საყოველთაო უკმაყოფილება მოჰყვა. 1917 წ. თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ დღის წესრიგში დაისვა მემამულეთა მიწების ჩამორთმევის

საკითხი. მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. დაარსდა საადგილმამულო კომიტეტები. მაგრამ კომიტეტების დაარსება საერთო ვითარებას არ ცვლიდა. გლეხთა სტიქიური გამოსვლები სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. აგრარული საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებამ ხელი შეუწყო საქართველოში ბოლშევიზმის გაძლიერებას.

ასეთ რთულ ვითარებაში ხელისუფლების წინაშე აგრარული საკითხის გადაწყვეტის ამოცანა დაისვა. 1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი „სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო და კერძო მიწების კომიტეტზე გადაცემის შესახებ". დებულება მემამულეებისათვის განსაზღვრული ნორმის ზევით მიწების ჩამორთმევას ითვალისწინებდა, მაგრამ მასში არ იყო ნაჩვენები დასატოვებელი მიწის ნორმა. ამ ხარვეზის არსებობა აგრარული რეფორმის პრაქტიკულად განხორციელებას შეუძლებელს ხდიდა. ამ და სხვა მიზეზთა გამო, რომელთა შესახებაც მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი განმარტებით წერილში საუბრობდა, აღნიშნულ დოკუმენტს დეკლარაციული ხასიათი მიეცა. „ამიერკავკასიის კომისარიატში, - აღნიშნავდა ნ. ხომერიკი, შემავალი აზერბაიჯანელებისა და სომხების ნაციონალისტები — უმთავრესად მემამულეთა წარმომადგენლები, არ იყვნენ დაინტერესებული აგრარული საკითხის გადაჭრის დაჩქარებით. პირიქით ისინი ამას გაურბოდნენ და დემოკრატიის წარმომადგენლებს ჩუმ და აშკარა ოპოზიციაში ედგნენ. ამიტომ ამიერკავკასიის დეკრეტი გამოვიდა დაუსრულებელი, კომპრომისული. მას ნათლად აზის ბეჭედი იმ ანტაგონისტურ ძალთა გავლენისა, რომელნიც მის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ [42, 3]. ამ მიზეზთა გამო 16 დეკემბრის დეკრეტი არ ამოქმედებულა, რამაც ქვეყანაში აგრარული მოძრაობა გააძლიერა.

აგრარული საკითხის დაჩქარებით მოწესრიგების საკითხი მთელი პასუხისმგებლობით დაისვა ეროვნული საბჭოს წინაშე. 1918 წ. თებერვლის დასაწყისში განსაკუთრებით გაძლიერდა გლეხთა გამოსვლები გორის მაზრაში, სადაც გლეხებმა მემამულეების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა განახორციელეს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე 1918 წ. 11 თებერვალს ეროვნული საბჭოს მე-8 სხდომამ რეზოლუცია მიიღო, რომლის მიხედვით ეროვნული

საბჭო მთავრობას მოუწოდებდა სოფლად ანარქიის მოსასპობად ენერგიული და მტკიცე ნაბიჯები გადაედგა. დაუყოვნებლივ მიეღოთ საჭირო ზომები, რათა უსასყიდლოდ მიეცათ მშრომელი ხალხისათვის ის ადგილ-მამული, რომელიც მას აღეთქვა ამიერკავკასიის დეკრეტით. გაეგზავნა სოფლად ხალხი სააგიტაციოდ, რათა დიდი ყურადღება მიექციათ ადგილობრივი შეიარაღებული ძალის შექმნისათვის, რომელიც სასტიკად შეებრძოლებოდა ყოველგვარ შავრაზმულ ანარქიულ გამოსვლას. სოფლად პროპაგანდისტების გაგზავნის აღსრულებაში მოყვანა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაევალა [5, 76].

1918 წ. 9 თებერვალს შეიკრიბა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც აირჩია აგრარული კომისია. კომისიამ შეიმუშავა და ამიერკავკასიის სეიმს წარუდგინა კანონი „მფლობელებისათვის დასატოვებელი მიწის ნორმის განსაზღვრისა და მიწის რეფორმის განსახორციელებელი ზომების შესახებ“, რომელიც სეიმმა 1918 წ. 7 მარტს დაამტკიცა. ამ კანონის პირველი და მთავარი პრინციპი შემდეგი იყო: მიწები უსასყიდლოდ ჩამორთმეოდათ როგორც კერძო პირებს, ისე ეკლესია-მონასტრებს, საუფლისწულო უწყებას, მეფის საგვარეულოს წარმომადგენლებს და სხვებს. აღნიშნული კანონი ხელუხლებლად ტოვებდა გამოსყიდულ ნაделებს და წვრილი მესაკუთრეების ქონებას. კანონი მიწის მესაკუთრეებს 2 კატეგორიად ყოფდა: პირველ კატეგორიაში აერთიანებდა კერძო მესაკუთრეებს, ხოლო მეორე კატეგორიაში ეკლესია-მონასტრებს, მეფის საგვარეულოს და სხვებს, რომელთაც კანონით მათ განკარგულებაში არსებული მიწები მთლიანად ჩამოერთმეოდათ, ხოლო კერძო პირებს მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი მიწები ჩამოერთმეოდათ. დასატოვებელი მიწების ნორმა 7 დან 40 დესეტინამდე განისაზღვრა, იმის მიხედვით, თუ სად როგორ მეურნეობას მისდევდნენ, ა) იმ რაიონებში სადაც ძვირფას კულტურულ მცენარეულობის მეურნეობას მისდევდნენ დასატოვებელი მიწის ნორმა 7 დესეტინით განისაზღვრა; ბ) სადაც პური მოჰყავდათ — 15 დესეტინით, გ) მესაქონლეობის მეურნეობის რაიონებში — 40 დესეტინით [131].

კანონით მსხვილი მესაკუთრეების რიცხვში ზოგიერთი ხიზნებიც შევიდნენ. კანონს იქვე ახლდა შენიშვნა, რომლის მიხედვით

საოლქო და საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტებს უფლება ეძლეოდათ ადგილობრივი პირობების მიხედვით დასატოვებელი მიწის ნორმა გაეზარდათ პირველი კატეგორიის მამულის ჩამორთმევისას 10 დესეტინამდე, მეორე კატეგორიისათვის 20 დესეტინამდე, და მესამე კატეგორიის — 50 დესეტინამდე. ამ კანონის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მემამულეთა მიწის ნორმის განსაზღვრით მან შეავსო 16 დეკემბრის დეკრეტის ნაკლი. მაგრამ ეს კანონიც არ იყო ბოლომდე სრულყოფილი, რადგანაც არ იყო განსაზღვრული, თუ რა ფორმით და რაოდენობით მომხდარიყო უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხების დაკმაყოფილება [131].

აღნიშნული ნაკლის მიზეზი, სავსებით სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი შ. ვადაჭკორია, რამდენადაც დოკუმენტი აგრარული რეფორმის ამერკავკასიის მასშტაბით გატარებას ითვალისწინებდა, მის შემდგენლებს იმ ეტაპზე ჩამოსართმევი მიწების, მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხთა რაოდენობის სრული მონაცემები არ გააჩნდათ, რის გამოც ნორმის სავარაუდო განსაზღვრისაგან თავი შეიკავეს, მეორე მხრივ, სამივე რესპუბლიკაში ერთი და იმავე ნორმის დაკანონება შეუძლებელი იყო. აუცილებლობა თითოეული მათგანის სპეციფიკის გათვალისწინებას საჭიროებდა [69, 299].

მიწის საკითხის სამართლიანად გადაჭრის აუცილებლობა კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებს, იმავდროულად კარგად გრძნობდნენ აღნიშნული კანონის ნაკლსაც. გაზეთ „ერთობაში“ მიწების ჩამორთმევასთან დაკავშირებით სტატიაში აღნიშნულია „ისეთ რთულ საკითხში, როგორიც მიწის საკითხია, საჭიროა ფრთხილი და წინდახედული მოქმედება... ჩვენ დღესაც გულახდილად ვეუბნებით ხალხს, აღნიშნული კანონი არ წარმოადგენს მიწის საკითხის საბოლოო გადაჭრას, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ კითხვის გადასაჭრელად გადადგმული“ [131].

ამ მიმართულებით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. 1918 წ. 26 მაისს შეიქმნა მიწათმოქმედების სამინისტრო ნოე ხომერიკის ხელმძღვანელობით. საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-3 სხდომაზე აირჩიეს აგრარული კომისია, 9 კაცის შემადგენლობით: კირილე ნინიძე — კომისიის თავმჯდომარედ, წევრებად, რაფიელ

ჩიხლაძე, ვასილ ცაბაძე, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე ჯავრიშვილი, თევდორე ღლონტი, აკაკი პაპავა, მიხეილ მაჩაბელი, დავით ჩიქოვანი [17, 11].

მიწათმოქმედების სამინისტროს, ნოე ხომერიკის განცხადებით, მეტად რთულ პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება. მიუხედავად ამისა, სამინისტრომ დააჩქარა 7 მარტის კანონის რეალიზაცია. გამოიცა ვრცელი ინსტრუქცია ადგილობრივ ორგანიზაციათა სახელმძღვანელოდ, სოფლებში გაიგზავნა რწმუნებულები და ემისრები. მართალია, რეფორმას ბევრი მტერი ჰყავდა, რომლებიც ყოველგვარი საშუალებებით ებრძოდნენ მის განხორციელებას, მაგრამ სოფლებში მიწისმზომელის გამოჩენის შემდეგ თითქმის შეწყდა გლეხებსა და მემამულეებს შორის დაპირისპირება. თავდაპირველად მაზრებში მიწის მიმღები ორი-სამი კომისია მუშაობდა, შემდეგ ეს რიცხვი თანდათანობით გაიზარდა. იმავდროულად მიწათმოქმედების სამინისტრომ გაგზავნა სპეციალური კომისიები კულტურული მამულების, ტყეების, მინერალური წყლების და კურორტების მისაღებად [42, 3].

განიხილავს რა ვ. ჯანჯღავა ქართველი მენშევიკების დამოკიდებულებას აგრარული საკითხისადმი, სახელდობრ, 1917 წლის ივნისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო ყრილობის დადგენილებას, აღნიშნავს, რომ ქართველი მენშევიკები ერთგულნი იყვნენ მიწის მუნიციპალიზაციის საერთო მენშევიკური პროგრამის, მაგრამ მის დაუყოვნებლივ განხორციელებას არ მოითხოვდნენ, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ეროვნული საბჭო ამ საკითხის დროულად გადაჭრას დიდ ყურადღებას უთმობდა [120, 18].

1919 წ. 3 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სამეფო გვარეულობის წევრთა ქონების კონფისკაციის შესახებ, რომლის მიხედვით ყოველი ადგილ-მამული, რომელიც ეკუთვნოდა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს ეროვნული სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა [41, 18].

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად, აგრარული რეფორმის ბოლომდე მიყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ გადაიჭრებოდა საკითხი ჩამორთმეული მიწების სარგებლობის ფორმის შესახებ. ხელისუფლების სათავეში მყოფ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს კარგად

ჰქონდათ გათვიცნობიერებული, რომ თუ ხელისუფლება გლეხების სურვილს გვერდს აუვლიდა, ის ვერ მოიპოვებდა მასში საიმედო დამცველს. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც თავდაპირველად მიწის მუნიციპალიზაციის ფორმას აძლევდნენ უპირატესობას, აგრარული რეფორმის განხორციელების დროს მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის ინიციატივით გამოვიდნენ, მაგრამ მუნიციპალიზაციის პროგრამაზე მთლიანად მაინც არ აუღიათ ხელი. მიწათმოქმედების სამინისტროს მოხსენებით წერილში ამასთან დაკავშირებით ნოე ხომერიკი აღნიშნავდა: „უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მომხრე ვართ, არა მთელი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის, არამედ მისი ერთი ნაწილის. სახელდობრ, სახნავ-სათესი მიწების, სახელმწიფოსა და თვითმართველობათა ხელში რჩება მრავალი კულტურული მამული თავისი მსხვილი წმინდა კაპიტალისტური მეურნეობით“ [42, 5].

მართალია, გადაწყდა ჩამორთმეული მიწების ერთი ნაწილი სოფლის მეურნეებს გადასცემოდათ კერძო საკუთრებაში, მაგრამ იქვე ისმებოდა კითხვა, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო ამ მიწების გადაცემა, უფასოდ თუ გარკვეული საფასურის გადახდით. აგრარული რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უმიწაწყლო და მცირე მამულიანი გლეხების დაკმაყოფილება იყო. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მიზნად არ ისახავდა მიწების ბაზარზე სავაჭროდ გატანას, მაგრამ მიწების უფასოდ დარიგებაც შეუძლებელი იყო, რადგანაც აგრარული რეფორმის გატარება თავისთავად დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული [42, 6].

ნოე ხომერიკი მიწათმოქმედების სამინისტროს გადაწყვეტილებას მიწების მცირე საფასურით გადაცემის შესახებ პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური მოსაზრებით ხსნიდა „ეს ყოველმხრივ მიზანშეწონილი ზომაა. მიწების უფასო დარიგება გარდა იმისა, რომ მიუღებელია, თანაც შეუძლებელი არის. ისტორიამ ჯერ არ იცის მაგალითი მიწის კერძო საკუთრებაში უფასოდ გადაცემისა. საფრანგეთის რევოლუციის დროს მიწები გაყიდეს საჯარო ვაჭრობით. მიწების უფასოდ შეიძლება წართმევა, დატაცება, მათი წესიერი განაწილება კი შეუძლებელია, ყველა მიწა ხომ ერთგვარი ღირებულების არ არის. ამიტომ მცხოვრებთა შორის გაიმართება საუკეთესო მიწებისათვის ბრძოლა“ [42, 6].

მიწაზე გარკვეული საფასურის დაწესება აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგანაც რეფორმის გატარებასთან დაკავშირებული იყო უამრავი საკითხის მოგვარება. ჩამორთმეულ მიწებზე დიდი იყო ბანკების ვალი. დაახლოებით 15-18 მილიონი მანეთი, მთავრობა ამ ვალის გადახდაზე უარს ვერ იტყოდა. აგრარული რეფორმის გატარება მოითხოვდა სარწყავი არხების გაყვანას, ჭაობების დაშრობას. საქართველოში მიწის ფონდი იმდენად მცირე იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა მცხოვრებთა დაკმაყოფილება თუ არ გაფართოვდებოდა სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ფონდი. შავი ზღვის ჭაობებს 60-80 ათასი დესეტინა სივრცე ეკავათ. ეს მიწები თავისი ნოყიერებით იყო ცნობილი, რის გამოც მათი დაშრობა საქართველოს დიდ სიმდიდრეს შესძენდა. მოსარწყავი იყო შირაქის ველი — სივრცით 60 ათასი დესეტინა, ყარაიზის — 20 ათასი დესეტინა, ტფილისსა და მდინარე იორს შუა 31 ათასი დესეტინა ფართობი. სპეციალისტების გამოთვლებით ამ მიწების მორწყვას 70-90 მილიონი მანეთი სჭირდებოდა. ამავე დროს სახელმწიფო ხელმოკლე მეურნეებს იაფი ან უპროცენტო კრედიტით უნდა დახმარებოდა. ასეთ დახმარებას გამოთვლებით დაახლოებით გლეხობის ერთი მესამედი საჭიროებდა, კომლზე 600 მანეთი კრედიტი რომ გაეცა სახელმწიფოს, ამ საქმისათვის 70 მილიონზე მეტი იყო საჭირო. ამ და სხვა მიზეზთა გამო, რომელთა შესახებაც საუბრობდა ნოე ხომერიკი, შეუძლებელი იყო გლეხების უმიწოდ განთავისუფლება [42, 6].

1919 წ. 8 იანვარს მიწათმოქმედების მინისტრმა, ნოე ხომერიკმა, აგრარული კომისიის სხდომაზე წარადგინა კანონპროექტი „სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მამულების მცხოვრებთათვის კერძო საკუთრებად მიცემის შესახებ". კანონპროექტის განხილვამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. სხდომაზე სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები მოითხოვდნენ მიწის სოციალიზაციის პრინციპის გატარებას, აგრეთვე საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დამფუძნებელი კრებისათვის გადაცემას. სოციალისტ-ფედერალისტის, ა. პაპავას განცხადებით, აღნიშნული კანონის გამოცემა არავითარ ცვლილებას არ მოახდენდა, „იგი მხოლოდ დაადასტურებს იმას, - რაც ეხლა არსებობს, ე. ი. გლეხებს დაუმტკიცებს იმ მიწების მფლობელობას,

რომელიც მათ ეხლა აქვთ დაკავებული". სოციალ-დემოკრატი კ. ანდრონიკაშვილი, ა. პაპავას ამ განცხადებას სრულიად ლოგიკურად პასუხობდა. „თუკი ამ კანონპროექტში არსებული დებულებები უკვე განხორციელებულია ცხოვრებაში, მაშინ სადაო არაფერი დაგვრჩენია, მაშასადამე ეხლა საჭიროა საჩქაროდ მივცეთ რეალური ხასიათი ამ კანონს. კ. ანდრონიკაშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ გლეხების ფსიქოლოგია მიწის კერძო საკუთრებად გადაცემის პრინციპს აძლევდა უპირატესობას, რასაც კანონი სრულიად აკმაყოფილებდა [42, 10].

მწვავე დისკუსია აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით აგრარული კომისიის 10 იანვრის სხდომაზეც გაგრძელდა. ეროვნულ-დემოკრატი მ. მაჩაბელი თავის გამოსვლაში აღნიშნავდა: „გლეხი არ მოითხოვს მიწის სოციალიზაციას, ეს უტოპისტების მოგონილია. მიწები უნდა მიეყიდოთ გლეხებს და თანაც ისეთ ფასებში, რომ ხაზინაში შემოვიდეს საკმარისი ფული". აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატებს არ მოსწონდათ ის გადაწყვეტილება, რომ მთავრობა უსასყიდლოდ ართმევდა მემამულეებს მიწებს [42, 13-14].

1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა". აგრარული რეფორმის წარმატებით განხორციელების საქმეში ამ კანონის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ავსებდა იმ ნაკლს, რომელიც ადრე მიღებულ კანონებს გააჩნდათ. კანონით გლეხების საკუთრებად გამოცხადდა მათი სანადელო მიწები დაწესებული ნორმის ფარგლებში, ასევე კანონი ითვალისწინებდა მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწების უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებზე გაყიდვას. კანონი 21 მუხლისაგან შედგებოდა, რომლის მიხედვით: 1) სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრებად გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც ამ კანონის შემდეგ (2) მუხლშია აღნიშნული; 2) გარდა იმ მიწებისა, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წ. 16 დეკემბრის დეკრეტის მე-5 მუხლში და ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ. 2 მაისის კანონშია ჩამოთვლილი, არ განაწილდება მცხოვრებთა შორის აგრეთვე ის მიწებიც, რომელიც მიწათმოქმედების მინისტრის განკარგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის დანიშ-

ნული იქნება; 3) მიწა მიეცემა საკუთრებად იმ უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფლელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა. ამავე მუხლში დართული შენიშვნით მიწის საკუთრებაში მიღების უფლება, თუ ამ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდნენ არ ეკარგებოდათ იმ ქალაქების მცხოვრებლებს, რომლებიც 1917 წლის 1 მარტის შემდეგ გამოცხადდნენ ქალაქელებად, 4) უკეთუ რამდენიმე პირი, რომელთაც უფლება აქვთ ცალ-ცალკე ნორმის მიღებისა, წერილობით განაცხადებენ, რომ მათ სურთ საზოგადო საკუთრებად შეიძინონ მათი ხვედრი მიწები, ასეთი მათი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნება. კანონის მე-8 და მე-9 მუხლით აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება მიწათმოქმედების სამინისტროს ევალებოდა. სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდა: ა) სამაზრო საერობო გამგეობა, რომელზედაც გადადიოდა სამაზრო საადგილმამულო გამგეობათა უფლებანი და მოვალეობანი, ბ) სამაზრო საადგილმამულო გამგეობა იმ ადგილებში, სადაც საერობო გამგეობა არ იყო არჩეული და გ) სარაიონო კომისიები. მიწათმოქმედების სამინისტროს გადაწყვეტილებით ყოველი მაზრა იყოფოდა სააგრარო რაიონებად, თითოეულ რაიონში იქმნებოდა სარაიონო კომისია 3-5 პირის შემადგენლობით [42, 38].

1919 წ. 28 იანვრის კანონით აგრეთვე ნორმის ფარგლებში მესაკუთრედ გამოცხადდნენ სახაზინო გლეხები, ხიზნები, მთიანი ოსეთის გლეხთა ის ნაწილი, რომელიც სამაჩაბლოს მიწებით სარგებლობდა, ახალციხის და ახალქალაქის გლეხები და სოხუმის ოლქის ზოგიერთი კატეგორიის გლეხები [115, 5].

ამრიგად, ეროვნული საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობაში აგრარული რეფორმის განხორციელებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ამიერკავკასიის კომისარიატის და სეიმის მიერ გამოცემული კანონები, მასში შემავალი სამი რესპუბლიკის ინტერესთა გათვალისწინების საფუძველზე საკითხის გადაჭრის შესაძლებლობას გამორიცხავდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიწათმოქმედების სამინისტრომ ქართული სინამდვილის გათვალისწინებით მიზანმიმართული ნაბიჯები გადადგა აგრარული რეფორმის პრაქტიკულად გატარებისათვის. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც თავდაპირველად მიწის მუნიციპალიზაციის

ფორმას აძლევდნენ უპირატესობას, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის ინიციატივით გამოვიდნენ. 1919 წ. 29 იანვრის კანონი უდიდესი მნიშვნელობის იყო, რადგანაც მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციით, სახელმწიფო-სახაზინო მიწების ფონდებიდან მოსახლეობისათვის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემით, იმავდროულად მიწათმფლობელობის ნორმების განსაზღვრით, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის.

§3. ეროვნული საბჭო საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის შესახებ

ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე, ისეთი მრავალეროვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველო იყო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულების საკითხის განსაზღვრა. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების განხილვა კიდევ ერთხელ უგულებელყოფს იმ სტერეოტიპებს, რასაც საბჭოური ისტორიოგრაფია წლების მანძილზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის შეფასებისას ამკვიდრებდა.

1918 წ. 26 მაისს ნოე ჟორდანია თავის გამოსვლაში აღნიშნავდა: „ჩვენ სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვადასხვა ერთა უმცირესობა ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა – ქართველობა“ [17, 2]. იმავე დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-5 და მე-6 მუხლებით ოფიციალურად დადასტურდა ეროვნული უმცირესობებისადმი დამოკიდებულების ის ფორმა, რასაც შემდგომში ამ მიმართულებით ეროვნული საბჭოსა და მთავრობის საქმიანობა უნდა დაფუძნებოდა. 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“ [17, 2].

ამ მიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეროვნული საბჭოს 1918 წ. 29 მაისის სხდომაზე გადაიდგა. სხდომის წევრებმა სამანდატო კომისიის წინადადების საფუძველზე მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო ორგანოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის საკითხი განისაზღვრა. დადგენილების მიხედვით: „საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა უმცირესობების წარმომადგენელნი საქართველოს ეროვნულ საბჭოში მიღებულ იქნას ამ ერების მოსახლეობის რაოდენობის პრინციპით. თვით წარმომადგენლების მოწვევა ხსენებულ ერების ნაციონალურ საბჭოებთან ან სხვა ამგვარ დაწესებულებებთან შეთანხმებით მოხდეს“ [17, 8]. ნებისმიერი დადგენილება პრაქტიკულ განხორციელებას საჭიროებდა, მაგრამ ამ მიმართულებით საქმიანობის დაწყებას აფერხებდა ის გარემოება, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო მიღებული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. ამ კანონის მიღებამდე, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლის რიცხვის განსაზღვრით, არსებობდა საფრთხე ეროვნული საბჭოს წევრი გამხდარიყო ისეთი პირი, რომელიც კანონის მიღების შემდეგ საქართველოს მოქალაქედ არ ჩაითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ეროვნული საბჭოს წევრები ცდილობდნენ დაეჩქარებინათ აღნიშნული კანონის მიღება. 1918 წ. 16 ივლისს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა „დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა“, რითაც ხელი შეუწყო ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობის განსაზღვრის საკითხის დროულად გადაწყვეტას“ [31, 13].

1918 წ. 15 ივლისს სამანდატო კომისიის წევრმა შალვა მიქელაძემ ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს, საკანონმდებლო ორგანოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის კანონპროექტის შესახებ მოხსენება წარუდგინა. იმავდროულად თხოვნით მიმართა აღნიშნული საკითხის განხილვა ეროვნული საბჭოს უახლოესი სხდომის დღის წესიგში შეეტანათ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ სამანდატო კომისია ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობის განსაზღვრის დროს ემყარებოდა მხოლოდ საქართველოს მკვიდრ მცხოვრებლებს. სამანდატო კომისიამ სხდომაზე წარმოად-

გინა ამ პრინციპის საფუძველზე შემუშავებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ერთა რაოდენობა ასე გამოიყურებოდა. სომხები – 200000 ცოტა მეტი, თათრები – 80000; ოსები – 45-50000-მდე, აფხაზები – 90000 მეტი, რუსები – 60-70 ათასამდე; ებრაელები – 30000 მეტი, ბერძნები – 12-15000-მდე; გერმანელები – 8000 ცოტა ნაკლები. მათივე განცხადებით ეს მონაცემები ზუსტი არ იყო, მხოლოდ დაახლოებით წარმოდგენას გვაძლევდა ამ ერთა რაოდენობის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე [28, 6].

სამანდატო კომისიის წინადადებით, ეროვნულ საბჭოში უმცირესობების წარმომადგენლობის საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყვეტილიყო. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერს ეროვნულ საბჭოში თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა. ეროვნულ უმცირესობებს 20000 მცხოვრებიდან ერთი დელეგატის გაგზავნის უფლება ეძლეოდათ. იმავდროულად გამონაკლისს უშვებდნენ იმ ეროვნული უმცირესობების მიმართ, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდნენ. სამანდატო კომისიის გადაწყვეტილებით, ეროვნული საბჭოს წევრს მოეთხოვებოდა ქართული ენის ცოდნა, რადგანაც სხდომებზე წარმოთქმული სიტყვების თარგმნა შეუძლებელი იყო. ასეთი წესის დაშვება ეროვნული საბჭოს მუშაობას შეუძლებელს გახდიდა. სამანდატო კომისიის მონაცემებით საკანონმდებლო ორგანოში ეროვნულ უმცირესობათა რიცხვი 28 კაცით უნდა განსაზღვრულიყო [28, 6-7].

აღნიშნული კანონპროექტის განხილვას ეროვნულმა საბჭომ რამოდენიმე სხდომა მოანდომა. საბოლოო ტექსტი 1918 წ. 13 სექტემბერს დაამტკიცა. კანონში ვკითხულობთ: 1. მიეცეს უფლება საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის არჩევისა იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შედგება, სახელდობრ: სომხებს – 10; თათრებს – 4; აფხაზებს – 3; რუსებს – 2; ოსებს – 2; ქართველ ისრაელებს – 2; ებრაელებს – 1; ბერძნებს – 1; გერმანელებს – 1.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა გამოგზავნონ ამ ერების ეროვნულმა საბჭოებმა, რომელნიც არჩეულნი არი-

ან საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებენ.

შენიშვნა: სადაც ასეთი საბჭო არ არსებობს, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის გამოგზავნის უფლება მიეცეს ისეთი ერის წარმომადგენლებს, რომელნიც არჩეულნი არიან სხვადასხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში საქართველოს რესპუბლიკაში [31, 29]. მიღებული კანონით საკანონმდებლო ორგანოში ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა საბოლოოდ განისაზღვრა. როგორც ვხედავთ, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ითვალისწინებდნენ რა ქვეყანაში შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას, ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულების ფორმის ძიებისას გარკვეულ დათმობებზე მიდიოდნენ, მაგრამ აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მათ მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი ქართველი ერის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინების საფუძველს ემყარებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, რუსეთის მხრიდან დიდი პროტესტი გამოიწვია. რუსეთი თავისი იმპერიული მიზნების განხორციელებისათვის ცდილობდა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები გამოეყენებინა. ამ მიზნით იგი შეეცადა აფხაზეთის, აჭარის და ოსეთის მოსახლეობაში სეპარატიზმის გაღვივებას და ამ ტერიტორიების საქართველოდან ჩამოცილებას. განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა აფხაზეთში.

1917 წ. 20 ოქტომბერს ვლადიკავკაზში შეიქმნა დონის, ყუბანის, თერგის, ასტრახანის კაზაკთა ჯარების, კავკასიის მთიელების და სტავროპოლისა და ასტრახანის სტეპების თავისუფალი ხალხების სამხრეთ-აღმოსავლეთი კავშირი. ამ კავშირში შევიდნენ აფხაზებიც. 1917 წ. ნოემბერში ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივით სოხუმში ჩატარდა ყრილობა, რომელზედაც მიიღეს „აფხაზი ხალხის ყრილობის დეკლარაცია და აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუცია“. ყრილობაზე შეიქმნა აფხაზთა გამაერთიანებელი, მისი ინტერესების დამცველი და მთიელებთან დამაკავშირებელი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია — სახალხო საბჭო [170, 115-127].

1918 წ. 9 თებერვალს აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლები — ა. შერვაშიძე, მ. ემხვარი, ნ. მარღანია, ნ. ჩქოტუა

და მ. ცაგურია შეხვდნენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასკომის წევრებს — ა. ჩხენკელი, კ. მესხი, ვ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, ნ. ქარცივაძე. განიხილეს აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის საკითხი. აფხაზთა წარმომადგენლების საუბრიდან აშკარად გამოიკვეთა პოზიცია, რომ მათ სურდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. რაც შეეხებოდა საქართველოსთან მათ ურთიერთობას, ის მხოლოდ კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას უნდა დაფუძნებოდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებმა, რა თქმა უნდა, მხარი არ დაუჭირეს აფხაზთა ამ მოთხოვნებს. მათ თავიანთი პოზიცია აფხაზეთისათვის ფართო ავტონომიის მინიჭების უფლებით დააფიქსირეს. აკაკი ჩხენკელი აღნიშნავდა „ჩვენი მიზანია აღვადგინოთ სოხუმის ოლქი, როგორც აფხაზეთი“, იმ პირობით თუ აფხაზეთი გამოვიდოდა მთიელთა კავშირიდან. ამავე დროს შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სამურზაყანოს არ სურდა მთიელთა კავშირში დარჩენა. შეხვედრის დასასრულს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც 3 მუხლისაგან შედგებოდა.

1. აღსდგეს ერთიანი, განუყოფელი აფხაზეთი მდინარე ენგურიდან მდინარე ბზიფამდე, სადაც შევა საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო ანუ დღევანდელი სოხუმის ოლქი.

2. ერთიანი აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური წყობილების ფორმის შემუშავება უნდა დამყარებოდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და დემოკრატიულ საფუძველზე მოწვეულ აფხაზეთის დამფუძნებელ კრებას გადაეწყვიტა.

3. იმ შემთხვევაში თუ აფხაზეთი და საქართველო სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური კავშირის შეკვრას მოისურვებდნენ, ერთმანეთს შორის წინასწარი მოლაპარაკება უნდა გამართულიყო [10, 11]. ამ ხელშეკრულებით აფხაზეთი ფაქტობრივად საქართველოს დაუკავშირდა.

აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის ასეთი ფორმების დამკვიდრებას ბოლშევიკური ძალები მტრულად შეხვდნენ. 1918 წ. 8 აპრილს მათ შეძლეს სოხუმში ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რომელიც 17 მაისამდე შეინარჩუნეს. ბოლშევიკებმა აფხაზეთის სახალხო საბჭო დაშალეს, მისი თავმჯდომარე და ზოგიერთი წევრი დააპატიმრეს. შექმნეს ე. წ. რევოლუციური კომიტეტები. აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენელთა ნაწი-

ლი, რომელიც გადაურჩა ბოლშევიკურ რეპრესიებს, თბილისში ჩავიდა და ამიერკავკასიის მთავრობას სთხოვა დახმარება. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ყოველი ღონე იხმარა, რათა გაეწმინდა სოხუმი მოძალადე ბოლშევიკებისაგან. ქართულმა ჯარმა ვ. ჯუღელის მეთაურობით 1918 წ. 17 მაისს სოხუმი დაიკავა [170, 115-127].

ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, როდესაც თბილისს ეწვია აფხაზეთის დელეგაცია რ. კაკუბას, გ. თუმანოვის, ჯ. გურჯუას და გ. აჯამოვის შემადგენლობით. დელეგაციის წევრებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს მთავრობას აფხაზეთში სახელმწიფო ორგანოების შექმნის საქმეში დახმარება აღმოეჩინათ. შეხვედრის დროს ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ აფხაზეთში არსებობდნენ სხვადასხვა, ერთმანეთის საპირისპირო პოლიტიკური დაჯგუფებანი. ერთ ნაწილში მომძლავრდა მისწრაფება თურქეთის შემადგენლობაში აფხაზეთის გაერთიანებისა, მეორე ნაწილი იზიარებდა კავკასიის მთიელთა გაერთიანებულ კავშირში შესვლის იდეას, აგრეთვე მცირე ნაწილი ბოლშევიკური ორიენტაციის იყო. შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე საქართველო-აფხაზეთის ახალი ურთიერთობების ფორმების განსაზღვრა დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებდა [49, 58].

1918 წ. 8 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც 7 მუხლისაგან შედგებოდა. აღნიშნული ხელშეკრულებით აფხაზეთს ფართო ავტონომიური უფლებები ენიჭებოდა. ასევე საქართველოს ეროვნული საბჭო და მთავრობა პირდებოდა ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას, მაგრამ ვერც ეს ხელშეკრულება გახდა რეგიონში სიმშვიდის გარანტი. აფხაზეთში კვლავ გააქტიურდნენ ბოლშევიკური და პროთურქული ძალები. აფხაზთა ერთმა ნაწილმა ე. ეშბას მეთაურობით, გადაწყვიტა სოხუმის ოლქი რუსეთისათვის მიეერთებინა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უმალ გადადგა საპასუხო ნაბიჯები. 1918 წლის 17-22 ივნისს გენერალ გ, მაზნიაშვილის ჯარმა სოხუმი დაიკავა. მათვე დაიკავეს შავიზღვისპირეთი სოჭისა და ტუაფსეს ჩათვლით. იმავდროულად 1918 წ. 28 ივნისს კოდორში თურქებმა გადმოსხეს დე-

სანტი, რომელსაც შერვაშიძე მოუძღოდა. ქართულმა ჯარმა გ. მაზნიაშვილის მეთაურობით თურქთა ეს ძალებიც დაამარცხა. მოპოვებული წარმატების შემდეგ აფხაზეთი გამოცხადდა საგუბერნატოროდ. გენერალ გუბერნატორად და სოხუმის გარნიზონის უფროსად გ. მაზნიაშვილი დაინიშნა [170, 115-127].

1918 წ. ოქტომბერში ვითარება აფხაზეთში კვლავ დაიძაბა. ანტიქართულმა ძალებმა ოკრუგის კომისრის მარღანიასა და აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ჩქოტუას მეთაურობით კვლავ სცადეს პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა აფხაზეთში. მათ ალყა შემოარტყეს შენობას, სადაც სახალხო საბჭო მუშაობდა და თავის გავლენას დაუქვემდებარეს. ვინაიდან აფხაზეთის სახალხო საბჭო არ იყო დემოკრატიული გზით არჩეული და არ გამოხატავდა მოსახლეობის ინტერესებს, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით აფხაზეთის სახალხო საბჭო დაშლილად გამოცხადდა. გადაწყდა ახალი არჩევნების ჩატარება. არჩევნების მოსამზადებლად შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია; რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვარლამ შერვაშიძე, ისიდორე რამიშვილი (საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი აფხაზეთში), ვასილ გურჯუა, გიორგი შერვაშიძე. დროებით სოხუმის ოკრუგის კომისრად დაინიშნა ბენია ჩხიკვიშვილი. აფხაზეთის სახალხო საბჭოს დაშლის გამო აფხაზეთის საქმეთა მინისტრს უფლებამოსილება შეუწყდა და ამ მოვალეობის დროებით შესრულება დაეკისრა შინაგან საქმეთა მინისტრს [7, 132-140].

ცენტრალური საარჩევნო კომისია ვ. შერვაშიძის ხელმძღვანელობით შეუდგა საარჩევნო დებულების პროექტის შემუშავებას. კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი 1918 წ. 20 დეკემბერს პარლამენტის წევრებს გააცნო იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ – გრ. რცხილაძემ. პარლამენტმა კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის შემდეგ თითოეული მუხლი დებულებისა (სულ – 1-97) უცვლელად დაამტკიცა და საბოლოო შესასწორებლად სარედაქციო კომისიას გადასცა [17, 212].

1918 წ. 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „დებულება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა [17, 215-216]. დებულებით აფხაზეთის სახალხო საბჭოს შემადგენლობა 40 წევრით განისაზღვრა. სახალხო საბჭოს წევრთა არჩევის უფ-

ლება ენიჭებოდა აფხაზეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა [31, 66]. აღნიშნული დებულების საფუძველზე, 1919 წ. მარტში აფხაზეთში ჩატარდა პირველი დემოკრატიული არჩევნები.

აფხაზეთის საკითხთან ერთად ეროვნული საბჭოს წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამაჰმადიანო საქართველოს საკითხის მოგვარებას. ამ მიმართულებით ეროვნულმა საბჭომ გარკვეული ნაბიჯები პირველივე დღეებიდანვე გადადგა. 1917 წ. 3 დეკემბერს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე „სამაჰმადიანო საქართველოს“ საქმეების გასაძღოლად დაარსდა სექცია, რომელსაც აკაკი ჩხენკელი ჩაუდგა სათავეში [10, 2]. 1917 წ. 17 დეკემბერს ეროვნული საბჭოს მე-3 კრებამ, სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექციის მოხსენება მოისმინა. მოხსენებით გამოვიდა სექციის წევრი პავლე საყვარელიძე. მან ეროვნული საბჭოს წევრებს გააცნო სექციის სტრუქტურა და ამოცანები. მისი განცხადებით სექციაში აღმასრულებელი კომიტეტის წევრებთან ერთად, სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენლებიც იყვნენ მოწვეულნი. მუშაობის გაადვილების მიზნით თავმჯდომარეს სამი მოადგილე დაენიშნა. პოლიტიკური საკითხების დარგში — მემედ აბაშიძე, კულტურული საკითხების დარგში — ივ. გომართელი, მესამე მოადგილის არჩევის საკითხი შემდეგისათვის გადაიდო [10, 23].

სექციამ საჭიროდ ჩათვალა ამ მიმართულებით საქმიანობა შემდეგი სახით ეწარმოებინა: ა) პოლიტიკური მხარე საქმიანობისა შემდეგნაირად განისაზღვრა „სამაჰმადიანო საქართველო“ რჩებოდა საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად საშინაო საქმეებში თვითმმართველობის უფლებით; 2) კულტურული მხარე — ახალი სკოლების, პროფესიული სასწავლებლების გახსნა, აჭარის სკოლებში დედაენის საკითხის გადაწყვეტა. ქართული ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებით, ქართველ მოღვაწეთა შორის ცხარე კამათი მიმდინარეობდა. ერთი ნაწილი მოითხოვდა სწავლება საქართველოს ამ ისტორიულ ნაწილში ქართულ ენაზე ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში სექციის წევრები შეთანხმდნენ საკითხი ტაქტიკური მოსაზრებით შემდეგნაირად გადაეწყვიტათ. იქ სადაც ოჯახში დედაენა ქართული იყო, სწავლება ქართულ ენაზე იქნე-

ბოდა, ხოლო თურქული ენის სწავლება სავალდებულო, სადაც ოჯახში დედაენა თურქული იყო, სწავლება თურქულ ენაზე იქნებოდა, ქართული ენის სწავლება კი სავალდებულო [10, 23]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეროვნული მოძრაობა საქართველოს ამ კუთხეში ჯერ კიდევ სუსტი იყო, სექციის წევრთა ასეთი გადაწყვეტილება იმ ეტაპზე სავსებით ლოგიკური იყო.

საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ამ ნაწილში XIX საუკუნის ბოლოდან და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ერთმანეთს დაუპირისპირდა თურქეთის, დასავლეთ ევროპის და რუსეთის ინტერესები. აჭარა–სამცხის მიტაცებისათვის თურქეთს ხელსაყრელი პირობები 1918 წ. 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით შეექმნა. მხედველობაში გვაქვს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების — ართვინის, არტაანის, ოლთისის და ბათუმის ოლქების ოსმალეთისათვის გადაცემა.

ბრესტის საზავო ხელშეკრულება საქართველომ არ სცნო. იმავდროულად ამიერკავკასიის სეიმმა შექმნისთანავე მიიღო გადაწყვეტილება, ოსმალეთთან მოლაპარაკება ეწარმოებინა დამოუკიდებლად. დელეგაციას და მის თავმჯდომარეს, აკაკი ჩხენკელს, დაევალა შეენარჩუნებინა ის სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც 1914 წლამდე არსებობდა. ტრაპიზონში მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო, ოსმალეთის მხრიდან საომარი მოქმედებები გრძელდებოდა. არც ბათუმის მოლაპარკება გამოდგა ნაყოფიერი.

1918 წ. 26 მაისს ოსმალეთის არმიის მთავარსარდალმა ხალილ-ბეიმ ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარეს წარუდგინა ულტიმატუმი 72 საათის განმავლობაში დაეკმაყოფილებინათ ოსმალეთის მოთხოვნა, როგორც ძველ წინადადებაზე, ასევე საზღვრის შესწორებასთან დაკავშირებით [101, 475], როდესაც ეს ულტიმატუმი მიიღეს თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე 4 საათის გამოცხადებული იყო.

აქვე გვინდა მოვიტანოთ 26 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ჰაიდარ აბაშიძის მეტად ამაღელვებელი გამოსვლა, რომელსაც დარბაზი დიდი ოვაციებით შეხვდა. მან ქართველ მაჰმადიანთა სახელით ქართველ ერს დამოუკიდებლობა მიულოცა შემდეგი სიტყვებით: „ძვირფასო ძმანო, მე თქვენი მოძმე, ქართველი მაჰმადიანი სუ-

ლითა და გულით გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღეს, მრავალტანჯულ საქართველოს თავისუფლებას. ვუცქერი ამ აქტს და ჩემი სული განიცდის სიხარულს და სიტკბოებას, მაგრამ ამასთან ერთად ჩემი გული ნაღველით ივსება, როდესაც ამ ბედნიერების დღეს, სამაჰმადიანო საქართველო ეს თქვენი ღვიძლი ძმები, თქვენთან ვერ არის. მაგრამ მამხნევებს იმედი მომავლისა, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თუ არა ხვალ მაინც თქვენთან იქნება. მე მამხნევებს ის, რომ მე მარტო არა ვარ და ჩემთან ერთად არის სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, მისი სიამაყე ციხე-კოშკების ნანგრევები და მასთან ერთად მრავალი ქართველი მაჰმადიანი, რომლებიც სულითა და გულით თქვენთან არის და იქნება კიდეც“ [134].

მართალია, დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მაგრამ ქვეყანაში მდგომარეობა რთული რჩებოდა. 2 ივნისს გაზეთმა „ერთობამ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც საქართველოს ყველა მოქალაქეს სამშობლოს დასაცავად მოუწოდებდა. „ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ ძველი შეცდომები, არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაკი საომარი მოქმედება არ განახლებულა, ამიტომაც არც შეტევას უნდა ველოდოთ ოსმალეთის მხრივ. მაგრამ კიდეც რომ არ სცადოს ოსმალეთმა წინ წამოწევა, ჩვენ მაინც ვერ შევურიგდებით არსებულ მდგომარეობას. შეუძლებელია დავუშვათ ოსმალეთის ჯარი ოზურგეთის რაიონში დარჩეს... ამიტომ საჭიროა საჩქაროდ მოვახდინოთ ყველა ძალების მობილიზაცია. არცერთი ძალღონით საესე მამაკაცი უსაქმოდ არ უნდა დარჩეს [134].

ასეთ ვითარებაში, 1918 წ. 4 ივნისს, დილის 4 საათზე, საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ ბათუმში ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით საქართველო კარგავდა აჭარა-ბათუმს ჩოლოქამდე, ახალციხის მაზრიდან საქართველოს რჩებოდა აწყურის, აბასთუმნის და ზეკარის რაიონები, დანარჩენი ნაწილი ახალციხის მაზრისა და მთელი ახალქალაქის მაზრა გადადიოდა ოსმალეთის ხელში. ოსმალეთს შეეძლო აგრეთვე ესარგებლა რკინიგზით ჯარების გადასაყვანად და იარაღის გადასატანად. გზებზე კონტროლს საქართველოს მთავრობა განახორციელებდა. და ბოლოს ოსმალეთი ცნობდა საქართველოს სუვერენიტეტს და გარანტიას იძლეოდა არ ჩაერეოდა საქართველოს სახელმწიფოს საქმეებში“ [135].

როგორც აღვნიშნეთ, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ყარსი, არდაგანის და ბათუმის ტერიტორიები თურქეთის შემადგენლობაში ადგილობრივი მოსახლეობის რეფერენდუმის საფუძველზე უნდა გადასულიყო. თურქეთმა 1918 წლის 14 ივლისს მართლაც ჩაატარა რეფერენდუმი, მაგრამ იმ დროს, როდესაც ეს ტერიტორიები უკვე იარაღით ჰქონდა დაკავებული, არჩევნები არ ყოფილა ფარული. იგი ღია წესით ჩატარდა, რაც მოსახლეობას არ აძლევდა საშუალებას ობიექტური არჩევანი გაეკეთებინა. არსებობდა საფრთხე, რომ თურქებისაგან სასტიკად დაისჯებოდნენ. შესაძლო იყო მოეკლათ კიდეც. ამომრჩევლებს დაურიგეს თეთრი და ლურჯი ბილეთები, რაც ნიშნავდა ოსმალობას და ქრისტიანობას (თეთრი — ოსმალოს, ლურჯი — ქრისტიანს), ყუთებთან თურქი ასკერები დააყენეს [111, 33]. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, არჩევნები ყველა წესის დარღვევით, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ინტერესების სრული უგულებელყოფით ჩატარდა. საქართველოს მთავრობამ რეფერენდუმი უკანონოდ გამოაცხადა და ამის შესახებ აცნობა კავკასიაში გერმანიის წარმოადგენელს ფონ კრესს.

რეფერენდუმის უკანონობა გერმანიის მთავრობამაც დაადასტურა. აი რას სწერდა 1918 წლის 28 ივლისს ფონ კრესი შინაგან საქმეთა მინისტრს, ნოე რამიშვილს. გერმანიის იმპერიის ელჩმა კონსტანტინეპოლში მიიღო შემდეგი მითითება ოსმალეთის მთავრობისათვის გადასაცემად. ის ფაქტი, რომ ოსმალეთის მთავრობამ, დამოუკიდებლად დამსწრეთა მონაწილეობის გარეშე, 14 ივლისს ბათუმში მოაწყო პლებისციტი, არ შეესაბამება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლს, რომლის მიხედვით ვითარება უნდა მოწესრიგდეს მოსახლეობის მიერ მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. შედეგად თუ რომელიმე ამ სახელმწიფოთაგან განაცხადებდა პროტესტს ოსმალეთის მთავრობის ამგვარი ქმედების წინააღმდეგ, გერმანიის მთავრობას არ შეეძლო ამგვარი პროტესტი ჩაეთვალა საფუძველს მოკლებულად [101, 475].

თურქეთის მიერ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მიტაცების გამო, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო აჭარასა და მთელ საქართველოში, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ მემედ, ჰაიდარ, ზია და ასლან აბაშიძეები, რეჯებ და სულეიმან ნიჟარაძეები, ჯემალ ქიქავა, ჯემალ ნოღაიდელი და სხვები. ზია

აბაშიძის, სულეიმან დიასამიძის, ჰაიდარ აბაშიძის და ყადირ აბაშიძის თაოსნობით თბილისში „სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ დაარსდა [111, 33-34]. კომიტეტის წევრებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს მოსახლეობაში ქართული სულის გაღვივების და დედა სამშობლოსთან ამ კუთხის შენარჩუნების საქმეში.

თურქეთმა, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ შეძლო თავისი ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება. 1918 წლის 30 ოქტომბერს ინგლის-თურქეთს შორის დადებული მუდროსის ზავით იგი იძულებული გახდა აღნიშნული ტერიტორიებიდან ჯარი გაეყვანა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებით, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება გაუქმდა. რის შემდეგაც ამიერკავკასია ინგლისის გავლენის ქვეშ მოექცა.

რუსეთი კი განაგრძობდა ეროვნული უმცირესობების ქართველი ერისადმი დაპირისპირების პოლიტიკას. ამჯერად ბოლშევიკები ქართველი და ოსი ხალხის დაპირისპირებას შეეცადნენ და მოახერხეს კიდეც. საქართველოს დამოუკიდებლობამდე „ოსთა საკითხი“, სავსებით სამართლიანდ მიუთითებს პ. სურგულაძე, როგორც ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემა არასოდეს არ წამოჭრილა [167, 138-147]. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ოსურ მოსახლეობაში გაძლიერდა მისწრაფება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსთა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანების შესახებ.

1917 წ. 15-17 დეკემბერს ქ. ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობა, რომელმაც აირჩია სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო. ყრილობაზე მიიღეს დადგენილება „სამხრეთ ოსეთისათვის ფართო თვითმმართველობის მინიჭების და საერობო — ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ“ [74, 15-16]. როგორც ვხედავთ, 1917 წლის ბოლოსათვის ოსები ჯერ კიდევ არ აყენებდნენ მათთვის ფართო ავტონომიის მინიჭების საკითხს და საერობო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნით კმაყოფილდებოდნენ. ამასვე ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-3 კრების მასალები. კრება 17 დეკემბერს გაიმართა. კრებაზე საგარეო საქმეთა სექციის სახელით გამოვიდა აკ. ჩხენკელი, რომელმაც ეროვნული საბჭოს წევრებს მოახსენა: „ოსები გორის

მაზრისა ჩვენთან იქნებიან მხოლოდ მათ მიეცემათ ერობის მაგვარი თვითმმართველობა. ამაზე ჩრდილო ოსებიც თანახმა არიან" [10, 24]. ასეთი იყო დამოკიდებულება 1917 წლის ბოლოსათვის ამ ორ ხალხს შორის. უფრო მეტიც, ეროვნულმა საბჭომ 21 იანვარს სხდომაზე სამხრეთ-ოსეთის საბჭოს წარმომადგენლად ერთხმად დაამტკიცა გიორგი გაგლოევი [5, 55]. ამით ეროვნულმა საბჭომ აღიარა ოსთა ეროვნული საბჭოს შექმნის ფაქტი და იმავდროულად თავის წარმომადგენელიც დაამტკიცა ოსთა ეროვნულ საბჭოში.

ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობა 1918 წლის დასაწყისიდან დაიძაბა. 1917-1918 წწ. საქართველოში დაწყებულმა აგრარულმა მოძრაობამ ოსი გლეხობაც აიყოლია. ბოლშევიკები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ყველა ხერხს მიმართავდნენ, ცდილობდნენ სოციალურ ნიადაგზე წარმოქმნილი უკმაყოფილებისათვის პოლიტიკური მიმართულება მიეცათ და მაქსიმალურად გამოეყენებინათ თავიანთ სასარგებლოდ.

1918 წლის მარტში გორის რაიონის ცალკეულ სოფლებში აგრარული მოძრაობა დაიწყო. ოსმა აჯანყებულებმა დაიკავეს ცხინვალი და თავიანთი მოთხოვნები წაუყენეს გორის აღმასრულებელ კომიტეტს. 17 მარტს ცხინვალში აჯანყებულებთან ჩავიდა გორის მაზრის კომისარი გიორგი მაჩაბელი მცირე რაზმთან ერთად. მოლაპარაკების დროს ის ოსებს დაჰპირდა ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაგრამ ცხინვალის კომისრის კოლუმბეკოვის გამოსვლის შემდეგ სულ უფრო დაიძაბა სიტუაცია, რასაც ოსების მხრიდან ცეცხლის გახსნა მოჰყვა. შეტაკების დროს ოსებმა ჯერ დაჭრეს, ხოლო შემდეგ მოკლეს გიორგი მაჩაბელი და სხვა ქართველები. საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ გააგზავნა ჯარი აჯანყებულების წინააღმდეგ. ქართული ჯარის ნაწილებმა შეძლეს აჯანყების ჩახშობა [151]. მაგრამ მოპოვებული წარმატების მიუხედავად, ოსთა გამოსვლები სხვადასხვა ფორმით კვლავ მიმდინარეობდა. ვითარება დაძაბული რჩებოდა.

1918 წ. ივნის-ივლისში კვლავ დაიწყო საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები დუშეთის მაზრაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ იმსჯელა ეროვნული საბჭოს 1918 წ. 2 ივნისის სხდომამ. დუშეთში განვითარებული მოვლენე-

ბის გამო ალექსანდრე ახმეტელმა შეკითხვა შეიტანა პარლამენტში, რომელშიც ყურადღებას ამახვილებდა ორ გარემოებაზე. დუშეთის მაზრაში დაწყებული ანარქია გამოწვეული იყო, ერთის მხრივ, ადმინისტრატორების არასწორი საქმიანობით და მეორეს მხრივ, რეაქციონერული საქმიანობის გაძლიერებით ამ კუთხეში. იმავე დროს, ბოლშევიკები თავისუფლად განაგრძობდნენ საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და მოუწოდებდნენ ხალხს იარაღით ხელში დაემხოთ ჩვენი დამოუკიდებლობა. აქედან გამომდინარე, ა. ახმეტელი სვამდა კითხვას, იცოდა თუ არა ყოველივე ამის შესახებ საქართველოს მთავრობამ და რა ზომების მიღებას აპირებდა [17, 41].

ა. ახმეტელის შეკითხვასთან დაკავშირებით სხდომაზე გაიმართა მსჯელობა, რის შემდეგაც ეროვნულმა საბჭომ მიიღო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შემდეგი წინადადება: „ეროვნული საბჭო აღიარებს, რომ ანარქიის ერთ-ერთი მიზეზთაგანი არის ადმინისტრაციის მიზანშეუსაბამო მოქმედება და საჭიროდ ცნობს საგანგებო „საპარლამენტო კომისიის დანიშვნას“ [17, 42]. იმავდროულად, 2 ივლისის სხდომამ განიხილა დავით ვაჩნაძის შეკითხვა, სადაც იგი საუბრობდა იმის შესახებ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უსაქმოდ დარჩენილი რუსული სამხედრო შტაბები თავისი მრავალრიცხოვანი გენერლებით და ოფიცრებით საქართველოს თავისუფლების სამტრო ბანაკად გადაიქცა, ფაქტები და საბუთები გვიმტკიცებდნენ, რომ რუს ოფიცერთა წრე ტფილისში დღეს არის დაუშრეტელი წყარო მუდმივ პროვოკაციისა და შეთქმულებისა, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობის წინააღმდეგ. შექმნილი ვითარება დაუყოვნებლივ მოითხოვდა გადამჭრელი ღონისძიებების გატარებას ამ მიმართულებით, რაც დ. ვაჩნაძემ შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: 1. დაუყოვნებლივ მიეცეს წინადადება რუს გენერლებს და ოფიცრებს, რათა უმოკლეს დროში დატოვონ საქართველო. 2. განაცხადოს - იმ სამხედრო პირთ, რომლებიც არ შეასრულებენ აღნიშნულ ბრძანებას, საქართველოს მთავრობა იძულების წესით გაისტუმრებს რუსეთში. 3. აუკრძალოს ყველა უცხო სამხედრო პირს, ვინც ქართულ ჯარში არ მსახურობს სამხედრო ფორმის ტარება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში [17, 43-44].

გარკვეული გადამჭრელი ღონისძიებების გატარების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ შესძლო დუშეთის აჯანყების ჩახშობა. ქართულმა ჯარმა გაწმინდა სამხედრო გზა მტრული ელემენტებისაგან, საშა გეგეჭკორის რაზმი და სხვა ბოლშევიკები ქედს გადაღმა გადარეკა. 1918 წ. 15 ივლისს ნ. ჟორდანიამ ასეთი დეპეშა გაუგზავნა გენერალ კონიაშვილს, ჯუღელსა და დგებუაძეს: „ვულოცავ სახალხო გვარდიას, ფედერალისტთა პარტიზანულ რაზმსა და რეგულარული ჯარის ნაწილებს კავკასიონის ქედის გადალახვას და დემოკრატიის მტრებზე ბრწყინვალე გამარჯვებას. გადაეცით ჩვენს ერთგულ ყაზბეგელებს და სხვა მთიელებს ჩვენი ძმური სალამი და მილოცვა [58, 129].

ამრიგად, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მთავრობის წევრები ითვალისწინებდნენ რა ქვეყანაში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებას, მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ეროვნული უმცირესობებისადმი დამოკიდებულების ფორმის ძიებისას გარკვეულ დათმობებზე მიდიოდნენ. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მათ მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი ქართული სახელმწიფოს ძლიერებას ეფუძნებოდა.

§4. ეროვნული საბჭო და კანონი ქართული ენის შესახებ

1918 წ. 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით განხორციელდა ქართველი ერის საუკუნოვანი ოცნება, ქართველმა ხალხმა აღადგინა დაკარგული სახელმწიფოებრიობა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეში ფასდაუდებელია ეროვნული საბჭოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობა.

1917 წლის 22 ნოემბერს შექმნილი ეროვნული საბჭო (1918 წ. 8 ოქტომბრის კანონით „საქართველოს პარლამენტი“ ეწოდა), დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოდ გადაიქცა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან ხანმოკლე, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი მოღვაწეობის მანძილზე (1918 წ. 26 მაისიდან მოყოლებული 1919 წლის 1 იანვრამდე) სულ 128 კანონი მიიღო, რაც ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განეკუთვნებო-

და. ამ კანონთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო კანონი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ. ის, რომ დღევანდელ კონსტიტუციაში ქართული ენა სახელმწიფო ენად არის გამოცხადებული, ამ კანონიდან იღებს სათავეს.

როგორც ცნობილია, 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტით რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დაარღვია რუსეთ-საქართველოს შორის 1783 წლის 24 ივლისს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი, მოსპო ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ყველა ნიშანი და ფაქტობრივად, განახორციელა საქართველოს სრული ანექსია, რასაც მოჰყვა მთელი რიგი უარყოფითი შედეგები.

„ქართველი ხალხი მოკლებული იყო მშობლიურ ენაზე საქმის წარმოებას სახელმწიფო დაწესებულებებში. ჯერ კიდევ XIX ს-ის 60-იანი წლებიდან მეფის მთავრობა ყოველმხრივ ავიწროებდა ქართულ ენას სკოლებში, 90-იან წლებში კი ქართულ ენაზე სწავლებასთან ერთად ქართულად ლაპარაკიც კი იკრძალებოდა. დევნას განიცდიდა ქართული პრესა, ქართული წიგნი, ქართული თეატრი და ყველაფერი ის, რაც ეროვნულ ქართულ სულს, ეროვნულ ცნობიერებას აღვივებდა. 1882 წ. ოფიციალურად აკრძალეს ქართველთა სამშობლოს სახელის „საქართველოს“ საჯაროდ ხსენება“ [92, 460]. ასეთი იყო რეალობა საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ. უძვირფასესი განძი, დამცველი ჩვენი ეროვნული სულისა, დიდი საფრთხის წინაშე იდგა და ასეთ ვითარებაში, მართლაც, რომ საშური გადასაწყვეტი იყო საკითხი სახელმწიფო ენის შესახებ.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ. 1 ოქტომბერს მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. კანონს ხელს აწერდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია:

„1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული.

შენიშვნა: ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სხვადასხვა დაწესებულებებში ცალკე კანონით განისაზღვრება.

2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლია სიტყვა წარმოთქვას დედა ენაზე.

შენიშვნა: წესი ენის ხმარებისა და თარგმანისა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც საბჭო იმუშავებს“ [31, 43].

ვიდრე წარმოდგენილი კანონი ამ საზეს მიიღებდა ეროვნული საბჭოს სხვადასხვა კომისიებში მიმდინარეობდა მისი საფუძვლიანი მუხლობრივი განხილვა. საინტერესოა თვალი გავადევნოთ, თუ როგორ ხდებოდა ეტაპობრივად ეს საქმიანობა.

ეროვნულმა საბჭომ 1918 წ. 13 სექტემბერს მიიღო კანონი „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“. მასში ვკითხულობთ: 1. მიეცეს უფლება საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის არჩევისა იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შედგება, სახელდობრ, სომხებს - 10, თათრებს - 4, აფხაზებს - 3, რუსებს - 2, ოსებს - 2, ქართველ ისრაელებს - 2, ებრაელებს - 1, ბერძნებს - 1, გერმანელებს - 1... და ა. შ. [31, 29] მაგრამ წარმოდგენილ კანონში არ იყო საუბარი იმის შესახებ, თუ რომელ ენაზე უნდა ესაუბრათ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს საკანონმდებლო ორგანოში. სწორედ ამ საკითხის ღიად დატოვება გახდა ეროვნული საბჭოს წევრის დავით ჩიქოვანის მოხსენების მთავარი თემა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

კანონის მიღების დღესვე მან ეს საკითხი დასვა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე და, ამასთანავე, წინადადება შემოიტანა მიღებული ყოფილიყო შემდეგი დადგენილება:

„საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა საქართველოს პარლამენტში წარმომადგენელთათვის სავალდებულოა ლაპარაკი ქართულ ენაზე“ [19, 1].

პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება დ. ჩიქოვანის წინადადება წარდგენილ ყოფილიყო ეროვნული საბჭოსათვის საკონსტიტუციო კომისიისათვის გადასაცემად“ [19, 2].

საკონსტიტუციო კომისიის სხდომას, რომელიც გაიმართა 21 სექტემბერს, დაესწრნენ: პ. საყვარელიძე, ივ. ჩერქეზიშვილი, კ. მაყაშვილი, რ. არსენიძე, დ. ჩიქოვანი. სხდომას თავმჯდომარეობდა კ. მაყაშვილი, მდივნობდა დ. ნახუცრიშვილი [19, 4].

სხდომამ მეორე საკითხად განიხილა დებულება საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ და დამსწრეთა შორის კამათი გამოიწვია საკითხმა - მესამე მუხლში შეტანილი ყოფილიყო თუ არა ასეთი სახის შესწორება: ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს შეუძლია სიტყვა წარმოსთქვას დედა ენაზეც - თუ სახელმწიფო ენა არ იცის. ასეთი შესწორების მომხრე იყო პ. საყვარელიძე და კ. მაყაშვილი, წინააღმდეგნი გამოვიდნენ რ. არსენიძე და დ. ჩერქეზიშვილი [19, 4].

ამავე დროს დაისვა კითხვა არაქართველთა მიერ წარმოთქმული სიტყვები ქართულად გადმოთარგმნილი ყოფილიყო თუ არა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიაღწიეს ასეთი სახის შეთანხმებას: არაქართველთა სიტყვა უნდა ეთარგმნათ ქართულ ენაზე, თუ ამას თვითონ საბჭო მოისურვებდა. საბოლოოდ კი მიიღეს შემდეგი დადგენილება, რომლის პირველ მუხლს დაემატა შენიშვნა: ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება ცალკე კანონით განისაზღვრება. მხოლოდ მესამე მუხლში შეიტანეს ასეთი შესწორება: „წესი ამ უფლებით სარგებლობისა და თარგმანისა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც იმუშავებს საბჭო". დანარჩენი მუხლები უცვლელად მიიღეს, ხოლო 23 სექტემბერს ამ სახით შემუშავებული დებულება წარედგინა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს [19, 5].

კანონპროექტის განხილვის შემდეგი ეტაპი 27 სექტემბერს ეროვნული საბჭოს 42-ე კრებაზე გაიმართა. აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით საბჭოს წინაშე წარსდგა საკონსტიტუციო საბჭოს წევრი რ. არსენიძე. მან წარადგინა მოხსენება და აღნუსხა კანონპროექტის ძირითადი საფუძვლები [19, 8]. წარმოდგენილი მოხსენება შემდეგ შინაარსს შეიცავდა: „ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგ. შვეიცარიაში სამი ენაა, მაგრამ იქ სხვანაირი პირობებია, არის სამი თანასწორი ერი. არის სხვა პირობებიც, რომლითაც გამოწვეულია ეს გარემოება. შეიძლება რომელიმე წარმომადგენლის ენა არ ესმოდეს პრეზიდიუმს, ან თავმჯდომარეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოვდივართ ერის, მასისა და არა ერთი მუჭა ხალხის, ინტელიგენციის მოსარჩლეებად. უფლება ეკუთვნის ხალხს და არა მცირეოდენ ჯგუფს და წრეებს, თუნდაც ესენი ინტელიგენტები იყვნენ. ხალხს კი დედაენის უფლება სჭირდება და დემოკრატიზმი, რომელიც სახელმწიფოებრიობის საუკეთესო დამცველიცაა, მხო-

ლოდ ამ ენის უზრუნველყოფას მოითხოვს... ჩვენი მოწინააღმდეგენი გვეუბნებიან, რომ რუსული ენა საერთაშორისო ენაა და მიიღეთ საპარლამენტო ენათო. ჩვენ ამას სასტიკად ვეწინააღმდეგებით. რადგან რუსული იცის მხოლოდ ინტელიგენციამ და ფართო მასამ ის არ იცის, ამიტომ ამ დებულების მიღება შეუძლებელია. დარჩა ერთი. ჩვენ უფლება უნდა მივცეთ უმცირესობათა წარმომადგენლებს თავიანთ მშობლიურ ენაზე წარმოსთქვან სიტყვები. შეიძლება ტექნიკურად ამის განხორციელება ძნელი შეიქმნას, მაგრამ აქ ვიმუშავებთ საერთო კანონს, პრინციპულად და არა ტექნიკურ მხარეებს. ყოველ შემთხვევაში ოფიციალური თარჯიმნების დაშვება შეუძლებელია“ [141].

მიუხედავად რ. არსენიძის დასაბუთებული მოსაზრებებისა, მას დ. ჩიქოვანი დაუპირისპირდა, რომელმაც წარმოადგინა რადიკალ-დემოკრატების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით: „მე პრინციპულად უარყოფ კანონპროექტს, ვიცავ იმ დებულებას, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სალაპარაკო ენა უნდა იყოს ქართული ენა, რამდენიმე ენის ხმარება პარლამენტში გაართულებს ჩვენს საქმიანობას, იქ სადაც ორი-სამი ენაა ყველგან ცდილობენ შეამცირონ“ [141].

რადიკალ-დემოკრატების პოზიცია გაიზიარა ეროვნულ-დემოკრატმა სპირიდონ კედიამ: „ძალიან ცუდი მეთოდია ის მეთოდი, რომლითაც კანონმდებელი სცემს კანონებს იმის მიხედვით, თუ სხვები რას იტყვიან, კანონმდებელი ანგარიშს არ უნდა უწევდეს არაფერს და არც არავისი ეშინოდეს. სამი თვის პრაქტიკამ მაინც დაგვანახა, რომ პრინციპი სხვაა და სინამდვილე სხვა. რასაკვირველია, ქართველი ხალხი თავაზიანი ხალხია და თუ ასე არიგეთ უფლებები, მაშინ ჩვენ თვითონ არაფერი შეგვრჩება. შვეიცარიის მაგალითი ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება. ეს ზერელე ანალოგიაა. აქ რამდენიმე ეროვნებაა, თუ მათ მშობლიურ ენაზე წარმოსთქვეს სიტყვები, ჩვენ გვაქვს უფლება მოვითხოვოთ გადათარგმნა, რადგანაც დაგვაინტერესებს მათი სიტყვების შინაარსი, რომ შეგნებულად მივცეთ ხმა საკითხის გადაჭრის დროს. ეს კი საქმეს წარმოუდგენლად გაართულებს... ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ სალაპარაკო ენად პარლამენტში იყოს ქართული“ [141].

სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენლებმა კი, რომელ-

თა სახელითაც ისაუბრა იესე ბარათაშვილმა, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ კანონპროექტს.

„სოციალისტ-ფედერალისტთა სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენი ფრაქცია უერთდება მომხსენებლის აზრს. პირველი ორი მუხლი ჩვენთვის სადავო არ არის. ჩვენ ვაშენებთ საქართველოს სახელმწიფოს, დედაბოძი არის ქართველი ერი, ამიტომ სახელმწიფო ენად ქართული ენა უნდა იყოს. ამის უარყოფა შეუძლებელია... ყველას ერთნაირი უფლებით უნდა შეეძლოს სარგებლობა. ვის რას დაუშლის, აქ რომ უმცირესობათა წარმომადგენლებმა თავის მშობლიურ ენაზე წარმოსთქვან სიტყვები", - აღნიშნა მომხსენებელმა. კატეგორიული ტონი შეიმჩნეოდა დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატის შალვა ქარუმიძის გამოსვლაში. იგი მოითხოვდა ქართული ენა სავალდებულო ყოფილიყო უმცირესობათა წარმომადგენელთათვის. ხაზს უსვამდა ქართული ენის ტრადიციულობას და პარლამენტის ყველა წევრისაგან ამ ენაზე საუბარს მოითხოვდა [141].

ალიონელთა ჯგუფის წარმომადგენელი მხარს უჭერდა კანონპროექტს მხოლოდ მცირე შესწორებით. „თუ თქვენ მიიღეთ კანონი, რომლის ძალით მოიწვიეთ უმცირესობათა წარმომადგენლები საბჭოში, მაშინ საშუალება უნდა მისცეთ თავის მშობლიურ ენაზე გამოთქვან თავიანთი სურვილები. თუ ამაზე არ დასთანხმდებით, მაშინ რას ეტყვით მათ, ხომ არ დაითხოვთ? თუ ასე გინდოდათ, რისთვის იწვევდით... რასაკვირველია ეს კომპრომისული გზაა, რომელიც აუცილებლობით არის გამოწვეული. ასეთივე კომპრომისი უნდა მივიღოთ ამ შემთხვევაში, მხოლოდ იმ შესწორებით, რომ მშობლიურ ენაზე სიტყვის წარმოთქმის უფლება ჰქონდეთ მაშინ, როცა სახელმწიფო ენა არ ეცოდინებათ. მხოლოდ ამ შესწორებით ვუჭერ მხარს კანონპროექტს". სხდომის დასასრულს კვლავ ითხოვა სიტყვა მომხსენებელმა და აღნიშნა: „რომ დემოკრატია ყურს უგდებს იმას, რასაც ლაპარაკობენ პარლამენტში და რომ დემოკრატიისა და სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ ეროვნულ უმცირესობათ მიეცეს უფლება მშობლიურ ენაზე ილაპარაკონ საბჭოში და დასძენს: ყოველივე დევნა ქმნის წინააღმდეგობას [141].

ეროვნული საბჭოს 1 ოქტომბრის სხდომაზე საბჭოს წევრმა რ. გაბაშვილმა აღნიშნა, რომ სომხები და ებრაელები არ თხოუ-

ლობდნენ სიტყვის წარმოთქმას უსათუოდ დედა ენაზე, ამას მხოლოდ რუსები მოითხოვდნენ. მისი აზრით, კანონში მუხლი - საქართველოს საბჭოში სიტყვა წარმოითქვას დედა ენაზე, თუ რომელიმე წევრმა არ იცის სახელმწიფო ენა, უსათუოდ უნდა შესულიყო ძალაში [22, 1].

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ეროვნული საბჭო გადავიდა კანონპროექტის მუხლობრივ განხილვაზე. I და II მუხლები საბჭომ უცვლელად მიიღო, ხოლო მე-3 მუხლის გარშემო გაიმართა კამათი, რის გამოც სხდომა ი. წერეთლის წინადადებით დროებით შეწყდა. კრების გახსნის შემდეგ საბჭოს წევრმა პ. საყვარელიძემ შეიტანა წინადადება, რომ მე-3 მუხლს დამატებოდა შემდეგი სიტყვები - „სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო". წინადადება მიიღეს ხმათა უმრავლესობით. ხოლო ჩერქეზიშვილმა შეიტანა წინადადება, რომ მესამე მუხლში სიტყვა „შეუძლიან" ნაცვლად ყოფილიყო „უფლება აქვს". ეს წინადადება უარყვეს. მხოლოდ მე-3 მუხლი, რომლის მომხრე იყო 31, წინააღმდეგი 22 კაცი, მიიღეს. ამის შემდეგ თავმჯდომარემ კენჭი უყარა მთელ კანონპროექტს, რომელიც ხმათა უმრავლესობით მიიღეს და გადასცეს სარედაქციო კომისიას საბოლოო შესასწორებლად [19, 8].

ამავე კრებაზე ა. ფაღავამ შემოიტანა წინადადება სოციალ-ფედერაციული ფრაქციის სახელით: მოითხოვდნენ სარეგლამენტო კომისიას დავალებოდა ერთი კვირის განმავლობაში წარმოედგინა სათანადოდ შესწორებული რეგლამენტი. ეს წინადადება საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს. ამის შემდეგ კი კრება დაიხურა [19, 8].

1918 წ. 1 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ განიხილა საქართველოს სახელმწიფო ენის კანონის საბოლოო ტექსტი. საბჭოს წინაშე მოხსენებით გამოვიდა შ. ამირეჯიბი (ეროვნულ-დემოკრატი). მან ისაუბრა იმ ცვლილებებზე, რაც სარედაქციო კომისიამ შეიტანა ტექსტში. კომისიის მიერ მიღებული შესწორებები საბჭომ უკამათოდ დაამტკიცა [19, 8].

ეროვნული საბჭოს კრებებზე გაჩაღებულ დისკუსიას იმის შესახებ, თუ რომელ ენაზე უნდა ესაუბრათ პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, უკვალოდ არ ჩაუვლია. საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალით არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ისტორიის სწავლება

სავალდებულო გახდა დაწყებით კლასებში [3, 2-3]. ეს დადგენილება სრულებითაც არ ლახავდა აქ მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა თავმოყვარეობასა და ეროვნულ ინტერესებს. ის მხოლოდ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებული კანონის ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებას უწყობდა ხელს.

1918 წლის 15 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „რეგლამენტის დამატებისა ეროვნულ უმცირესობის ენის ხმარების შესახებ", რომელიც 2 მუხლისაგან შედგებოდა: მუხლი I. პარლამენტის წევრები სიტყვას წარმოსთქვამენ ქართულის ენით.

მუხლი II. პარლამენტის უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას, გარდა თავისი დედა ენისა, უმცირესობის ენით, რომელიც პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცის" [15, 6].

1918 წ. 1 ოქტომბერს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ კანონს დედა-ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ, „სრული განხორციელება არ ეღირსა, რადგან სულ მალე პარლამენტმა გამოსცა „წესი ენის ხმარებისა", სადაც დეპუტატებს, ვინც ქართული ენა არ იცოდა, შეეძლოთ გამოეყენებინათ რუსული ენაც. რუსული ეროვნულ უმცირესობათა ენად გადაიქცა და სომეხი დეპუტატები ქართულად არც არასოდეს გამოდიოდნენ. ეს შეცდომა კონსტიტუციამ გაასწორა, როდესაც ერთმნიშვნელოვნად დააკანონა სახელმწიფო ორგანოებში ქართული ენის გამოყენების აუცილებლობა" [114, 245].

ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების თაობაზე კანონს, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. წარმოდგენილ კანონს უ. სიდამონიძე ასე აფასებდა: „საქართველოს ეროვნული საბჭოს - საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთა შორის არის ერთი მეტად არსებითი, ქართველი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კანონი, ეს არის კანონი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ" [163].

ამ კანონის მიღებით თითქოსდა ხორცი შეისხა დიდი ილიას მოწოდებამ:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული,

ენა და სარწმუნოება, თუ ამათაც არ ვუპატრონეთ რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს ყოველთვის წინ მიუძღოდა დიდი ილიას ეს სიტყვები. ამ გრძნობით გამსჭვალულმა ქართველმა პატრიოტებმა, ერის რჩეულმა შვილებმა შეძლეს სახელმწიფო ენად ქართული ენის დაკანონება.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.), ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ კანონთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია კანონი, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ. ეროვნულმა საბჭომ თავისი მოღვაწეობის მანძილზე ყველაფერი გააკეთა ქართული ენისა და ქართული კულტურის დასაცავად. ქართული ენა კვლავ ჩადგა ხალხის სამსახურში და ეროვნულ ბურჯად იქცა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

§5. ეროვნული საბჭო მეცნიერების, განათლებისა და კულტურის შესახებ

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა განათლებისა და კულტურის სფეროში დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ქართველი ერის გონებრივ და სულიერ განვითარებას. განსაკუთრებით რთული იყო მდგომარეობა განათლების სფეროში. ამ ვითარების გათვალისწინებით ეროვნულმა საბჭომ თავისი მოღვაწეობის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ამ მიმართულებით საქმიანობას. 1917 წ. რევოლუციის შემდეგ რუსეთის განაპირა მხარეებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პირობებში, რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. დათმობები განათლების სფეროსაც შეეხო. 1917 წ. 10 სექტემბერს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა მიიღო დადგენილება კავკასიის სასკოლო ოლქში სასწავლო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შესახებ.

ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ გადადგა. 1917 წ. 20 ნოემბერს ყრილობა-

ზე შეიქმნა სკოლის და უნივერსიტეტის სექცია, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ლეო ნათაძე (სექციის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებდა ივანე ჯავახიშვილი) [127]. ეროვნულმა ყრილობამ აგრეთვე მიიღო რეზოლუცია სკოლის შესახებ, რომლის მიხედვით სწავლა-აღზრდის ორგანიზაციის მსვლელობაზე მზრუნველობა ეკისრებოდა ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. რეზოლუციაში აღნიშნული იყო: 1. ამიერკავკასიის კომისარიატმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს საკანონმდებლო დეკრეტი ამიერკავკასიის ერთა სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ. 2. ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარება ორგვარი ორგანოს შექმნის საჭიროებას მოითხოვდა: ა) საერთო სახელმწიფოებრივი და ბ) კერძო ეროვნული. 3. საერთო სახელმწიფოებრივ ორგანოს — ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, სკოლების ნაციონალიზაციის დეკრეტის გამოქვეყნებასთან ერთად ევალებოდა ამიერკავკასიის ერთა სასკოლო ინტერესების გამიჯვნა, ამასთანავე იგი უხელმძღვანელებდა ყველა იმ სასწავლებლებს, რომელთა მოსწავლეთა შემადგენლობა შერეული იყო. ამ მიზეზით ასეთ სასწავლებლებში ნაციონალიზაციის განხორციელება დროებით შეუძლებელი ხდებოდა. 4. ეროვნული ორგანო — ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი ორგანოს სახით სათავეში ჩაუდგებოდა გაქართველებულ კლასებსა და სასწავლებლებს, მთელი ქართული სწავლა-აღზრდის და განათლების საქმეს. ამ მიმართულებით საქმიანობა შემდეგი საფუძვლების მიხედვით უნდა განხორციელებულიყო:

ა) სახალხო სკოლა ხდებოდა საყოველთაო, სავალდებულო, საერო, უფასო და სწავლების რვა წლიან კურსს მოიცავდა. ბ) სახალხო სკოლის შემდეგი საფეხური მრავალნაირი საპროფესიო და სპეციალური განათლების სკოლები იქნებოდა. გ) საშუალო სკოლა არსებული სასწავლებლების ოთხ უფროს კლასს მოიცავდა და ხელმისაწვდომი ხდებოდა ყველასათვის. დ) კერძო ინიციატივას სწავლა-აღზრდის და განათლების საქმეში ფართო სარბიელი ეთმობოდა. ე) ეროვნულ საბჭოს ევალებოდა მზრუნველობა როგორც სასკოლო სწავლების, ასევე სკოლის გარეშე განათლების ყოველი დარგის მოწესრიგებაზე. იმავდროულად რეზოლუცია ითვალისწინებდა სხვადასხვა რაიონებში მასწავლებელთა მოკლე ვადიანი კურსების მოწყობას. კურსები სავალდებულო უნდა გამხდა-

რიყო ყველა პირთათვის, ვინც საშუალო სკოლის მასწავლებლობას აპირებდა, სკოლების და სამასწავლებლო სემინარიების მთლიანად გაეროვნულებას, სახელმძღვანელოების და ხელსაწყო ნივთების შესაქმნელად განსაკუთრებულ ორგანოს შექმნას, რომლის ზრუნვის საგანი გამოცემული სახელმძღვანელოების და ხელსაწყო ნივთების გავრცელების მოწესრიგებაც იქნებოდა. სკოლის გაეროვნულებას იმ შემთხვევაში ექნებოდა საიმედო ნიადაგი საკუთარი უნივერსიტეტი თუ გვექნებოდა. აქედან გამომდინარე ეროვნული ყრილობა ეროვნულ საბჭოს ავალებდა განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების მიმართ, ყოველმხრივი, როგორც ზნეობრივი ისე ნივთიერი დახმარება გაეწია, რათა ქართული უნივერისტეტის გახსნა მომავალი წლის იანვრიდან შესაძლებელი გამხდარიყო [129].

სკოლის რეორგანიზაციისათვის ზრუნვას სახალხო განათლების სექცია ჩაუდგა სათავეში. 1918 წ. 17 იანვარს სხდომაზე სიტყვით გამოსულ ვ. ბურჯანაძეს სექციის წევრებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. მოხსენებაში განსაზღვრული იყო სკოლის სექციის მიზანი და ამოცანები სასკოლო სექციას ევალებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ არსებული ყველა საფეხურის და ტიპის სკოლათა ზედამხედველობა, მართვა-გამგეობა. სამუშაო მეტად რთული და საპასუხისმგებლო იყო. ამ მიზნით სექციამ საჭიროდ ჩათვალა სამუშაო სექციის წევრთა შორის თანაბრად გადანაწილებულიყო. 1) სექციის ერთ-ერთი წევრი სახალხო პირველდაწყებით და უმაღლეს პირველდაწყებით სკოლებს გაუძღვებოდა. 2) საშუალო სკოლებს (გიმნაზიები, რეალური სასწავლებლები და სხვა), 3) უმაღლესი და სკოლის გარეშე განათლების საქმეს, 4) სპეციალურ სასწავლებლებს, 5) წიგნების გამომცემლობას. სექციის მუშაობის გაფართოების მიზნით მომავალში განსაზღვრული იყო სხვა კომისიების შედგენა, ქართული პედაგოგიური საბჭოს დაარსება, სკოლების გაეროვნება თავისთავად ქართული ენის მცოდნე მასწავლებლებით სკოლების დაკომპლექტებას მოითხოვდა. ვინაიდან ასეთ მასწავლებელთა რიცხვი საკმაოდ მცირე იყო, გადაწყდა სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის მოკლე ვადიანი კურსების მოწყობა სექცია აგრეთვე მიზნად ისახავდა

წიგნის შემდგენელთა წასახალისებლად პრემიების დანიშვნას და სხვა ღონისძიებების გატარებას [129].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ეროვნული საბჭოს წევრები დიდი პასუხისმგებლობით შეუდგნენ სახელმწიფოს ყველა დარგში ეროვნულობის დაფუძნებისათვის საქმიანობას. დაარსდა განათლების სამინისტრო გიორგი ლასხიშვილის ხელმძღვანელობით. სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სკოლების გაეროვნულება იყო. ამ პროცესს დიდი დაბრკოლებები ახლდა, არ იყო მასწავლებელთა საჭირო კადრები, მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოები. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. 1918 წ. 16 ივლისს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სახალხო სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების შესახებ, რომლის მიხედვით დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად 3 თვიანი კურსები ეწყობოდა. კურსების მოსაწყობად სახელმწიფო ხაზინიდან 252500 მანეთი გამოიყო [29, 25]. იმავე დღეს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი საშუალო სკოლის ქართველ მასწავლებელთა საზაფხულო კურსების შესახებ, რომელიც ქ. თბილისში ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში მოეწყობოდა [29, 24].

განათლების სამინისტრომ გადამჭრელი ზომები მიიღო სისტემაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. გაუქმდა ამიერკავკასიის სასწავლო კომისარიატი, სახალხო სასწავლებელთა დირექტივები, და ამ სისტემაში არსებული სხვა დაწესებულებები, შემცირდა შტატები [139].

1918 წ. 6 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დებულება განათლების სამინისტროს ორგანიზაციის და შტატისა. განათლების სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდნენ: მინისტრი, მისი ამხანაგი, სამინისტრო საბჭო, სამინისტროს სამი განყოფილება: ა) განყოფილება უმაღლესი და საშუალო სკოლების, ბ) განყოფილება სახალხო სკოლების, გ) საპროფესიო სკოლების. კანცელარია თავისი შტატით [29, 77].

განათლების მინისტრს ევალებოდა სკოლების ხელმძღვანელობა კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. სამინისტროს საბჭოს თავმჯდომარეობდა მინისტრი, აგრეთვე საბჭოში შედიოდნენ მინისტრის ამხანაგი, სამი განყოფილების მთავარგამგე, კანცელარიის

დირექტორი, თითო წარმომადგენელი უნივერსიტეტიდან, საქალაქო და საერობო თვითმმართველობათა კავშირიდან, მასწავლებელთა კავშირიდან, აგრეთვე ის პირები, რომელთა მოწვევასაც საჭიროდ ჩათვლიდა მინისტრი [29, 77].

1918 წ. 13 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების შესახებ. აღნიშნული კანონით ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონის და სოხუმის სემინარიები ქართულ სახელმწიფო სკოლებად გამოცხადდა [29, 87]. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. 1918 წ. 18 ოქტომბრის კანონით სახალხო სკოლის მასწავლებელს თვიური ხელფასი 400 მანეთით განისაზღვრა [29, 136]. განათლების დონის ამაღლების მიზნით გადაწყდა სოფლებში წიგნთსაცავ-სამკითხველოების გახსნა, რისთვისაც სახელმწიფო ხაზინიდან გამოიყო ასი ათასი მანეთი. ამ მიმართულებით საქმიანობა დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით [29, 138].

1918 წ. 1 ოქტომბერს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვით არაქართულ სკოლებში პირველ ოთხ კლასში ქართული ენის სწავლება სავალდებულო ხდებოდა, მაღალ კლასებში კი მოსწავლეთა სურვილზე იყო დამოკიდებული. არაქართველთათვის სავალდებულო ხდებოდა საქართველოს ისტორიის სწავლებაც. საწყის ეტაპზე ქართულის არცოდნის გამო სწავლება რუსულ ენაზე განხორციელდებოდა [142].

არსებული სკოლების გაეროვნულებასთან ერთად ეროვნულმა საბჭომ დიდი ყურადღება დაუთმო ახალი სკოლების გახსნას. 1918 წ. 19 ნოემბერს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში ვკითხულობთ: 1. გაიხსნას ტფილისის გუბერნიაში 37 ახალი პირველდაწყებითი სკოლა. 2. გაიხსნას ახალი კომპლექტი 13 მრავალრიცხოვან სასოფლო სკოლაში. 3. განათლების სამინისტროს მიეცეს კრედიტი ახალი სკოლების და კომპლექტების შესანახად — თანახმად ამ კანონთან დართული ხარჯთაღრიცხვისა — 121.440 მანეთი [44, 20].

განათლების სისტემაში გატარებული ღონისძიებები ამ სის-

ტემის საყოველთაო გარდაქმნის საფუძველი გახდა. არაეროვნული აღმოჩნდა სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი. სახელმწიფომ ეკლესიის ქონება თავის საკუთრებაში გამოაცხადა. სასულიერო სასწავლებლები გადაკეთდა საერო და პროფესიულ სკოლებად. 1918 წ. 26 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში გაუქმდა [17, 190].

საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ქართული უნივერსიტეტის იდეის ხორცშესხმისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. ამ მიმართულებით საქმიანობა ფართოდ გაიშალა ცარიზმის დამხობისთანავე. 1917 წ. აპრილში საქართველოში ჩამოვიდა ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად შეუდგა უნივერსიტეტის დაარსებისათვის საქმიანობას. შეიქმნა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება. მოგვიანებით დიდი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი იმ დღეების შესახებ იხსენებდა: „მოვიწვიეთ პირველი საორგანიზაციო კრება უნივერსიტეტის საზოგადოებისა. ამ კრების თავმჯდომარეობა მე მხვდა წილად, ვინაიდან ივ. ჯავახიშვილი მომხსენებელი იყო და თავმჯდომარეობა არ ინება. კრებას დაესწრო პ. მელიქიშვილიც, რომელიც მაშინ ტფილისში ჩამოსული იყო. პეტრე ავირჩიეთ საპატიო თავმჯდომარედ კრებისა. კრება აღტაცებით შეხვდა აზრს ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. მოიწონა წარმოდგენილი გეგმა, აირჩია გამგეობა საუნივერსიტეტო საზოგადოებისა. თავმჯდომარედ ავირჩიეთ კოტე აბხაზი, ყოფილი თავად-აზნაურობის წინამძღოლი“ [158, 159-168].

საუნივერსიტეტო საზოგადოების გადაწყვეტილებით ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული უნივერსიტეტის დებულება გაეგზავნა რუსეთის განათლების სამინისტროს, მაგრამ დროებითი მთავრობის მიერ მოწონებული უნივერსიტეტის „ძირითად დებულებათა“ გამოგზავნა ბოლშევიკური გადატრიალების გამო შეფერხდა. ასეთ ვითარებაში წესდება წარედგინა ამიერკავკასიის კომისარიატს, რომელმაც 1917 წ. 2 დეკემბერს დაამტკიცა [43, 7].

1918 წ. 26 იანვარს დედაქალაქში გაიხსნა ქართული უნივერისტეტი, რაც ქართველი ერის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა უნივერისტეტის რექტორად პეტრე

მელიქიშვილი აირჩიეს. ქართველმა ერმა ეს დღე დიდი სიხარულით და ზეიმით იდღესასწაულა.

ქართულ უნივერსიტეტს იგივე სამეცნიერო მიზანი ჰქონდა დასახული, რაც ყველა ხალხსა და ქვეყნის უმაღლეს სკოლას, მაგრამ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოს, კავკასიის და ახლოაღმოსავლეთის წარსულს, აწმყოსა, ადამიანის და ბუნების ყოველმხრივ შესწავლას დაუთმობდა. აქედან გამომდინარე, ქართული უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა უფრო ვრცელი იქნებოდა. განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს და ქართულის შესახებ სხვადასხვა მეცნიერების შესწავლას დაეთმობოდა [43, 7].

1918 წ. 3 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის მიხედვით ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთდა. კანონში მითითებულია: ა) ცნობილი იქნას ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ბ) გამოიყოს ყოველწლიურ სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში თანხა უნივერსიტეტის შესანახად. გ) დამტკიცდეს დროებითი ძირითადი დებულებანი უნივერსიტეტისა [43, 37].

იმავე დღეს პარლამენტმა დაამტკიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულება, რომელიც 22 მუხლისგან შედგებოდა. დებულებით თბილისის უნივერსიტეტს, როგორც სამეცნიერო სასწავლო სფეროში, ისე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობის და შინაური მეურნეობის მხრივ ავტონომია ენიჭებოდა. უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედებაზე მეთვალყურეობა განათლების მინისტრის უფლებას წარმოადგენდა. დებულებით უნივერსიტეტში შემდეგი ფაკულტეტები უნდა დაარსებულიყო: 1) სიბრძნისმეტყველების, ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტი, რომელშიც საფილოსოფო, საისტორიო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები შედიოდა, 2) სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, 3) სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიული ფაკულტეტი, 4) სამკურნალო ფაკულტეტი [43, 38].

უნივერსიტეტის პროფესორთა და ლექტორთა შემადგენლობა 1918 წ. პირველ სემესტრში ასეთი იყო: უნივერსიტეტის რექტორი — დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი — ივანე ჯავახიშ-

ვილი, აგრეთვე ი. ყიფშიძე, ბენაშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. რაზმაძე, ს. რაზმაძე, ს. ავალიანი, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, აკ. შანიძე, ე. თაყაიშვილი. ი. აბულაძე, ი. ორბელიანი, თ. ყიფშიძე, ვ. ღამბაშიძე [146].

უნივერსიტეტში თავდაპირველად გაიხსნა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ჰუმანიტარული კათედრებით. 1918 წ. სექტემბრიდან კი სამათემატიკო — საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები ამოქმედდა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად დღის წესრიგში დადგა ქართული სალიტერატურო ენის სრულყოფის საკითხი. განათლების სამინისტროსთან არსებულმა სასწავლო კომიტეტმა ჩაატარა ქართული ენის მცოდნეთა შეკრება. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც შევიდნენ გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, შ. ბერიძე, ს. გორგაძე სათანადო ყურადღება მიექცა ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნას. 1918 წ. 15 ივლისს თბილისის უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა სატერმინოლოგიო სექცია [58, 260].

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქართული კულტურის აღორძინებისათვის. მშობლიური ენის, ტრადიციების, კულტურის დაცვას ემსახურებოდნენ ქართული პროზისა და პოეზიის წარმომადგენლები დ. კლდიაშვილი, ს. მგალობლიშვილი, დ. მეგრელი, კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი და სხვათა შემოქმედება.

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა ხელოვნების სექცია, რომლის გამგედ აირჩიეს ვლ. გობეჩია, თავმჯდომარედ შალვა დადიანი. 1918 წ. 22 თებერვალს ხელოვნების სექციამ გაზ. „ერთობაში“ გამოაქვეყნა სექციის ძირითადი დებულება. დებულების მიხედვით, სექციის დანიშნულებას საქართველოში ხელოვნების ყველა დარგზე მზრუნველობა წარმოადგენდა. სექცია მიზნად ისახავდა ეროვნული მუზეუმების, სამხატვრო გალერეების გახსნას, ხელოვნების სხვადასხვა დარგში — მწერლობის, თეატრის, მუსიკის, მხატვრობის, ხუროთმოძღვრების სპეციალური განყოფილების დაარსებას. საქართველოს ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმე ხელოვნების სექციას ექვემდებარებოდა. არავის ჰქონდა უფლება ხელოვნების ისტორიული ნაშთის მითვი-

სების და გაყიდვა-გატანის. რაც შეეხებოდა ხელოვნების ნაშთების რესტავრაციას, აგრეთვე არქეოლოგიური მიზნით გათხრას, სექციის ნებართვას საჭიროებდა [130].

1918 წ. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ქვეყანაში ეროვნული მუსიკალური ხელოვნების განვითარებას. მუსიკალური ცხოვრების რეორგანიზაცია ენერგიულად დაიწყეს რუსეთის 1917 წ. რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა ი. აბაშიძემ, დ. არაყიშვილმა, ი. კარგარეთელმა, ვ. სარაჯიშვილმა, ნ. სულხანიშვილმა, ზ. ფალიაშვილმა, გ. ჯაბადარმა და სხვებმა [84, 69].

ამ გზაზე გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს სამუსიკო საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. 1918 წლის 2 მარტს მიიღეს საზოგადოების წესდება, რომლის საფუძველზე თბილისში არსებული საფილარმონიო საზოგადოების სკოლა ქართულ სამუსიკო სასწავლებლად გადაკეთდა. დირექტორად დ. არაყიშვილი დაინიშნა [84, 69].

1918 წ. აგვისტოში გაიმართა ქართული საფილარმონიო საზოგადოების კრება, რომელზედაც განიხილეს ქართული სამუსიკო საზოგადოების წესდება. ახლად ჩამოყალიბებული საზოგადოება ქვეყანაში უმაღლეს მუსიკალურ დაწესებულებად უნდა ქცეულიყო. სამუსიკო საზოგადოება მიზნად ისახავდა საქართველოს ყველა კუთხეში აქტიურ საქმიანობას. საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა: ხალხში მუსიკალური ცოდნის გავრცელება, ქართული მუსიკის განვითარებისათვის ბრძოლა, მუსიკალური ნაწარმოებების გამოცემა, ხალხური მუსიკის შეკრება და ა. შ. [52, 18]

ამ მიმართულებით 1918 წ. ნოემბრისათვის სამუსიკო საზოგადოების თავმჯდომარის გ. მაჩაბლის განცხადებით, შემდეგი ნაბიჯები გადაიდგა: გაფართოვდა სამუსიკო სკოლა, სადაც მოიწვიეს საუკეთესო მასწავლებლები; დაარსდა სამუსიკო საზოგადოების განყოფილება ქალაქ ქუთაისში. ქართული ოპერის სტუდიისათვის მოიწვიეს საჭირო პირები, მაგრამ საქმის შემდგომ წინსვლას ხელს უშლიდა უსახსრობა, აქედან გამომდინარე საზოგადოების გამგეობა თხოვნით მიმართავდა რესპუბლიკის მთავრობას, ვიდრე საკითხი საკანონმდებლო წესით გადაწყდებოდა, გამოეყო კრედიტი [52, 18].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დიდ ყურადღებას აქცევდა ეროვნული თეატრის აღორძინებას. 1918 წ. 12 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც სათეატრო წარმოდგენების ბილეთები გადასახადებისაგან განთავისუფლდა [31, 99].

1917 წელს პარიზიდან დაბრუნდა გიორგი ჯაბადარი, რომელმაც იქ მიიღო თეატრალური განათლება. იგი სათავეში ჩაუდგა ქართულ თეატრალურ სტუდიას და მასში გააერთიანა დამწყები მსახიობები: ვ. ანჯაფარიძე, ე. აბაზაძე, ც. ამირეჯიბი, გ. გამრეკელი, ე. ციმაკურიძე, მ. არადელი-იშხნელი, ვ. არაბიძე, ა. ალექსიშვილი, მ. გელოვანი, ა. ვასაძე, მ. ჭიაურელი და სხვები. რეჟისორებად მოიწვიეს ზ. ბერიშვილი, ა. ფალავა, კ. შათირიშვილი, მთავარი რეჟისორის ადგილი დაიკავა სტუდიის ორგანიზატორმა მ. ჯაბადარმა. სტუდიის ახალგაზრდა დასმა 1918 წ. 18 ნოემბერს მაყურებელს წარუდგინა ბრიეს „სარწმუნოება“ [58, 272-273].

1918 წ. ოპერის ხელმძღვანელად დაინიშნა ა. წუწუნავა. მას შეუთავსდა თეატრის კომისრის თანამდებობა. 1918 წლის ივნისში მოეწყო დ. არაყიშვილის ნაწარმოებებისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელსაც აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა ზაქარია ჩხიკვაძემ — გაგვიჩნდნენ პროფესიონალი მუსიკოსები, იღვიძებს ნამდვილი ინტერესი ქართული მუსიკისადმი. 1918 წ. დაიდგა პირველი ქართული ოპერა კომპოზიტორ რევაზ გოგნიაშვილის „ქრისტინე“ [59, 22-23].

ამრიგად, ეროვნული საბჭოს მიერ მეცნიერების, განათლების და კულტურის სფეროში გატარებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა მათ გაეროვნულებას, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლეოდა რეფორმის სრულყოფილად გატარების შესაძლებლობას, მიუხედავად ამისა ეროვნული საბჭოს ხანმოკლე მოღვაწეობის განმავლობაში ამ მიმართულებით მეტად ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა, რამაც შესაძლებელი გახადა ქართულ ენაზე არა მარტო საშუალო, არამედ უმაღლესი განათლების მიღებაც. ქართული უნივერსიტეტის დაარსება კი ეროვნული სახელმწიფოს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა.

დასკვნა

ეროვნული საბჭოს მრავალმხრივი მოღვაწეობის კომპლექსური შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

1. ეროვნული საბჭოს შექნას, რომელიც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო, წინ უსწრებდა ინტერპარტიული საბჭოს შექმნა, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანების დადასტურებას წარმოადგენდა. სწორედ ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივით მოხდა ეროვნული ყრილობის მოწვევა.

2. პირველ ეროვნულ ყრილობაზე (1917 წლის 19-22 ნოემბერი), რომელიც განასახიერებდა საქართველოში მცხოვრები ყველა კლასის, სოციალური ფენების, პოლიტიკური პარტიების და მიმდინარეობების ინტერესებს, აირჩიეს ეროვნული საბჭო 67 კაცის შემადგენლობით.

3. ეროვნული ყრილობის მიერ საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევა იყო შორსგამიზნული პოლიტიკური სვლა, რომელსაც ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში თანმიმდევრული, მიზანმიმართული საქმიანობით პირობები უნდა მოემზადებინა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

4. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეროვნულმა საბჭომ 19 სხდომა მიუძღვნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, როგორიც იყო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა, შეიარაღებული ფორმირებების შექმნა, ეროვნული საბჭოს მუშაობის ქმედითუნარიანობის ამაღლების მიზნით მისი რეორგანიზაცია, სეიმის მოწვევა, ოსმალეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებები ტრაპიზონსა და ბათუმში და სხვა.

5. ეროვნული საბჭო, შექმნის დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ფაქტობრივად საქართველოს მთავრობას — აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა, თუმცა მისი წევრები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ეროვნულ საბჭოს საკანონმდებლო ორგანოს სახე მიეღო.

6. ეროვნული საბჭოს ხანმოკლე, მაგრამ მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენდა 117 წლის პოლიტიკური მონობის შემდეგ სახელმწიფოებრიობის აღდგენისათ-

ვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინება — 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომლითაც ახალი ერა დაიწყო ქართველი ერის ცხოვრებაში.

7. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ აუცილებელი გახადა ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის შემდეგ ეროვნული საბჭო საკანონმდებლო-მაკონტროლებელ ორგანოდ გარდაიქმნა. გაუქმდა აღმასრულებელი კომიტეტი, აირჩიეს პრეზიდიუმი, ეროვნული საბჭოს შემადგენლობა 121 კაცით განისაზღვრა. მოგვიანებით ამ შემადგენლობას 1918 წ. 13 სექტემბრის კანონით ეროვნულ უმცირესობათა 26 წარმომადგენელი დაემატა. ეროვნულ საბჭოს სათავეში ჩაუდგა ნ. ჩხეიძე, ხოლო 1918 წლის 8 ოქტომბრის კანონით ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

8. ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონების პრაქტიკული განხორციელება ქვეყანაში ძლიერი ხელისუფლების არსებობას მოითხოვდა, მაგრამ პოლიტიკურ პარტიათა შორის არსებულმა დაპირისპირებამ მთავრობის ნაადრევი კრიზისი გამოიწვია. ამ კრიზისის დაძლევის მიზნით, მთავრობის თავმჯდომარის პოსტიდან ნოე რამიშვილი გადადგა, მისი ადგილი ნოე ჟორდანიამ დაიკავა.

9. დამოუკიდებლობის შენარჩუნების, განმტკიცებისა და მისი სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის განსახორციელებლად, უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოს ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადებამ.

10. ეროვნულმა საბჭომ პროგერმანული ორიენტაციის სწორად განსაზღვრით მიაღწია ჯერ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ხოლო შემდეგ მისი საერთაშორისო აღიარების ცნობას.

11. ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა ძალზე გართულებული იყო საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დაკარგული სახელმწიფოებრიობის გამო. სახელმწიფოს მშენებლობა, უპირველეს-ყოვლისა, საზღვრების დადგენას მოითხოვდა. ეროვნულმა საბჭომ ქართველი მეცნიერების, პოლიტიკოსების, მწერლებისა და საერთოდ, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით (1918 წლის 11 ივნისს) შექმნა კომისია, რომელმაც ისტორიულ-გეოგრაფიულ

პრინციპზე დაყრდნობით მეზობელ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის საზღვრები დაადგინა. ხოლო იმავე წლის 16 ივლისის დებულებით საქართველოს მოქალაქეობის საკითხიც განსაზღვრა.

12. ეროვნული საბჭო ქვეყნის სიმტკიცის საფუძველს ძლიერი ჯარის შექმნაში ხედავდა. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოსაგვარებლად შექმნა სათანადო სამართლებრივი ბაზა, რასაც წარმატებით დაეფუძნა სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარის არსებობა.

13. ეროვნულმა საბჭომ საკუთრების სამი ფორმის (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო) დაკანონებით ფაქტობრივად სრულად უზრუნველყო ყველა კლასის, სოციალური ფენების, ცალკეული ჯგუფების და მთლიანობაში მოსახლეობის ინტერესების სრული დაცვა.

14. ეროვნული საბჭოს მიერ გატარებულმა სასამართლო რეფორმამ დემოკრატიული გახადა სასამართლო პროცესი, რადგან შემოიღო მოსამართლეებისა და ნაფიც მსაჯულთა არჩევითობის წესი. შეიქმნა მტკიცე ადმინისტრაციული ორგანოები, სამაზრო ერობები, საქალაქო და სასოფლო თვითმმართველობები.

15. ეროვნულმა საბჭომ მიწათმფლობელობის სამი ფორმის განსაზღვრითა და დაკანონებით — კერძო, მუნიციპალიზაციის და სახელმწიფო საკუთრების, უზრუნველჰყო აგრარული რეფორმის წარმატებით განხორციელება.

16. ეროვნულმა საბჭომ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები სათანადო პოლიტიკური უფლებებით უზრუნველყო, რისთვისაც გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა მოუხდა, თუმცა ქართველი ერის ინტერესებზე ზრუნვას უპირველესი ადგილი ეკავა.

17. ეროვნული საბჭოს ნაყოფიერ საკანონმდებლო საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კანონს ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ და სახელმწიფო სიმბოლიკის დამტკიცებას, რამაც სახელმწიფოს მხრიდან გაეროვნულების სამართლებრივი საფუძველი შექმნა.

18. ეროვნულმა საბჭომ 1917-1919 წლებში თავისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობით უდიდესი როლი შეასრუ-

ლა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და შემდგომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს დემოკრატიული აღმშენებლობის, განმტკიცებისა და მისთვის მოწინავე სამართლებრივი ბაზის შექმნაში.

Чантурия Нона Ревазовна

БОРЬБА НАЦИОНАЛЬНОГО СОВЕТА ЗА ВОССТАНОВЛЕНИЕ И УКРЕПЛЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОСТИ ГРУЗИИ

Резюме

В первой четверти XX века в восстановлении независимости Грузии, в борьбе за возрождение и укрепление государственности большую роль сыграл Национальный Совет.

В работе, впервые в грузинской историографии опираясь в основном на архивные документы, и отчасти на соответствующую научную литературу и материалы прессы, обсолютно по новому, с монографической точностью изучена многосторонняя и плодотворная деятельность Национального Совета. Также, с целью полного изучения данного вопроса, в работе освещено создание и деятельность Интерпартийного Совета, что предшествовало созданию Национального Совета.

На протяжении своего существования Интерпартийный Совет плодотворно работал в разных направлениях, хотя главной его заслугой был созыв Национального съезда. Национальный съезд (19-22 ноября 1917 года), избрал Национальный Совет, в количестве 67 человек.

В условиях происшедшего в России переворота и усиления османской агрессии Национальный Совет Грузии обратился за помощью к Германии, с целью выхода из кризисной ситуации. В этом решении предусматривались обоюдные интересы Германии и Грузии. Грузия была нужна Германии для Кавказской политики, а Германия – Грузии для восстановления независимости, и следовательно, со временем Германия должна была стать гарантом укрепления провозглашенной грузинской государственности. 26 мая 1918 года при помощи точно определенной прогерманской ориентации Национальный Совет восстановил независимость Грузии.

С объявлением независимости Грузии стала необходимой реорганизация Национального совета. После реорганизации национальный Совет превратился в законодательно-контроли-

рующий орган. Упразднили исполнительный комитет; выбрали президиум, состав Национального совета исчислялся 121 человеком. Позднее к этому количеству прибавилось 26 представителей национальных меньшинств. Во главе Национального Совета стал Н. Чхеидзе, а законом 8 октября 1918 года Национальный Совет был переименован в Грузинский Парламент.

Необходимость практического осуществления законов, принятых Национальным Советом, требовала наличия сильной власти в стране. Существующее между политическими партиями противостояние вызвало ранний кризис правительства. Строительство сильного государства в первую очередь требовало объединения политических сил и прихода к власти такого человека, который бы пользовался всеобщей поддержкой. С усмотрением указанной обстановки 24 июня 1918 года Н. Рамишвили ушел в отставку. В тот же день на заседании Национального Совета в результате обмена мнениями между представителями разных партий единогласно была названа кандидатура Н. Жордания.

С провозглашением независимости Грузии Национальный Совет приступил к устройству и укреплению грузинского государства. Была создана комиссия, которая с учетом мнений грузинских политиков, ученых и писателей, опираясь на историко-географический принципы установила границы, между соседними государствами и Грузией. Закон, принятый 16 июня 1918 года Национальным Советом, определил вопрос о гражданстве Грузии.

Серезные шаги были предприняты и с целью создания грузинских армейских единиц. Была создана соответствующая база, на которой успешно создавалась народная гвардия и регулярная армия.

С целью устройства правового государства, в стране была проведена судебная реформа. Реформа демократизировала судебный процесс путем введения принципа выборности судей и присяжных заседателей.

Национальный Совет на соответствующем политическом уровне обеспечил права национальных меньшинств, для чего пришлось пойти и на определенный компромисс, хотя забота об интересах грузинского народа занимала в его деятельности главенствующее место.

После объявления независимости Грузии были предприняты целенаправленные шаги по проведению аграрной реформы. Путем определения трех форм земельной собственности – частной, муниципализированной и государственной, было обеспечено в целом успешное проведение аграрной реформы.

В деятельности Национального Совета приоритетное место занимала реформа просвещения. Мероприятия, проведенные в сфере просвещения послужили основой для польного преобразования в этой системе. К сожалению, не настолько приемлемым, с национальной точки зрения, оказалось отношение государства к церкви: власти объявили церковное имущество собственностью государства, а Духовные училища были переделаны в национальные и профессиональные школы. 26 ноября 1918 года Парламент принял закон об отмене преподавания в школах Закона Божьего.

В плодотворной законодательной деятельности Национального Совета особенное место занимает закон – о провозглашении грузинского языка государственным и об утверждении государственной символики, что со стороны властей послужило правовым основанием для создания национального государства.

Исходя из всего сказанного, своей разносторонней и плодотворной деятельностью в период 1917-1918гг. Национальный Совет сыграл важную роль в строительстве и укреплений независимой грузинской республики и в создании для нее передовой прававой базы.

Nona R. CHANTURIA

National Council and its struggle for reestablishment of statehood and strengthening of Georgia

SUMMARY

In the first quarter of the XX century the National Council played a great role in the struggle for reestablishing independence and resumption-strengthening of its statehood.

For the first time in Georgian historiography in the work has been absolutely newly studied the multilateral activities of the National Council by monographic completeness based on the main archival documents, partly scientific literature and the press materials. Also, for the purpose of complete study of the research question, it was shown foundation of the Inter-party Council and its activities, which had foregone foundation of the National Council.

The Inter-party Council led its activities effectively in the different directions, but its main achievement was holding a session. The National Session chose the National Council on the 22nd of November, 1917, which had to prepare a ground for reestablishment of Georgian statehood with its purposeful activities under the heaviest political situation.

The political process taking place in Russia and worsening the relations of Georgia-Turkey under the Brest-Litovski agreement put a question of declaration of independence of Georgia. The members of the National Council avoided declaration of independence at the beginning stage because of existence of confederate defending from aggression of Osmals; this was a right political course, because declaration of independence without the guarantees of a defender state could have given Turkey more opportunities to act against Georgia. Interest of Germany in the Caucasian policy gave a possibility to Georgia ask for help to Germany. The National Council reestablished independence by the proper determination of pro-German orientation on the 26th of May, 1918.

As soon as independence of Georgia was declared it was put a question of reorganization of the National Council and conferment

of legislative rights. It was from the day of foundation of the National Council that Georgian political figures did everything for the National Council became the real parliamentary institution. After declaration of independence, the National Council was reorganized as the legislative body; its membership consisted of 121 members. Later, its membership filled by 26 members of national minorities. Nikoloz Chkheidze headed the National Council. The National Council became the Georgian Parliament on the ground of the Law made in October 8, 1918.

As soon as independence of Georgia was declared, the National Council started arranging Georgian statehood and its strengthening. The important steps were made for the point of view of creating Georgian army units. The law reform was pursued for the purpose of democratic country arrangement.

The National Council supported the national minorities residing in Georgia with the appropriate political rights, for which it had to make the compromises, but taking care of the interests of Georgian nation was on the first place.

The purposeful steps were made for practical pursing of the agrarian reform. The National Council successfully supported fulfilling the agrarian reform by determination- legitimation of the three forms of landowning - private, municipal and state.

Declaring Georgian language as the national language and approving the state symbology by the National Council created the national strength from the side of the state.

On the ground of the aforementioned, the National Council played a great part in reestablishment-strengthening of Georgian statehood and the democratic state development.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

I. საარქივო მასალა

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში იხილეთ შემოკლებით – სცსსა)

1. სცსსა, ფონდი 1823, აღწერა 1, საქმე 1.
2. სცსსა, ფონდი 1823, აღწერა 1, საქმე 2.
3. სცსსა, ფონდი 1835, აღწერა 1, საქმე 1.
4. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2.
5. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 3.
6. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 4.
7. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5.
8. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6.
9. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 7.
10. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 9.
11. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 2, საქმე 23.
12. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 29.
13. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 30.
14. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 31.
15. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 40.
16. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 42.
17. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 43.
18. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 44.
19. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 47.
20. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 48.
21. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49.
22. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 54.
23. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 59.
24. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 63.
25. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 64.
26. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 69.
27. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 80.
28. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 83.
29. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85.

30. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 86.
31. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 87.
32. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 132.
33. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 169.
34. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 170.
35. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 187.
36. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 188.
37. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 193.
38. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 210.
39. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 212.
40. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 214.
41. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 218.
42. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 219.
43. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 253.
44. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 254.
45. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 393.
46. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 397.
47. სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 403.
48. სცსსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 15.
49. სცსსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 37.
50. სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 7.
51. სცსსა, ფონდი 1875, აღწერა 1, საქმე 4.
52. სცსსა, ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე 42.

II. გამოქვეყნებული წყაროები

53. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921. შემდგენელი ე. გურგენიძე, თბ., 1990.
54. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1919.

III. სამეცნიერო ლიტერატურა

55. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990.
56. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები, ნაწილი პირველი 1883-1921, თბ., 1971.
57. ბენდიანიშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980.
58. ბენდიანიშვილი ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001.
59. ბერიძე გ., კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921, თბ., 1992.
60. გერგედავა-ჭელიძე ზ., აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მოღვაწეობა, თბ., 2003.
61. გორგილაძე ლ., იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1963.
62. გურული ვ., ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან (1917-1918), თბ., 1998.
63. გურული ვ., ნოე ჟორდანია, პოლიტიკური პორტრეტი, 1869-1953, თბ., 1999.
64. გურული ვ., ქართული სოციალ-დემოკრატიის სათავეებთან, თბ., 1996.
65. დღვილავა მ., გერმანიის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, თბ., 1997.
66. ესაიაშვილი ვ., ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბ., 1959.
67. ვადაჭკორია შ., პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917), თბ., 1998.
68. ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე, წიგნი I), თბ., 2003.
69. ვადაჭკორია შ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001.
70. ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1920 წლებში, თბ., 2000.
71. ვაჩნაძე მ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1905-1918

წლებში, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1998.
72. ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი, 1995.
73. თეთვაძეები შ., და ო., სომხები საქართველოში, თბ., 1998.
74. თოიძე ლ., ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსია, თბ., 1991.
75. ირემაძე ა., განთიადის სათავეებთან, თბ., 1984.
76. კვინიტაძე გ., ჩემი პასუხი, თბ., 1990.
77. კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია XIX-XX სს. თბ., 1959.
78. კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია 1801-1890 წწ., თბ., 1977.
79. ლომაშვილი ფ., საქართველოს ისტორია მე-9 კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2002.
80. ლომაშვილი ფ., საქართველოს ისტორია მე-11 კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2002.
81. ლორთქიფანიძე გ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.
82. მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990.
83. მესხია ე., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1997.
84. ნიკოლეიშვილი ა., კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1995.
85. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
86. პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1920 წლებში, თბ., 2000.
87. ჟვანია გ., საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, თბ., 1962.
88. ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990.
89. როგავა გ., საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბ., 1996.
90. საითიძე გ., სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბ., 1997.
91. სანიკიძე ლ., მესამე დასის საქართველო, თბ., 1989.
92. საქართველოს ისტორის ნარკვევები, ტ. V. თბ., 1970.
93. საქართველოს ისტორის ნარკვევები, ტ. VI. თბ., 1972.

94. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი პირველი 1883-1921, თბ., 1986.
95. სიდამონიძე უ., საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970.
96. სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918, თბ., 1998.
97. სურგულაძე ა., სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918-1921 წწ.), თბ., 1961.
98. სურგულაძეები ა., და პ., საქართველოს ისტორია 1783-1990, თბ., 1991.
99. ურატაძე გ., ნამდვილი და ყალბი ისტორია, პარიზი, 1958.
100. ურუშაძე ლ., ბოლშევიზმ-მენშევიზმი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 1991.
101. ქართული დიპლომატიის ისტორია, თბ., „თსუ გამომცემლობა", 2003.
102. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი 1, თბ., „თსუ გამომცემლობა", 1998.
103. ქიქოძე გ., წერილები, ესსეები, ნარკვევები, თბ., 1985.
104. შარაძე გ., ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 2001.
105. შარაძე გ., შარაძე გ., ისტორიული რელიკვიების დაბრუნება 1918-1921, თბ., 2001.
106. შველიძე დ., პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, თბ., 1993.
107. ჭანტურია ნ., ეროვნული საბჭო და კანონი ქართული ენის შესახებ, საისტორიო ალმანახი „კლიო", №24, თბ., 2004.
108. ჭანტურია ნ., ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა ქართული საჯარისო ნაწილების შესაქმნელად, საისტორიო ალმანახი „კლიო", №23, თბ., 2004.
109. ჭანტურია ნ., ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საისტორიო ალმანახი „კლიო", №26, თბ., 2005.
110. ჭანტურია ნ., ტრაპიზონის კონფერენციის საკითხი ეროვნული საბჭოს სხდომებზე. - საისტორიო ძიებანი, VI, თბ., 2003.

111. ჭუმბურიძე დ., აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999.
112. ჭუმბურიძე დ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო იდეოლოგია და პოლიტიკა 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 2001.
113. ჭუმბურიძე დ., საქართველო-სომხეთის ურთიერთობა 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999.
114. ჭუმბურიძე დ., „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XIX ს-ის დასაწყისში 1918-1921“, თბ., 2003.
115. ხომერიკი ნ., აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, თბ., 1920.
116. ჯანელიძე ო., საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1917-1923 წლებში, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1999.
117. ჯანელიძე ო., სპირიდონ კედია, პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002.
118. ჯანელიძე ო., 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990.
119. ჯანჯღავა ვ., გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917-1921 წლებში, თბ., 1982.
120. ჯანჯღავა ვ., გლეხთა მოძრაობა სამეგრელოში 1917-1921 წლებში, თბ., 1989.
121. ჯაფარიძე შ., ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (1918-1921), ბათუმი, 1994.
122. Ментешашвили А., Октябрская революция и национально-освободительное движение в грузии, 1917-1921, Тб., 1987.
123. Людендорф Э., Мой воспоминания о воине 1914-1918 гг., М., 1924.

IV. საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები

124. ბახტაძე უ., აკ. ჩხენკელის უცნობი წერილები, ჟურნალი „ცისკარი“, №7, თბ., 1990.
125. ბენდიანიშვილი ა., ქართველი ერის სუვერენულ უფლებათა აღდგენისა და განმტკიცების პრობლემები, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1989, 26 მაისი.
126. გაზეთი „ერთობა“, 21 ნოემბერი, 1917, №201.
127. გაზეთი „ერთობა“, 23 ნოემბერი, 1917, №202.
128. გაზეთი „ერთობა“, 24 ნოემბერი, 1917, №203.
129. გაზეთი „ერთობა“, 25 ნოემბერი, 1917, №204.
130. გაზეთი „ერთობა“, 22 თებერვალი, 1918, №43.
131. გაზეთი „ერთობა“, 10 მარტი, 1918, №56.
132. გაზეთი „ერთობა“, 11 აპრილი, 1918, №.
133. გაზეთი „ერთობა“, 10 მაისი, 1918, №92.
134. გაზეთი „ერთობა“, 2 ივნისი, 1918, №112.
135. გაზეთი „ერთობა“, 6 ივნისი, 1918, №116.
136. გაზეთი „ერთობა“, 16 ივნისი, 1918, №123.
137. გაზეთი „ერთობა“, 28 ივნისი, 1918, №107.
138. გაზეთი „ერთობა“, 14 აგვისტო, 1918, №171.
139. გაზეთი „ერთობა“, 3 სექტემბერი, 1918, №187.
140. გაზეთი „ერთობა“, 24 სექტემბერი, 1918, №203.
141. გაზეთი „ერთობა“, 29 სექტემბერი, 1918, №208.
142. გაზეთი „ერთობა“, 1 ოქტომბერი, 1918, №209.
143. გაზეთი „ერთობა“, 4 დეკემბერი, 1918, №263.
144. გაზეთი „საქართველო“, 12 მარტი, 1917, №56.
145. გაზეთი „საქართველო“, 14 მარტი, 1917, №58.
146. გაზეთი „საქართველო“, 25 იანვარი, 1918, №20.
147. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 იანვარი, 1918, №2.
148. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 იანვარი, 1918, №3.
149. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 დეკემბერი, 1918, №117.
150. გაზეთი „სახალხო საქმე“, 15 მარტი, 1918, №195.
151. გაზეთი „სახალხო საქმე“, 30 მარტი, 1918, №204.
152. გაზეთი „სახალხო საქმე“, 11 აპრილი, 1918, №213.

153. გაზეთი „სახალხო საქმე“, 5 ივნისი, 1918, №249.
154. გაზეთი „სახალხო საქმე“, 6 ივნისი, 1918, №250.
155. გაზეთი „სახალხო საქმე“, 15 სექტემბერი, 1918, №351.
156. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 16 მარტი, 1917, №820.
157. გოგოლაძე დ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული ადგილის შეფასებისათვის, გაზეთი „კომუნისტი“, თბ., 1989, 26 მაისი.
158. თაყაიშვილი ე., დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო, ჟურნალი „მნათობი“, №2, თბ., 1990, გვ. 159-168.
159. თოიძე ლ., ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, №1, თბ., 1991, გვ. 20-33.
160. მუჯირი ა., ასჩვიდმეტი წლის შემდეგ, ჟურნალი „მნათობი“, №6, თბ., 1989, გვ. 125-138.
161. ჟვანია გ., საერთაშორისო ნორმების დაცვა თუ ოკუპაცია?, გაზეთი „კომუნისტი“, №124, №125, თბ.,1989.
162. სვანიძე მ., როგორ გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წ. 26 მაისს, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, თბ.,1991, 28 მაისი.
163. სიდამონიძე უ., ეროვნული საბჭო — საქართველოს პარლამენტი, გაზეთი „კომუნისტი“, თბ., 1990, 26 მაისი.
164. სიდამონიძე უ., ოქტომბრის პირმშო — გარდაქმნით დაბრუნებული, გაზეთი „კომუნისტი“, თბ., 1988, 25 მაისი.
165. სიხარულიძე ფ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკითხი დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკაში 1918-1921 წლებში, გაზეთი „აჭარა“, 1991, 26 ოქტომბერი.
166. სურგულაძე პ., დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკა, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, თბ., 1990, 14 ივნისი.
167. სურგულაძე პ., ეროვნული საკითხი საქართველოს პარლამენტში (1918-1920 წწ.), ჟურნალი „მნათობი“, №4, თბ., 1991, გვ. 138-147.
168. ტაბაღუა ი., საქართველო და ევროპის სახელმწიფოები 1918-1921, გაზეთი „თბილისი“, 1989, 12 ივლისი.

169. ქიქოძე გ., თანამედროვის ჩანაწერები, ჟურნალი „მნათობი“, №1, თბ., 1989, გვ. 3-63.
170. ჩიტაია დ., ქართულ-აფხაზური ურთიერთობები საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921), ჟურნალი საისტორიო ძიებანი, №1, თბ., 1991, გვ. 115-127.

შინაარსი

შესავალი ---------- 3

თავი I. წყაროებისა და ისტორიოგრაფიის მიმოხილვა -------- 5

თავი II. ეროვნული საბჭო და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა ---------- 12

§1. საქართველოს ანექსიიდან 1917 წლამდე (მოკლე ისტორია) ---------- 12

§2. „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო", „საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა", „საქართველოს ეროვნული საბჭო" ------ 20

§3. ეროვნული საბჭოს საქმიანობა 1917 წლის 26 ნოემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე ---------- 37

§4. ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის გამოცხადება ---------- 76

თავი III. ეროვნული საბჭო — საქართველოს პარლამენტი ---- 81

§1. ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ-საკანონმდებლო ორგანოდან საკანონმდებლო-მაკონტროლებელ ორგანოდ გადაქმნა ---------- 81

§2. ეროვნული საბჭო 1918 წლის 26 მაისიდან დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, 1919 წლის 12 მარტამდე ---------- 92

თავი. IV. ეროვნული საბჭო — საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ---------- 111

§1. ეროვნული საბჭო ეროვნული სახელმწიფოს მოწყობისათვის ბრძოლაში ---------- 111

§2. ეროვნული საბჭო და აგრარული საკითხი ---------- 121

§3. ეროვნული საბჭო საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის შესახებ ---------- 130

§4. ეროვნული საბჭო და კანონი ქართული ენის შესახებ ---------- 144

§5. ეროვნული საბჭო მეცნიერების, განათლებისა და კულტურის შესახებ ---------- 152

დასკვნა ---------- 162

БОРЬБА НАЦИОНАЛЬНОГО СОВЕТА ЗА ВОССТАНОВЛЕНИЕ И УКРЕПЛЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОСТИ ГРУЗИИ ---------- 166
NATIONAL COUNCIL AND ITS STRUGGLE FOR REESTABLISHMENT OF STATEHOOD AND STRENGTHENING OF GEORGIA ---------- 169
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა ---------- 171

Чантурия Нона Ревазовна

БОРЬБА НАЦИОНАЛЬНОГО СОВЕТА ЗА ВОССТАНОВЛЕНИЕ И УКРЕПЛЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОСТИ ГРУЗИИ

Тбилиси-2006

Nona R. CHANTURIA

NATIONAL COUNCIL AND ITS STRUGGLE FOR REESTABLISHMENT OF STATEHOOD AND STRENGTHENING OF GEORGIA

Tbilisi-2006

ტექნიკური რედაქტორი გ. ხარებავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა თ. ბერბერაშვილი

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11,3
სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,11

შეკვეთა № 18 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge